როსტომ ჩაგუჩაძე

ევიზოდები კომუნისტური ცხოვრებიდან

II

„კაცი ან ყველა სწორია, დიდი ძალ კაცია კაცამდის“
(რუსთაველი)

როსტომ ტაბატაძე

ეპიზოდები კომუნისტური ცხოვრებიდან

მეორე გამოცემა

თბილისი
2022

წიგნი აეწყო და დაკაბადონდა

ფასი სახელშეკრულებო

წიგნი გამოდის ავტორის ხარჯებით

ISBN 978-9941-8-4779-0

ავტორისაგან

1976 – 91 წლებში პარტიული და საბჭოთა ორგანოების ჭიათურის საქალაქო სტრუქტურებში ვმუშაობდი, აქედან შვიდ წელზე მეტი პარტიულ სამუშაოზე გავატარე. პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტში მეჭირა საერთო განყოფილების გამგის თანამდებობა. დადგენილი რეგლამენტის თანახმად, ჩემს ხელში უნდა გაევლო საქალაქო კომიტეტში შემოსულ და გასულ ყველა სახის წერილობით და ზოგჯერ ზეპირ ინფორმაციასაც. მევალებოდა პირად საკითხებზე მოსულ მოქალაქეებთან მუშაობა, გრამატიკულად ვასწორებდი და დოკუმენტის სახეს ვაძლევდი საქალაქო კომიტეტის ბიუროს, პლენუმისა და კონფერენციის ოქმებს. აქედან გამომდინარე, მქონდა ინტენსიური ურთიერთობა საქალაქო კომიტეტის მდივნებთან, განსაკუთრებით კი – პირველთან და ამიტომ ვფლობდი დიდ ინფორმაციას.

დროის იმ მცირე მონაკვეთში, რაც პარტიულ სამუშაოზე გავატარე, კომპარტიის ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. შეიცვალა ცეკას ოთხი გენერალური მდივანი – (ბრეჟნევი, ანდროპოვი, ჩერნენკო, გორბაჩოვი). მაგრამ შექმნილი ვითარების რეალურად შეფასება მათ ვერ შეძლეს. ანდროპოვი შეეცადა მმართველობის თავისებური სტილის შემოღებას, მაგრამ არ დასცალდა. რადიკალურ ცვლილებებზე წავიდა გორბაჩოვიც, მაგრამ სულ სხვა მიმართულებით. სტალინის შემდეგ უძრაობაზე „დაპროგრამებულმა“ კომუნისტურმა პარტიამ რყევებს ვერ გაუძლო და მის სტრუქტურებში ჩემი საქმიანობის დაწყებიდან მოკლე ვადაში დასრულდა მისი მუდმივი მმართველობის ლეგენდა. მაგონდება მოკრძალებული პრეტენზია ღარიბი გლეხისა, რომელიც ეზოში ჩამოვარდნილ მკვდარ ყვავს მიმართავს: – შე დალოცვილო, თუ მართლა **300** წელიწადს ცოცხლობ, რაღა ჩემს ეზოში აღმოგხდა სულიო.

დაახლოებით ასე იყო ჩემს შემთხვევაშიც, კომპარტიის „ჭირისუფლის“ როლში აღმოვჩნდი. როცა „მიცვალებული“ წინ გიდევს, ემოციები მძლავრობს. კომპარტიის „ჭირისუფლის“ პოზიციიდან ვწერდი წერილებს გაზეთის ფურცლებზე, სადაც სრულიად გულწრფელად ვიცავდი არა კომუნისტურ იდეებს, არამედ ამ იდეების მსხვერპლ ადამიანებს და დღესაც,

როცა ემოციები დაცხრა, მიჭირს კორექტივების შეტანა მათ შინაარსში.

კომუნისტური მმართველობის 70 – წლიან მონაკვეთს, ზოგჯერ, ერთ მთლიანად მოიაზრებენ, რაც დიდი შეცდომაა. როგორც ქვეყნის მართვის, ისე ხალხთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ეს პერიოდი მკვეთრადაა ორად გამიჯნული. გამიჯნულია „ცად და დედამიწად“, – სტალინურ და ანტისტალინურ პერიოდებად. სტალინური პერიოდი ესაა გაუცნობიერებლად მარქსისტული იდეებისადმი მოსახლეობის დიდი ნაწილის ერთგულების, კომუნიზმის მტრებთან (ფაშიზმი, ტროცკიზმი და სხვა) დაუნდობელი ბრძოლის, ნგრევის, შემდეგ კი აღმშენებლობის, მოძრაობის და მხოლოდ მოძრაობის, საერთო სახალხო ქონებიდან (სახელმწიფო) „ნემსის“ ქურდობისათვის უმკაცრესად დასჯის პერიოდი. ანტისტალინური – მარქსისტული იდეებისადმი იმედგაცრუების, მიშვებულობის, განუკითხაობის, ქაოსისა და უძრაობის, სახლმწიფო ქონებიდან „აქლემის“ ქურდობისათვის „მწვანე შუქის“ ანთების პერიოდი. პირველ პერიოდში ქვეყანა სტალინის „მტკიცე“ ხელით იმართებოდა. მეორეს კი – საერთოდ არ ემჩნეოდა მართვა, იგი ინერციით მიდიოდა.

ჩემთვის მიუღებელია რომ დღეს, ხელმძღვანელ კომუნისტთა სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს, თანაბრად აკისრებენ პასუხისმგებლობას მთელ კომუნისტურ ეპოქაზე. უნაკლო ადამიანები, მითუმეტეს ხელმძღვანელი მუშაკები, არ არსებობენ. ხელმძღვანელის კეთილშობილური თვისებები, თუ მას ასეთი გააჩნია, საკმაოდ მკაცრი რეჟიმისა და დიქტატურის პირობებში უფრო მკვეთრადაც ვლინდება. მაგრამ ასეთები თვითრეკლამას არ აკეთებენ, ეს სხვამ უნდა დაინახოს.

კომუნისტური ეპოქის ღრმა ანალიზი მეცნიერთა საქმეა. მე კი, როგორც მეორე პერიოდის თანამედროვე და მოკლე ვადით პარტიული მუშაკი, ვწერ იმას, რაც ჩემს დროს, ზოგჯერ კი უშუალო მონაწილეობით ხდებოდა. თავს ვალდებულად ვთვლი ჩემს გვერდით მოღვაწე და ზოგიერთ სხვა ხელმძღვანელ კომუნისტთა მისამართით ვთქვა მადლიერების სიტყვები, რაც მათ დაიმსახურეს. მკითხველს ვთავაზობ მეხსიერებაში შემორჩენილ სხვა სახის ინფორმაციასაც, მიმაჩნია, რომ ეს „წინა კაცის“ მოქალაქეობრივი ვალია.

წიგნში შეტანილია ავრეთვე წინა წლებში ჩემს მიერ ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნებული და ზოგიც გამოუქვეყნებელი წერილი. მათი შინაარსის დროსთან შესაბამისობაში აღქმის მიზნით, მკითხველს დროებით მოუწევს ახლო წარსულში გადანაცვლება, რისთვისაც ბოდიშს ვუხდი მას.

პატივისცემით, როსტომ ტაბატაძე.

„წითელი“ ერისკაცები

„კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის.“ – გვმოძღვრავს რუსთაველი. კაცებს (ადამიანებს) შორის ეს დიდი განსხვავებულობა იგრძნობა ყველგან და ყველაფერში, მათ შორის საერთო – სახალხო საქმეების კეთებისადმი დამოკიდებულებაში. ერთნი მხოლოდ საკუთარი თავისთვის და ოჯახებისთვის არსებობენ, მეორენი კი – სხვებისთვისაც. საზოგადოება ხედავს და აფასებს მეორე კატეგორიის ადამიანებს, მაგრამ ისინი, სიკვდილის შემდეგ მაინც იჩაგრებიან, დუმბაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ზოგჯერ მათ „ქურდი კოლას“ გვერდით მარხავენ.

ამ მხრივ კომუნისტები ყველაზე მეტად დაიჩაგრნენ. ეს ნახევარ მილიონამდე კაცი სიცოცხლეშივე ერთად „დამარხეს“ და წარწერაც საერთო გაუკეთეს – „ქართველი კომუნისტები“. გამოკვეთილი არიან მხოლოდ მაღალი თანამდებობის პირები, მათ შორის რაიკომებისა და ქალაქკომების პირველი მდივნები, ისინი უფრო ღრმად „დამარხეს“, წარწერა კი ერთნაირი გაუკეთეს, თითქოსდა ყოველმხრივ მსგავსი ადამიანები.

„ყოველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე თავისი ეპოქის შვილია, მის მთელ საქმიანობას დროის ბეჭედი აზის, კონკრეტული პოლიტიკური ვითარების კვალი ამჩნევია“ – ეს ფრაზა, რამდენიმე წლის წინ, ერთ – ერთი საგაზეთო პუბლიკაციიდან ამოვინიშნე. ვინც დროს და ვითარებას ანგარიშს არ უწევს, მასზე ამბობენ დინების საწინააღმდეგოდ ცურავსო. არაერთი ქართველი მოღვაწე შეეწინააღმდეგა აბობოქრებულ მდინარეს და საკმაოდ სავალალო შედეგებიც დაატყდა თავზე ჩვენს ქვეყანას. სწორედ ქართული მენტალიტეტის შედეგად მიმაჩნია ის, რომ სსრ კავშირის დაშლის ისტორიულად გარდაუვალი პროცესების ფინალში, უკიდეგანო იმპერიის ხალხებს შორის, ქართველმა ხალხმა თავის თავზე მიიღო

ყველაზე მძიმე და მტკივნეული დარტყმები, რაც თან სდევს განწირულის ბოლო გაბრძოლებას.

დინების საწინააღმდეგოდ „ცურვით“, ჩემი აზრით, გამორჩეული მაინც მეფე თეიმურაზ პირველია. ისტორიკოსი გვამცნობს, რომ ზოგჯერ, მის მიერ „უდროჟამოდ მოქნეული ხმალი შინაურ თანამოძმეს უფრო მეტ სისხლს აქცევინებდა, ვიდრე ქართველი ხალხის მტერს და მოსისხლეს.“ ასეთ პოლიტიკას კი შედეგად მოჰყვა მძვინვარე შაჰ აბასის მიერ კახეთის აოხრება და ასიათასობით მისი მკვიდრის, მათ შორის თვით მეფის ოჯახის წევრთა ამოწყვეტა და დარჩენილთა გადასახლება.ისტორიას კი შემორჩა მეფე – პოეტის მწარე გოდება – „სოფელმან თვისი სიმუხთლე ჩემზედა არა დალია, მამკვდინებელი წამალი მე მასვა, მან არ დალია..“

მეფე ვახტანგ მეექვსემ, გაითვალისწინა ერის ისტორიის ტრაგიკული გაკვეთილები და დაასკვნა, რომ – „მთავარი შინაგანი სინდისი ყოფილა და მარტო ქრისტეს სჯულისათვის გაკერპებული კაცი, ბევრს ვერაფერს გააკეთებს თავისი ქვეყნისთვის“-ო. ასეთი შთაგონებით ეწვია იგი ირანის შაჰს, დაეთანხმა მას „გათათრებაზე“, შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და შეუდგა ეროვნული საქმეების კეთებას.

ისტორიის მწარე გაკვეთილებიდან და არსებული რეალობიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ძირითადად სწორ პოზიციაზე იდგნენ ქართველი კომუნისტები, რომლებიც თანამშრომლობდნენ კომუნისტურ რეჟიმთან და არცთუ პასიურად ამზადებდნენ საზოგადოებას ცვლილებებისთვის.

ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს მაძლევს მე ქალაქ ჭიათურის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელების გვერდით მრავალწლიანი მუშაობის სტაჟი და ამ პერიოდში საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ დახელოვნების კურსებზე მოსმენილი მრავალი ლექცია.

1977 წელს საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ, ოთარ გოგატიშვილმა, საქართველოს გასაბჭოების დღესთან დაკავშირებით საზეიმო სხდომის მოხსენების დაწერა დამავალა. მეც დავწერე და წარვუდგინე. როცა მოხსენებას გაეცნო, დამიძახა და შენიშვნა მომცა – არ ჩანსო „უფროსი ძმის“

როლი. სიტყვაში – „უფროსი ძმა“ – ირონია იყო ჩადებული. შემდეგ დაუძახა განყოფილების გამგეს, დიმიტრი (დიტო) ტატიშვილს და უთხრა: – შენი ინსტრუქტორი (ჩემზეა საუბარი), გამოუცდელია და მოხსენებას შენი თვალით გადახედე, ხომ იცი მაგას „კგბ“ მთელი თავისი აგენტურული ქსელით უსმენსო. თანაც გააფრთხილა – შენ ყოველ წელიწადს ერთსა და იმავეს მიწერ და ცოტა რამ სიახლე შეიტანე მოხსენებაშიო. – რა ვქნა ოთარ მიხაილოვიჩ, ეს გასაბჭოება ერთხელ მოხდა და სანამ ის არ შეიცვლება, ახალი რა დავწერო. ალექსანდრე ყაზბეგმა რომ დაწერა „ხევისბერი გოჩა“, დაუსვა წერტილი და დაამთავრა.

– გოჩა კი დაამთავრა, მაგრამ „ელგუჯა“ – გააგრძელა...

– რომც არ გაეგრძელებია, „ელგუჯა“ მაინც არ მოკვდებოდა.

ეს დიალოგი არსებული წყობილებისადმი ირონიით იყო გაჟღენთილი, „ელგუჯას“ უკვდავება კი ეროვნულ სულთან იყო ასოცირებული. მსგავსმა შენიშვნებმა და გამოთქმებმა კომუნისტურ დღესასწაულებზე, გარდამავალი წითელი დროშების გადაცემისა და სხვა ცერემონიალებზე, დამარწმუნეს, რომ მაღალი თანამდებობის ქართველ კომუნისტთა სახითაც კი, საბჭოთა ხელისუფლებას არ ჰქონდა მყარი და საიმედო დასაყრდენი. ეს რწმენა კიდევ უფრო განმიმტკიცდა პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის აპარატში მუშაობის პერიოდში.იმ წლებში საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი – (ჭიათურელთა თავკაცი) – ომარ ხოფერია იყო.იგი მეტად კეთილი, ღრმად განათლებული და ლიდერისათვის დამახასიათებელი ყველა დადებითი თვისებებით აღჭურვილი პიროვნება იყო. ხშირად ხმარობდა გამოთქმას – „რა ვქნათ, ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ“. ასეთ გამოთქმას კი ხმარობდა მაშინ, როდესაც წააწყდებოდა წინააღმდეგობას ცხოვრების საყოველთაოდ დამკვიდრებულ, ქართულ, ტრადიციულ წესსა და მოქმედ კანონმდებლობას შორის.მსგავს წინააღმდეგობებს კი რა დალევდა ქვეყანაში, სადაც გარკვეული სახის კონკრეტული ქმედება (თუნდაც ჭაჭის არაყის გამოხდა) სისხლის სამართლის დანაშაული იყო. უმოქმედობა (ჭაჭის გაფუჭება) – კი სირცხვილი.

ომარ ხოფერიას მიდგომა განსახილველი თვითოეული

საკითხისადმი ორიგინალობითა და ინდივიდუალურობით გამოირჩეოდა. ერთხელ, ბიუროს სხდომაზე წარმოდგენილი იყო ერთ – ერთი ხელმძღვანელი მუშაკის ინფორმაცია ზამთრის სეზონის მზადებასთან დაკავშირებულ საკითხზე. პროექტში აღნიშნული იყო ზამთრის სეზონისათვის საწვავის, ინვენტარის შეძენის, მათი ტრანსპორტირების და სხვადასხვა სახის სამუშაოების შესრულებისას სერიოზულ ფინანსურ დარღვევებზე. ბიუროს სხდომაზე ხოფერია ეკითხება საკითხის შემომტანს – („ბრალმდებელს“):

– თქვენ წერთ, რომ ინვენტარი შეძენილია საფინანსო დისციპლინის უხეში დარღვევებით, რაში გამოიხატება ეს დარღვევები? პასუხი: – მაგას უფლება არ ჰქონდა ინვენტარი შეეძინა ორგანიზაციის ხარჯებით, მით უმეტეს ნაღდ ანგარიშზე. თავის სამინისტროში გასული წლის შედეგების წარდგენისას, მას უნდა დაესაბუთებია ამ ინვენტარის საჭიროების აუცილებლობა და მოეთხოვა მათი გამოყოფა. ხოფერია „ბრალდებულს“: – რატომ არ მოიქეცით ასე?

– არაერთხელ მოვიქეცი აგრე, მაგრამ შედეგი არ მოჰყვა, მათ ლოდინში გათბობის სისტემის მილები გაიყინა და დასკდა. წელს კი მოვახერხე მათი აღდგენა.

– რატომ დაგჭირდა „კაჭკის“ ყიდვა?

– ეზოში მანქანა ვერ შედის, ნახშირი მიყრია ეზოს გარეთ და „კაჭკით“ ვეზიდები ნახშირს „კაჩიკარიაში“.კითხვა ბრალმდებელს: – საწვავი და შეძენილი ინვენტარი ადგილზეა? პასუხი: – კი ბატონო.

საფინანსო დისციპლინის დარღვევები მრავალმხრივი და საკმაოდ სერიოზულია. ხოფერია ხედავს, რომ ხელმძღვანელი ვაჟკაცურ რისკზე წასულა, მაგრამ კანონის აშკარა დარღვევებიც სახეზეა და იგი უნდა დაისაჯოს.წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვა მაკონტროლებელი ორგანოების მიერ მათი აღმოჩენისას, მას უფრო მკაცრი შეფასებები მოჰყვება. ხელმძღვანელს პარტიულ სასჯელს ადებენ. იგი განაწყენებული ტოვებს დარბაზს და ჩაილაპარაკებს – არ ღირს მუშაობა. ხოფერია თავს გადააქნევს და ამბობს – გადავედით სხვა საკითხზე.

მეორე დღეს ეს ხელმძღვანელი ხოფერიასთან მიღებაზე შემოდის, ვატყობ ძალზე აღელვებულია. ხელში გაზეთი უჭირავს და მასში თეთრი ფურცლის ყური მოჩანს.ხოფერია წამოდგა. ღიმილით შეხვდა, ხელი ჩამოართვა და დაბრძანდითო უთხრა. სხვა დროს სიტყვას, „დაბრძანდით“, მოჰყვებოდა ხოლმე სიტყვა „გისმენთ“. ამჯერად კი ხოფერიამ თვითონვე დაიწყო საუბარი:

– ისე, კაცურად შენ მართალი ხარ, შენს ადგილზე მეც აგრე მოვიქცეოდი.

– თუ თქვენც ჩემსავით მოიქცეოდით, მე რატომ დამსაჯეთ ?

– მე რომ შენსავით მოვიქცეოდი, სამსახურიდან მომხსნიდნენ და პასუხისგებაში მიმცემდნენ. შენ კი მხოლოდ საყვედური გამოგიცხადე, იმასაც მალე მოგიხსნი,საქმე კი გაკეთებული დაგრჩება.

რა ვქნათ, ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობთო – სთქვა ხოფერიამ და საკითხის გაუბრალოების მიზნით საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა. პრობლემები გამოჰკითხა, რჩევა – დარიგებები მისცა და დახმარებაც აღუთქვა. ბოლოს ისევ საკითხს დაუბრუნდა და ჰკითხა – ის „კაჭკა“ რამდენ ხანს გეყოფაო.

– ერთი ხუთი წელი.

– ჰოდა მანამ რაღაც შეიცვლება. ხოფერიას ეღიმება.

ორთავენი წამოდგნენ, ხელმძღვანელი მიდის, ხოფერიამ რამდენიმე ნაბიჯზე გააცილა იგი, მხარზე ხელი დაადო და თბილად უთხრა – აბა შენ იცი, მიხედე საქმესო. ცოტა ხნის შემდეგ მეც გამოვდივარ ხოფერიას კაბინეტიდან. ვხედავ ეს ხელმძღვანელი კვლავ მისაღებში დგას. მივდივარ ჩემი კაბინეტისკენ და მომყვება ისიც, კაბინეტში ერთად შევდივართ, ორთავე ვსხდებით. ის გაზეთიდან იღებს ფურცელს და მაწვდის. ვკითხულობ, განცხადებაა მდივნის სახელზე – გადადგომას ითხოვს. რატომ მდივანს არ გადაეცით ეს განცხადება? – ვეკითხები მე.

– ისეთი საუბრის შემდეგ, მაგას როგორ გამოვაჩენდი, მაგ კაცისგან, საყვედური კი არა, გალახვაც არ მეწყინება, ნეტავი შენ, მაგ კაცის გვერდით რომ მუშაობ – მეუბნება მე – შემდეგ მართმევს თავის განცხადებას, ხევს, ყრის იქვე ურნაში და გადის კაბინეტიდან. და მართლაც, ომარ ხოფერიამ პირადი

მაგალითით, მე წესიერი და პატიოსანი კაცის ცხოვრების უალტერნატივობაში დამარწმუნა.

ხოფერიასთან ტელემაუწყებლობის კორესპონდენტი შემოვიდა და უთხრა: დავალებული მაქვს გადაცემისთვის – „ბიუროკრატის გალერეა“ – ერთი ხელმძღვანელი მუშაკი წარვადგინო და საკითხი თქვენთან უნდა იყოს შეთანხმებულიო. იმ სატელევიზიო გადაცემას ალბათ უნდა მოჰყვეს ჩემს მიერ საკითხის ბიუროზე განხილვა და სამსახურიდან ამ ხელმძღვანელის მოხსნა – ამბობს ხოფერია. – აუცილებლად – ადასტურებს კორესპონდენტი.

ჭიათურაში ასამდე საწარმო და დაწესებულება არსებობდა. მათი ხელმძღვანელებიდან ერთზე უნდა შეეჩერებია არჩევანი ხოფერიას. ვინ გავიმეტო? – სთქვა მან, შუბლზე ხელი მიიდო და ფიქრებში ჩაღრმავდა. ჩემს თვალწინ გაიელვა რამდენიმე ხელმძღვანელი მუშაკის სახემ და მეგონა ხოფერია მათ შორის ერთერთს „გაიმეტებდა“, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. როცა მან ხელი ჩამოიღო, სახე მკვეთრად ჰქონდა შეცვლილი, შეწუხებული იყო. ესე იგი ერთი ადამიანი უნდა გავწირო და ჯერაც არ ვიცი ვინაა ის – ამბობს ხოფერია.

– ეს თქვენზეა დამოკიდებული ბატონო ომარ.

– მერე და რატომ უნდა იყოს ჩემზე დამოკიდებული, მე რა ღმერთი ვარ? რა ქვეყანაში ვცხოვრობთ.

– რა ვიცი, ლენინის ძეგლი კი ჩაგიხუტებიათ გულში (იმ ხანებში ლენინის ძეგლი კულტურის სასახლის ეზოდან ადმინისტრაციული სახლის ეზოში გადმოვიტანეთ).

– ეგ ოთარ მიხაილოვიჩისა (აღმასკომის თავჯდომარე) და ჯემალ გურულის (მეორე მდივანი) დაჟინებული მოთხოვნით გავაკეთეთ. ისინი ძველი კომკავშირული მუშაკები არიან, ლენინი მათთვის ახალგაზრდულ ასაკთან ასოცირდება და ფანჯრიდან რომ უყურებენ მის ძეგლს, სიამოვნებას განიცდიან.

– ცხოვრებაში თუ იცავთ ლენინურ ნორმებს?

– მაგისი რა მოგახსენოთ. იცინიან.

ეს კომკავშირი ღუპავს ახალგაზრდა თაობას. ისინი ადრეულ ასაკშივე, პოლიტიკურად თითქოს ბერდებიან, ყველაფერში გათვითცნობიერებულნი ხდებიან, იციან რომ ვაშენებთ იმას,

რასაც ვერასდროს ვერ ავაშენებთ და რწმენადაკარგულნი ფორმალიზმის ჭაობში ეფლობიან. ეს თაობა ეპოქის მსხვერპლია – სთქვა კორესპონდენტმა.

საუბარში ემოციურად ჩართულ კორესპონდენტს დაავიწყდა, რომ თანამოსაუბრის გარდა, იქ მეც ვიმყოფებოდი და რომ შემომხედა, თითქოს შეკრთა. ხოფერიამ შენიშნა კორესპონდენტის უხერხულობა და დაამშვიდა – ნუ შიშობ, მაგასთან ნათქვამი სიტყვა წინ არ დაგხვდება, ისე მაგას არ აქვს გავლილი კომკავშირული წრთობა და იგრძნობა კიდეც ყოველ ნაბიჯზე, მაგისი აღმასვლა პედაგოგიური საქმიანობიდან დაიწყო.

გულახდილი დიალოგის შემდეგ ისევ საქმეზე გადავიდნენ. საუბარში კორესპონდენტებმა საჩხერე და ხარაგაული ახსენა. საჩხერე და ხარაგაულიც შენი ზონებია? – ეკითხება ხოფერია. კითხვაზე დადებითად პასუხობს კორესპონდენტი. ჰოდა ეს უხერხულობა ამაცილე, იქნებ ბიუროკრატი იქ უფრო გამოკვეთილი იყოს. – ამბობს ხოფერია. მან კორესპონდენტი დაითანხმა, გაისტუმრა და გამომშვიდობებისას დიდი მადლობაც გადაუხადა.

სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე შემოვიდა. ეტყობა მოწვეული ჰყავდა. ცეკას დადგენილება გადაშალა, ალაგ – ალაგ სტროფებს წითელი ხაზი ქონდა გავლებული. დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ „ქალაქ ჭიათურის ადმინისტრაციული ორგანოები სუსტად მუშაობენ ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, მათ არაყის გამოხდისა და შენახვის ფაქტზე არცერთი დამნაშავე არ გაუსამართლებიათ. პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტი კი არ იჩენს სათანადო მომთხოვნელობას ამ სფეროში დასაქმებული კომუნისტების მიმართ“.

– რა ვქნათ ჟორა – მიმართავს ხოფერია მოსამართლეს და ეტყობოდა ამ თემაზე მათ ადრეც ჰქონდათ საუბარი.

– არ ვიცი ომარ, ჩემთან საქმე თუ არ შემოვიდა, მე როგორ განვიხილავ, ანდა ქართველი კაცი არაყის გამოხდისთვის როგორ გავასამართლო.

მილიციის უფროსის მოადგილე შემოდის „სასიამოვნო“ ინფორმაციით. არაყის გამოხდის ფაქტზე კაცი დავიჭირეთო.

რა კაცია? – ეკითხება ხოფერია. სტალინის სახელობის მაღაროს მუშაა – არის პასუხი. ხოფერია ცხარდება... არაყის გამოხდისთვის რომ მაღაროს მუშა ციხეში გავუშვათ, მის დედას ან ცოლ – შვილს რა ვუთხრათ. ის გამოვა ციხიდან. მე ჩამოსული კაცი ვარ და წავალ, მაგრამ შენ სად მიდიხარ, როგორ უნდა შეხედო მას თვალებში? – მაშინ რა ვქნათ ბატონო ომარ, ქურდები და მამაძაღლები არაყს არ ხდიან.

როცა გინდათ, ყველაფერს აკეთებთ. მე მთვარიდან ჩამოსული არა ვარ.

ხოფერიას მხედველობაში ჰქონდა პრაქტიკა, როდესაც დანაშაულის გახსნის მიზნით ნამდვილ დამნაშავეს სხვა, უფრო მსუბუქ, დანაშაულსაც „აჰკიდებდნენ“ ხოლმე. ამ შემთხვევაში დამნაშავე მხოლოდ ფაქტიურად ჩადენილი დანაშაულისათვის ისჯებოდა. „აკიდებული“ დანაშაული კი გახსნილად ითვლებოდა.

პირველი მდივნის და საერთოდ ხელმძღვანელის სახე მისი კადრები იყო. ხოფერია ამ სფეროში რადიკალურ ცვლილებებზე არ წასულა, მაგრამ ნათქვამია – „გულს გული იცნობს და ღონეს ღონეო“ და ქალაქის თავკაცის პოსტზე მრავალწლიანი მუშაობის მანძილზე მის ირგვლივ ყოველგვარი ნათლიმამობისა და ანგარების გარეშე მისთვის სასურველმა კადრებმა მოვიყარეთ თავი.

ომარ ხოფერია ქალაქის თავკაცის პოსტზე თეიმურაზ გიორგაძემ შეცვალა. ბუნებრივია მასაც თავისი „გულისა და ღონის“ შესაფერისი კადრები სჭირდებოდა. გიორგაძე თბილისიდან იყო მოვლინებული და იმ დროს დედაქალაქში, ასევე სხვა ქალაქებშიც, სავაჭრო ორგანიზაციები და კომუნალური საცხოვრებელი ბინების გამანაწილებელი სამსახურები რეპუტაციაშელახულები იყვნენ. ამიტომ გიორგაძემ ამ სფეროებში კადრების შეცვლა გადაწყვიტა.ამ შემთხვევაში ქალქის მსხვილი სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, გივი ასანიძე, ავთანდილ კიკნაძე და კომუნალური ბინების გამანაწილებელი კომისიის თავმჯდომარე, ბიჭიკო კვიჟინაძე იყვნენ „მიზანში ამოღებულნი“. ისინი კარგი ხელმძღვანელები და კეთილშობილი პიროვნებები იყვნენ.

კადრების საკითხები მე არ მეხებოდა, მაგრამ ვცდილობდი,

რომ პატიოსანი ადამიანები უსაფუძვლოდ არ დასჯილიყვნენ და ხელსაყრელ მომენტს არ ვუშვებდი მდივნის სწორი ინ-ფორმირებისათვის. პასუხი კი ხშირად ასეთი იყო: – შენ ყველა შენნაირი გგონია. იმ ხანებში ასანიძე გარდაიცვალა. სამძიმრიდან დაბრუნებული გიორგაძე განცვიფრებას ვერ მა-ლავდა, რა ვიწროდ და როგორ უბრალოდ უცხოვრია წლობით ამოდენა სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელსო. ამჯერად იგი ჩემსა და ასანიძის ცხოვრების წესს შორის განსხვავებას ვეღარ ხედავდა – ჩვენ ხოფერიას კადრები ვიყავით.

ერთ-ერთი სატელეფონო საუბარი ხოფერიამ ასე დაამთავრა: „რა ვქნა, ვიწვი ამ ჭიათურაში, მაგრამ ბნელს მაინც ვერ ვანათებ“... იგი მართლაც „იწვოდა“ როდესაც მშრომელთა საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტას ვერ მოახერხებდა. ასეთ შემთხვევაში ის მოქალაქეებს ამ საკითხის გადაწყვეტის სიძნელეებზე, კანონმდებლობასთან მის შეუსაბამისობაში დაარწმუნებდა, ბოლოს თავის საყვარელ ფრაზას იხმარდა – რა ვქნათ ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობთო და გაისტუმრებდა.

ხოფერიაზე რამდენიმე წლით ადრე პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი (ჭიათურელთა თავკაცი) ნოდარ ვაშაძე იყო. – კაცი ის იყო – მეუბნება ნოდარ ვაშაძეზე ერთი მოქალაქე – მან მე სახლი ამიშენა. დავინტერესდი როგორ აუშენა სახლი ამ პიროვნებას ნოდარ ვაშაძემ. გამოირკვა, რომ იმ ხანებში მიმდინარეობდა საავტომობილო გზის მშენებლობა. ამ სამუშაოების დათვალიერებისას, გზასთან ახლოს, ვაშაძეს დაუნახია პატარა ქოხი, რომელშიდაც მეუღლითა და შვილებით ცხოვრობდა ის მოქალაქე. ოჯახი მრავალშვილიანი იყო. ვაშაძე შესულა ქოხში, გასაუბრებია ოჯახის წევრებს და დაუვალებია გზის მშენებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელისათვის შეედ-გინა აქტი, თითქოს გზის მშენებლობის პროცესში ეს ბინა აღებას ექვემდებარებოდა. ამ მოტივით ქოხის პატრონს აუღია სოლიდური თანხა და აუშენებია სახლი.

მსგავს სიტუაციაში ხოფერია დიდ გულისხმიერებასა და სითბოს გამოიჩენდა, კანონის ფარგლებში რაიმე დახმარებას გაუწევდა ოჯახს, მაგრამ მსგავს რისკზე („დარღვევაზე“) არ წავიდოდა.

ნოდარ ვაშაძემ, სულ რაღაც 2-წლიანი თავკაცობის პერიოდში, ჭიათურაში გააკეთა ავტოსადგური, რკინიგზის სადგური, ცენტრალური ხიდი მდინარე ყვირილაზე, კეთილმოაწყო ქალაქის ქუჩები, სკვერები და ბაღები, იქ გამოჩნდნენ გედები და ფარშევანგები, მდინარე ყვირილაზე კი – კატერები, სასწაული მომხდარაო ჭიათურაში, გაიძახდნენ ჩამოსული სტუმრები და სამხედროდან დემობილიზებული ახალგაზრდები, რომელთაც ქალაქი ბოლო 2 – წელი არ ენახათ.

– „თუ რამეს გააკეთებ, ბომბზე ზიხარ, თუ არადა – არ ვარგიხარ“, წერდა ქუთაისის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი, მამუკა ასლანიკაშვილი, რომელმაც სიცოცხლე თავისივე კაბინეტში თვითმკვლელობით დაასრულა. ნოდარ ვაშაძე ვაჟკაცური და საკმაოდ რისკიანი ნაბიჯების გადადგმის დროს, მართლაც რომ „ბომბზე იჯდა“.

რისკის უნარი და სხვა ვაჟკაცური თვისებები არც მამუკა ასლანიკაშვილს აკლდა, მაგრამ იქ სულ სხვა რეალობა იყო. მამუკამ იცოდა, რომ „ბომბის აფეთქების“ ალბათობა მაღალი იყო. გაუმართლებელ რისკსა და უვარგისი ლიდერის იარლიყს შორის კი რაიკომის პირველმა მდივანმა არჩევანი თვითმკვლელობაზე გააკეთა. თვითმკველელობა – ეს ტერმინი ვერ ასახავს ქუთაისში მომხდარი ამ ინციდენტის რეალურ არსს. მამუკა არსებულ რეჟიმს დაუპირისპირდა, ტყვია ესროლა და სიმბოლურად მოკლა კიდეც იგი, თვითონ კი ადგილი უკვდავთა შორის დაიმკვიდრა. ის გასროლა ახალი ეპოქის „ავრორას“ გასროლა იყო, მაგრამ საპირისპირო მიმართულებით.

როცა ეგნატე ნინოშვილის ფანტაზიის ნაყოფის, გოგია უიშვილის თვითმკვლელობა პოლიტიკურ რანგშია აყვანილი, ჩვენ თვალწინ, დღისით, მზისით, მომხდარ ამ მართლაც ისტორიულ მოვლენას სამართლიანი შეფასება უნდა მიეცეს, მაგრამ კომუნისტთა ღვაწლის წარმოჩენა დღეს „გრეხადაა“ მიჩნეული.

აფხაზეთში ბევრი ნათესავი და ნაცნობ – მეგობარი მყავდა. ომის დაწყებასაც იქ შევხვდი, ვიყავი ერთერთი პირველი ტყვეც: 1992 წლის 15 აგვისტოს, მსუბუქი ავტომობილით აღმოსავლეთისკენ მომავალი, მცირეწლოვან შვილთან, ძმასთან

და ორ ნათესავთან ერთად, სოფელ კინდღთან შეიარაღებულმა ჯგუფმა დაგვაკავა. ეს ის დრო იყო, როცა ქართველ და აფხაზ ხალხთა ურთიერთობა არ იყო „დამძიმებული“ იმ სამარცხვინო და ამაზრზენი ფაქტებით, რაც სამწუხაროდ შემდგომში, როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან მოხდა. აფხაზი ხალხი, ისევე როგორც ოსი, ჩემთვის ვაჟკაცობასა და სიკეთესთან ასოცირდებოდა და ეს რწმენა კიდევ უფრო გამიღრმავდა ტყვეობაში ყოფნის მოკლე დროის მანძილზე (დღის ბოლომდე). აფხაზები აგრესიულობით არ გამოირჩეოდნენ და იგრძნობოდა რომ დავალებას ასრულებდნენ. ისინი ბავშვთან ურთიერთობაში სითბოს გამოხატავდნენ და აფხაზური აქცენტით მეგრულად, ზოგჯერ ქართულადაც მეუბნებოდნენ – ბავშვს მიხედე, არ შეეშინდესო. ბოლოს კი რუსულ ენაზე, ყოველგვარი აქცენტის გარეშე და მკაცრ ტონზე, მათი მისამართით გაიცა ბრძანება: „Вы здесь не командуйте!“

შემდგომში აფხაზეთში ჰუმანიტარული ტვირთიც ჩავიტანეთ. შევხვდით მოსახლეობას და მებრძოლებს. ჰუმანიტარული მისიების შესახებ ჩვენ მხოლოდ საინფორმაციო საშუალებებით ვგებულობთ, ჩვენამდე კი არაფერი მოდისო – ამბობდნენ ისინი და ბევრ სხვა საკითხებზეც გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას.

პატრონი გაგვიჩნდაო – ამბობდნენ ისინი შემდგომში, როდესაც იქ ჟიული შარტავა ჩავიდა. დრო აქარწყლებს მითს იმის შესახებ, რომ მხოლოდ ეროვნულ მოძრაობაში იყვნენ პატრიოტები და ერისკაცები, კომპარტიაში კი – გამყიდველები და მოღალატეები. ალოგიკურია ამისი მტკიცება პირიქითაც. პატრიოტები და ერისკაცები ზოგჯერ ბარიკადების სხვადასხვა მხარესაც დგანან, მაგრამ მათ შორის საზღვარი დედასამშობლოზე არ გადის. ქვეყნისათვის ძნელბედობის ჟამს, როცა იგი ბეწვის ხიდზე იდგა, მისი ყველაზე ცხელი წერტილიდან ლოცვასავით გაისმა შარტავას მოწოდება მოძმეთა თანადგომაზე... თანადგომა არ შედგა, სოხუმი დაეცა. ბარიკადის ცხელ მხარეზე „წითელი“ ერისკაცი იდგა. იგი მამულისთვის დაიფერფლა. ბარიკადის მეორე მხარეზე მდგომთა სტატუსისა და ღვაწლის დადგენა კი ოპონენტთათვის მიმინდვია, აფხაზეთიდან ლტოლვილი გარემოვაჭრეების ლექსიკაში დამკვიდრებული გამოთქმის

გათვალისწინებით, ბოლმით რომ ეუბნება იგი ზუგდიდელ კოლეგას: – გასწი ქალო იქეთ შენი ბარგი – ბარხანა, როცა მე მიჭირდა, შენს მიწაზე (შენს მიწაზე?!) ფეხი არ დამადგმევინე და სვანეთის მთებით ძლივს გადმოვედი სამშვიდობოსო.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მაღაროს ცვლის უფროსად დაიწყო მუშაობა ქალაქ ჭიათურაში ზურაბ პატარიძემ. ენერგიული და ალღოიანი ინჟინერი მალევე დაწინაურდა. მიწისქვეშა სამუშაოებში მას ანდობდნენ ყველაზე საპასუხისმგებლო და რთულ უბნებს. ერთ დროს იგი სათავეში ჩაუყენეს ითხვისის მაღაროთა სამმართველოს, რათა დაეძლიათ გახშირებული მიწისქვეშა ავარიები, რომელთა დიდი ნაწილიც მუშახელის მსხვერპლით მთავრდებოდა. პოეტმა გიორგი წერეთელმა პატარიძის ამ ნაბიჯს ლექსი მიუძღვნა, რომლის ერთი სტროფი ასე ჟღერს:

„სულ უსაფრთხოდ გამოგეღოს, რაც ითხვისში მადანი ძევს,
და დიდი ძე გამხდარიყავ, ძმაო ზურაბ პატარიძე.“

მოკლე ხანში პატარიძე მარგანეცის მრეწველობაში ცენტრალურ ფიგურად იქცა. შემდეგ კი ქალაქ ჭიათურის თავკაცი გახდა. იგი მართლაც გახდა „დიდი ძე“. იყო მოსკოვში, ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, ბოლოს კი რესპუბლიკის მთავრობას ხელმძღვანელობდა.

ზურაბის მისამართით მადლიერების სიტყვებს მოისმენთ ჭიათურის, როგორც ელიტარული ფენის, ისე უბრალო, რიგითი ადამიანების საუბრებში. ერთ შემთხვევაში თანამოსაუბრენი უმადლოდნენ მას, რომ ქალაქი ჭიათურა დღემდე ინარჩუნებს ეთნიკურად სუფთა ქართული ქალაქის სახეს და ასეთ ფაქტს ასახელებდნენ: მარგანეცის მრეწველობა მიწისქვეშა მუშახელის ნაკლებობას განიცდიდა. საწარმო საკავშირო დაქვემდებარების იყო და ყოფილა დაგეგმილი სსრ კავშირის სხვა რეგიონებიდან ქალაქ ჭიათურაში რამდენიმე შრომისუნარიანი ოჯახის ჩამოსახლება. პატარიძეს ეს შემოთავაზება არ მიუღია და ადგილობრივი და მეზობელი რაიონებიდან მოუხერხებია მუშახელის დეფიციტის შევსება.

ყველა მინდობილ უბანზე, მათ შორის მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე პატარიძე საქმისადმი ერთგულებით,

უბრალოებით, წესიერებითა და პატიოსნებით გამოირჩეოდა. მასზე ამბობენ: ფუტკარივით მშრომელი იყო, თუმცა საკუთარ ოჯახებს „თაფლი“ მისი რანგისა და უფროდაბალი თანამდებობის ზოგიერთმა „ბუზებმა“ მეტი დაუტოვესო. მხოლოდ საკუთარი ოჯახისთვის „თაფლისა“ და „საკენკის“ მარაგის შექმნაზე ზრუნვა უბრალო მოკვდათათვისაც კი უშინაარსო ტვირთია. ერისკაცები კი უფრო დიდ საქმეებისთვის არიან მოწოდებულნი. ის საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა, რაც პატარიძემ დატოვა, ერისა და ქვეყნისათვის „თაფლზე“ უფრო ღირებულია.

დღეს მაღაროთა სამმართველო, სადაც ზურაბ პატარიძე მუშაობდა, მის სახელს ატარებს. მდინარე ყვირილას მარცხენა სანაპიროზე სამი მაღაროთა სამმართველო იყო, შესაბამისად სტალინის, ლენინის და პატარიძის სახელობის. პირველ ორ შემთხვევაში სახელების მიკუთვნებაზე დირექტივები ზემდგომიდან მოდიოდა, პატარიძეზე კი – ხალხმა მოითხოვა. პატარიძის სახელს ატარებს ქალაქ ჭიათურაში ერთი ქუჩაც.

საზოგადოებაში გაბატონებული აზრის გამო „კედელზე ცერცვის შეყრის „ტოლფასია მტკიცება იმის შესახებ, რომ ქალაქკომისა და რაიკომის მდივანები ხელფასით ცხოვრობ-დდნენ. არადა იყვნენ ასეთებიც.

აღორძინებულ საქართველოსთან ერთად თამარ მეფემ ერს ფასდაუდებელი სულიერი საგანძურიც დაუტოვა. ისტორიკოსი მის ამ ღვაწლს ერთი წინადადებით გადმოგვცემს: „უმდიდრესი ხელმწიფე იყო, მაგრამ თვითონ სადა, მოკრძალებული, „უქონელი“ ცხოვრებით ცხოვრობდა“... ცამეტი წელი მუშაობდა ქალბატონი ლეილა ბიწაძე პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივნის თანამდებობაზე. თამარს არც ის ედრებოდა და სხვა მხრივ არც მე ვადარებ, მაგრამ ქალაქკომის მდივნის პოსტზე მრავალწლიანი მოღვაწეობის მანძილზე შეეძლო „ეშოვა“ იმდენი, რომ ამ მარტოხელა ქალბატონს დარჩენილი ცხოვრება მატერიალურად გარანტირებული ჰქონოდა. თანამდებობიდან წასვლის შემდეგ ეს მშვენიერი ქალბატონი, მშობლიურ ჭიათურაში, თავისი პროფესიით, ჟურნალისტის, მართლაც მოკრძალებული ცხოვრებით ცხოვრობდა. ეკო-ნომიკური პრობლემები, კომუნისტების შემცვლელმა ეროვნული

მთავრობის მაღალჩინოსნებმა უფრო „ოპერატიულად“ გადაწყვიტეს.

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში მუშაობის მანძილზე არაერთხელ მომიწია ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ დახელოვნების კურსებზე ლექციების მოსმენა, ლექციებს გვიკითხავდნენ საკმაოდ კვალიფიციური ლექტორები, ცეკას ყოფილი და მოქმედი მაღალი თანამდებობის პირები, მათ შორის გამოკვეთილი იყო ერთი ბირთვი ლექტორებისა, რომლებსაც სწამდათ და ჩვენც გვარწმუნებდნენ, რომ ამოწურულია ქვეყნის წინსვლის ყველა რესურსი და შეუძლებელია არამც თუ წინსვლა, არამედ არც თუ სახარბიელო არსებული რეალობის შენარჩუნების ყველა შანსი. მაგრამ სისტემის ძალადობით დამხობის მცდელობა, სისტემისა, რომლსაც ხელთ ეპყრა ქვეყნის მთელი რესურსი, რითაც მან თავის დროზე დაამარცხა ფაშიზმი, ყოვლად გაუმართლებლად მიაჩნდათ. რევოლუციას ისინი ზემოდან, პარტიის შიგნიდან პროგნოზირებდნენ და საამისოდ გამოკვეთილ ტენდენციებზედაც მიგვანიშნებდნენ. მოკლე ხანში ტენდენციები პროცესებად იქცნენ, მაგრამ სისტემის „დემონტაჟის პროექტის“ არქონამ და გარეშე ძალთა სტიქიურმა ჩარევებმა რღვევას ნგრევის ხასიათი მისცა, მისთვის დამახასიათებელი ყველა მტკივნეული შედეგებით, მათ შორის ადამიანთა მსხვერპლით.

ეკონომიკურ საკითხებზე საუბრისას კონკრეტული მაგალითების მოყვანით ლექტორები გვიმტკიცებდნენ, რომ ქვეყნის ეკონომიკა უფსკრულისაკენ მიექანება. ქვეყნის სახალხო მეურნეობაში არსებულ საგანგაშო მდგომარეობაზე საუბარი ერთ – ერთმა ლექტორმა ისანის ფეხსაცმლის ფაბრიკის მაგალითით დაამთავრა. შეეხო რა იმ ეკოლოგიურად სავალალო პროცესებს, რაც ამ ფაბრიკისათვის ნედლეულის – (კაუჩუკის) – წარმოებას თან სდევდა, ყურადღება გაამახვილა წარმოების პროცესში უყაირათობაზე, პროდუქციის დაბალ ხარისხზე, მისი რეალიზაციის სიძნელეებზე, მომხმარებლისაგან დაწუნებული პროდუქციის პერიოდულად ჩამოფასების, ბოლოს კი ჩამოწერა – განადგურებისას ისევ ხარჯებზე და დაასკვნა: სუფთა ეკონომიკური თვალსაზრისით, ქვეყნისათვის ბევრად

მომგებიანია დახუროს ეს ფაბრიკა და ფაქტიური ხელფასი პენსიის სახით დაუნიშნოს მუშა მოსამსახურეებსო.

წარმოვიდგინე რა ეკონომიკურ ეფექტს მივიღებდით, ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა რომ შეგვეწყვიტა, თუნდაც მარტო იმ ეკოლოგიური ზარალის ხარჯზე, რაც მადნის გამომუშავებით ჭიათურის ზონის სოფლებს მიადგათ, მაგრამ ამის გათვლა ძნელი იყო. ერთხელ, საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ჰკითხა „ჭიათურმარგანეცის" გენერალურ დირექტორს რას უდრისო ერთი ტონა მარგანეცის გასაყიდი ფასი. პასუხი კი ასეთი იყო: – „არ ვიცი და არც არასდროს დამჭირვებია". როცა ფასი არ იცოდნენ, გაიძახოდნენ, ჭიათურის მარგანეცი საქართველოს არჩენსო, დღეს კი, როცა ფასი გაიგეს, ჭიათურასაც არ ჰყოფნის. მარგანეცის მრეწველობაზე მაშინ აკიდებული იყო მრავალი არარენტაბელური საწარმო და 15 – ღარიბი სოფელი. მაღალი იყო შრომისადმი მუშის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების დონე, რაც ანგრევდა ქვეყანას, როგორც ეკონომიკურად, ისე იდეოლოგიურად.

სოფლის მეურნეობაში არსებულ პრობლემებზე საუბარი ერთმა ლექტორმა ასე დაასრულა: აშშ-ში სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ერთი მუშაკი კვებავს 67 ადამიანს, სსრ კავშირში – ათს, საქართველოში კი – რვას.

იდეოლოგიური დარგის ლექტორმა, სსრ კავშირში „წარმატებით განხორციელებულ" საყოველთაო საშუალო სწავლების კანონს, „ქვეყნის ატესტატიზაცია" უწოდა და იგი „კოლექტივიზაციას" შეადარა. მე კი ერთი ფაქტი გამახსენდა: ზამთრის მოკლე დღეები იყო და კარგა ხნის დაბინდებულზე ერთ-ერთი სოფლის საღამოს სკოლაში მოვხვდი. სამასწავლებლოში ორი მასწავლებელი ჭადრაკს თამაშობდა, ორიც მაგიდასთან იჯდა. საქმეთა მმართველი კი საკლასო ჟურნალებში რაღაც ჩანაწერებს აკეთებდა. მან საათს დახედა, ზარი დარეკა და თავისი საქმე გააგრძელა. ჩემდა გასაოცრად, ზარის დარეკვას შესაბამისი რეაქცია არ მოჰყვა – არც არავინ კლასში შევიდა და არც არავინ იქედან გამოვიდა.აღმოჩნდა, რომ სკოლაში მხოლოდ ეს ხუთი პიროვნება იყო და ისინი დროის გასვლას ელოდებოდნენ, ზარი კი მხოლოდ იმიტომ დარეკეს, რომ

სოფელში ხმა გასულიყო და შექმნილიყო შთაბეჭდილება თითქოს სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა. ამ „საქმეს“ კი საქმეთამმართველი „ მართავდა“.

ქვეყანაში სახელმწიფო სტრუქტურების, მათი ცალკეული რგოლებისა და სამსახურების ურთიერთშეთანხმებული, კოორ-დინირებული, საქმიანობის აუცილებლობის, ფაქტიურად კი ამ სფეროში არსებულ ფორმალიზმზე საუბრისას, ლექტორმა ერთი შთამბეჭდავი მაგალითი დაასახელა: „საქმოსანთა ჯგუფს, ყაზბეგზე გავლით, რუსეთში მანდარინი გადაჰქონდა. ავტოინსპექციის მუშაკებმა მათ იგი ჩამოართვეს და ადგილზე, ხილის დამამზადებელ პუნქტს ჩააბარეს. ეს კი აისახა ზემდგომ ორგანოებში წარდგენილ დოკუმენტაციაში. რესპუბლიკურმა შესაბამისმა ორგანოებმა კი, „ფაქტიურად დამზადებულზე“ დაყრდნობით, ყაზბეგს შემდგომი წლისათვისაც დაუგეგმეს მანდარინის დამზადება. აქ მეც თავი შემახსენა ერთმა ეპიზოდმა ავტოინსპექციისა და პროპაგანდისტული სამსახურების „ურთიერთშეხმატკბილებული“ საქმიანობიდან: ერთერთი ცენტრალური ქუჩის ჩიხში, ლამაზად გაფორმებულ სტენდზე, ასევე ლამაზი ქართული ასოებით ეწერა – „კომუნიზმი კაცობრიობის ნათელი მომავალია“. სტენდის საყრდენ ბოძზე კი დამაგრებული იყო მოძრაობის უსაფრთხოების ნიშანი, რომელიც იუწყებოდა, რომ „შესვლა აკრძალულია“.

ეგრეთ წოდებული „ახალი ადამიანის“ აღზრდის უტოპიურ არსზე საუბარი იმავე ლექტორმა ასე დაამთავრა: ნავთის, ასანთის, მარილის, საპნის და პირველი მოხმარების ზოგიერთი სხვა საქონლის გასაყიდი ფასები სიმბოლურია და სახელმწიფო არამც თუ მათი წარმოების, რეალიზაციის ხარჯებსაც ვერ ინაზღაურებს. ამიტომ სახელმწიფოსათვის მომგებიანია მოქალაქეებმა ეს საქონელი თვითონვე, უფასოდ წაიღონ საწყობებიდან, მაგრამ აქ პრობლემაა მათი შეგნების დაბალი დონე. წაიღებენ უზომოდ, შექმნიან ხელოვნურ დეფიციტს და სხვა მრავალ პრობლემებს.

ცეკას ყოფილმა მდივანმა, რომელიც თავის დროზე იდეოლოგიურ დარგს ხელმძღვანელობდა, შრომისადმი კაპიტალისტურ და სოციალისტურ დამოკიდებულებათა

ურთიერთშედარებისას ასეთი მაგალითი მოიყვანა: „გვიან ღამით ბინაზე რეკავს ტელეფონი, ყურმილს ვიღებ და მესმის ინგლისელი „ტელეფონისტკას“ თავაზიანი და სასიამოვნო საუბარი: – „ბოდიში გვიან ღამით რომ შეგაწუხეთ, მაგრამ სიამოვნებაც უნდა მოგანიჭოთ, ესაუბრეთ ძმას.“ცოტა ხნის შემდეგ კი ძმასთან სასიამოვნო საუბარში ბრესტიდან ერთვება ჩვენი „ტელეფონისტკა“ ჩახლეჩილი და ბოღმიანი ხმით: – „ზაკანჩივაი“.ქვეყნის იდეოლოგიური მამის მიერ კომუნისტური ხმის ტემბრისა და ტონალობის დაწუნება სერიოზული სიგნალი იყო ახალი ცხოვრების დაწყების აუცილებლობისა.

იმ დამაჯერებელ და კვალიფიციურ ინფორმაციებს, რომლებსაც ჩვენ საქალაქო და რაიონული რგოლის ათასობით მუშაკი არსებული წესწყობილების უპერსპექტივობასა და მისი შეცვლის აუცილებლობაზე ცეკას კურსებზე ყოველწლიურად ვიღებდით, დისიდენტის მიერ მოწყობილი ვერცერთი მიტინგი და დაწერილი ლექსი ვერ ჩაენაცვლებოდა. ცეკას ლექტორები შეშფოთებული იყვნენ ქვეყნის აწმყოთი და უკეთესი მომავლის უზრუნველსაყოფად იმ ტოტსაც არ ინდობდნენ, რომელზეც თვითონ ისხდნენ. ნიშანდობლივია, რომ კომუნისტებმა პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში საკუთარი ოჯახების ხმებიც ვერ მიიღეს.

ქვეყნის სათავეში ეროვნული ხელისუფლების მოსვლას და დამოუკიდებლობის გამოცხადებას შედეგად უნდა მოჰყოლოდა ეროვნული სულის ამაღლება. მოხდა კი პირიქით – ეროვნულ ღირებულებათა გაუფასურება. კომუნისტების ლანძღვა – გინებით ისე გაერთნენ ზოგიერთები, რომ ლამის ფაშიზმის ბანაკში აღმოჩნდნენ. დავით აღმაშენებლის სამშობლოში, სადაც ჰარმონიულად ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების მქონე ადამიანები, მისი გარდაცვალებიდან 875 წლის შემდეგ გაისმოდა შეძახილები: – არაქართველებო, გაეთრიეთ საქართველოდან! ერთი სამარცხვინო ფაქტიც: პური, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ტალონებზე ნაწილდებოდა და დედაქალაქში ჩამოსულმა მისი ყიდვა ვერ მოვახერხე. ერთ–ერთ ცენტრალურ უბანში „კოპერატივი“ პურს თონეში აცხობდა და ჰყიდდა. რიგი დავიკავე. იქ ძირითადად ქალები

იყვნენ, ისინი პოლიტიკაზე საუბრობდნენ და კომუნისტებს ლანძღავდნენ. როგორც კომუნისტი, შეურაცხყოფას ვითმენდი (ძნელია შიმშილი), იქვე ზემოთ სართულზე ფანჯარა გაიღო და ახალგაზრდა ქალმა თავაზიანად გვთხოვა: სიცხიანი ბავშვი მყავს, ძლივს ჩავაძინე და ცოტა წყნარად ისაუბრეთო. თურმე ეს ქალი სომეხი ეროვნების ყოფილა, რიგში მდგომთაგან ვიღაც მას სცნობდა და მიაძახა: – შენი ბავშვი ერევანში წაიყვანე და იქ დააძინეო! როგორც ქართველს, შემრცხვა და რიგიდან გამოვედი, ორი კაციც გამომყვა, ქალებმა კი – რიგში წინ წაიწიეს.

ქვეყანა „ჭკვიანი მტრებისა“ და „უგნური მოყვრების“ გარემოცვაში აღმოჩნდა. ზოგიერთები აკაკის წმინდა „ჩონგურსაც“ მისწვდნენ თავიანთი ბინძური ხელებით და აშალეს მისი სიმები: გაჩნდა ერის რღვევის საშიში „ბაცილა“ – კუთხური ნიშნის მიხედვით იქმნებოდნენ შეიარაღებული ფორმირებები და „საძმოები“. ქვეყანაში უწყვეტი ციკლით გაჩაღდა ძმათამკვლელი სამი ომი (თბილისი, ცხინვალი, სოხუმი). იყო მეოთხის გაჩენის მცდელობაც აჭარის რეგიონში. აღსდგა საუკუნეების წინ დაგმობილი, ადამიანებით ვაჭრობის პრაქტიკა გაცილებით მეტად სამარცხვინო ფორმით: ქართველისაგან ნესტიან სარდაფში, ან მიწისქვეშა ჯურღმულში გამომწყვდეული ქართველი მძევალი ელოდებოდა ქართველ გამომსყიდველს. ყოველდღიურობად იქცა ხალხის დაყაჩაღება, ძარცვა და ქურდობა. გაუფასურდა ადამიანის სიცოცხლე.

ერის ისტორიის ეს ათწლეული ადამიანური მსხვერპლით, ქვეყნის ნგრევის მასშტაბებით, საზოგადოების ერთი ნაწილის მორალურ–ზნეობრივი დეგრადაციით, მეორისა კი – სიდუხჭირითა და სასოწარკვეთით უკან ჩამოიტოვებს კომუნისტური მმართველობის ნებისმიერ ათწლეულს. ქვეყნისა და ხალხისათვის კი მთავარია არა ის, თუ რა ძალა მართავს ქვეყანას, არამედ ის, თუ საით მიჰყავს ამ ძალას ქვეყანა. XX საუკუნის დასასრული, ჩვენმა სახელოვანმა მწერალმა, ლევან სანიკიძემ საქართველოს მკვლელობის ხანად მიიჩნია, მკვლელებადაც თვით ქართველები დაასახელა და წიგნიც – „309 ქართული სირცხვილი“ – მიუძღვნა.

დღეს, როცა „საქართველოს მკვლელობის“ ხანის მოღვაწეები კომუნისტებს ლაფს ასხამენ, „წითელ“ ერისკაცს ეთქმის – „ისეთმა ფურმა გამწიხლოს, ჩემზე მეტს რომ მოიწველებაო“. ბოლო წლებში სააშკარაოზე გამოვიდა მნიშვნელოვანი ფაქტები გასულ საუკუნეში ერისათვის გამოკვეთილად ტრაგიკულ მოვლენებზე. მათ შორის ილია ჭავჭავაძის მკვლელობასა და საქართველოს ბოლშევიკურ ოკუპაციაზე. უტყუარი ინფორმაციის მოძიება და ჭეშმარიტების დადგენა დიდი ეროვნული საქმეა. მაგრამ მისი ეფექტი გაცილებით მაღალი იქნებოდა, დამნაშავენი ცოცხლად რომ წარმსდგარიყვნენ მართლმსაჯულების წინაშე. ამიტომ გაცილებით მნიშვნელოვანი და ქვეყნის მომავალი უსაფრთხოებისათვის სასარგებლო იქნება იმ პირთა გამოვლენა, ვინც საუკუნის დასასრულს თავს დაატეხა ქვეყანას არაერთი უბედურება, მათ შორის ძმათამკვლელი სამი ომი დიდი ადამიანური მსხვერპლითა და ქვეყნისათვის დამანგრეველი შედეგებით.

ამის გაკეთება საჭირო და აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ ამ ომების შემდგომ პერიოდშიც გრძელდება ქვეყნის ბედთან სახიფათო „თამაში.“ ქვეყანა არაერთხელ აღმოჩნდა ფეთქებადსაშიშ სიტუაციაში, როცა ყველაფერი ერთ „ნაპერწკალზე“ იყო დამოკიდებული და შეინიშნებოდა მისი გაჩენის მცდელობებიც.

ზემოთ ლექტორთა ბირთვი ვახსენე. ასეთივე და გაცილებით ავტორიტეტულ ინტელექტუალთა ბირთვი, ნიკოლოზ ბარათაშვილით დაწყებული, მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების ცნობილი მწერლებით, პოეტებითა და საზოგადო მოღვაწეებით დამთავრებული, გეორგიევსკის ტრაქტატს, შემდგომში კი საქართველოს გასაბჭოებას, ქვეყნის ხსნად და აღმავლობად მიიჩნევდა. მათ გულწრფელობაში, გონიერებასა და მამულიშვილობაში ეჭვი არასდროს შემპარვია და არც ახლა მეპარება. იმ გადასახედიდან, ალბათ ეს ასე ჩანდა. გროსმაისტერების მიერ წაგებულ პარტიებში შეცდომებს ჭადრაკის მოყვარულები დაეძებენ. გენერლების მიერ წაგებულ საბრძოლო ოპერაციებს კი – ლეიტენანტები აანალიზებენ. მაღალ კვალიფიციურ დონეზე საქმის კეთებაა ძნელი. უკვე

გაკეთებულ, თუ ჩაფუშულ საქმეში შეცდომის პოვნა კი – ადვილი.

ტრადიციულად „ახალ გრიგალებს სწირავენ სიცოცხლეს“ ქვეყნის უკეთეს მომავალზე მეოცნებე ადამიანები. დროთა განმავლობაში ეს გრიგალები ძველდებიან, ზოგჯერ კი მიმართულებასაც იცვლიან. ახლებურად აღიქმებიან ძველი ფაქტები და მოვლენები, პრაქტიკა ააშკარავებს მომხიბლავი თეორიების უტოპიურ არსს. თავს იჩენენ შეუსრულებელი დაპირებები და გაუმართლებელი პროგნოზები, სააშკარაოზე გამოდიან მანამდე უცნობი, ზოგჯერ კი საგანგებოდ დამალული ინფორმაციები. ადამიანებს ეხსნებათ ის შიში, მოკრძალება და თავშეკავებულობა, რაც თან ახლავს მმართველ პარტიასა და მოქმედ ხელისუფლებასთან მათ ურთიერთობას. მაგრამ ერისკაცის მიერ გაკეთებულ საქმეს თუ მიღებულ გადაწყვეტილებებს თან ახლავს თავისებური „ხელწერა“, რომელსაც დრო ვერ წაშლის.

პრაქტიკით დამტკიცებულია, რომ მიუხედავად საზოგადოებრივ – პოლიტიკური წყობისა, მის სტრუქტურებში მოღვაწეობდნენ ადამიანები, რომლებიც ზოგი „შინაგანი წვის“, ზოგიც „ბომბზე ჯდომისა“ და სხვა რისკების ხარჯზე ახერხებდნენ ხალხის გვერდში დგომას და მეტ – ნაკლებად ეროვნული საქმეების კეთებას.

რომ ტრაგიკული და სხვა საბედისწერო შემთხვევები არა, ჩემს მიერ მოხსენიებული კომუნისტები დღეს ცოცხლები იქნებოდნენ, ბევრი მათი მსგავსი კი მოკრძალებით ცხოვრობს ამ ქვეყანაზე. ამ ადამიანების დაყენება იმ თანაპარტიელთა გვერდით, რომლებიც არსებულ რეალობას მღვრიე წყლად მიიჩნევდნენ და შიგ „თევზებს“ იჭერდნენ, დიდი უსამართლობაა. ამით მათ ბევრი არაფერი დააკლდებათ, მაგრამ ბრძენი ამბობს: უმადურობა – ღვაწლის დაუფასებლობა, სიკეთეს ჩაახშობსო. ეს კი არასახარბიელოდ აისახება საზოგადოების მომავალზე.

„აღმასვლა“

ტერმინი, აღმასვლა, ხოფერიამ ჩემს მოკრძალებულ კარიერასთან დაკავშირებით იხმარა. გადაჭრით არ შემიძლია ვთქვა, მან ირონია ჩადო ამ გამოთქმაში, თუ სკოლის დირექტორის პოსტიდან აღმასკომის რიგით ინსტრუქტორად ჩემი წასვლა, მას მართლაც აღმასვლად მიაჩნდა. მე მაინც ვფიქრობ, რომ იხუმრა. პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში თანამდებობებზე ძირითადად კომკავშირული საქმიანობიდან მოდიოდნენ. მე ეს სკოლა არ მქონდა გავლილი, რაც ჩემი საქმიანობის ყოველ უბანზე იკვეთებოდა. აღმასკომი, რომელიც კონკრეტული საკითხების გადაწყვეტაზე იყო ორიენტირებული, ჩემს ამ „ნაკლს“ იტანდა. პარტიის საქალაქო კომიტეტში კი იგი ნათლად გამოიკვეთა.

პარტიის საქალაქო კომიტეტში ცეკას ერთერთი მდივანი, ანჩაბაძე ჩამოვიდა. თანამშრომლები შეგვკრიბა და განყოფილებათა გამგეებიდან ინფორმაციები მოისმინა. შედეგების შეჯამებისას ხოფერიას მიანიშნა, რომ კადრების კვალიფიციურობის ამაღლებაზე მეტი ყურადღება მიექცია და აქცენტი ჩემზე გააკეთა. ეს მინიშნება საკმარისი იქნებოდა სხვა მდივნისათვის, რომ მე სამსახურიდან გავეშვი. ხოფერიამ კი უპასუხა: აქ იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა მეტს მუშაობს ვიდრე ლაპარაკობსო.

კრიტიკულ სიტუაციებში სწრაფად გარკვევის უნარი, საჭიროების შემთხვევაში მოხდენილად ტყუილის თქმა, კომკავშირულ წრთობასთან ასოცირდებოდა და იმ სისტემაში ამას გამართლებაც ჰქონდა. მაღალი თანამდებობის პირები,ზოგჯერ ისეთ რამეს ეკითხებოდნენ ხელქვეითს, რისი ცოდნაც მას არ ევალებოდა. ზოგიერთ ასეთ კითხვაზე გაცემული პასუხის სისწორის გადამოწმებაც შეუძლებელი

იყო. პასუხის ვერგაცემა კადრის სისუსტეს ნიშნავდა, ამიტომ მოზომილად სხარტი ტყუილის თქმის აუცილებლობა პრაქტიკით იყო ნაკარნახევი.

კომკავშირული წრთობა სხვა თვისებების გამომუშავებასაც გულისხმობდა. მე ეს თვისებებიც მაკლდა და ამ საქმეში ხოფერიას შემდეგ, სხვა პირველმა მდივანმა „გამშიფრა“. მის კაბინეტში კონდენციონერი გადაიწვა და მოისურვა მისი ახლით შეცვლა. მე მას ვუთხარი, რომ კონდენციონერის ღირებულება 500 მანეთამდე იყო და ეს თანხა ჩვენ არ გვქონდა. დამავალა დამედგინა იყო თუ არა ქალაქის სავაჭრო ქსელში ნორმალური კონდიციონერი. აღმოჩნდა იგი ერთადერთ მაღაზიაში, ისიც შეკვეთით მოტანილი.

– მოიტანეთ და ფულს შემკვეთი გადაიხდის – სთქვა მან.

– ასეთი პრაქტიკა მკაცრადაა აკრძალული ცეკას მიერ – ვუთხარი მე.

– თქვენ მოიტანეთ, სთქვა მან და ჩვენც მოვიტანეთ.

– წაიღეთ ეს ძველი კონდენციონერი, დაუბრუნეთ მაღაზიას და უთხარით, რომ არ მუშაობს. ამ წინადადებაზე მან მე უხერხულობა შემამჩნია და მითხრა: – გეტყობა შენ კომკავშირული სკოლა არ გაგივლია და პარტიულ სამუშაოზე საიდან მოხვდიო. პედაგოგიური საქმიანობიდან. – ვპასუხობ მე. – მესმის შენი, წადი ეხლა და „პლოსკო“ და „ატვიორკა“ მომიტანე. მეც მივუტანე. მან თავისი ხელით მოხსნა კორპუსები ძველ და ახალ კონდენციონერებს, გადაანაცვლა ისინი, მიმანიშნა ახალ კორპუსში ჩასმულ ძველ კონდენციონერზე და მითხრა: წაუღე უკან, მაღაზიაში და უთხარი, რომ არ მუშაობს.

მე დავუძახე კონდიციონერის შემკვეთ ხელმძღვანელ მუშაკს, ავუხსენი სიტუაცია და ვურჩიე, ჩარიცხული თანხის საფასურად, უვარგისი კონდეციონერი მაინც წაეღო. იგი მოსალოდნელი რევიზიების დროს ნივთმტკიცებად მაინც გამოადგებოდა.

აპარატის მუშაკის ტვირთი

1976 – 83 წლებში ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომში ვმუშაობდი. აპარატში სულ შვიდი პასუხისმგებელი მუშაკი ვიყავით. იმ დროს დაახლოებით ამდენივე თანამშრომელი ზოგიერთ დაწყებით (ოთხწლიან) სკოლას ჰყავდა. თანამშრომელთა დატვირთვის თვალსაზრისით კი შედარებაც არ შეიძლებოდა, აპარატის მუშაკის ტვირთი მძიმე იყო. საქალაქო საბჭოს აღმასკომი, ეს იყო ქალაქის მთავრობა, რომელიც ვალდებული იყო უზრუნველეყო ქალაქისა და სოფლების ტერიტორიაზე კონსტიტუციური წესრიგის დაცვა და განუხრელად გაეტარებია ცხოვრებაში ზემდგომი ორგანოების დადგენილებები და დირექტივები.

სამუშაო საათებში აპარატის მუშაკთა საქმიანობა დაგეგმვას არ ექვემდებარებოდა. ეს დრო მთლიანად მიჰქონდა სხვადასხვა საკითხებზე მოსულ მოქალაქეებთან მუშაობას, ან აღმასკომის თავმჯდომარიდან სახელდახელოდ მიღებული დავალებების შესრულებას. თვით აღმასკომის თავმჯდომარეც დღის საათებში დატვირთული იყო ქალაქის ხელმძღვანელ მუშაკთა მიერ დაყენებული პრობლემებით, ან ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოებიდან სატელეფონო შეტყობინებებით მიღებული დავალებებით. დოკუმენტებზე მუშაობას აპარატის მუშაკთა ენერგიის ნახევარზე მეტი მიჰქონდა, საამისოდ კი ჩვენ გამოყოფილი გვქონდა არასამუშაო საათები და დღეები. ყველა დოკუმენტის ჩამოწერა, ან ადრესატზე გაგზავნა აღმასკომის თავმჯდომარის რეზოლუციით ხდებოდა. მას კი საერთოდ არ ეცალა. ამ ახალგაზრდა და ენერგიულ კაცს, ოთარ გოგატიშვილს, კაბინეტიდან გვიან ღამით გასულს, ბინაზე თან მიჰქონდა დასამუშავებლად დოკუმენტებით სავსე საქაღალდე.

მე რომ ჩემი თვალით არ მენახა და მხრებით არ მეზიდა აპარატის მუშაკის მძიმე ტვირთი, დღეს იქ დასაქმებული ადამიანების შესახებ ჩემი აზრი სრულ თანხვედრაში იქნებოდა იმ დროს საზოგადოებაში გაბატონებულ აზრთან. ეს აზრი კი დაახლოებით ასეთი იყო: აპარატის მუშაკები არიან ურთიერთნათესავური ნიშნით და პროტექციით შერჩეული, იოლ სამუშაოს თავშეფარებული ადამიანები. საქალაქო საბჭოს აღმასკომში მუშაობის პირველი დღეებიდანვე გამაოცა ამ „უსაქმური“ ხალხის საქმიანობამ.

აპარატში მუშაობა დამღუპველია, დაუოჯახებელი არ დარჩე – მაფრთხილებენ ქალბატონები: თამარ წერეთელი (აღმასკომის მდივანი)და ვენერა ბრეგვაძე (განყოფილების გამგე), მაფრთხილებენ და ეთქმით კიდეც. ახალგაზრდული ასაკიდან მოყოლებული კომკავშირულ, შემდეგ კი პარტიულ და საბჭოურ დოკუმენტებში მოფუსფუსე ეს მშვენიერი ქალბატონები დაუოჯახებლები იყვნენ, დაუოჯახებელი იყო აღმასკომის აპარატის შვიდი პასუხისმგებელი მუშაკიდან ოთხი.

1983 – 91 წლებში პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის აპარატში ვმუშაობდი. იგი ყველაფერზე, მათ შორის აღმასკომის გამართულად მუშაობაზეც, პასუხისმგებელი იყო. დაძაბული მუშაობა ძლაში რჩებოდა.

ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჩემს ყოფას მალე შევეჩვიე მე“. შევეჩვიე იმიტომ, რომ კარგ ხალხთან მიხდებოდა მუშაობა. ის მართლაც „მეორე ოჯახი“ იყო.

„დანაღმული ველი“

ნაღმი, ფეთქებად საშიში ჭურვი, საომარი მოქმედებების დროს შენიღბულად: მიწის ქვეშ, ბალახებსა თუ ბუჩქებში დამონტაჟებით, მტრის გასანადგურებლად გამოიყენება. მან თავისი ეფექტიანობით ისე გაითქვა სახელი, რომ სამოქალაქო სექტორშიც საკმაოდ პოპულარული გახდა. ხელმოცარული ადამიანი, რომელსაც მოულოდნელად თავს რაღაც უბედურება დაატყდა, იტყვის: ნაღმზე წამოვეგე, ნაღმი დამიდეს, ნაღმი ამიფეთქდა და სხვა.

სამოქალაქო სექტორში ნაღმის როლში ზოგჯერ შეიძლება თვით სახელმწიფო კანონიც კი აღმოჩნდეს. ეს ხდება მაშინ, რომცა ქვეყანაში არ არის დაცული კანონის უზენაესობა. მოქალაქეები სისტემატიურად არღვევენ კანონებს, ეჩვევიან არსებულ რეალობას. მაგრამ გარკვეული, უფრო სწორად გაურკვეველი პერიოდულობით, როცა ხელისუფლებას საამისო სურვილი გაუჩნდება, ან ვიღაც ანონიმჩიკი ან ინტრიგანი გააქტიურდება, ეს კანონები ნაღმებივით ფეთქდებიან.

იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ კომუნისტურმა ხელისუფლებამ სტალინური რეჟიმი დაგმო, თუმცა კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებები არ შეუტანია, შეასუსტა მხოლოდ კონტროლი მათ შერსულებაზე. ამას კი მოჰყვა დარღვევები სახალხო მეურნეობის დარგებსა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. გახშირდა სახელმწიფო ქონების განიავება-დატაცების, მექრთამეობის, მომხმარებელთა მოტყუებისა და სხვა სახის დანაშაულობები.

დროში გაწელილმა ამ პროცესებმა ღრმად გაიდგეს ფესვები საზოგადოებაში. შექმნილი რეალობისადმი ადამიანის შემგუებლურმა ბუნებამ კი სერიოზული საფრთხე შეუქმნა ქვეყნის მომავალს. 70-იან წლებში საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ ისინი მავნე ტრადიციებად და

წესჩვეულებებად მოიხსენია და მათ აღსაკვეთად საგანგებო დადგენილებაც მიიღო. გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ სხვადასხვა სახის კანონდამრღვევები. ეს ოპერაცია თავისი მასშტაბითა და სიმკაცრით სტალინური რეპრესიების ასოციაციას იწვევდა. მაღალჩინოსნები, რომლებიც თავს იწონებდნენ ამ ღონისძიებით, მაღალი ტრიბუნებიდან სიამაყით გაიძახდნენ: – მხოლოდ ზომაწონაში მომხმარებელთა მოტყუების ბრალდებით საქართველოს ციხეებში ათასამდე ქალი ზისო. ეს ქალები ძირითადად დედები იყვნენ. მათ ემატებოდათ სხვა სახის დანაშაულთათვის ციხეში მყოფი დედები და არა მარტო დედები – მამებიც. გისოსებს გარეთ კი იჩაგრებოდნენ მათი მომლოდინე არასრულწლოვანი შვილები, რომელთა ფსიქიკაც პატიმრობაში მყოფი მშობლების პირობებში არც მთლად ჯანსაღად ყალიბდებოდა...

ახალი წელი ახლოვდებოდა, საღამოს საათებში მე პირველი მდივნის კაბინეტში ვიმყოფებოდი. კარები გაიღო და ხანშიშესულმა მამაკაცმა შემოსვლაზე ნებართვა ითხოვა, შემდეგ კი შემოვიდა და მდივანს მიმართა: ძალიან მიჭირს ბატონო და გთხოვთ დამეხმაროთ. ჯერ დაბრძანდით, – უთხრა მდივანმა. მოხუცი დაჯდა და საუბარი გააგრძელა: ჩემი შვილი ვაჭრობის დარგის მუშაკია, ის ახლა მომხმარებლის მოტყუების ბრალდებით ციხეშია და სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდება, იქნებ ახალი წლის დღეებში დროებით გამოუშვათ, ეს ჩემი ოჯახისთვის უდიდესი საახალწლო საჩუქარი იქნება.

მდივანი: -მაგ საკითხზე სამართალდამცავ ორგანოებს უნდა მიმართოთ.

– მივმართე ბატონო, მაგრამ უარი მითხრეს.

– მე მაგ საქმეში ჩარევის უფლება არ მაქვს, მე რომ ახლა პროკურორს დავურეკო, ციხიდან კაცი გამოუშვიო, თქვენი შვილის მსგავსად, მეც კანონის დამრღვევი ვიქნები.

– თქვენ არავინ დაგსჯით, ბატონო.

– დასჯა გამორიცხული არ არის, მაგრამ ეგრეც რომ იყოს, ხმა გავრცელდება, პირველი მდივანი ციხიდან პატიმრებს უშვებსო და მათი ოჯახის წევრები სულ აქ მომადგებიან.

მოხუცს დახმარების იმედი გადაეწურა. ოჯახში ვინ ჰყავს თქვენს შვილს? -ეკითხება მდივანი მოხუცს. ცოლ-შვილი

და მშობლები, სამი შვილი ჰყავს. სულ ექვსი სული ვართ მის კმაყოფაზე, მეშვიდე თვითონაა. ბავშვები პატარები არიან: უფროსი წელს მივიდა პირველ კლასში. საახალწლოდ ჩემმა შვილმა ნაძვის ხე მოურთო ბავშვებს. შემდეგ დააკავეს და ბავშვებს ვატყუებთ მივლინებაშიაო. საახალწლოდ მამას ელოდებიან ბავშვები. ვიტანჯები, გულზე შეტევები დამეწყო. ჩემი ცოლი უარეს დღეშია. ვეხვეწებოდით, ვაჭრობის სფეროში არ დაიწყო მუშაობაო, მაგრამ არ დაგვიჯერა. მოხუცმა ცრემლები მოიწმინდა. საქმეთა მმართველმა შემოიხედა. პროკურორი გელოდებაო, უთხრა მან მდივანს. შემოვიდესო – ამბობს მდივანი. პროკურორი შემოდის. ამ კაცს იცნობ? – ეკითხება მდივანი,

– ვიცნობ კი არა, სულ ჩემი კაბინეტის წინ ტრიალებს.

– რით შეგვიძლია დავეხმაროთ ისე, რომ არც კანონი დაირღვეს უხეშად და ოჯახსაც საახალწლო საჩუქარი გავუკეთოთ?

– პრობლემა ის არის ბატონო, რომ ასეთ საჩუქარს სხვებიც მოითხოვენ და ქაოსი შეიქმნება.

– იქნებ გამონაკლისის გაკეთება მოხერხდეს?

პროკურორი ჩაფიქრდა.

– ხვალ დილით მოდი ჩემთან, – ეუბნება მოხუცს.

მოხუცი წამოდგა. მადლობის თქმაც ვერ მოახერხა და აცრემლებული გავიდა კაბინეტიდან. ოჯახის ექვსი წევრი ჰყოლია კმაყოფაზე, მეშვიდე თვითონაა. შეუძლია კი მას ხელფასით ოჯახის შენახვა? – სვამს კითხვას მდივანი. ეგ სერიოზული პრობლემაა, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ? დაზარალებულები ჩივიან, ჩვენ კი ვალდებულები ვართ, კანონის შესაბამისად ვიმოქმედოთ, - ამბობს პროკურორი.

მე გისოსებს მიღმა მყოფი მამის ამბავი გავიხსენე. გაცილებით მძიმე ეპიზოდები მსმენია გისოსებს მიღმა მოხვედრილი დედებისა და ახალგაზრდა მანდილოსნების შესახებ. მრავალი მათგანის ჯანმრთელობა, ზოგჯერ კი სიცოცხლეც შეეწირა ამ საქმეს.

შთამბეჭდავია პროკურორისადმი პირველი მდივნის შეკითხვა: -შეუძლია კი მას საკუთარი ხელფასით ოჯახის შენახვა? შთამბეჭდავია პროკურორის პასუხიც: -ეგ სერიოზული

პრობლემაა მაგრამ ჩვენ რა ვქნათ, დაზარალებულები ჩივიან, ჩვენ კი ვალდებულები ვართ კანონის შესაბამისად ვიმოქმედოთ. ამ პასუხში იკვეთება, რომ პრკურორი მტკინვეულად განიცდის ამ შემთხვევაში ვაჭრობის დარგის მუშაკის დასჯას, ის შექმნილი ვითარების მძევალია. პროკურორმა იცის, რომ სასურსათო მაღაზიებში დახლის მუშაკები დილის 8-საათიდან საღამოს ათ საათამდე ემსახურებიან მომხმარებლებს. იცის მათი ხელფასიც, ის საარსებო მინიმუმის ზღვარზეა. თუ ვინმე ხელისუფლებას შესჩივლებს 14 საათის განმავლობაში ფეხზე ვდგევართ და მინიმალური ხელფასით მომხმარებელს ვემსახურებითო, ეტყვიან – არ თქვა ახლა შენ, რომ ხელფასის გარდა, სხვა შემოსავალი არ გაქვსო. იკვეთებოდა, რომ ხელი-სუფლება მართლზომიერად მიიჩნევდა ვაჭრობის სფეროში არსებულ დარღვევებს და თავიანთი პოზიციით იგივეს შთააგონებდნენ ამ დარგის თანამშრომლებსაც. ერთ დღეს კოკა წყალს აღარ თუ ვეღარ მოიტანდა და დახლის მუშაკი გისოსებს მიღმა აღმოჩნდებოდა.

მართალია მომჩივანიც... ცოლ-ქმარი პედაგოგები არიან და ამ ვაჭარმა ქალმა ცხოვრება მათზე უკეთ ააწყო. ქირდავს კიდეც მათ: ისწავლის თუ არა... ასე რომ ყველა მართალია. სტყუა მხოლოდ ხელისუფლება, რომელიც თავისი უნიათობით ნაღმს სდებს ადამიანთა ურთიერთობებში. ხელისუფლება ტყუა არა მარტო ვაჭრობის დარგის თანამშრომლებთან, არამედ ექიმებთან, პედაგოგებთან, ინჟინრებთან და სხვებთან, რომელთა ხელფასებიც ასევე საარსებო მინიმუმის ზღვარზეა და ოჯახების შენახვას ისინიც სხვადასხვა მაქინაციებით, სახელმწიფოს ხარჯზე, ზოგჯერ დანაშაულებრივი გზით ახერხებენ.

ჩვენ მხოლოდ ხელფასით ვცხოვრობთ – სიამაყით ამბობენ პედაგოგები და სიტყვით „მხოლოდ“ თავს ისინი უმცირესობაში მოიაზრებენ. მოიაზრებენ და მართალნიც არიან. თუმცა მთავ-რობის დირექტივამ, რომლის მიხედვითაც საშუალო სკოლის ატესტატის ქულა გავლენას ახდენდა უმაღლეს სასწავლებელში აბითურიენტთა ჩარიცხვაზე, კორუფციის ელემენტები სას-კოლო ცხოვრებაშიც შემოიტანა. ეს კი განსაკუთრებით დაემჩნა საღამოს სკოლებს. აქედან შეზღუდული პროგრამებისა და

შემცირებული გაკვეთილების მიუხედავად, მოსწავლეებს მაღალქულიანი ატესტატები გამოჰქონდათ. აქ „მახეში გაება“ ერთი პედაგოგი, /ცხადაძე/ ქრთამის სახით მას მოსწავლიდან 50-მანეთის აღება დაუდასტურდა, სასჯელის სახით კი 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და ქონების კონფისკაცია მიესაჯა. მექრთამეობის ბრალდებით გასამართებული კიდევ ორი პედაგოგი მაგონდება. მაგონდება კიდევ სამშენებლო ობიქეტიდან მცირე მოცულობით სამშენებლო მასალის გაყიდვისათვის გასამართლებული სამუშაოთა მწარმოებელი. როცა სამშენებლო მასალებით დატვირთულ სატრანსპორტო საშუალებებს ტვირთი არდანიშნულებით მიჰქონდათ, იქ რეაგირება ნაკლები იყო. „საქმოსნობა“ და მექრთამეობა საკ-მაოდ რთული „პროფესიაა“. იმ ხანებში მას საკმაოდ ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული, ეს ფესვები ზოგჯერ მოსკოვამდე ჩადიოდნენ. ამიტომ მათი ამოძირკვა ძნელი იყო, რესპუბლიკის ხელისუფლება მოქმედებდა რუსთაველის პრინციპით „დიდსა ვერ მოჰკვლენ, ხელად აქვთ ხოცვა ნადირთა მცირეთა“. მცირე ნადირთა ხოცვა კი ბალახის ჩაცელვის ეფექტს იწვევდა, რაც მის ფესვთა სისტემას კიდევ უფრო აძლიერებს.

ამიტომ საქართველოს ხელისუფალთა გალაშქრებამ მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ ეფექტი ვერ გამოიღო. ზოგიერთ სფეროში მდგომარეობა გაუარსედა კიდეც. იმის გამო, რომ საქმოსნობა და მექრთამეობა უფრო მეტი რისკის შემცველი გახდა, შესაბამისად „სტავკებიც“ გაიზრდა.

მე ყურძნის დამზადების კამპანიის დროს პირველად დავა-ბიჯე დანაღმულ ველზე.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის დამწყები თანამშრომელი ვი-ყავი და პარტიის საქალაქო კომიტეტის დავალებით, როგორც მიმაგრებული ამხანაგი, ერთერთ კოლმეურნეობაში კრებას ვესწრებოდი. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ჯერ სოფლის საერთო გეგმაზე ისაუბრა, შემდეგ კი თითოეულ კომლზე გაანგარიშებით გააცნო იგი კრების მონაწილეებს. როცა ინფორმაციას მორჩა, ერთმა ხანდაზმულმა კაცმა სიტყვა ითხოვა, ნებართვის მიცემის შემდეგ კი დაიწყო საუბარი: ჩვენი სოფელი მაღალმთიანია, ნიადაგები მწირია, სოფელი

დაცლილია შრომისუნარიანი ახალგაზრდებისგან. გადახედეთ
დარბაზს, სულ მოხუცები დავრჩით. აქ სახელმწიფოზე ჩასაბარებელი ყურძენი არ მოდის. – ეგ ყველამ ვიცით, ახალს რას გვეტყვი – გაისმის თავმჯდომარის ხმა, ვიცით, მაგრამ მე მომაგრებული კაცის გასაგონად ვლაპარაკობო, უხერხულად თქვა მან და დაჯდა. მეორე გამომსვლელმა საუბარი პირველის კრიტიკით დაიწყო: ეგ კოლექტივის თავმჯდომარედ ნამუშევარია და უყვარს სოფლის სახელით ლაპარაკი, მე კი მხოლოდ ჩემი საქმე ვიცი. ჩასაბარებელი ყურძენი მე არ მომდის. – შარშანაც ეგრე ამბობდი, მაგრამ შემდეგ კი მოგივიდა
– ეუბნება მას მის გვერდით მჯდომი, როგორც მომივიდა კი იცი შენ და ნუ მალაპარაკებ… – ჰოდა, ისე მოგივა წელსაც.
დროს ვკარგავთ, მოუსმინეთ პარტიის საქალაქო კომიტეტიდან მომაგრებულ ამხანაგ ტაბატაძეს – თქვა თავმჯდომარემ და სიტყვა მე მომცა. ფეხზე წამოვდექი, სახელმწიფო გეგმის შესრულების აუცილებლობაზე ვისაუბრე და დავამთავრე იმით, რომ თითოეული კომლი ვალდებულია, მასზე მიცემული დავალება პირნათლად შეასრულოს. შეკითხვები თუ გაქვთ
– მიმართა თავმჯდომარემ კრების მონაწილეებს. ასეთები არ გამოჩნდენენ, მაგრამ თავისთვის კი ალაპარაკდნენ. წინა რიგებში უფრო ხანდაზმული ადამიანები ისხდნენ, ეტყობა მათ ყურთასმენასთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდათ და მათი ჩურჩული მე ჩვეულებრივ მესმოდა:
– ლაპარაკი ეცოდინება, ეუბნება ერთი ჩემზე მეორეს.
– მაგათი პროფესია ეგ არის, მაგით ჭამენ პურს – არის პასუხი.
– არა მარტო პურს – არის რეპლიკა.
– ნეტავ საიდან გადმოიყვანეს?
– მაგას ვერ გეტყვი.
– ვიღაც ეყოლება.
– აბა ისე ვინ დააწინაურებდა.
თავმჯდომარემ კრება დამთავრებულად გამოაცხადა. მე კაბინეტში მიხმო და როგორც ამ საქმეში გამოუცდელ მუშაკს, ინსტრუქტაჟი ჩამიტარა: გეგმით გათვალისწინებული ოდენობით ამ სოფელში ყურძენი არასდროს მოსულა,

გეგმები კი სრულდება. ასე უნდა იყოს წელსაც. ეს კამპანია ასეთი კრებების ჩატარებით იწყება, შემდეგ მოდის მეორე ეტაპი – ყურძნის დაკრეფა და ქარხნებში გადაზიდვა. გეგმა ქარხნიდან გამოვა. მესამე ეტაპზე წავა დაჯილდოებები– დაიმშვენებენ მკერდს ორდენებითა და მედლებით. მეოთხე ეტაპზე გააქტიურდებიან ანონიმშჩიკები და ინტრიგანები და დაიწყება დაჭერები. შესაძლებელია აქ რევიზორი დაჯდეს და ისე დაიჭერს თავს, თითქოს მთვარიდან იყოს ჩამოსული და ამ ქვეყანაში არ ეცხოვროს. ძნელია მათთან ლაპარაკი. შენგან მე დახმარება მეორე ეტაპზე დამჭირდება – ყურძნის გადაზიდვაზე. მეგონა, მე ის სატვირთო მანქანების გამოყოფაზე მთხოვდა დახმარებას, თურმე ნურას უკაცრავად, მან ჩემი ამოცანა დამიკონკრეტა: შენ სოფელში არაფერი გესაქმება. იყავი ქალაქში და დააწესე კონტროლი, რომ ავტომანქანები, რომლებსაც მე „პუტიოვკით“ ყურძნის გადაზიდვაზე გამომიყოფენ, იმავე დღეებსა და საათებში სხვა სოფლებიდანაც არ ეზიდებოდნენ ყურძენს. როცა გაოცება შემამჩნია, დაამატა, ამ საქმეს უწვრილმანდებიან ხოლმე გამომძიებლებიო.

კაბინეტში კრების ერთი მონაწილე შემოვიდა. მან ყელზე საჩვენებელი თითის მიტკაცუნებით თავმჯდომარეს ანიშნა – პურ-მარილი მზადააო. შემდეგ კი ჩაილაპარაკა – ყველამ ვიცით, როგორ მზადდება ყურძენი, რად უნდა მაგას ამდენი ლაპარაკიო. უბრალოდ და მოხდენილად გაწყობილ სუფრას ათამდე კაცი მივუსხედით. მაგიდაზე ყველაფერი ნატურალურია – თქვა ერთმა. ღვინო? – ჩაეკითხა მეორე. ღვინოც ნატურალურ წყალზეა დამზადებული – იყო პასუხი.

მოხუცები კარგად შეზარხოშდნენ, მეც მათ შორის. ჩემი ინიციატივით ავიშალეთ. ქალაქში რომ ჩამოვედი, სამუშაო საათები კარგა ხნის დამთავრებული იყო, მაგრამ მაინც სამუშაო კაბინეტში შევიარე, მაგიდასთან დავჯექი და დავფიქრდი. ყურში პირველი მდივნის სიტყვები ჩამესმის– ყურძნის დამზასდების გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი მიმაგრებული ამხანაგები არიანო. სოფელში გაყალბების სქემა გამაცნეს და მასში ჩართვას მთავაზობენ. შევშინდი.

საორგანიზაციო განყოფილების გამგის კაბინეტში შუქი

შევნიშნე. იქ ცხოვრების ყველა სფეროში ღრმად ჩახედული, წესიერი და პატიოსანი კაცი, დიმიტრი ტატიშვილი ზის. რუსთაველის შეგონება გამახსენდა – „დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდეს“. გავალ, ყველაფერს მოვუყვები და დავმშვიდდები – გავიფიქრე ჩემთვის და ასედაც მოვიქეცი. მე საკმაოდ ემოციურად ყველაფერი ვუამბე და მისგანაც ასეთივე რეაქციას მოველოდი. მაგრამ ნურას უკაცრავად, იგი სხვათაშორის მისმენდა და როცა ყველაფერს მოვრჩი, მითხრა: სხვა თუ არაფერი გინდა, უკვე გვიანაა და წავიდეთო. კაბინეტიდან ერთად გამოვედით, როცა კარებს კეტავდა, სხვათაშორის მითხრა: შეიძლება შენ ციხეშიდაც ამოყო თავიო. კარები დაკეტა, გასაღები ჯიბეში ჩაიდო და გეზი გასასვლელი კიბისკენ აიღო. მეც გავყევი და ჩავეკითხე:

– რა შემთხვევაში შეიძლება ამოვყო თავი ციხეში-თქო. კიბეს ვუახლოვდებით, შეჩერდა და მეუბნება: ქარხანაში რომ ცოტა ყურძენი შედის და ბევრი წვენი გამოდის, ეს ფალსიფიცირებული წვენები რუსეთში იგზავნება – ღმერთმა არ ქნას, იქ ვინმე მოიწამლოს, თორემ ჩამოვლენ და ქვას ქვაზე დაადუღებენო. მე „დავმშვიდდი“, ის კი დინჯი ნაბიჯებით დაუყვა კიბის საფეხურებს. მას დანაღმულ ველზე სიარულის დიდი გამოცდილება ჰქონდა.

მეც მალე შევეჩვიე დანაღმულ ველზე სიარულს. მადლობა ღმერთს, რომ გადავრჩი.

სასურსათო პრგრამა

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში სერიოზული პრობლემები შეიქმნა კვების პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფის საქმეში. კომპარტიამაც არ დააყოვნა და შეიმუშავა სასურსათო პროგრამა. ამ პროგრამის შესაბამისად ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელებს დაევალათ უზრუნველეყოთ სურსათით ადგილობრივი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ჭიათურელთათვის ეს დავალება განსაკუთრებით პრობლემატური იყო. აქ მოსახლეობა ძირითადად მარგანეცის მრეწველობაში იყო დასაქმებული და სოფლის მეურნეობა მუშახელის ნაკლებობას განიცდიდა, ამას ემატებოდა მთაგორიანი რელიეფი, მწირი და გამოფიტული ნიადაგები, მარგანეცის მადნის გამომუშავებით მწყობრიდან გამოსული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და სხვა. ასეთ პირობებში მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა სერიოზული პრობლემა იყო. ამ პროდუქტებით პირველ რიგში უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ საავადმყოფოების, ბავშვთა ბაგა-ბაღების, პროფტექნიკური სასწავლებლების, სკოლაინტერნატის და ამ კატეგორიის სასადილოები, სადაც კვება უფასოდ ხორციელდებოდა.

გეგმა კანონი იყო, ის ყოველთვის სრულდებოდა და უნდა შესრულებულიყო ახლაც, მაგრამ ამჯერად სულ სხვა რეალობა იყო. ადრე ის ქალაქზე სრულდებოდა, ეხლა კი ეს აღარ გამოდიოდა.

ოპერაცია ხორცი: ქალაქში ჩატარდა პარტიული აქტივის კრება და მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, აგრეთვე სხვა არასასოფლო-სამეურნეო დარგის ხელმძღვანელებს დაევალათ ღორების მოშენება და ხორცის წარმოება. პირველ რიგში მათ შესაბამისი ინფრასტრუქტურა უნდა მოეწყოთ. ამ მხრივ

კარგი პირობები აღმოაჩნდა საგზაო-სარემონტო უბანს. მისი ადმინისტრაციული შენობა (ოფისი) მდებარეობდა მდინარის ხეობაში. მიმდებარე ტერიტორია დაფარული იყო ბუჩქნარით და ყველაფერი ღორის გემოვნებაზე იყო მორგებული. უბრნის ხელმძღვანელობამ შემოღობა საკმაოდ მოზრდილი ტერიტორია, იყიდა ღორები და გაუშვა ნაკვეთში. შეძლებისდაგვარად მოემ-ზადნენ სხვა საწარმოები და ორგანიზაციებიც.

დრო გადიოდა. ორგანიზაციათა მცირე ნაწილმა ცოტა რაღაც შედეგს მიაღწია. უმრავლესობამ კი თავი ვერ მოაბა ამ საქმეს. ჩამორჩენილთა შორის აღმოჩნდა საგზაო უბანიც. შედეგების გაანალიზების მიზნით გაიმართა თათბირი. თათბირზე აღმასკომის თავჯდომარემ ყურადღება გაამახვილა ავტოსატრანსპორტო გაერთიანების გენერალური დირექ-ტორის, ჯუმბერ ხარაიშვილის ნაყოფიერ მუშაობაზე. ხორცის წარმოების ეფექტურობით მან მეცხოველეობის პროფილის მეურნეობებსაც კი გაუსწრო, ჯუმბერი წარმა-ტებულია თავის დარგშიც, ტვირთების გადაზიდვის საქმეში იგი საკავშირო წითელი დროშის მფლობელია, მიბაძეთ მას-სთქვა აღმასკომის თავჯდომარემ და მზერა საგზაო უბნის ხელმძღვანელის, სიმონ ტაბატაძის მიმართულებით გადა-იტანა. სიმონმა იგრძნო ეს და პასუხიც არ დააყოვნა. რაფერ მივბაძო ბატონო, მაგის სატვირთო მანქანებს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში გადააქვთ ტვირთი, გადიან მის საზღვრებს გარეთაც. იქ საკმაოდ იაფად ყიდულობენ ღორების საკვებს, უკანდაბრუნებულებს შემოაქვთ იგი, ღორებიც ჭამენ მას და სუქდებიან, ეგაა ხარაიშვილის წარმატების მთელი ფილოსოფია. ჩემმა ღორებმა კი მთელი ნაკვეთი გადათხარეს, ეზო მომისპეს. დგანან კიბეებთან მშიერი ღორები და შენობაში არ მიშვებენ, შემომღრუტუნებენ, მაგათი საცოდაობით ვიწვი... შენც კიედვ შენობის წინ ნუ დაუყრი საკვებს– ეუბნება აღმასკოვის თავჯდომარე – რა მაქვს ბატონო რომ დავუყარო, ხრეშსა და ღორღს ეგენი არ ჭამენ, მე კი სხვა არაფერი მაქვს. – აბა რაღა მაინცდამაინც კიბეებთან იყრიან თავს შენი ღორები– ღორი ადამიანის მეგობარია ბატონო და რომ გაუჭირდება,

ადამიანს ეკედლება.

თათბირის შემდეგ ხარაიშვილსა და ტაბატაძეს შორის გაიმართა დიალოგი:

– არ იყო შენი გამოსვლა სწორი სიმონ

– რა ვთქვი ისეთი, ჩემი გაჭირვება ვთქვი ჯუმბერ

– ჩემს საქმიანობას რატომ შეეხე

– იმიტომ შევეხე, რომ უფროსმა მითხრა ჯუმბერის მიბაძეო და რაფერ მოგბაძო ბიჭო

– იმფერ მომბაძე, რომ სატვირთო ავტომანქანებს შენც ხომ გიგზავნი, შემოაზიდიე მათ ღორების საკვები.

– შენ ჩემო ჯუმბერ ახალ და მძლავრ მანქანებს შორეულ რეისებში აგზავნი, ჩემთან კი უშვებ ძველ და დანჯღრეულ მანქანებს. ორი რეისი თუ გააკეთეს, ან საბურავი დაეშვებათ ან სხვა რამ გაუფუჭდებათ, ბრუნდებიან გარაჟში და მთხოვენ საგზურში (პოტიოვკაში) ოთხი და ხუთი რეისის ჩაწერას.

– შენც ნუ ჩაუწერ

– არ ჩავუწერ და მეცოდებიან. მეხვეწებიან ძველი მანქანებით ხალტურაზე ვერ გავდივართ, ხელფასზე ვართ დამოკიდებული და თვის ბოლოს, ოჯახში ცოტა რაღაც ხომ უნდა მივიტანოთო.

– გზაზე ორ მანქანა ღორღს რომ ყრი და ხუთს აფორმებ, მაგაზე რას იტყვი

– მაგაზე იმას ვიტყვი, რომ მე რესპუბლიკური მნიშვნელობის გზატკეცილებს კი არ ვაშენებ, ადგილობრივი მნიშვნელობის სოფლების მოხრეშულ გზებზე გაჩენილ ორმოებსა და იამკებს ვავსებ ღორღითა და ხრეშით. შეფასებები ძალზე დაბალია და თუ სამმაგი და ოთხმაგი ნორმა არ დავწერე, მგზავრობისა და ჭამის ფულსაც ვერ აიღებენ საცოდავი მუშები.

– გამოდის, რომ ღორებიც, შოფრებიც და მუშებიც შენ შემოგღრუტუნებენ, კაცი შენ ყოფილხარ, არსენა ყოფილხარ ოძელაშვილი.

– არსენა მდიდარს ართმევდა, მდიდარი, შენ ხარ და რა წაგართვი, ბიჭო?!

– სახელმწიფოს ხომ ართმევ!

– სახელმწიფოს რომ ვართმევ, წილში შენც გამყავხარ,

საკავშირო დროშას რომ აფრიალებ, ბევრი ტვირთი გადავ-ზიდეო, იმ ტვირთში ჩემი ღორღი და ხრეშიც ითვლება.

– წითელი დროშა უნდა გეთქვა, სიმონ.

– მალე შეეცვლება ფერი მაგ დროშას, ამდენ სიყალბეს ვერ აიტანს ეს ქვეყანა.

– გაჩუქებ იმ დროშას სიმონ, დიდ ტვირთად მაწევს ის მე. გამოცდილების გაზიარების მიზნით სისტემატიურად მაწუხებენ დელეგაციები...

– მერედა რა გამოცდილებას უზიარებ

– რესტორანში დამყავს საქეიფოდ

– მეღორეობის საქმეშიც მოგიწევს გამოცდილების გაზიარება, მე ხომ გამიზიარე.

– მეღორეობის საქმეში შენ იმ გამოცდილებას გაგიზიარებ, რომ ღორი ადამიანის მეგობარი არ არის, ძაღლია ადამიანის მეგობარი.

– ძროხამ რა დააშავა, მისი რძე დედის რძეს ენაცვლება. ხარი კი ძმასავით უდგას კაცს მხარში, მაგრამ მაგათი უბედურება ისაა, რომ ძაღლივით კუდის ქიცინი და ლაქუცი არ ეხერხებათ. ასეა ჩემი საქმეც. ჩემი კოლეგები, ზოგიერთ ქალაქებში დიდი ფულის შოვნით არიან დაკავებულები. მათ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება აქვთ როგორც თავიანთი ქალაქის, ისე სამინისტროს ხელმძღვანელებთან. მე კი დილიდან საღამომდე სოფლის გზებს ღორივით ვჩუჩქნი. ქალაქკომში კი ჩემს პარტიულ სააღრიცხვო ბარათზე საყვედურები არ ილევა. ერთს მომიხსნიან და მეორეს მაძლევენ.

– ეშველება რამე ამ ქვეყანას სიმონ?

– შენც არ მომიკვდე ჩემო ჯუმბერ. ჩვენ ასე თუ ისე გავჯეგეთ ეს ცხოვრება, მაგრამ მომავალი თაობის ბედი მაღელვებს ბიჭო.

– წავიდეთ ახლა სიმონ და, ამ დარდიან გულზე, სადმე თითო ბოთლი ღვინო დავლიოთ და საუბარი იქ გავაგრძელოთ. – წამოვალ მაგრამ ბევრს ვერ დავლევ, ამ პაპკას ხომ ხედავ, ეს ფარატინა ქაღალდებითაა სავსე, ამაღამ ისინი დოკუმენტებად უნდა ვაქციო. ნახევარზე მეტ ტყუილებს ვწერ

და მაგას დაბალანსება ხომ უნდა. ადრე კაბინეტში გვიან ღამემდე ვმუშაობდი ხოლმე, რაც ღორები მოვიშენე, ოჯახში გადავინაცვლე.

ორი კომუნისტი ხელმძღვანელის მეგობრულმა და გულწრფელმა დიალოგმა ერთი ამბავი გამახსენა: ერთხელ რევიზორმა ერთერთ სამშენებლო ობიექტზე ხელმძღვანელობის მიერ შევსებული მძღოლთა საგზურების (პიტიოვების) ანალიზი გააკეთა და გამოვლინდა, რომ სამშენებლო ნარჩენების სახით ობიექტიდან გაგატანილი ტვირთების მოცულობა აღემატებოდა ობიექტზე შეტანილ სამშენებლო მასალების საერთო მოცულობას.

....ოპერაცია ყველი: სასურსათო პროგრამის შესაბამისად მოსახლეობაში ყველის შეგროვების მიზნით სათათბიროდ მოვიწვიეთ სასოფლო საბჭოების ხელმძღვანელები. სასოფლო საბჭოებში 13-ათასამდე კომლი ირიცხებოდა და თვითეული კომლიდან თითო კილოგრამი ყველი რომ ამოგვეღო, ეს 13 ტონა იქნებოდა. პრობლემა დაძლევადი ჩანდა. სოფლების თავკაცებს, კომლთა რაოდენობის შესაბამისად, ყოველთვიურად კომლზე თითო კილოგრამი ყველის ამოღება დაევალათ. გაიმართა დისკუსია თუ რა ფორმით უნდა მოხდეს ყველის ამოღება. სასწორით ხომ ვერ მიადგები გლეხს ერთ კილოგრამ ყველზე– ამბობს ერთი, დანაც თან უნდა გქონდეს - ამბობს მეორე. ერთმა სტაჟიანმა სოფლის თავკაცმა გაიხსენა პრაქტიკა, როცა სოფლის მოსახლეობა,კვერცხის, ყველისა და ხორცის დამზადების ნაცვლად ფულს აბარებდა. აგრე მოვიქცეთ ახლაც – ამბობს ერთი. მერე ავადმყოფები ფულს შეჭამენ? ამბობს აღმაკომის თავჯდომარე. ადრე რომ ჭამდნენ– არის დარბაზიდან რეპლიკა. რომ ჭამდნენ მაგან მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდე – ამბობს თავჯდომარე და თათბირის მონაწილეებს სერიოზულობისკენ მოუწოდებს. თათბირი გაგრძელდა. შეთანხმდნენ, რომ კომლიდან ყველა თვეში ამოეღოთ თითო ცალი ყველი. იგი საშუალოდ კილოგრამის ფარგლებში იქნებოდა. თათბირი დამთავრდა.

ერთი თვის თავზე მოვიწვიეთ სოფლის თავკაცები და

მოვიკითხეთ შედეგები. გამოიკვეთა, რომ განვლილ პერიოდში პრობლემები მეტი დაგროვდა, ვიდრე ყველი. სოფლის კომლთა უმრავლესობას საერთოდ არ აღმოაჩნდა მეწველი ძროხა. ზოგიერთი ძროხა კი ბავშვების მომსახურების პროგრამაში იყო ჩართული. მიუხედავად ამისა, ხელმძღვანელთა მცირე ნაწილმა მაინც მოახერხა მოკრძალებული შედეგის მიღწევა. უმრავლესობას კი – გაუჭირდა. აღმასკოვის თავჯდომარე მიმართავს სოფელ რგანის თავკაცს: – თენგიზ, შენ წლების განმავლობაში ეწეოდი პედაგოგიურ საქმიანობას. სოფლის მოსახლეობის დღევანდელი თაობის დიდი ნაწილი შენი ყოფილი მოსაწავლეა. ნუთუ მათი ოჯახებიდან თითო ყველის ამოღებას ვერ ახერხებ.

– ოთარ მიხაილოვიჩ, ისინი მართლაც ჩემი ყოფილი მოსწავლეები არიან და დიდადაც მაფასებენ, ოჯახებშიც მეპატიჟებიან. თუ სადმე შევედი, ყველიც მოაქვთ, ქათამსაც კლავენ და ხაჭაპურსაც აცხობენ. ყველის ჩაბარებაზე კი უარს მეუბნებიან. თენგიზ – ამბობს აღმასკომის თავჯდომარე, შენ წესიერი და პატიოსანი ხელმძღვანელი მუშაკი ხარ. მოსახლეობა გაფასებს, სოფელში ყველის რესურსი არსებობს. ეს დავალება მოსკოვიდან თბილისში, თბილისიდან კი ჩვენთან მოდის და მისი შესრულება უნდა მოახერხო. თუ ასე არ მოხდება, შენდამი ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, მოგიწევს თანამდებობის დატოვება.

– რა ვქნა ბატონო, ხალხს თავს ვერ მოვაძულებ, თორემ სამსახურიდან რომ გამიშვათ, სკოლაშიც აღარ შემიშვებენ.

თათბირის დამთავრების შემდეგ სოფლის თავკაცები თენგიზს გამოცდილებას უზიარებენ. აგრე იყო ჩემი საქმეც,– ამბობს ერთი, მეც მეპატიჟებოდნენ ოჯახში, ყველის ჩაბარებაზე კი უარს მეუბნებოდნენ. შემდეგ ასეთი რამ მოვიფიქრე: სოფელში ერთი ენაკვიმატი, იუმოროთ სავსე, ყველასათვის საყვარელი კაცი მყავს. ის საბჭოში დარაჯათ დავნიშნე. დავდივარ სოფელში და თან დამყვება დარაჯი ტყავის შავი ჩემოდნით. შეპატიჟებაზე ყველა ოჯახში შევ-დივართ. როცა მაგიდის გაწყობის დრო მოახლოვდება,

დარაჯი დიასახლისთან ჩააგდებს ჩორთს, ჩემზე ამბობს, მაგას დაუჭრელი, თავისი ხელით მოტეხილი ყველი უყვარსო. როცა მაგიდას მივუსხდებით, დარაჯი აიღებს მთელ ყველას, შეახვევს ქაღალდში და ჩადებს თავის ტყავის ჩემოდანში, თან თავისთვის ჩაილაპარაკებს: ეს ქვეყანას სჭირდება, ჩვენ ქათმის ხორცი და ხაჭაპურიც გვეყოფაო. მე სხვაგვარად ვიქცევი– ამბობს მეორე. მოსახლეობაში მილიციის თანამშრომელთან (უბნის ინსპექტორთან) ერთად, მისივე ავტომანქანით დავდივართ, მანქანის საბარგულში გვიდევს ალუმინის დიდი კასრი. ოჯახი არ არის რამე მოპარული, ან სხვა რაღაც არ ქონდეს მიქარული. ჩვენს დანახვაზე მანდრაჟდებიან, ჰგონიათ რომელიმე საქმის გამოძიებაზე ვართ მისულები. ყველის ხსენებაზე დაძაბულობა ეხსნებათ, გაბრწყინებული სახით გამოაქვთ თითო ყველი და დებენ ალუმინის კასრში.

თენგიზმა ამოიხვნეშა. ეჰ, დღევანდელ ზრდასრულ თაობას, რამდენიმე წლის წინ, როცა მერხებზე მისხდნენ, საუკუნის დასასრულისათვის კომუნიზმს ვპირდებოდი. ეხლა მათთან ვერც ჯამბაზობას დავიწყებ და ვერც მილიციელით მივადგები ერთი ყველი მომეციო.

თენგიზის კომუნიზმზე გამახსენდა: სტუდენტობის დროს კოლეგა გოგოსთან ერთად ავტობუსს ველოდებოდი. მოსაცდელი ზემოდან ღია იყო, დაბლა კი მოპირკეთებული იყო ფილებით. იქვე გაკეთებული იყო წარწერა „აქ არ დააფურთხოთ“. არასასიამოვნო განცდა დამეუფლა და მო-პირდაპირე მხარეზე გავიხედე. ჩემმა თანმხლებმა გოგონამ კი ჩაილაპარაკა-სამარცხვინოა. ამ მართლაც სამარცხვინო ფაქტის შესახებ მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლების ლექტორს ვუამბეთ. პასუხი კი ასეთი იყო: ჩვენ ეხლა კომუნიზმის პირველ ფაზაზე ვიმყოფებით, მალე მეორე ფაზაზე გადავალთ და ასეთი წარწერების საჭიროება აღარ იქნება, შესაბამისად არც არავის მისი გაკეთების სურვილი გაუჩნდებაო. ჩვენს შეკითხვაზე თუ რამდენი დროა საჭირო საამისოდ, მან დაახლოებით 25 წელი დაასახელა.

წლების შემდეგ თბილისში მიწისქვეშა გასასვლელში

ჩავედი. გვირაბი ფეკალის სუნით იყო გაჟღენთილი. ერთი, დაახლოებით 2-მეტრიანი, მონაკვეთი გამოკვეთილად იყო დასუფთავებული. იქვე იდგა ძველი მორჩილი მაგიდა, მასზე მოხუცი ქალი სხვადასხვა სახის წვრილმანი ნივთებით ვაჭრობდა. ღამის საათებში ადგილის დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით კედელზე იყო გაკეთებული წარწერა „აქ არ მოშარდოთ“. „საათს დავხედე“ და ლექტორის დაპირებიდან ზუსტად 25 წელი იყო გასული.

ახლებურად აზროვნება

მეოცე საუკუნის დასასრულს, ნაცვლად დაპირებული კომუნიზმისა, მილიონობით საბჭოთა ადამიანი პურის ტალონებით შეხვდა. იდეოლოგიის სფეროში კი კომპარტიამ გარდაქმნა, ღირებულებათა გადაფასება და ახლებურად აზროვნება შემოგვთავაზა.

ხელოსნები სახლის მშენებლობას საძირკველიდან, მის დანგრევას კი სახურავიდან იწყებენ. კომუნისტებმა თავის მიერ აშენებული სახლის დანგრევა საძირკვლიდან დაიწყეს და მისი ბინადარნი ნანგრევებში მოაქციეს. თუმცა კომუნისტი ლიდერები მძღოლებთან (შოფრებთან) უფრო ასოცირდებოდნენ, ვიდრე ხელოსნებთან. იოსებ სტალინს კომუნიზმის მესაჭედ მოიხსენიებდნენ. მახსოვს ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე განთავსებული სტალინის დიდი ზომის სურათები ლოკომოტივის საჭით ხელში. ქვეყნების მესაჭედ მოიხსენიებდნენ ხოლმე სხვა ქვეყნის პირველ პირებსაც. ამიტომ უმჯობესია კომუნისტ ლიდერთა მუშაობის სტილი მძღოლის მაგალითზე განვიხილოთ. მაგონდება რუსული ფრაზა – „რესკი პავაროტ, ასტაროჟნა შაფიორ“! კომუნისტ საჭეთმპყრობელთა ლოკომოტივში ხალხი იჯდა. ამიტომ ისინი ვალდებულნი იყვნენ მთელი პასუხისმგებლობით მოჰკიდებოდნენ ამ საპატიო ტვირთის ტარებას, მაგრამ ეს არ ხდებოდა ასე. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეული აღმოჩნდა კომუნისტთა ერთერთი ბოლო ლიდერი. მან მკვეთრ მოსახვევში დიდი სიჩქარით მოუხვია, საჭე ვეღარ დაიმორჩილა და ლოკომოტივი ამოტრიალდა. ამას კი მოჰყვა დიდი ადამიანური მსხვერპლი, როგორც მათი სიცოცხლის, ისე ეკონომიკური, მორალურ-ზნეობრივი და სხვა თვალსაზრისით.

ადამიანის სიცოცხლის მსხვერპლით იმპერიის სუბიექტებს შორის გამორჩეული იყო საქართველო, რომელმაც დროის

მოკლე ვადაში სამი ომი გადაიტანა (თბილისის ცენტრი, ცხინვალი, სოხუმი)

ეკონომიკაში შექმნილი ქაოსური მდგომარეობის გამო მშრომელი ადამიანების მიერ 70 წლის მანძილზე შექმნილი სახელმწიფო საკუთრებად წოდებული აურაცხელი სიმდიდრე, ადამიანთა მცირე ჯგუფის ხელში აღმოჩნდა. მოსახლეობის ძირითადი მასა კი – გაიძარცვა. შემნახველ სალაროებში მოქალაქეთა ფულადი დანაზოგების გაყინვით და ფულის გაუფასურებით მოხდა ქვეყნის მოსახლეობის ფინანსური კონფისკაცია.

სერიოზული ტრამვა მიიღო საზოგადოებამ მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისით. დამკვიდრდა გამოთქმები გარ-დაქმნა, ღირებულებათა გადაფასება და ახლებურად აზ-რონება. ამ ფრაზეოლოგიის ლოგიკით იმას, რასაც ადრე ვეძახდით თეთრს ეხლა უნდა გვეთქვა შავი და პირიქით. ეს პროცესი განსაკუთრებით მტკივნეულად აისახა უფროსი თაობის ადამიანებზე. ხდებოდა მათი ღვაწლის გადაფასება-გაქილიკავება. დამსახურებულ ადამიანებს და მოწინავე მშრომელებს ქირდავდნენ ზარმაცი და უქნარა კოლეგები. ჭიათურის სინამდვილები ისინი მაღაროს მოწინავე მუშებს საბადოს გაძარცვაში ადანაშაულებდნენ. არგუმენტი ის იყო, რომ მათი მუყაითი შრომით ჭიათურიდან მეტი მადანი გადიოდა. თვითონ კი თურმე იმიტომ ზარმაცობდნენ, რომ ეროვნულ სიმდიდრეს უფრთხილდებოდნენ, მადანს მომავალ თაობებს უნახავდნენ. ჩემი თაობის წარმომადგენლებს, რომლებმაც სამხედრო-სავალდებულო სამსახური კონსტი-ტუციის მოთხოვნის შესაბამისად პირნათლად მოვიხადეთ, ოკუპანტებად მოგვიხსენიებდნენ ის თანატოლები, რომლებიც სხვადასხვა სახის ავადმყოფობის მომიზეზებით (ძირითადად ტვინის არეში, ზოგჯერ შარდის შეუკავებლობით და სხვა) სამხედრო-სავალდებულო სამსახური არ ჰქონდათ გავლილი და იმავე დიაგნოზით ზოგჯერ პენსიებიც ჰქონდათ დანიშნული.

განსაკუთრებით დიდი დარტყმა მიიღეს მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ორდენებითა და მედალებით დაჯილდოვებულმა

ვეტერანებმა. ბერლინში ბრძოლით შესულ, გამარჯვებულ ბაბუებს ოკუპანტებად მოიხსენიებდნენ ცხინვალიდან და სოხუმიდან გამოსული დამარცხებული ის შვილიშვილები, რომლებიც იქ არამც თუ ბრძოლით, არამედ სხვა საქმეებით იყვნენ დაკავებულნი. ასეთ გაუაზრებელ და დამაზიანებელ სახელმწიფო იდეოლოგიას არაერთი ადამიანის ჯანმრთელობა, ზოგჯერ კი სიცოცხლეც შეეწირა. იყო თვითმკვლელობის ფაქტებიც, კონკრეტული სახელების მოხსენიებისგან თავს შევიკავებ. ჭიათურელი მკითხველისათვის მინიშნებებიც საკმარისი იქნება რათა ამოიცნონ ისინი.

– პროფესია მოწოდებით ჰქონდა არჩეული. კარგი პედაგოგი იყო. უყვარდათ კოლეგებს და რაც მთავარია მოსწავლეებს. გარდაქმნამ სკოლის დირექტორის პოსტზე მოუსწრო. ღირებულებათა გადაფასებას და ახლებურად აზროვნებას ვერ შეეგუა. მას გულმა უღალატა.

– ის მოწოდებითად და პროფესიითაც მომღერალი იყო და მღეროდა კიდეც. ქ. ჭიათურაში ლენინის ქუჩაზე მრავალსართულიანი კორპუსის დაბლა სართულზე ცხოვრობდა და ლენინისვე იდეებს მთელი ცხოვრების მანძილზე უმღეროდა. გარდაქმნამ ასაკში შესულს მოუსწრო. აღარავინ უსმენდა. გალიაში აღმოჩნდა. მოეწყინა. სიმაღლეზე ასვლის სურვილი გაუჩნდა. კიბეებს ფეხით შეუყვა. ძალა უნდა მოვსინჯოვო-უპასუხა მან ზემოდან ქვემოთ კიბეებზე მომავალ მეზობელს. ძალა აღმოაჩნდა. მან მაქსიმუმი სიმაღლე აიკრიფა. თვითონ იქ, სიმაღლეზე დარჩა და ის იდეოლოგია, რომელსა მთელი ცხოვრება უმღეროდა, საკუთარ სხეულან ერთას მიწაზე დაანარცხა.

პოლიტიკური კლიმატის მკვეთრ შეცვლას ვაჟკაცურად შეხვდნენ ქართველი ქალები. როცა საქმე მათი შვილების სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს შეეხო, ისინი ხვადზე უფრო ძლიერნი აღმოჩდნენ. მამაკაცებივით კლიმატის შეცვლას და გამოდარებას არ დაელოდნენ და საქმეზე გადავიდნენ. კრიზისული პერიოდიდან მოყოლებული და ზოგჯერ დღესაც დილიდან საღამომდე ფეხზე მდგომი ან სადღაც ჩამომჯდარნი

ჰყიდიდნენ ისინი სხვადასხვა სახის საქონელს. არაერთხელ მახსოვს მათთან დაპირისპირებული მომხმარებელი, რომელიც მათ წონაში მოტყუების გამო ედავებოდა. ასეთი კონფლიქტების დროს ჩემში თანაგრძნობას დაზარალებული (მყიდველი) იწვევდა. მაგრამ ერთხელ აზრი შემეცვალა: ერთ გამყიდველ ქალთან 3-კგ. კიტრი ვიყიდე. რამდენიმე ნაბიჯი მქონდა გავლილი, გამყიდელი ქალი წამომეწია და მეუბნება თქვენ ისა ხართ? დიახ ისა ვარ – ვეუბნები მე. თავიდანვე ვერ გიცანით, მე თქვენ წონაში დაგაკელით, მაპატიეთ – მეუბნება იგი და მაწვდის რამდენიმე ცალ კიტრს. ცოტა ხანს ვისაუბრეთ. მისი მეუღლე ჩემი ყოფილი თანამშრომელი აღმოჩნდა. ოჯახიდან მარტო მე ვმუშაობ. ოჯახს ძლივს ვინახავ და თუ მომხმარებელს წონაში არ მოვატყუე, არაფერი არ დამრჩებაო – მითხრა მან.

განსაკუთრებით დასაფასებელია იმ ქალების ღვაწლი, რომლებიც ოჯახსა და მშობლიურ კუთხეს მოშორებული, უცხო ქვეყნებში გადახვეწილნი, ახერხებდნენ და დღესაც ახერხებენ ოჯახების შენახვას.

იყვნენ და არიან შვილების გადარჩენისთვის ყველაფერზე წამსვლელი დედებიც. თუ რამდენად გამართლებულია მათი საქციელი, ეს მკითხველმა განსაჯოს, მე კი ერთ ფაქტს აღვნიშნავ...

მძღოლის ნაამბობი: ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტომობილი დამიზიანდა, ის იქვე, გვერდზე მივაყენე და მანქანის ქვეშ შევძვერი. ვხედავ ერთმა ინვალიდმა ახალგაზრდამ ბირჟიდან მეძავი გამოიყვანა. ისინი ჩემს მანქანას მოეფარნენ და დაიწყო დიალოგი:

მანდილოსანი – აქ რატომ მოხვედი, ქმრები აქ არ აკითხავენ. სირცხვილია. თუ რმე ვიშოვე, ხომ იცი რომ ოჯახში, ბავშვებთან მოვიტან.

ვაჟი – ბავშვია ავად, სიცხე აქვს, წითლად გამოყარა. დედამ სთქვა წითელა ბატონები უნდა იყოსო. ბავშვი დედას ითხოვს და უნდა წამოხვიდე. უბედური მშობლები მანქანას გაშორდნენ და ავადმყოფ შვილთან წავიდნენ.

მძღოლის ნაამბობმა 70-იანი წლებიდან ერთი ამბავი გამახსენა: აფხაზეთის სოფელ გვარდიდან ვიწრო, ციცაბო ბილიკით თამარის ხიდის მიმართულებით ვეშვებოდი. ბინდ-დებოდა, ჩქარი ნაბიჯით მივდიოდი. მგზავრს, შუახნის კაცს წამოვეწიე. ნუ ჩქარობ, არსად გადაიჩეხო – მითხრა მან. მე ტემპი შევანელე. აქაური არ ჩანხარ, სადაური ხარ – მეკითხება ის. ჭიათურიდან ვარ – ვუპასუხე მე. ერთი, იმერეთიდან ჩამოსახლებული მოხუცი კაცი ამ ტყეში ნახეს მკვდარი, ის ხეზე იყო ჩამოკიდებული და თავისივე ასო (სასქესო ორგანო) ყელში ჰქონდა გარჭობილი. ასეთი ფორმით მკვლელობას რა ახსნა შეიძლება მოეძებნოს – ვამბობ მე. თავის ვერსიას მიზიარებს თანამოსაუბრე: თურმე მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა სოფლის კაცები ჰიტლერს ებრძოდნენ, ეს კაცი რაღაც ხრიკებით ფრონტზე არ წასულა და კოლმეურნეობის საწყობში ყოფილა დასაქმებული. გაჭირვებულ, მარტოხელა დედებს, შვილების გამოკვების მიზნით, გარკვეული „გასამრჯელოს“ ფასად, პე-რიოდულად აძლევდა ცოტაოდენ სიმინდს და ლობიოს. ეს ამბავი სოფელში საკმაოდ გახმიანებული ყოფილა. შემდგომში ის ოჯახები აქ ჩამოსახლდნენ და ეს მკვლელობაც იმ „მეძავი“ დედების შვილებისა თუ შვილიშვილების ნაჩალიჩარი უნდა იყოს.

დავუბრუნდეთ ჩვენს ნაცნობ მეძავს. ის არც მეძავია და არც გმირი. არის ბიოლოგიური დედა, რომელიც შვილების გადარჩენისთის ყველაფერზე მიდის. ის პოლიტიკის მსხვერპლია.

„მარადმწვანეები“

70 – იანი წლების დასასრულს, ქალაქ ჭიათურაში, სახალხო დღესასწაულებსა და სხვადასხვა სახის საჯარო ღონისძიებებზე, თვალში მოსახვედრი იყო რამდენიმე ხანდაზმული მანდილოსნისაგან შემდგარი გუნდი. მისი არაღიარებული ლიდერი აღმასკომის მდივანი, თამარ წერეთელი იყო. ოთხი წევრიც – აღმასკომის საერთო განყოფილების გამგე, ვენერა ბრეგვაძე; საფინანსო განყოფილების გამგე, თამარ გაფრინდაშვილი; სტატაღრიცხვის უფროსი, ქსენია ბოდოკია და სოფლის მეურნეობის უფროსი აგრონომი, გულნარა ბიწაძე აღმასკომის შენობაშივე მოღვაწეობდა. დანარჩენები კი – პარტიული მუშაკი, თინა დურმიშიძე; სტამბის დირექტორი, ჯულიატა თოდრია; რადიომაუწყებლობის ხელმძღვანელი, ბაბი ბარბაქაძე; პირველი და მესამე საშუალო სკოლების დირექტორები, თამარ მოდებაძე და ნატო მუმლაძე და სხვები ქალაქში ეწეოდნენ აქტიურ სამსახურებრივ და საზოგადოებრივ საქმიანობას.

ისინი ძირითადად „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის“ თანატოლი, ან მასზე ორი – სამი წლით უფროს – უმცროსნი იყვნენ. ხელმძღვანელ სტრუქტურებში ჩემი გამოჩენისას, ეს ქალბატონები საპენსიო ასაკს გადაცილებულნი იყვნენ და კანონმდებლობის შესაბამისად სამსახურიდან დათხოვნას ექვემდებარებოდნენ. ამას კი ძალიან მტკივნეულად განიცდიდნენ, დაუოჯახებელნი იყვნენ, ამიტომ სამსახური მათთვის ერთადერთი ოჯახიც იყო და მარტოობის მოლოდინში დაძაბულად ცხოვრობდნენ. მათ საუბარს ერთმანეთთან, მხოლოდ პირობით შეიძლება ეწოდოს საუბარი. ეს იყო ოხვრა უტოპიური თეორიებისადმი გაღებული დიდი მსხვერპლისათვის, ყველა პირადულის მისთვის

შეწირვისათვის. ისინი იმედგაცრუებაში ბრალს სდებდნენ კომუნისტურ პარტიას. თუმცა მტკივნეულად განიცდიდნენ მიტინგის ტრიბუნიდან და პრესაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში იმავე პარტიისადმი წაყენებულ ბრალდებებს, ამას ისინი თავიანთი ღვაწლის დაუფასებლობად მიიჩნევდნენ, შინაურ საუბრებში კი იმ ბრალდებებს უფრო არგუმენტირებული მასალებით ამყარებდნენ.

მათი ასეთი ხვედრის მიზეზი იყო ის, რომ ბავშვობიდანვე სკოლაში ნიჭიერებითა და წესიერებით გამოირჩეოდნენ. ამის გამო ჯერ პიონერულ, შემდეგ კი კომკავშირულ საქმიანობაში აღმოჩნდნენ ჩართულნი, იქაც თავი გამოიჩინეს და პარტიული და საბჭოთა ორგანოების კვალიფიციურ კადრებად იქცნენ. კომუნისტური იდეალებისადმი ერთგული ეს ახალგაზრდა მანდილოსნები დღეს ხალხთან მუშაობაში აღამებდნენ, ღამეს კი – დოკუმენტებზე მუშაობაში ათენებდნენ. დაოჯახებისათვის არ ეცალათ. „კომუნიზმს აშენებდნენ“, მაგრამ დროც რომ გამოენახათ, ქალაქის მმართველ ელიტაში ტრიალებდნენ და გულის სწორსაც ამ წრიდან მოიაზრებდნენ, ეს ლოგიკურიცაა, მაგრამ იქ ძალზე შეზღუდული იყო „ლიმიტი“. ზოგიერთი „ქარაფშუტა“ გოგოსავით, მშობლების ჩუმად ვერ გაიპარებოდნენ ოჯახიდან, მათი ყოველი ნაბიჯი ცეკას „კონტროლზე“ იყო და „უკადრებელს“ ხომ არ იკადრებდნენ. „მოტაცებასაც“ ვერავინ გაუბედავდა. ვერც მუშას ან გლეხს გაჰყვებოდნენ, არადა მათ სადიდებელს თავისივე ხელით წერდნენ პარტიულ პლაკატებსა და ლოზუნგებზე. ერთხელ წამოცდათ კიდეც: ის მუშები და კოლმეურნეები გმირებისა და დეპუტატების რანგში ლენინს და სტალინს ხვდებოდნენ კრემლში, მაგრამ ჩვენ მაინც ის ბიჭი გვერჩია, მათ რომ სიტყვებს უწერდაო. დრო კი მიდიოდა და „შემოაღამდათ“ კაბინეტებში ამ წერილის გმირებს.

ეს ქალბატონები, თავიანთი მაღალი კულტურისა და სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, სისტემატიურად ზრუნავნენ საკუთარ გარეგნობაზე, ამ მხრივ ბუნებიდანაც საკმაოდ დაჯილდოებულნი, ასაკთან შედარებით ახალგაზრდულად

გამოიყურებოდნენ. ასეთი გამორჩეულობის გამო, თავისივე თაობის წარმომადგენელი, ქალაქის კოლორიტული პიროვნება, გაზეთის რედაქტორი ალექსანდრე მეცხოვრიშვილი მათ „მარადმწვანეებს“ ეძახდა. ზოგიერთი თანატოლი მამაკაცი მათ ხუმრობით ეტყოდა: – გახსოვს ხელი რომ გთხოვე და უარი მითხარიო? სად მეცალა ბიჭო მაგისთვის, – პასუხობდნენ მოკრძალებული ქალბატონები, მორიგ კითხვაზე კი – აბა რას აკეთებდიო, დუმილს ამჯობინებდნენ. შედარებით ენემახვილი მანდილოსნები კი იგივე კითხვაზე პასუხობდნენ: – შე მამაცხონებულო, ერთი თხოვნით, ჩემი ფეხით ხომ არ შემოგივიდოდი სახლშიო. – ზედმეტად რომ შემეწუხებინე, მეშინოდა, სამსახურიდან გამაგდებდი, მაშინ შენ პირველი მდივნის მარჯვენა ხელი იყავიო – პასუხობდნენ მამაკაცები.

ქალაქში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, პავლე გილაშვილი უნდა ჩამოსულიყო. გილაშვილზე ბევრი რამ კარგი მსმენოდა. გადმოცემით იგი გამორჩეულად თავმდაბალი, გულისხმიერი და კეთილი პიროვნება იყო. მტკივნეულად განიცდიდა მარქსისტული იდეებისადმი იმედგაცრუებას, რომელსაც იგი კომკავშირული ასაკიდან ემსახურებოდა. მოხდენილად ხმარობდა ლაკონიურ გამოთქმებს. იმხანად საკმაოდ გავრცელებულ გამოთქმაზე, – კომუნისტები ერთს ლაპარაკობენ და მეორეს ფიქრობენო, მას ორი სიტყვაც დაუმატებია, – მესამეს აკეთებენო. შეკითხვაზე – თქვენ კონსტიტუციით ქვეყნის პირველი პირი ხართ, პრაქტიკულად კი რატომ არ არის ასეო, უპასუხია: – კეთილი საქმე ვაკეთოთ, მთავარი Ум, честь и совесть – ი არისო. ამ სიტყვების რუსულ ენაზე გაჟღერებით ნათქვამი იყო, რომ იმ ქვეყნიდან კონსტიტუციას „ვეტო“ ჰქონდა დადებული.

როგორც ყველა მაღალი თანამდებობის კომუნისტს, მასაც კომკავშირული სკოლა ჰქონია გავლილი. კომკავშირის რესპუბლიკურ ორგანოებში მის მოღვაწეობას დამთხვევია ჭიათურის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაციის სტრუქტურებში „მარადმწვანეების“ მოღვაწეობა და ჰქონიათ მათ ახლო ურთიერთობაც. ამიტომ ამ მანდილოსნებს

სიამოვნებდათ ყოფილი ხელმძღვანელის ქალაქში ჩამოსვლა და ხმარობდნენ გამოთქმას – „ჩვენი პავლე ჩამოდის“. ეს გამოთქმა საორგანიზაციო განყოფილების გამგეს, დიტო ტატიშვილსაც გაუგონია და მესმის მისი ხმა: „ვინაა თქვენი პავლე, რაღა დროის თქვენი კომკავშირია, დაბერდით და უფროს – უმცროსი აღარ იცით, კაცი პრეზიდენტის რანგში ჩამოდის ქალაქში, საქმეს მიხედეთ, კაბინეტები მოაწესრიგეთ, კოხტად ჩაიცვით, მთავრობის ჯილდოები მკერდზე გაიკეთეთ და დარბაზში დაჯექით, ქალებს რომ გჩვევიათ, ისე შინაურულად არ შეეჩეჩოთ თვალებში ამ მეფის ტოლა კაცს“!

საგულდაგულოდ მოვემზადეთ. 15 სასოფლო საბჭოდან, 13 -ს სახელმწიფო გერბიანი ახალი დროშები დავურიგეთ და შენობათა სახურავებზე დამაგრება დავავალეთ. ორ სოფელში კი – გეზრულსა და ხვაშითში, ასეთის გაკეთება ზედმეტად მივიჩნიეთ. ვიფიქრეთ: შორი, თანაც მთაგორიანი სოფლებია და ერთი დღით, თანაც პირველად ქალაქში ჩამოსული, უმაღლესი თანამდებობის პირი სხვა საკითხებითაც დაინტერესდება და შორ სოფლებში წასვლისთვის დრო არ დარჩებაო.

გილაშვილი ჩამოვიდა. სოფელში გასვლა მოისურვა, ჩვენც ერთი „მორთულ – მოკაზმული“ სოფელი შევთავაზეთ. მან კი სოფელ გეზრულში წასვლა მოისურვა. შევწუხდით. მაგრამ ჩვენდაგასაკვირად იგი იქედან კმაყოფილი დაბრუნდა: საბჭოს შენობის თავზე რომ ახალი დროშა დამენახა, მივხვდებოდი, რომ ის საგულდაგულოდ ჩემთვის იქნებოდა გაკეთებული და მეწყინებოდა. ამბობდნენ და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჭიათურლებს „პაკაზუხობა“ არ გჩვევიათო. – სთქვა მან. თუმცა შემდეგ აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილისთვის შინაურულად უთქვამს: ვახტანგ, სოფელ გეზრულში ბოლოს როდის იყავიო. ვახტანგს კომკავშირული წრთობა ჰქონდა გავლილი და ეს თარიღი „ზუსტად გაუხსენებია“. გილაშვილს კი უთქვამს: მერედა იმ დაფხრეწილ დროშას რომ შეხედე, თავმოყვარეობა არა გაქვთ? შეცვალეთ თუ კაცი ხარ ის დროშა, საბჭოთა ხელისუფლება სხვა კი არაფერიაო.

სხდომათა დარბაზში ყველა სკამი დაკავებული იყო. ასეთ

ღონისძიებებზე მოწვეულებს მკერდზე მთავრობის ჯილდოები – ორდენები და მედლები უნდა ჰქონოდათ. მათ ნაკლებობას კი არ განვიცდიდით: ყველას ჰქონდა ქალაქ ჭიათურის დაარსებიდან ასი წლისთავის, ყოველ მეორეს ლენინის დაბადებიდან ასი წლისთავის, შრომის ვეტერანის ან კომუნისტური შრომის დამკვრელის მედლები. იყვნენ საკმაოდ პრესტიჟული ორდენების მფლობელებიც. და როცა ისინი მკერდზე ყველას ეკეთა, მათ კიაფზე ზემოთ ჩამოკიდებული დიდი ჭაღი და დარბაზი ურთიერთშემადგენელ ნაწილებად აღიქმებოდნენ. კაცები მკერდზე ორდენებისა და მედლების ჩამოკიდებისაგან თავს იკავებდნენ, მანდილოსნებს კი, ენაკვიმატი მამაკაცების სიტყვებით რომ ვთქვათ, სხვა ადგილი არც ჰქონდათ.

მარადმწვანეები დარბაზში პირველ რიგში ისხდნენ. გილაშვილი მივიდა მათთან, თითქმის ყველას სახელი გაიხსენა. კომპლიმენტების სახით გაიხსენა ეპიზოდები ახალგაზრდული წლებიდანაც. ჭაღარა მანდილოსნებმა დროებით კომკავშირულ ასაკში გადაინაცვლეს და თავის ყოფილ ლიდერს „პატაკი ჩააბარეს“ – ბოლომდე ერთგული დავრჩით იმ იდეებისა, რომლითაც თქვენ გვმოძღვრავდითო. ამ მანდილოსნების მისამართით, საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობაში დიდი წვლილისათვის, მადლიერების სიტყვები მაღალი ტრიბუნიდანაც სთქვა პრეზიდიუმის თავმჯდომარემ. შრომაც დაჰფასებიათო – სთქვა ბოლოს და გაწვდილი ხელით დარბაზს მათ მკერდებზე აკიაფებულ მედლებსა და ორდენებზე მიანიშნა. ამას მოჰყვა ტაში. მე ჭაღარა მანდილოსნების უკანა რიგში ვიჯექი და მაინც „ვხედავდი“ მათ გაბრწყინებულ სახეებს. მაგრამ გაცილებით უკეთ ვხედავდი მათ მხრებს, რომლებსაც მკერდებზე მოკიაფე მედლებისა და ორდენების სანაცვლოდ ამძიმებდათ არშემდგარი დედობის მძიმე ტვირთი.

ამ ტვირთს „მათი პავლეც“ ჩემზე უკეთ ხედავდა, ხედავდა და არც თავის წილ პასუხისმგებლობას გაურბოდა, მის კეთილ სახეზე, ქართული ასოებით იკითხებოდა ორი სიტყვა: – „მაპატიეთ გოგოებო“.

ინტრიგანი

ტერმინს – „ინტრიგა“, ასეთი განმარტება აქვს: ფარული ქმედება, ხრიკები, რაიმე მიზნის მისაღწევად.

ინტრიგანი ჩვენი საზოგადოების „აქტიური“ წევრია. ის ჩვენ გვაფხიზლებს, ეძებს, ნახულობს და ფლობს ინფორმაციებს ათასგვარ დარღვევებსა და ნაკლოვანებებზე. შემდეგ კი შეარჩევს შესაფერის დროს და ხელმძღვანელ მუშაკთა ან რიგით მოქალაქეთა დაშანტაჟებით ცდილობს და ზოგჯერ ახერხებს პირადი ანგარებითი ზრახვების რეალიზაციას.

ინტრიგანს დადებითი ფუნქციაც აკისრია. მისი როლი განსაკუთრებით გამოკვეთილი იყო ერთპარტიული მმართველობის პირობებში. მათი შიშით ბევრი ხელმძღვანელი მუშაკი თავს იკავებდა კანონსაწინააღმდეგო ქმედებისაგან.

ჭიათურის მაღაროს მუშები გეგმების შესრულების პარალელურად ხელფასთან ერთად იღებდნენ პრემიას. როცა პრემიას ვერ მიიღებდნენ, მუშათა ერთი კატეგორია საჩივრით მოდიოდა პარტიის საქალაქო კომიტეტში.

მაღაროთა ხელმძღვანელები აცხადებდნენ, რომ მართალია მარგანეცის დამზადების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, მაგრამ მასში დიდი იყო ფუჭი ქანების (მიწის) შემცველობა, რაც ქარხნული წესით გადამუშავებისას ჩამოშორდა მას, შემცირდა მადნის როგორც მოცულობა, ისე წონა და ვერ მოხერხდა პრემიის გაცემა. სახელდებოდა როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები, ობიექტური: – ბუნებრივად იყო დაბალი ხარისხის მარგანეცი. სუბიექტური: – ზოგიერთი მტვირთავი მუშა (ამწმენდი), შრომის გაიოლებისა და მოცულობის გაზრდის მიზნით,მადანში შეგნებულად ურევდა ფუჭ ქანს. ასეთ საქმიანობაში შემჩნეულებად კი სწორედ მომჩივანი მუშები სახელდებოდნენ.

ერთხელაც მომადგა ერთი მათგანი და პირველ მდივანთან

შესვლა მოითხოვა. ზოგიერთ საკითხებს ჩვენც ვწყვეტთ – ვეუბნები მე. – მე ჩემი პრემია მომეცით და მდივანთან რა მესაქმება. საუბარი გაგვიგრძელდა, მადნის ხარისხსაც მივადექით და შევაპარე: – თქვენ შემჩნეული ხართ მადანში ფუჭი ქანის შეგნებულად შერევაში. ჩამშვებლები! – წამოიძახა აღელვებულმა. – გამიშვი პირველ მდივანთან და მე ვეტყვი მას ყველაფერს. მდივანი ადგილზე არ არის, სთქვი რაც გაქვს სათქმელი.

მან „ყველაფრის“ თქმისაგან თავი შეიკავა, ეტყობა „გახურება“ არ ეყო და ბოღმამორეულმა სტალინი ინატრა. სტალინი მარგანეცის მადანში ფუჭი ქანის შერევისთვის შენ მიგახვრეტდა. – არც თუ მშვიდ ტონზე მივახალე მე. შეეტყო „ტემპერატურამ აუწია“ და დაიწყო:

– სტალინი ჩემზე ადრე ჩემს უფროსებს მიახვრეტდა, ამით მე ჭკუას ვისწავლიდი და აღარ მიმახვრეტდა.

– შენს უფროსებს რატომ მიახვრეტდა?

– იმიტომ, რომ სახელმწიფო ქონების დამტაცებლები არიან.

– რით ასაბუთებთ ამას?

– იმით, რომ ჩემი ხელფასის ნახევრით, ჩემზე ბევრად უკეთ ცხოვრობენ.

– გამოდის, რომ შენ პრემია შენი გარჯის საფასურად კი არა, უფროსების დაშანტაჟებით გინდა მიიღო.

– თუ ასე არ მოვიქეცი, ეგენი ხელფასსაც არ მომცემენ, ქალაქკომში წამოსვლას, რომ ვახსენებ, სულ ტკბილი სიტყვებით მომმართავენ, ეშინიათ ყველაფერი არ ვთქვა. – მაინც რა გაქვთ სათქმელი?

– ბევრი რამ, თუნდაც ის, რომ მაღაროს სახერხი დანადგარი, სახელმწიფო მასალებით, მაგათ საოჯახო დაკვეთებზე მუშაობს. რამდენიმე მძღოლია გამოყოფილი, ბიგის (ხის სამაგრი მასალა) დატაცება – გაყიდვაზე. ისინი შეკრულნი არიან და თანამშრომლობენ ყველასთან. თუ ბიჭია ვინმე შემთხვევითმა მძღოლმა გაბედოს ბიგის მოპარვა, ჩაუშვებენ მაშინვე. ეს წინასწარაა გათვლილი, წლის ბოლოს დანაკლისი მასალის ჩამოწერა უნდა მოხდეს და ამისთვის სასჯელს ვინმე ხომ უნდა

იხდიდეს... რას გაიკვირვე, იმ მძღოლებში პირველი მდივნის მძღოლიც ურევია.

– პირველი მდივნის მძღოლი რა, ექვსმეტრიან მორებს „ვოლგით“ ეზიდება? – ვაწყვეტინებ საუბარს მე.

– მაშ ვინაა ის ახალგაზრდა მძღოლი, ზოგჯერ რომ შავი ვოლგით პირველ მდივანს ატარებს, ზოგჯერ კი მაღაროზე მისატან ბიგას სახერხებში ეზიდება? მის მეტსახელს ვერ ვიხსენებ, „ც“ – ზე იწყება.

– კაცი კაცს ჰგავს, ყველა ახალგაზრდა მძღოლს მე არ ვიცნობ.

– ისე შენც ძალიან გგავს ერთი „სუსტი კაცი“, ჩვენს მაღაროზე მუშაობს, ყარაულია, მაგრამ თვითონ იპარავს ყველაფერს. ვინმე რომ არ ჰყავდეს, ამდენს ვერ გაბედავდა. ასე რომ შენც იცოდე და ჩემს უფროსებსაც გადაეცი „ჩემი პრემია“ მომცენ, თორემ ყველაფერს ვიტყვი, ინტრიგანს კი მეძახიან და სხვას რა ფეხებს მომჭამენ.

„ინტრიგანი“ მუქარის ტონით წარმოთქმული ამ სიტყვებით და პრემიის მიღების იმედით დამშორდა. მან კარგად იცოდა, რომ ის „ახალგაზრდა მძღოლი“, რომლის მეტსახელიც „ც“ – ზე იწყებოდა, პირველი მდივნის მძღოლის ძმა იყო, „სუსტი კაცი“ კი – ჩემი. „ახალგაზრდა მძღოლი“ სატვირთო მანქანაზე მუშაობდა. იგი შვებულებისა და ზოგჯერ სხვა დროსაც მართლაც სცვლიდა თავის ძმას და ატარებდა პირველ მდივანს.

ინტრიგანმა მიმანიშნა: ხელმძღვანელისათვის მარტო პირადი პატიოსნება საკმარისი არ არის, „თევზი თავიდანაა აყროლებული“, გახრწნილ თევზში კი პირველი მდივნისა და პირადად შენი ბაცილაც ურევია, გონს მოეგეთ თორემ თანამდებობებს დაგაკარგვინებთო.

ჩემს ძმას თავშეკავებულობისაკენ მოვუწოდე. პასუხად კი მივიღე: მე არაფერსაც არ ვიპარავ, თუ რამ დამჭირდა, ვთხოვ და მაძლევენო. მან ინტრიგანზე უკეთ იცოდა, რომ სახელმწიფო ქონებით მისი გულუხვად „დაჯილდოება“ ჩემს თანამდებობაზე იყო გათვლილი, მაგრამ მას ეს ნორმალურად მიაჩნდა და პირიქით, მე მიკიჟინებდა, თანამდებობას ვერ იყენებო. ერთხელაც მას სახერხი დანადგარისთვის მოტორი

დასჭირვებია, ამ მიზნით მისთვის მაღაროს ელმავლის მოტორი „მიუციათ“ და იგი დაქირავებული მანქანით სახლში წაუღია. მძღოლს კი ეს ფაქტი სპეცსამსახურებისათვის უცნობებია.

ჩემს სოფელში მდინარეზე ბონდი შენდებოდა. მშენებლებმა ბონდზე დასაფენი ფიცრების შოვნაში დახმარება მთხოვეს. მე ვისარგებლე ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობით და ხე – ტყის საწყობის ხელმძღვანელობას ვთხოვე ხუთი ცალი ხე ამ დანიშნულებით სახერხში გადაეტანათ. მძღოლს ეს ფაქტიც იმავე სამსახურებისთვის უცნობებია.

იმ ხანებში პირველმა მდივანმა პარტიული კომისიის თავმჯდომარის თანამდებობა შემომთავაზა და მითხრა – ცეკასთან შევათანხმებო. ცეკადან დაბრუნების შემდეგ კი – საეჭვოდ თავი შეიკავა. შემდეგ შევიტყვე, რომ სპეცსამსახურში ჩემი პიროვნების სახელის გამტეხი სამი ფაქტი (კომპრომატი) ირიცხებოდა ;

1). სხვაგვარად მოაზროვნე (იგულისხმება არაკომუნისტურად) – ჩემი წერილები კი ასეთი დასკვნის საფუძველს იძლეოდნენ.

2). ქურდი ძმის მფარველი – სერიოზული და სამართლიანი ბრალდებაა.

3). თანამდებობის არამართლზომიერად გამოყენება – სრული ჭეშმარიტებაა, ხე – ტყის საწყობიდან მასალის გატანა ამის საფუძველს იძლეოდა.

ასე, რომ ინტრიგანთან ერთად, სტალინი მეც მიმახვრეტდა. ამ ფაქტმა ერთი ამბავი გამახსენა: რამდენიმე წლის წინ სოფელ ითხვისის რვაწლიანი სკოლის დირექტორი ვიყავი. თავს პატიოსან მუშაკად მივიჩნევდი და ხალხიც ასე მიცნობდა. პედაგოგთა შორის ინტრიგანი არ მყავდა, ეტყობა ერთს მაინც ჰქონდა ასეთი მიდრეკილება. მას შენიშვნა მივეცი. იუკადრისა, შევკამათდით და საუბარი ჩემს კაბინეტში გავაგრძელეთ. ჩემს წაყენებულ შენიშვნაზე ვერ შემედავა, მაგრამ მითხრა: „ჩემს თვალში რომ ბეწვს დაეძებ, შენს თვალში დირე დაინახეო“. და სამი ფაქტი დამისახელა: 1. სკოლას არ ჰქონდა სასმელი წყალი. შემნახველ სალაროში ანგარიშზე მქონდა თანხა, მაგრამ მას ხელზე არ იძლეოდნენ. გადარიცხვით ანგარიშზე კი სავაჭრო

ორგანიზაციები წყლის მილებს არ ჰყიდდნენ. შემოდგომაზე, როცა სკოლის საცდელ ნაკვეთზე მოსავალი ავიღე, გავყიდე იგი, ვიყიდე მილები და სკოლაში მივიყვანე წყალი. ეს კი სერიოზული დარღვევა იყო, ამ ფულს ბანკი უნდა გაევლო; 2. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ავად გახდა, ერთი კვირის განმავლობაში სკოლაში არ დადიოდა და მის გაკვეთილებს მე ვატარებდი. დიდთოვლიანი ზამთარი იყო, იგი ექიმამდე ვერ მივიდა და ბიულეტენი ვერ გააფორმა. ამიტომ ჩემს მიერ ჩატარებულ გაკვეთილებზე ხელფასი მას გამოვუწერე, იუარა, მაგრამ ბოლოს აიღო იგი. არ ვიცოდი და თურმე ეს დიდი დარღვევა ყოფილა, მითუმეტეს, რომ ის პედაგოგი პენსიაზე გადიოდა და ბოლო წლის ხელფასზე გაანგარიშებით მისი პენსიის ოდენობა დგინდებოდა; 3. სკოლის ერთ – ერთმა მოსწავლემ თავის არეში ტრავმა მიიღო, მკურნალობდა და რამდენიმე მეოთხედური შეფასებები ვერ მიიღო, ამიტომ შემდეგ კლასში მისი გადაყვანა არ შეიძლებოდა, რაც მას დიდ სულიერ ტრავმას მიაყენებდა. მე წესების დარღვევით ეს მოსწავლე შემდეგ კლასში გადავიყვანე.

ამ სამი დარღვევიდან თითოეული საკმარისი იყო თანამ-დებობიდან ჩემი დათხოვნისა და მკაცრი პარტიული სას-ჯელისათვის. ახალგაზრდა კაცი ხარ, პარტიის წევრი და კარიერას არ გაგიფუჭებო – მითხრა „ჩემი მომავლით გულ-დამწვარმა“ ოპონენტმა. ეს კი ნიშნავდა – ჩემს საქმეშიც ცხვირს ნუ ჩაჰყოფო. ჩვენს შორის უსიტყვო გარიგება შედგა – „შენ შენთვის, მე ჩემთვის“. მაშინ გაჟღერებული არ იყო, მაგრამ ფაქტიურად მოქმედებდა ასლანიკაშვილის შეგონება – „თუ რამეს გააკეთებ, ბომბზე ზიხარ, თუარადა არ ვარგიხარ“.

ადამიანები „კანონმდებლობის“ ტყვეობაში იყვნენ მოქცეულნი: რიგით მოქალაქეთა დიდი ნაწილი და ხელმძღვანელ მუშაკთა უმრავლესობა კანონის დამრღვევი ან თანამონაწილე იყო. შევხვედრივარ წესიერ და პატიოსან კაცს, რომელსაც მშვენივრად მოუწყვია საცხოვრებელი სახლი თავისი დამხმარე შენობა – ნაგებობებითა და ეზო – შემოგარენით. საუბარში იკვეთება, რომ მისი ოჯახის კანონიერი შემოსავალი ამის საშუალებას არ იძლევა. სამუშაოდან რაღაცეებს ვსარგებლობ

– ამბობს იგი. კანონთან მიმართებაში, თავისი თავი მას „ნემსის ქურდად“ მიაჩნია და „აქლემის ქურდზე“ იბოღმება. შეკითხვაზე კი – შეიძლება თუ არა ცხოვრების ასე გაგრძელება, მპასუხობს: – შეიძლება, მაგრამ სტალინი გვჭირდება. შენდებოდა და მშვენდებოდა საცხოვრებელი სახლები და სხვა ნაგებობები სოფლად და ქალაქად. სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სამშენებლო მასალები კი მისი 20% – ით განხორციელებასაც ვერ უზრუნველყოფდნენ. დანარჩენი 80% – კი დატაცებული იყო. სისხლის სამართლის დანაშაული იყო არაყის გამოხდა და შენახვა. ქალაქ ჭიათურის მესამე საშუალო სკოლას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა უკრაინის ერთ – ერთი რაიონის თავისივე ნომრის (მესამე) მქონე საშუალო სკოლასთან. კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი, ყოველწლიურად ხდებოდა ურთიერთსტუმრობა. ერთ – ერთი ასეთი სტუმრობის დროს, დელეგაციის ხელმძღვანელს, ჭიათურის მესამე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს, საკმაოდ ავტორიტეტულ პიროვნებას, პავლე კურტანიძეს, უკრაინელი კოლეგებისთვის რამდენიმე ბოთლი ჭაჭის არაყი და ქართული კონიაკი წაუღია. ეს კი სამსახურიდან მისი დათხოვნის მიზეზი გახდა. კურტანიძემ ეს ფაქტი მტკივნეულად განიცადა და მოკლე დროში გულის შეტევით გარდაიცვალა.

გეზრულის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის, წესიერი და პატიოსანი კაცის, ზურაბ შეყილაძის სამსახურიდან დათხოვნის მიზეზი თავისივე ოჯახში, სტუმართან ვახშამზე დათრობა გახდა და ისიც მოკლე დროში გარდაიცვალა. მსგავსი ტრაგიკული შედეგები არა, მაგრამ საკმაოდ მძიმე სულიერი ტრავმები თან ახლდა სრულიად უბრალო საქმეებზე ხელმძღვანელ მუშაკთა თანამდებობიდან დათხოვნისა და სკკპ რიგებიდან მათი გარიცხვის ფაქტებს.

ყველა „დამნაშავის“ დასჯა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, ისინი „არადამნაშავეებზე“ ბევრად მეტი იყვნენ, ამიტომ ისჯებოდნენ შერჩევით: – ხელმძღვანელს ვინც მოესურვებოდა, ან ვის უკანაც ინტრიგანები და „ჩამშვებლები“ იდგნენ. სწორედ მათ სინდისზეა სტალინური რეპრესიების წლებში ათასობით ადამიანის უდროოდ შეწყვეტილი სიცოცხლე.

საეჭვო ავტოგრაფი

პარტიის საქალაქო კომიტეტში მოვიდა ქალაქში საკმაოდ ცნობილი და ავტორიტეტული პიროვნება – შოთა კალატოზი. მან პირველ მდივანთან შეხვედრა მოითხოვა. როდესაც შეიტყო, რომ პირველი მდივანი ადგილზე არ იყო, მიამბო თავისი გულისტკივილის შესახებ:

„საცხოვრებელი ბინა გამიტეხეს, გარკვეული დროის შემდეგ ჩემთან ბინაზე მოვიდა გამომძიებელი, მოიყვანა ერთი მორჩილი ტანის ახალგაზრდა და მე და ჩემს მეუღლეს გვითხრა, რომ ის იყო ჩვენი ბინის ქურდი. ჩვენ ვკითხეთ ამ ახალგაზრდას მოპარული ნივთებიდან სად რა აიღო და მან პასუხი ვერ გაგვცა. არც ის იცოდა, კარები გატეხილი იყო, თუ მორგებული გასაღებით გაღებული. ეს ახალგაზრდა რომ პირველად იყო ჩვენს ბინაში, მე და ჩემს მეუღლეს ამაში ეჭვი არ შეგვპარვია და ამ დასკვნითვე გავისტუმრეთ გამომძიებელი თავისი ახალგაზრდითურთ.გავიდა დრო და სასამართლოზე მეძახიან. გამოვცხადდი. იმ ახალგაზრდას ასამართლებენ. მე მოსამართლეს განვუმარტე, რომ არ ვცნობ ამ ახალგაზრდას ჩემი ბინის ქურდად.მოსამართლემ კი გამოძიების მასალებში მიჩვენა „ჩემი“ ხელწერა, თითქოს მე ის ახალგაზრდა ვცანი ჩემი ბინის ქურდად. მე ვადასტურებ, რომ ის ხელწერა არ არის ჩემი, ვგრძნობ თავს შეურაცხყოფილად და ვითხოვ ხელმოწერის გამყალბებლის დასჯას“.

ბატონი შოთა თავიდან ძალზე აღელვებული ჩანდა. როცა ყველაფერი მიამბო, ცოტა დამშვიდდა და ერთმანეთს დავშორდით. შემდგომ პერიოდში არაერთხელ მოსულა იგი საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანთან. მათ საუბარს მე არ დავსწრებივარ. საქმის ვითარების შესახებ კი ვეკითხებოდი ხოლმე. ერთხელ მითხრა: – ჩემი ხელწერის ნიმუშები აიღეს და გამოძიების მასალებში არსებულ გაყალბებულ ხელმოწერებთან ერთად მოსკოვში გააგზავნეს, მათი იდენტურობის დადგენის მიზნითო.

გავიდა დრო და ეს მოქალაქე კვლავ მოვიდა ჩემთან, ისევ აღელ-ვებული ჩანდა. გთავაზობთ მის ნაამბობს: „საცხოვრებელი ბინა გაუქურდეს სატრანსპორტო დარგის ერთ – ერთ ხელმძღვანელ მუშაკს, ბიწაძესაც. მასაც მიაჩნდა, რომ გამოძიების მასალებში გაყალბებული იყო მისი ხელწერა და მთელი პრინციპულობით მოითხოვდა გამყალბებლის დასჯას. მისთვის უთქვამთ: ჭეშმა-რიტების დადგენა თუ გინდა, ჩვენ იმასაც დავადგენთ, ის ქონება საიდან გქონდა შეძენილიო. ეხლა გავიგე, რომ ბიწაძე დაუჭერიათ და მექრთამეობის ბრალდებით ასამართლებენ“.

ძნელია იმის დადგენა თუ რა კავშირი ჰქონდა ბიწაძის სა-ჩივარს მისთვისვე წაყენებულ ბრალდებასთან, მაგრამ ასეთ კავშირს ბატონი შოთა ხედავდა. მან სამართალდამცველებთან დაპირისპირებას თავი აარიდა და საჩივარი შეწყვიტა.

ადამიანური სითბო

კაბინეტში ერთი ახალგაზრდა ვაჟი შემოვიდა. მან მიამბო, რომ ახალი დაბრუნებული იყო ციხიდან და სურდა დახმარება შრომითი მოწყობის საქმეში. ამ დროს კაბინეტის კარი გაიღო და შემოვიდა ქალაქის ყოფილი პროკურორი, კუკური მიროტაძე. ახალგაზრდა თავაზიანად ადგა და გარეთ გავიდა. შემდეგ კი, როდესაც მიროტაძე გავიდა, ახალგაზრდა ისევ შემოვიდა და მეუბნება: – „მე ეგ კაცი მიყვარს“.

– იცი ვინაა ეგ? – ვეკითხები მე.

– ქალაქის პროკურორია, მპასუხობს იგი.

– რა გაგიკეთა?

– ციხეში გამაგზავნა.

– როდის შეგიყვარდა პროკურორი?

– როცა დამიჭირეს, არასრულწლოვანი ვიყავი. მასთან მე პირადად შემახვედრეს და ერთი – ერთზე დამტოვეს. მან მე ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხა, მამაშვილურად მესაუბრა. მე ვღელავდი, მან დამამშვიდა და მითხრა: ნუ გეშინია, შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ, ცხოვრება ამით კი არ მთავრდება – იწყებაო და ბევრი სასარგებლო რჩევა – დარიგებაც მომცა. მე პროკურორი მიყვარს. – ამბობს იგი ბოლოს

– ყველა? – ვეკითხები მე.

– ყველა არა

– მაშინ ეგ პროკურორი აღარ არის

– ვინაა ახლა პროკურორი? ვეუბნები გვარს. ახალგაზრდა დუმს.

– ხომ არ გაიცნობდით?

– აღარ ვაპირებ.

ჩემთვის გავიფიქრე: – როცა ახალგაზრდას ყოფილი პედაგოგი არ უყვარს, ამ პედაგოგს „დახელოვნების კურსები“ პროკურატურაში უნდა გაატარო.

უმაღლესი სასწავლებლების ლიმიტები

უმაღლესი სასწავლებლის ლიმიტების განაწილება ძალზე უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა ქალაქის ხელმძღვანელობას.

1977 წელს „ლიმიტომანიის“ ეპიცენტრში მე ვიდექი. სულ გამოყოფილი იყო 16 ლიმიტი. ერთ თვეზე მეტი მომიწია დაძაბულმა მუშაობამ.

მთხოვნელთა რაოდენობამ ოთხასს გადააჭარბა. აქედან ნახევარს სავალდებულო მონაცემების არ ქონის გამო, იქვე ეთქვა უარი. კონკურსში ჩაება 200 – მდე აბიტურიენტი. ზოგიერთი მათგანის სტაჟი 10 წელს აღწევდა, მახსოვს სტალინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს რკინიგზელი მუშა (დგებუაძე) 15 წლის სტაჟით. ეს კონტიგენტი „ლიმიტომანიამ“ გამოაღვიძა, თორემ მოწოდებული არ იყო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებისათვის, რადგან ჯერ კიდევ მოსწავლეობის პერიოდში დაბალი იყო მათი აკადემიური ცოდნის დონე, რაც მკვეთრად იყო დაქვეითებული მათი ხანგრძლივი მუშაობის პროცესში.

ლიმიტის მთხოვნელთა შორის იყვნენ აბიტურიენტები, რომლებსაც სკოლაც წარჩინებით ჰქონდათ დამთავრებული, მუშაობის პარალელურად ემზადებოდნენ კიდეც და ისინი არამცთუ ინარჩუნებდნენ, არამედ იმაღლებდნენ კიდეც თავიანთი აკადემიური ცოდნის დონეს, მაგრამ მათი სტაჟი ერთი ან ორი წლით განისაზღვრებოდა და ვინაიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა სტაჟსა და მის ხანგრძლივობას ენიჭებოდა, ისინი კონკურსს ვერ უძლებდნენ.

ლიმიტების განაწილებისათვის შეიქმნა ავტორიტეტული კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ქალაქის მაღალი თანამდებობის პირები. კომისიის წევრი ვიყავი მეც, რიგითი ინსტრუქტორი, მაგრამ ამ საქმეში ყველაზე მეტად გათვითცნობიერებული მუშაკი.

კომისიის სხდომა დაიწყო. მის თვითეულ წევრს წინ ედო თაბახის ფურცლებზე ჩემს მიერ დატანილი თვითეული აბიტურიენტის ყველა სავალდებულო მონაცემი. გამოკვეთილი იყო შრომითი სტაჟის ხანგრძლიობა. კომისიის წევრები დოკუმენტის გაცნობით დაკავდნენ. სიჩუმემ დაისადგურა. ამ დგებუაძეს ლიმიტი უნდა თუ პენსია – ირონიული ღიმილით არღვევს სიჩუმეს კომისიის ერთი წევრი. ლიმიტი, ვპასუხობ მე. კარგად ნახეთ, არაფერი შეგეშალოთ – მპასუხობს ისიც და სიჩუმე გრძელდება.

დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ საუბარი კომისიის ერთ – ერთმა წევრმა დაიწყო: „ამ მიროტაძეს რა მოუვიდა კაცო...“, ჯანმრთელობა შერყევია, დაამატა მეორემ, გამოეხმაურა მესამეც და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის სურათის დახატვის შემდეგ ისევ სიჩუმე ჩამოწვა. ყველას ყურადღება მიპყრობილია ქალაქკომის წარმომადგენლისაკენ. დავეხმაროთ, წარმოსთქვა მან და ერთი ლიმიტის ბედი გადაწყდა. იგი გადაეცა იმ შრომით კოლექტივს, სადაც მიროტაძის შვილი მუშაობდა.

მიროტაძე ქალაქში ერთ – ერთი ავტორიტეტული პიროვნება იყო. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ჩემ-თვის ახალი არ იყო. ამის შესახებ წერდა მისი შვილი თავის განცხადებაშიც, რომლითაც იგი ლიმიტის გამოყოფას ითხოვდა. მე მომეჩვენა, რომ გადამწყვეტ მნიშვნელობას აბიტურიენტთა ოჯახურ მდგომარეობას ანიჭებდნენ (კომკავშირული წრთობა მაკლდა) და კომისიის წევრებს შევთავაზე აბიტურიენტ ცარციძის საკითხიც განეხილათ. ცარციძე თავის განცხადებაში წერდა, რომ მამა გარდაეცვალა, არ აქვს საშუალება „რეპეტიტორთან“ მომზადებისა და ითხოვდა ლიმიტის გამოყოფას. ჩემს ინიციატივას რეაგირება არ მოჰყოლია, არადა ცარციძის მამაც (კალენიკე), ორიოდე წლის წინ ქალაქში ისევე ცნობილი და ავტორიტეტული პიროვნება იყო, როგორც მიროტაძე.

ლიმიტები, თანახმად დადგენილი წესისა განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილებისათვის შრომით კლექტივებს გადაეგზავნათ. მათ უფლება ჰქონდათ ლიმიტი მიეცათ თავისი კოლექტივის ნებისმიერი წევრისათვის. თუ ის მონაცემებს დააკმაყოფილებდა.

„ჭიათურმარგანეცის“ საავადმყოფოს, იმის გათვალისწინებით,

რომ ამ დაწესებულებიდან ჩვენთან აღრიცხული იყო სამედიცინო ინსტიტუტის ლიმიტის მოთხოვნილი ორი აბიტურიენტი, ორივე ექიმობისათვის ყოველმხრივ მოწოდებული, მშვენიერი გოგონები ტეფნაძე და ბლიაძე, გამოეყო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის ერთი ლიმიტი.

კომისიის წევრები გულისტკივილს არ მალავდნენ იმის გამო, რომ ერთ-ერთი მათგანი ლიმიტის გარეშე დარჩებოდა. მაგრამ სამწუხაროდ იქ „კანონი“ მკაცრად დაიცვეს და ორთავე გოგონა ლიმიტის გარეშე დატოვეს: კრების მომზადებისას საავადმყოფოში აღმოჩნდა ტეფნაძესა და ბლიაძეზე მეტი სტაჟის მქონე პიროვნება, რომელსაც განცხადებაც არ ჰქონდა დაწერილი ლიმიტის გამოყოფაზე, კრებაზე კი გამოთქვა (თუ გამოათქმევინეს) ასეთი სურვილი და ლიმიტიც მან წაიღო.

შემდეგში საქალაქო საბჭოს აღმასკომში არაერთხელ შემოვიდა სამედიცინო ინსტიტუტიდან საყვედურის წერილი ამ სტუდენტის დაბალი აკადემიური მოსწრების გამო. ბოლოს მას ფაკულტეტიც კი შეუცვალეს და ქალაქმა ერთი კარგი პედიატრი დაჰკარგა. ერთადერთი, ვისაც ლიმიტი კანონითაც ეკუთვნოდა და მოწოდებულიც იყო საამისოდ, კუჭუხიძე იყო და მასთანაც ლიმიტი შემთხვევით, თანაც კრიტიკულ მომენტში, ბოლო დღეს აღმოჩნდა.

როცა „ლიმიტომანია“ დამთავრდა, ქალაქში ლიმიტის მიღებისას ხელმოცარული და ჩემზე განაწყენებული ბევრი ახალგაზრდა დააბიჯებდა. არაერთხელ დამიჭერია ჩემი მისამართით მათი განაწყენებული მზერა.

ერთხელაც რკინიგზის სადგურში ახალგაზრდა ვაჟს ახლობლები მატარებელზე აცილებდნენ. ახალგაზრდა ჩემთან მოვიდა და სიამაყით მითხრა: შენ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლიმიტი არ გაიმეტე ჩემთვის, მე კი ეხლა „ჭიათურმარგანეცის“ ლიმიტით მოსკოვის სამთო ინსტიტუტში მივდივარ სასწავლებლადო.

На каком языке будешь учиться: – ვკითხე მე.

ვერაფერი გაიგო, ხომ არავისში მეცვლებაო – გაიფიქრა

და ამხედ – დამხედა. „მე სერიოზული დავიჭირე“. შემდეგ ისევ გამცილებლებთან მივიდა და თავთან მიტანილი თითის წრიული მოქმედებით ჩემზე ანიშნებდა: – „გაუფრენიაო“.

ქალაქის სტუმრები

ზემდგომი ორგანოებიდან ქალაქის დაწესებულებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში სხვადასხვა მიზნით (საჩივრები, მეთოდური დახმარება, შემოწმება, რევიზია, კონტროლი) ჩამოსულ მუშაკს, თუ მუშაკთა ჯგუფს, სტუმრებს ვეძახდით. სტუმრებისადმი ყურადღება აღმასკომის საქმიანობის მნიშვნელოვანი უბანი იყო. ამ საქმის სერიოზულობას კი ორი ძირითადი ფაქტორი განაპირობებდა: პირველი – ქართული, ტრადიციული. მეორე – აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის, ვახტანგ უგულავას შთაგონება – „მშიერი რევიზორი კარგს არას დაწერს“.

ვახტანგ უგულავას ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა. ექიმებმა დაასკვნეს, რომ მას მკურნალობის ორთვიანი კურსი ესაჭიროებოდა. პირველ ნახევარში მან თბილისში, „ლეჩკომბინატში“ იმკურნალა, მეორე ნახევარში კი – „კისლოვოდსკში“. კმაყოფილი დაბრუნდა სამსახურში და გვითხრა – ექიმებმა მირჩიეს ორ თვეს სასმელს არ გაეკაროვო.

კვირა დღეა, საღამოს საათები. მე აღმასკომში ვმორიგეობ, ვახტანგი კი დოკუმენტებზე მუშაობს, „ჩაფლულია“ ქაღალდებში. შენობის შემოსასვლელთან მსუბუქი ავტომანქანა გაჩერდა. მასში მსხდომთაგან ერთი შენობაში შემოვიდა, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით ვართ ჩამოსულებიო, სთქვა და ვახტანგთან შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ კი ორთავენი ერთად გამოვიდნენ, ეზოში ჩავიდნენ და მანქანაში მსხდომ ორ სხვა პირთან ერთად გეზი რესტორნისკენ აიღეს.

რესტორნიდან დაბრუნებული ვახტანგი „შეზარხოშებული“ ჩანდა. მეწყინა. ვიცოდი, რომ ეს ცუდად აისახებოდა მის ჯანმრთელობაზე და მივანიშნე კიდეც. მან კი მითხრა – თუ სტუმრის გვერდში ჯდომა და მისი პატივისცემა ვერ შევძელი, ასეთი ცხოვრება არ მიღირსო.

ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე აღმასკომის თავმჯდომარე მოიკითხავდა, იყვნენ თუ არა ქალაქში ჩამოსული სტუმრები და ვინ უწევდა მათ მასპინძლობას. განსაკუთრებული ყურადღება მახვილდებოდა იმ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებზე, რომელთა ხელმძღვანელებიც ქალები იყვნენ. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობას ძირითადად თავის თავზე იღებდა ვახტანგ უგულავა. იგი თავისი სამეგობროდან ერთერთს ეტყოდა – „უკაცო ოჯახში“ სტუმრები არიან ჩამოსულები და მიხედე, ქალაქი არ შერცხვესო. ხელმძღვანელი ქალბატონები თავიდან ნაკლებად ინტერესებოდნენ მასპინძლობისათვის საჭირო ხარჯებით, შემდეგ კი გაზვიადებულად საუბრობდნენ მის წარმომავლობაზე.

სამსახურებრივი მისიით ჩამოსულ პასუხისმგებელ მუშაკებთან ქეიფი და „ძმაბიჭობია“ ცეკას მიერ „ნეგატიურად“ იყო შეფასებული და მკაცრად დაგმობილი. ასეთ პირობებში, „მწვადსა და შამფურზე“ (კანონსა და ტრადიციებზე) ერთდროულად ზრუნვა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, ვინაიდან მაღალი იყო მწვადთან ერთად საკუთარი სხეულის „დაწვის“ ალბათობა (თანამდებობის დაკარგვა).

საზოგადოებრივი აზრიც ტენდენციურად იყო ფორმირებული. ერთგვერდიანი განცხადებისა და მისი თანმხლები რამდენიმე დოკუმენტის საფუძველზე სამოთახიანი ბინის მიღება ლენინურ ნორმად იყო მიჩნეული. ოჯახში ამ ამბის აღნიშვნა კი – ტრადიციულ ნორმად. ხოლო თუ ვინმეს შესთავაზებდნენ, ეს შენაძენი ქალაქის სტუმრების თანხლებით და გაცილებით ნაკლები დანახარჯებით რესტორანში აღენიშნა, ეს სულ სხვაგვარად აღიქმებოდა.

ქალაქის სტუმრებისადმი ყურადღება ჭიათურლებს თავიანთ საპატიო მოვალეობად მიაჩნდათ. როდესაც ქვეყანაში კრიზისი გაღრმავდა და კვების პროდუქტები მოსახლეობაზე სულადობის მიხედვით ნაწილდებოდა, ფეხბურთის გუნდ „ჭიათურის მაღაროელის“ ვეტერანი ფეხბურთელი, იმჯერად კი უფროსი მწვრთნელი, ელგუჯა შვანგირაძე, მოვიდა საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანთან და განაცხადა:“ – სერიოზული პრბლემები შეგვექმნა და თითქმის ვეღარ ვახერხებთ ქალაქში სტუმრად

ჩამოსული გუნდების მასპინძლობას. ბოლო ხანებში გუნდის წევრები და ხელმძღვანელები ჩვენი ოჯახებიდან მოტანილი პროდუქტებით ვუმასპინძლდებოდით მათ. ეხლა ყველა რეზერვი ამოგვეწურა. ქალაქში სტუმრად ჩამოსულ გუნდებს თუ ღირსეული მასპინძლობა ვერ გავუწიე, მე იძულებული გავხდები წავიდე თანამდებობიდან.

ხოფერია ცოტა ხანს ჩაფიქრდა შემდეგ კი ყურმილი აიღო და „ჭიათურმარგანეცის“ – გენერალურ დირექტორთან ასეთი დიალოგი გამართა:

– მიხეილ პლატონიჩ, თქვენი ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთვნელი, შვანგირაძეა ჩემთან.

– ეგ ჩვენი კი არა, ქალაქის გუნდია.

– გუნდს „მაღაროელი“ ჰქვია და სხვათა შორის ჭიათურასაც მარგანეცის ქალაქს ეძახიან. გალაქტიონ ტაბიძემ კი მას „შავი ოქროს ქალაქი“ უწოდა.

– რაო, რა მინდაო ელგუჯამ, ბატონო ომარ!

– მოვა თქვენთან და მოილაპარაკეთ, სერიოზული საკითხი დააყენა და საქმე მარტო სპორტს არ ეხება. ქართულ ტრადიციებსა და ქალაქის პრესტიჟთან გვაქვს საქმე.

კომუნისტური მმართველობის პირობებში ანალოგიური შინაარსის საქმიანი საუბრები ქალაქისა და სოფლების საჭირბოროტო საკითხებზე „ჭიათურმარგანეცის“ ხელმძღვანელობასთან არაერთხელ შემდგარა და ხშირად შედეგიანადაც მთავრდებოდა. იმ წლებში ჭიათურა გამორჩეულად სტუმართმოყვარე ქალაქად ითვლებოდა. უმადურობა იქნება არ აღინიშნოს ამ საქმეში ქალაქის ე. წ. „საქმიანი ადამიანების“ („დელეცების“) წვლილი. ისინი საკმაოდ რისკიანი ცხოვრების ფასად ბევრ სხვა კეთილ საქმეებსაც აკეთებდნენ ქალაქში.

სხვადასხვა დროს დაწერილი წერილები

„როცა ქარი ქრის და ავდარია...“

გაზეთი „თვალსაზრისი“ 1990 წელი 2 ნოემბერი.

სამგზავრო ავტობუსით ჯვრის უღელტეხილთან მიახლოებისას აწ განსვენებულ, პროფესორ სერგი მაკალათიას ლექცია გამახსენდა: „ჯვრის უღელტეხილი წყალგამყოფი ქედის მონაკვეთს წარმოადგენს. იქ დაცემული წვიმის ორი წვეთიდან ერთი შავი ზღვისაკენ მიდის, მეორე კი – კასპიისაკენ. უფრო მეტიც, რიყის ქვიდან ასხლეტილი წვიმის ერთი წვეთიც კი შეიძლება ამ ნიშნით გაიყოს“.

– „თუ ქარიანი ამინდია?“ – იყო სტუდენტის რეპლიკა, – „თუ ქარიანი ამინდია, მაშინ ქარი წამოიღებს შავ ზღვაში ჩასასვლელ წვეთს და კასპიის ზღვაში მოახვედრებს“.

– „თუ ზენა ქარია, პატივცემულო?“...

– „ბერძენიშვილო, შენ აქ ფულით იქნები დიპლომისთვის მოსული, სამსახურიც წინასწარ გექნება ნაშოვნი, გააჩერე ენა და გვაცალე მუშაობა...“

ფიქრებში ჩაძირულს უნებლიეთ გამეღიმა. – რა გეცინებათ? – მეკითხება გვერდით მჯდომი ახალგაზრდა ვაჟი, – არაფერი, – იყო ჩემი პასუხი...

მეორე დღეს, თბილისიდან დაბრუნებულს, კულტურის სასახლის ეზოში „გახურებული“ მიტინგი დამხვდა. კომპარტიის მუშაკებს „ამუშავებდნენ“. მომიტინგეებს შორის ის ახალგაზრდაც შევნიშნე, მიკროფონს უახლოვდებოდა. ერთიც და, ავიდეს ტრიბუნზე და თქვას: ქალაქკომში რომ ჭაღარა კაცი მუშაობს, გუშინ ავტობუსში არაფერზე იცინოდაო, მე შენ გეტყვი შევედავები, ტყუილია – თქო, – გავიფიქრე ჩემთვის, შევშინდი, მაგრამ... „გადავრჩი“.

ჭიათურის სახალხო ფრონტის გაზეთ“კლდეკარის“ ღვინობისთვის 24 – ის ნომერში კი ნაღდად „ვეღარ გადავრჩი“.

იქ გამოქვეყნებულ ნანი სამხარაძის წერილში, სათაურით „თვალსაზრისი“, გაკრიტიკებულია პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტი, მისი გაზეთი „თვალსაზრისი“ თავისი რედკოლეგიით და მათ შორის პირადად მეც, მართლაცდა, არაფრისთვის.

წერილის ავტორი ბრალს დებს პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტს, თითქოს მან არჩევნების წინ შექმნა საკუთარი გაზეთი და ამით სხვა პარტიებთან შედარებით თავი პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაიყენა. საკვირველია, ასეთი აზრი რომ არ წარმოშობილიყო, სწორედ ამიტომ გაემიჯნა ქალაქის პარტიული ორგანიზაცია არჩევნების წინ თავის ტრადიციულ გაზეთ „ჭიათურის მაღაროელს“ და ჭიათურის სახალხო ფრონტისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიათა გაზეთების – „კლდეკარისა“ და „ჭიათურის“ მსგავსად შექმნა თავისი გაზეთი, სადაც არჩევნებთან დაკავშირებულ მასალებს ბეჭდავდა მხოლოდ საოლქო საარჩევნო კომისიასთან შეთანხმებით და მასში საერთოდ არ გამოქვეყნებულა არავითარი სახის ინფორმაცია კომუნისტური პარტიისაგან დეპუტატობის კანდიდატის, ბატონ ვ. ხუხუნაიშვილის სასარგებლოდ.

საფუძველს მოკლებულია მტკიცებაც იმის შესახებ, რომ ჩვენ გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის“ ხელმომწერთ, გაზეთ „თვალსაზრისის“ სახით, თავს მოვახვიეთ ახალი გაზეთი და ვაიძულებთ მათ ძალაუნებურად წაიკითხონ იგი. ვინც გაზეთს კითხულობს, ალბათ შეამჩნევს, რომ „ჭიათურის მაღაროელი“ მთლიანად განიტვირთა კომუნისტური პარტიის მასალებისაგან. გაზეთ „თვალსაზრისში“ კი ძირითადად იბეჭდება ის მასალები, რაც პარტიული კუთხით უნდა გამოქვეყნებულიყო წლის ბოლომდე „ჭიათურის მაღაროელში“ და მიწოდებოდა ხელმომწერთ. დაკვირვებულ თვალს არც ის გამოეპარება, რომ პარტიის ყრილობის მოლოდინში ეს მასალები მეტად მოკრძალებულია და ძირითადად ინფორმაციულ ხასიათს ატარებს. ეს ცნობისათვის, მაგრამ ავტორს არა ინფორმაციის მიღება სურს, არამედ სხვა მიზნებიც აქვს. მას გაზეთ „თვალსაზრისის“ რედკოლეგიის წევრთა მიმართ პატივისცემის აღიარების მიუხედავად, მიზნად მათი გაზეთის განქიქება

გაუხდია და ამ საქმეს თავიდან, გაზეთის დევიზით – „კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა, იქ ილოცე“ – იწყებს. მეეჭვება სიტყვათა ეს კომპოზიცია, ან მასზე აჟღერებული მელოდია ავტორში, საკმაოდ განათლებულ ლიტერატორსა და იგივე ხელოვანში, რაიმე „ალერგიას“ იწვევდეს. აკი წერს კიდეც: „ეს სიტყვები... ქართველი ხალხის კეთილშობილებასა და ჰუმანიზმზე“ მიგვითითებსო. მაშ რაშია საქმე? რა არ მოსწონს? კომუნიზმი რელიგია არ არის და იქ ლოცვა არ შეიძლება? ვფიქრობ არალოგიკურია ამ მოხდენილი გამოთქმის ასე პირდაპირ, ერთმნიშვნელოვნად გაგება, მითუმეტეს მაშინ, თუ იგი გაზეთის დევიზია. რაც შეეხება ქართული ენის ლექსიკის ფონდიდან „ოქრო“ სიტყვას – „ლოცვა“, მისი პირდაპირი მნიშვნელობით გაგება არამც თუ პატივცემულ ავტორს – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, მის მოსწავლესაც არ ეპატიება, რამეთუ ჩემზე უკეთ უწყის, რომ მისი შინაარსი დიდი ხანია გასცდა ვიწრო, რელიგიურ გაგებას და კეთილშობილური საქმიანობის სიმბოლოდ იქცა.

ავტორს ვერც იმაში დავეთანხმები, თითქოს გაზეთ „თვალსაზრისის“ შემოქმედებითი ჯგუფი პრეტენზიას აცხადებს „კაცური კაცები რაკი ვართ, კომუნიზმის „ტაძარში“ ლოცვას ნუ გვისაყვედურებთო“. ქალბატონი ნანი სრულებით საპირისპირო „პოლუსზე“ მოხვდა. ჩვენი გაზეთის დევიზით გზას ვულოცავთ და ერის სამსახურში მომავალში მაინც, გულწრფელად, კაცურად, ჩადგომას ვუსურვებთ ყოფილ თანაპარტიელებს. რომლებიც კარიერისტული და სხვა ანგარებითი ზრახვებით იმყოფებოდნენ პარტიის რიგებში. დღეს კი „ეფექტურად“ ტოვებენ მას და ოპოზიციური პარტიების რიგებს ავსებენ. დევიზში ჩადებულია ბევრი სხვა კეთილშობილური ზრახვა და სურვილიც, რისი ამოცნობაც ავტორზე უკეთ ბევრმა არავინ უწყის. მაგრამ თუ კრიტიკას თვითმიზნად გაიხდი და ერუდიციაც ხელს გიწყობს, ყველაფრის გაკრიტიკება შეიძლება. დევიზთან მიმართებაში კი, რომელიც ძირითადად სიმბოლურია, მაინც მეტი სიფაქიზეა საჭირო.

ცდება ავტორი, როდესაც წერს, თითქოს ჩემს წერილში „კომუნისტთა და არაკომუნისტთა ურთიერთობა საქართველოში

ლამის ფრანგებისა და პეტრე ბაგრატიონის მტრობა – დაპირისპირების რანგში იყოს აყვანილი“.

გაზეთ „თვალსაზრისის“ 21 სექტემბრის ნომერში სათაურით – „კაცი არ ყველა სწორია“. მე ვწერდი: „მოწინააღმდეგის დაფასება... თუნდაც იგი მოსისხლე მტერი იყოს, ქართველი კაცის ვაჟკაცური ბუნებისათვის არამც თუ უცხო ხილი, არამედ სრულებით ბუნებრივი თვისებაა“. ამის დასტურად ვამბობდი, რომ მუხლმოდრეკით: – „ვაჟკაცო ჩემგან მოკ-ლულო, ღმერთმან გაცხონოს მკვდარიო“, – დასტირიან ვაჟა – ფშაველას ნაწარმოებთა მოქმედი გმირები მოსისხლე მტრებს და ვაგრძელებდი: „პეტრე ბაგრატიონმა ბოროდინოს სამკვდრო – სასიცოცხლო ბრძოლის დაწყების წინ, შეხედა რა ფრანგების ვაჟკაცურ წვრთნას“, აღტაცებით წამოიძახა: – „აფერუმ ფრანგებო!...“ თუ უფრო ღრმად ჩაუკვირდებით ჩემს წერილს, დარწმუნდებით, რომ იქ არამც თუ მტრობაზე, არამედ სიყვარულზე და დაფასებაზეა საუბარი, მაგრამ, დავუშვათ, ავტორს ასე მოეჩვენა. კომუნისტთა და არაკომუნისტთა ურთიერთობა საიდანღა მოიტანა? რატომ ჰგონია, რომ მაგა-ლითად მხედველობაში არ მქონდა ჩვენი გათიშული ეროვნული მოძრაობა, ან ერის სხვა ჭრილობა?

წერილში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მარქსიზმის თე-ორიული მემკვიდრეობის კრიტიკას. როგორ მოვიქცეთ? ვიკამათოთ? მერედა, ვიცით კი მარქსიზმი? დღეს, როდესაც ჩვენი აღმზრდელი პროფესორ – მასწავლელბლებიც აღარ მალავენ, რომ ისინი ჩვენ მარქსიზმს „ანარეკლის ანარეკლიდან“ გვასწავლიდნენ და თვითონაც მისი ბევრი არაფერი გაეგებათ, ჩვენს დონეზე ამ თემაზე დისკუსია ვფიქრობ ჩიხში შეგვიყვანს. ბოლოს მინდა დავძინო, რომ ოპონენტთან ძალზე კეთილი პირადი ურთიერთობა მაკავშირებს. ამის საფუძველს ნამდვილად იძლევა პედაგოგიურ ასპარესზე წარსულში ჩვენი ერთად საქმიანობა. მაშინ საზოგადოებრივი ცხოვრების პრინციპულ საკითხებზე ჩვენი აზრი არასდროს იყოფოდა. „არ გვინდა კაცური კაცები იქ ლოცულობდნენ, სადაც ლოცვა არ შეიძლება“. – წერს ავტორი ჩემი მისამართით.

გულწრფელ მადლობას გიძღვნით, ქალბატონო ნანი,

პიროვნულად ჩემდამი კეთილი დამოკიდებულების გამოხატ-ვისათვის, მაგრამ... „თუ ჩემს ქებას არ იშლი, ლოცვას ნუღარ დამიშლი“... გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული ჩემი წერილებით შეძლებისდაგვარად, ძირითადად პედაგოგიური პოზიციებიდან, ვცდილობ შევეხო ერის აბობოქრებული ცხოვრების სხვადასხვა მხარეს და რამდენად სწორ „დიაგნოზებს“ ვსვავ, ეს მკითხველმა განსაჯოს, ფაქტია კი, რომ თქვენ ზოგიერთ რამეში არ მეთანხმებით. არც ეს მწყინს, პირიქით, მსიამოვნებს კიდეც განათლებულ და კულტურულ ოპონენტთან პაექრობა, ესეც საჭირო და აუცილებელია, თორემ ყველამ რომ ერთგან „ილოცოს“, ისევ ერთპარტიულ სისტემაზე დავალთ, რომლის არასახარბიელო შედეგსაც დღეს ჩვენი თაობა იმკის.

„ლოცვა“, კაცური საქმის კეთება ყველგან, ყველა პარტიაში შეიძლებოდა და შეიძლება. მაგრამ ერთი აზრი ამეკვიატა თავიდანვე და წერილიც იმით მინდა დავამთავრო. სად იყოფა ოპონენტთა, ამ შემთხვევაში კი ჩვენი პოზიციები? მაგონდება ჯვრის უღელტეხილი უამინდობისას, „როცა ქარი ქრის და ავდარია“, რიყის ქვიდან ასხლეტილი წვიმის გაყოფილი წვეთიც სიმბოლურად მენიშნება... იქნებ იქ, თქვენ, ახალგაზრდა, ნიჭიერმა პედაგოგმა კომუნისტური პარტიის რიგებში შესვლა რომ არ ისურვეთ? ასე რომ არა, იქნებ ჩვენ დღეს ერთ პარტიაშიც „გველოცა“. მჯერა, ზოგიერთებივით არ უღალატებდით და ბევრ რამეშიც წაადგებოდით კიდეც მას ამ „გაჭირვების“ ჟამს. არ მითხრათ რწმენას ვემსახურებიო... მე არ ვიცი თქვენ რამდენად გწამთ თქვენი „სალოცავისა“, ჩემს გაგებაში კი იმქვეყნიური სამოთხე და ამქვეყნიური კომუნიზმი აბსოლუტური სინონიმები არიან და არცერთისა არაფერი მწამს. მიუხედავად ამისა დიდ პატივს ვცემ ქრისტიანულ სარწმუნოებას და იმ ხალხს, ვინც წრფელი გულით ემსახურა და ემსახურება მას.

ასევე დიდ პატივს ვცემ „კომუნიზმის მშენებლობაში“ ამაოდ დამაშვრალ ადამიანებს. მათ შორის თქვენს მშობლებს, რომლებსაც საერთო ჯამში პარტიაში ყოფნის საუკუნეზე მეტი სტაჟი აქვთ და მათი გამოცდილების ხელაღებით უარყოფა, ვფიქრობ, „ტაძრისაკენ“ უმოკლესი გზით ვერ წაგვიყვანს.

პ ო ლ ე მ ი კ ა

გაზეთი „თვალსაზრისი“, 1990 წლის 23 ნოემბერი.

ღია წერილი ბატონ როსტომ ტაბატაძეს.

ნანი სამხარაძე.

ბატონო როსტომ, ძალიან არ მოგწონებიათ ჩემი პუბლიკაცია გაზეთ „თვალსაზრისთან“ დაკავშირებით. ეს სულაც არ მიკვირს, მაგრამ წერილის არმოწონება უფლებას როდი გაძლევთ ცილის შეწამება დაიწყოთ და ვითომდა შერიგება – დაფასებისაკენ მომწოდებელმა კაცმა ნაღმი ჩადოთ ადამიანთა ურთიერთობაში. დავიწყოთ ერთი მთავრით, რომლის პატიება ძალიან გამიჭირდება, სხვა დანარჩენი თქვენს პოზიციაზე მდგომ კაცს მიეტევება. მაგრამ რაკი წერას დავიწყებ, ორიოდ სიტყვას სხვა „ბრალდებებზეც“ მოგახსენებთ.

ალბათ არც ღირდა თქვენი წერილი გამოხმაურებად. მაგრამ როგორ გავჩუმდე, როცა მშობლების შრომის დაუფასებლობაში მდებთ ბრალს. როგორ, რისი თქმა გსურთ, თქვენ აფასებთ ჩემს მშობლებს და მე არა? საიდან დაასკვენით, რომ მათ დამსახურებას ოჯახის, შვილების და საზოგადოების წინაშე არად ვაგდებ. განა იმით, რომ კომუნისტი მშობლების შვილმა კომუნისტური იდეალებისადმი ღრმა პატივისცემა არ გამოვამჟღავნე? ამის მიხედვით შეიძლება კაცმა დაასკვნას, რომ შვილი მშობლების გამოცდილებას „ხელაღებით უარ-ყოფს?“ არა, ბატონო, მაგრამ თქვენ მართლაც უფროსულ – პარტიულად დამტუქსეთ და თან საზოგადოებას ამცნეთ, ნახეთ, ეს საძაგლები ქრისტესმოსაობას ქადაგებენ, მშობლებს კი არ აფასებენ, ჩვენ კი, დახეთ, როგორ მოწიწებით ვექცევით ყველასო. რაც უნდა გამაცეცხლოს ამ ბრალდებამ, მშობლების ქებას ვერ დავიწყებ, ძალიან უხერხულია, ერთს კი მაინც ვიტყვი: ჩემმა მშობლებმა მართლაც პატიოსნად განვლეს ცხოვრების გზა, მაგრამ ამაში დამსახურება პარტიულ მანდატს

კი არ მიუძღვის, არამედ თვით მათ სულიერ სტრუქტურას, თორემ მანდატიანებიც ბევრნი იყვნენ, თუნდაც დედაჩემისა და მამაჩემის ახალგაზრდობის პერიოდში, უკადრისს რომ კადრულობდნენ.

„არ მითხრათ“ ახლა, მაგის მსგავსი არაფერი დამიწერიაო. კითხვა, ტარიელ ჭანტურიასი არ იყოს, მე რუსთაველმა, გურამიშვილმა, ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ და ბევრმა სხვამ მასწავლა, ასე რომ დაწერილის წაკითხვა არ მეშლება. უფრო მეტსაც გეტყვით, თქვენს ნაწერში მშობლების შვილთან დაპირისპირების სურვილი ჟონავს, მაგრამ ეს თქვენი ბრალი არ არის. ეს მეთოდი კომპარტიის ბრძოლის არსენალიდანაა და როგორც ჩანს, ჯერ მას ყავლი არ გასვლია.

ბატონო როსტომ, ალბათ იცით რომ რუსეთში პროგრესული ძალები კომპარტიას (და არა კომუნისტებს) სასამართლოს უწყობენ, როგორც დანაშაულებრივ ორგანიზაციას. (ამ სასამართლოს, ცხადია, მხოლოდ მორალური მნიშვნელობა აქვს). მართალნი არიან დემოკრატი რუსები. რატომ? ამის მტკიცებას მე ვერ მოვყვები. ამაზე იმდენი რამ იწერება, ჩემგან გადამუშავება რაღა საჭიროა, ან რა გაზეთი დაიტევს? თქვენმა წერილმა კი ერთხელ კიედვ დამარწმუნა, რა მდგომარეობაში აგდებს ადამიანებს კომპარტიის სამსახური, თქვენ კომუნიზმის არ გწამთ და მაინც კომპარტიას ემსახურებით. არა თუ არ გწამთ, არა გგონიათ, რომ ვინმეს სწამს რაიმე ამ ქვეყნად, და მერე განა თქვენ ხართ მარტო ამ დღეში? ბევრი სხვაც გყავთ თანამოაზრე, რომელთაც ქართველთა ეროვნული ბრძოლა სკამისათვის ბრძოლა ჰგონიათ. მართლაც საბრალდებო სკამზე დასმული უნდა იყოს ის პარტია, რომელიც კაცს ათქმევინებს: „არ მითხრათ რწმენას ვემსახურებიო“ – (ეს რა სტილია, ნამდვილად არ გეკადრებათ დარბაისელ ორთოდოქს კომუნისტს, თორემ მომიტინგე, ქუჩაში მყვირალი ხალხისთვის კი არის შესაფერისი). რაც ზემოთ ბრძანეთ თქვენ, ამისთანა შეურაცხყოფისათვის შეიძლება კაცს უმკაცრესად მოთხოვო პასუხი, მაგრამ რა გელაპარაკოთ, როცა თქვენ თვითონ არაფერი გწამთ. რაკი ვერაფრით ვერ მიხვდით ჩემს რწმენას

და სიყვარულს რა ჰქვია, იძულებული ვარ მე თვითონ ვთქვა. ის მაინცდამაინც ორთოდოქსალური მართლმადიდებლობა კი არ არის, არამედ „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება“. გამიჭირდება რწმენაზე ხმამაღლა ვიყვირო, ამიტომ ისევ გურამ დოჩანაშვილს დავიხმარ. გახსოვთ ალბათ ამ სახელწოდების მოთხრობა „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება“ აქვს დიდებულ მწერალს. მოვიყვან ნაწყვეტს შალვა კეჟერაძის და ლიეპაში მიმავალი, შემდეგ ჭიათურაში კეჟერაძის მიერ გამოტაცებული გაბრაზებული გერასიმეს დიალოგიდან:

„ – არ გძინავს, გერასიმე?

– არაჰ, – აღმოხდა.

– რატომ არ გძინავს, ა, გერასიმე!

– რა დამაძინებს, რა მინდოდა აქ!

– რუკზაკს გათხოვებ, ბეჭებქვეშ დაიგე...

– არ მინდა. რატომ წამომიყვანე?

– ერთი რამის სიყვარულით...

– რის სიყვარულით, კაცო...

– დაფარვა რომ სჭირდება...

– რატომ სჭირდება...

– უხერხულია გამჟღავნება, იმდენად ნაღდია, გულში სათუთად უნდა ატარო.

– რაა ასეთი....

– საქართველოა, გერასიმე, ჩვენი...“

ხედავთ ბატონო როსტომ, რისი განმარტება მიწევს? რისი ბრალია ეს თუ იცით? იმის, რომ 70 წელია ქართველს არწმუნებენ: „შიროკა სტრანა მაია რადნაიაო“ და ამის ძახილში მართლაც დაავიწყეს, რომელი იყო მისი სამშობლო და რა ევალებოდა მის წინაშე, სხვისი არ ვიცი და მე რომ რწმენა და სიყვარული არ მქონდეს, არათუ რაიმეს დავწერ, ორ სიტყვასაც არ ვიტყვი ერთმანეთზე. თქვენი თქმით კი, მე ის ადამიანი ვარ, რომელიც გამორიცხულია, რომ რწმენას ემსახურებოდეს. რატომ აძლევთ მკითხველის დეზინფორმაციის უფლებას საკუთარ თავს? თანაც აცხადებთ „საზოგადოებრივი ცხოვრების

პრინციპულ საკითხებზე ჩვენი აზრი არასოდეს იყოფოდაო“. მოვიკალი ცოცხალი თავი და ვერაფრით ვერ გავიხსენე, როდის მქონდა თქვენთან ისეთი გულახდილი საუბარი, რომ ამის შემდეგ შეხედულებათა იდენტურობა გემტკიცებინათ „საზოგადოებრივი ცხოვრების პრინციპულ საკითხებზე“. არაფერიც არ იცით თქვენ ჩემს შეხედულებებზე და როცა რაიმე არ ვიცით, მართლაც არ უნდა ვწეროთ, მით უფრო, რომ ადამიანს შეეხება საუბარი და არა მკვდარ თეორიებს (თუმცა ჩვენს „სოციალისტურ სამშობლოში“ ადამიანებზე მეტად, თეორიები, თუნდაც მკვდარი, ფასობდა. ჩანს ეს მიუღებელი ტენდენცია მეტნაკლებად, ჯერაც მოქმედებს).

როგორც თქვენი „ჩანახატიდან“ „აღმოვაჩინე“, ჩვენ ქარს წვიმის წვეთებივით სხვადასხვა მხარეს გადავუყრივართ. თქვენ სად წაგიღოთ ქარმა ნამდვილად არ ვიცი. მე კი იქ ვდგავარ, სადაც უნდა ვიდგე, რადგან უნივერსიტეტში სწავლის დროს პირადად მე მტკიცედ დამაჯერეს, რომ თუ ერის სამსახური ნამდვილად გვინდოდა, მიზნის აღსასრულებლად სკოლის მასწავლებლობაზე უკეთეს ადგილს ვერასდ ვნახავდით და მართლაც მირჩევნია ყოველ წელიწადს ვუჩიჩინო და ვაზეპირებინო თხუთმეტ – თექვსმეტი წლისანებს: „მესმის, ბიძაჩემო, მაგრამ მე ჩემდათავად გაზაფხულის მახარობლობის დროს სიკვდილი მირჩევნია ზამთრის წინასწარმეტყველებაში მედიდურად სიცოცხლეს... ვიცი, განა არ ვიცი რომ დიდკაცობა ტკბილია... მაგრამ არ მინდა ის გადამვარდეს გულიდან, რაც სიკვდილამდე უნდა მახსოვდეს და ვეტრფოდე...“ ამას და სხა ბევრ ბაჯაღლო სიტყვას გვასწავლის მე და ჩემს მოსწავლეებს ქართული ლიტერატურა და „ვინც ისმენს კაცი ვარგი,“ ის თქვენს მხარეს არ წამოვა.

არ ჩამითვალოთ, რომ ვინმეს განვიკითხავდე სკოლის მიტოვების გამო. ადამიანს ადამიანური ცხოვრება სჭირდება. მასწავლებლობა კი არავითარ სოციალურ გარანტიას არ იძლევა. განა შეიძლება ასეთ შემთხვევაში ვინმე გაამტყუნო, მით უფრო მამაკაცი, რომელსაც მყარი სოციალური მდგომარეობა უნდა ჰქონდეს, რომ ოჯახის წინაშე პირნათელი და წელში გამართული იყოს? დამნაშავე ამაში სწორედ ის

სახელმწიფოებრივი სტრუქტურაა, რომელსაც თქვენ იცავთ და რომელსაც, სხვათაშორის, სამხედრო ხარჯებისათვის ეროვნული შემოსავლის 40 პროცენტი აქვს გადადებული, განათლებისათვის კი მხოლოდ 0,75 პროცენტი, ამიტომაცაა ჩვენს სკოლებში და არა მარტო სკოლებში აწყობილი საქმე. ამიტომაცაა რომ ბევრი (და არა ყველა საბედნიეროდ), რომელთა ინტელექტი ნამდვილად გამოადგებოდა სკოლას, ახლოს არ ეკარება მას, ამიტომაა, რომ კანტიკუნტ შემორჩა მამაკაცი მასწავლებლები სკოლას, წყალივით რომ სჭირდება აღზრდის საქმეს, მაგრამ ამას ვინ დაგიდევს, იქნებ უფროც ეპრიანებოდათ მავანთ სეთურის მონებად ადამიანების ქცევა. ასეთად აღზრდას კი გონების გახსნის დიდოსტატები არ ესაჭიროება. არც ის არის შემთხვევითი, რომ ბოლო დრომდე ჰუმანიტარული მეცნიერებანი გერის როლში იყო სასწავლებლებში და თუ უკეთესი მდგომარეობა ამ მხრივ საქართველოს აქვს სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, ეს ჩვენი ბრძენი და გულმხურვალე ხალხის დამსახურებაა.

ბატონო როსტომ, ვინმესთან კეთილი პირადი ურთიერთობა მაინც არ ნიშნავს, რომ მას კარგად იცნობ, და როცა ნაკლებად იცნობთ, საგაზეთო წერილი მის შესახებ რაღაც ვარაუდებზე არ უნდა ააგოთ. თქვენს „ლიმიტირებულ“ პარტიაში კიდეც რომ მოვხვდერილიყავი (ისე შემთხვევით არაფერი არ ხდება), ჩემგან თქვენი პარტია (როგორც ბევრი სხვისაგან) საწევროს გადამხდელის მეტს ვერაფერს იშოვიდა. ხოლო 9 აპრილის მერე საწევროს გადამხდელსაც დაკარგავდა, როგორც შეგატყვეთ, გულიც გწყდებათ იმათზე, ვინც სკკპ რიგებს ტოვებს, რატომ გგონიათ რომ მხოლოდ კარიერისტები აკეთებენ ამას? ბევრი მართლა შემთხვევით მოხვდა მასში, ან არ იცოდა უკანასკნელ დრომდე (ან საიდან ეცოდინებოდა), რომ ამ პარტიის წევრთა ძალისხმევით 1921 წლის თებერვალში საქართველოში:

„იმ გზით, სად წინათ ელავდნენ ხმლები,
სად სამას გმირთა დაიფშვნა ძვლები,
სად ქართლის დედის ცრემლით ნანამი,
მძიმედ დაეშვა ჩვენი ალამი,

სად, გმირთა სისხლით ნაპოხიერი,
თოვლს დაეფარა კრწანისის ველი,
წითელი დროშით, მოღერილ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით
შემოდიოდა სიკვდილი ცელით".

(კოლაუ ნადირაძე, 25 თებერვალი, 1921 წელი).

თეთრი ცხენი ორჯნიკიძეს ჰყავდა, იცი ალბათ. ამ კაცის მიზანი და საერთოდ კომპარტიისა, კომუნიზმის აშენება იყო. ეს მიზანი აღარ არსებობს. თქვენ პატიოსნად აღიარეთ, რომ კომუნიზმის არაფერი გწამთ, დალოცვილო, მეც მაგას არ გიჩიოდით? თქვენ კი აშარება და სიტყვა „ლოცვის" სემანტიკის არცოდნა დამაბრალეთ (გვარიანი ბრალდება კია ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებლისადმი). გეუბნებოდით, ვერ ილოცებთ კომუნიზმის ტაძარში – მეთქი. იმიტომ, რომ არ გწამთ, იმიტომ რომ კომპარტია თავის საფუძველში არ არის ეროვნული პარტია. ახლა რაღას ემსახურებით? თუ მართლაც გეზი შეიცვალეთ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კომპარტიად მაინც აღარ უნდა იწოდებოდეთ. თუ ისევ აგრძელებთ სოციალიზმის კოსმეტიკას, ფასადშეცვლილი სოციალიზმისათვის სხვადასხვა სახელების შერჩევას და სვლას „ნაბიჯით წინ, ორი ნაბიჯით უკან..." „ნაბიჯით წინ, ორი ნაბიჯით უკან". (ასე იარა ჩვენმა დამაწყევარმა).

სხვათაშორის მე მარქსიზმის თეორიას კი არ ვაკრიტიკებდი (მტერმა იკითხა ახლა მარქსიზმი), არამედ ამ თეორიის შედეგებზე ვლაპარაკობდი (სხვანიც დავიმოწმე). ეს შედეგები კი იმდენად ზედაპირულად დევს და თვალნათელია, რომ არავითარი ერუდიცია და დიდი ინტელექტი მის დანახვას არ სჭირდება, თუ ძალით არ დაიბრმავებ კაცი თვალებს. ძალიან კი გამიწყერით ბატონო როსტომ, მარქსიზმის უცოდინარობის გამო, მაგრამ თუ არავის ესმის ეს ჩვენი ცოდვით სავსე მარქსიზმი და ვერც გამოიყენა ვინმემ რაიმეში, ხომ არ აჯობებდა სულ დაგვენებებინა თავი. რას ვაკვდებით, რა ფიცით შევეკარით? ოცდამერვე ყრილობის მასალების წაკითხვას რომ მთავაზობთ

კიდევ, არასასურველი ნაწერების მოძალებაზე თუ მიდგა საქმე, მეც შემიძლია „დაგაძალოთ“ თ. წივწივაძის წერილები.

ბატონო როსტომ! თგვენს გონიერებაში და პატიოსნებაში ეჭვი არ მეპარება, ისევე როგორც ბევრ სხვას (არ გეგონოთ ეპითეტებს გიბრუნებდეთ, ობიექტურობის გრძნობა მკარნახობს), მაგრამ ნუთუ არასოდეს გიფიქრიათ (ახლა მაინც), რომ კომპარტია არ არის აღმოცენებული ეროვნულ ნიადაგზე და ვერც შეძლებს ეროვნული საქმეების კეთებას, რადგან ცენტრი საქართველოში არა აქვს?

ბოდოშის მოხდით ერთ ეპიზოდს შეგახსენებთ ჭ. ამირეჯიბის რომანიდან (ჩემი მაინც არ გჯერათ). საიდუმლო მრჩევლის ჩინით გატაცებულ მუშნი ზარანდიას ეკითხება მამა, თუ რას ელის დაწინაურებიდან, შვილი პასუხობს: „ბევრ რამეს ველი, უპირველესად იმას, რომ მეტი სარგებლობის მოტანას შევძლებ ჩემი ქვეყნისათვის და ხალხისათვის“... მამის პასუხი: „მაგ განზრახვით და დაპირებით ბევრმა მიაღწია მაღალ თანამდებობას, მარა იქ რომ მივიდა, მერე ვეღარ შეძლო სურვილისა და დაპირების შესრულება. ასე იცის სხვის სამსახურში დიდკაცობამ. მეფის სამსახური, მისთვის სასარგებლო და შენი ერისთვის საზიანო რაც არის, იმას გაგაკეთებინებს მარტო“... სრული ჭეშმარიტებაა, ვერაფერს დავამატებ.

დაბოლოს, ახლა საქართველოში ავი დარი არ არის. რა თქმა უნდა, არც დარი გვიდგას, მაგრამ ჭაობში ნელ – ნელა ჩაძირვას ბევრად სჯობს ის მდგომარეობა, რომელშიც ახლა ვიმყოფებით. მე ახლანდელი ვითარება გაზაფხულის მაუწყებელ ჭექა – ქუხილს უფრო მაგონებს, რომლის გადაგრუხუნების შემდეგ ილიასა და აკაკის შვიდფერი ცისარტყელა შეაერთებს ჩვენს „ცა ფირუზსა“ და „ხმელეთ ზურმუხტოვან“ მხარეს.

„რაც მომივა დავით

о...“

როსტომ ტაბატაძე.

ქალბატონო ნინი! სახალხო ფრონტის გაზეთ „კლდეკარში“ გამოქვეყნებული თქვენი წერილის – „თავალსაზრისი“, უპასუხოდ დატოვება ნამდვილად არ შეიძლებოდა. მასში თქვენ ნიჭი და უნარი არ დაიშურეთ პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტისა და მისი გაზეთის განქიქებისათვის, რამაც კომუნისტთა, განსაკუთრებით კი ვეტერანთა, დიდი გულისწყრომა გამოიწვია და მათ მიერვე საკადრისი პასუხი მზადდებოდა. მამოძრავებდა რა კეთილი ნება, არ დაგიპირისპირეთ მშობლების ტოლი ადამიანები, რომლებიც მხოლოდ იმ წერილით გიცნობდნენ და მე, როგორც ნაცნობმა (თურმე ვერ მიცვნიხართ), შედარებით თბილი საპასუხო წერილის დაწერა ჩემივე ინიციატივით ვიკისრე. ვიკისრე და ეხლაც მიმაჩნია, რომ ნამდვილად სწორად მოვიქეცი.

ამ წერილის სათაურს ნუ მიენდობით. იგი სხვისთვის ჭკუის სასწავლებლად ვიხმარე. თორემ მე აწი ჭკუას ვეღარ ვისწავლი, ამაო მცდელობის შედეგად „ჩემს მოთვინიერებაზე“ ჯერ დედაჩემმა, ბოლოს კი მეუღლემაც აიღო ხელი.

გადავიდეთ თქვენს მიერ ჩემდამი წაყენებულ კონკრეტულ „ბრალდებებზე“.

ჩემი წერილი ნამდვილად არ იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ „მშობლებთა შრომის დაუფასებლობაში“ გდებთ ბრალს. ღვაწლმოსილ, ვეტერან კომუნისტთა გამოცდილების დაფასების აუცილებლობაზე ვწერდი და ამას ახლაც ვიმეორებ. და თუ ასეთი მოსაზრების გამოთქმისას იკვეთება „მშობლებისა“ და „შვილების“ დაპირისპირება, ეს საზოგადოებაში ჩვეულებრივი მოვლენაა, მამათა და შვილთა (თაობათა) ბრძოლები ისტორიაში ცნობილია კომპარტიის დაარსებამდეც. ამიტომ ამ კანონზომიერების აღმოჩენას ნურც

მე ჩამითვლით დამსახურებად და ნურც „კომპარტიის ბრძოლის არსენალს“ მიუმატებთ ცოდვებს. სრულებითაც არ მგონია და არც ვწერ, რომ პარტიის რიგებს მხოლოდ კარიერისტები ტოვებენ, ბევრი კეთილსინდისიერი ადამიანიც ჩამოშორდა მას.

„დაწერილის წაკითხვა რომ არ გეშლებათ“ არ გედავებით, მაგრამ წამუშავება დაგჭირდებათ წაკითხულიდან სწორი დასკვნის გაკეთებისა და ამ მიმართებით თუნდაც თქვენი ბოლო ორი წერილის აზრთა ურთიერთშეჯერებისათვის.

პირველ წერილში „ერთ-ერთ პატივსაცემ“ პიროვნებად მიხსენიებდით. მორიგ წერილში კი ეჭვქვეშ აყენებთ ჩვენს ნაცნობობასაც კი. თავიდან სახალხო ფრონტის პოზიციებიდან, მისივე გაზეთის საშუალებით კომპარტიასა და მის გაზეთს შეუტიეთ. ახლა კი დაივიწყეთ პარტიულობა და პედაგოგის პოზიციებიდან „ჟურნალით ხელში“ განაგრძობთ ბრძოლას. თან დაჟინებით ასაბუთებთ, რწმენას ვემსახურებიო, გეკითხებით – რომელს. არ დავიწყებ ჩვენი ნაცნობობის სტაჟის დადგენას. იგი წლებს მოიცავს, ადამიანთა ურთიერთგაგებისათვის კი ზოგჯერ დღეებიც კმარა, მაგრამ თუ თქვენ „თავი მოიკალით“ და საამისო ვერაფერი მოიგონეთ, ალბათ მხედველობაში გქონდათ ხალხური სიბრძნე და ვერ მოიგონეთ სად „შევჭამეთ ჩვენ ერთად ერთი ფუთი მარილი“. ასეთს კი ნაღდად ვერ მოიგონებდით. ისე, თუ გულახდილი არ ვიქენით, ადამიანების გაცნობა „მარილის ჭამაშიც“ გაძნელდება.

„თქვენ კომუნიზმის არ გწამთ და მაინც კომპარტიას ემსახურებით!“ მიკიჟინებთ მე და, ალბათ გაინტერესებთ როგორ ვახერხებ ამას. შესანიშნავად. ისევე, როგორც ზოგიერთ თქვენს კოლეგას არ სწამს საბჭოთა განათლების სისტემისა (სამი ორიანით, რომ მოსწავლე შემდეგ კლასში გადადის), მაგრამ კეთილსინდისიერად ასწავლის მოსწავლეებს თავის საგანს. სწორედ ასეთი კონკრეტული „საგნებისაგან“ შედგება პარტიული საქმიანობის სფეროც და თითოეულს რომ მინდობილ უბანზე პატიოსნად ემუშავნა,შეიძლება კომუნიზმი ვერ აგვეშენებია, მაგრამ პარტია ასე სალანძღავი არ გახდებოდა. ამიტომ ვერ დავეთანხმები იმ „თქვენს დემოკრატ რუსებს“, თუ ისინი ფიქრობენ, რომ კომპარტია „დანაშაულებრივი

ორგანიზაციაა“, მასში გაერთიანებული კომუნისტები კი „ბატკნები“.

ამაოდ ცდილობთ კონკრეტულის სასურველი მიმართულებით განზოგადებას და „ამღვრეულ წყალში“ ტენდენციური აზრების გაკეთებას. მე თუ კომუნიზმისა არა მწამს რა, ეს სრულებითაც არ გაძლევთ თქვენ უფლებას გააკეთოთ დასკვნა, რომ მე ამქვეყნად საერთოდ არაფერი მწამს. დავუშვათ და მემტკიცებია საპირისპიროდ – მწამს კომუნიზმისათქო – დამიჯერებდით? ან ვიქნებოდი გულწრფელი? არც თქვენთვის მიკადრებია არაფერი გწამსთქო, პედაგოგს ნამდვილად არ ვკადრებ მოსწავლესთან ქარმა მიგიტანათქო. ჩემს წერილში „ქარი და ავდარი“ პარტიებსა და მათში ხალხის განაწილება – გადანაწილებასთან კონტექსტში იყო ნახმარი და ვფიქრობ სამართლიანადაც. თუ არა ქარი და ავდარი, აბა რა უბედურებაა ჩვენს თავს, როცა მოკლე დროში, მცირერიცხოვან ერში, უფრო სწორად მის დედაქალაქში ერთი საერთო მიზნის მისაღწევად 150 – მდე პარტია და ჯგუფი შეიქმნა.

ნამდვილად არ გეკადრებათ გამოთქმა თითქოს ჩემს თანამოაზრეებს „ქართველთა ეროვნული ბრძოლა სკამისათვის ბრძოლა ჰგონიათ“. ჯერ ერთი, პარადოქსულად ხომ არ ჟღერს, როდესაც ჩემს მიერ თქვენი პოზიციის ამოცნობისათვის ჩვენს ნაცნობობას არასაკმარისად მიიჩნევთ, თქვენთვის კი იგივე ნაცნობობა სრულიად საკმარისი ჩანს არამცთუ ჩემი, ჩემს თანამოაზრეთა პოზიციის ამოცნობისათვისაც? რატომ გგონიათ, რომ ჩემზე უკეთ გეხერხებათ ადამიანების ცნობა? თქვენ ნამდვილად არ იცნობთ ჩემს თანამოაზრეებს. ერთ ორგანიზაციაში საქმიანობა ამის კრიტერიუმად ყოველთვის არ გამოდგება.

და მეორეც – ვფიქრობ გაგიჭირდებათ ფაქტების დასახელება, როდესაც მე თანამოაზრეებთან (თუნდაც თქვენი გაგებით) ერთად წინ აღვუდექი ნამდვილ ეროვნულ მოძრაობას, ხოლო თუ რაიმე შეგვეშალა, ამ მხრივ დაზღვეული არც ჩვენ ვიყავით და არც ოპოზიცია. შეიმჩნეოდა ზუსტი ინფორმაციის აშკარა დეფიციტი. პირადად მე მაშინებდა ეროვნული მოძრაობის დიდი ემოციური დატვირთვა. მეშინოდა არ ამოქმედებულიყო ის მექანიზმი, რასაც თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, ეროვნული შემოსავლის 40 პროცენტი ხმარდება.

თქვენი თანამოაზრენი კი ამ რთულ პირობებში „ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ“ და ეროვნულ მოძრაობაში მოსწავლე – ახალგაზრდობის ჩაბმით გვიპირისპირდებოდნენ. მეხსიერებაში დიდხანს შემომრჩება თოვლიან, საკმაოდ რთულ საგზაო პირობებში ჯერ საჩხერის, შემდგომ კი ზესტაფონის საავ-ტომობილო გზით თბილისში ფეხით მიმავალ მოსწავლეთა სახეები. ბავშვები გზის სახიფათო მონაკვეთებშიც კი ტრანს-პორტს არ ერიდებოდნენ. და თუ ჩვენ მთავარ ამოცანად მათ უკან დაბრუნებას და უსაფრთხო დაბინავებას მივიჩნევდით, და თქვენ ამას ეროვნული მოძრაობის ღალატად და სკამებისათვის ბრძოლად მიიჩნევთ, მაშინ გავიწყდებათ, რომ სამშობლო ჯერ ეს ბავშვებია და შემდგომ დოჩანაშვილისა და სხვათა შემოქმედებიდან თქვენს მიერ მოყვანილი ციტატები.

სკოლის მიტოვებას მიყენებთ ბრალდებად და მიგაჩნიათ, რომ მე ეს ოჯახისათვის „მყარი სოციალური მდგომარეობის“ უზრუნველყოფის მიზნით გავაკეთე. თუ დამიჯერებთ, პარტი-ულ სამუშაოზე არც პროტექციით მოვსულვარ და არც ჩემი სპეციალობით (ისტორიკოს – ფილოლოგი გახლავართ) სამუშაო მიმიტოვებია. სხვადასხვა დროს ვმუშაობდი რა ქალაქის მესამე, მეექვსე საშუალო და ითხვისის 8 – წლიან სკოლებში, ვასწავლიდი არასპეციალობით სხვადასხვა საგნებს და ყოველთვის ჩრდილში ვექცეოდი სწორედ ქალი პედაგოგების პრეტენზიულობით, რომლებსაც ასე „გენატრებათ“ და „წყალივით“ გესაჭიროებათ მამაკაცი პედაგოგები სკოლაში, ხოლო თუ ვინმე გამოჩნდა, ოდნავაც არ „შემჭიდროვდებით“ რომ ისიც ამოასუნთქოთ.

რაც შეეხება სოციალურ უზრუნველყოფას – ახლობლები დამიმოწმებენ, რომ რაც კი შრომით ფერხულში ჩავები (17 წლისა უკვე „ჭიათურშახტენის“ მუშა ვიყავი), ჩემი ოჯა-ხისათვის მატერიალურად ყველაზე უნაყოფო სწორედ რომ პარტიულ სამუშაოზე გატარებული 7 წელია. სტუდენტური არდადეგების პერიოდშიც კი მეტის გაკეთებას ვახერხებდი ამ მხრივ. საქალაქო კომიტეტში მე ხალხს ვემსახურებოდი და არა პარტიას. არ ვამართლებ პარტიის დიქტატს, მაგრამ მისი გამოყენება შეიძლებოდა კეთილადაც და ბოროტადაც. არაერთი

გაჭირვებული ადამიანი მიხსნია ბიუროკრატის კლანჭებისაგან.

ბოლოს ერთი „საინტერესო“ დეტალიც: გარდაქმნის შემდგომ პერიოდში რომ არც ძირითადი პოლიტიკური წყობა მოგწონთ და აღარც მისი სტრუქტურები, მანამდე რა, არასრულწლოვანები იყავით? თუ ვერაფერს ამჩნევდით? და თუ ასეა, მადლობა მაინც გადაუხადეთ გარდაქმნის შემოქმედთ, თვალები რომ აგიხილათ. რაც შეეხება ჩემი „პოზიციის კაცს“, ყოველთვის გულწრფელად და კრიტიკულად ვწერდი ჩემი დონის კაცისათვის ხელმისაწვდომ პრაქტიკულ საკითხებზე. არაერთი ჩემი მოსაზრება გამოქვეყნდა გაზეთის ფურცლებზე კონსტიტუციის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით. ბევრმაც ვერ იხილა მზის სინათლე და როგორც შემდგომ გავიგე, „სითამამისათვის“ მოვხვდი „არაკეთილსაიმედო მოაზროვნეთა“ სიაში.

ზოგიერთ პედაგოგზე უფრო ხშირად ვახერხებდი წერას სასკოლო ცხოვრების აქტუალურ საკითხებზეც. არც აქ ვიყავი შენიღბული. დღესაც კი ვინახავ თენგიზ გურჯიძის დეპეშას წარწერით „გმადლობთ ვაჟკაცური შემართებისათვის“. ვათვალიერებ გაზეთ „ჭიათურის მაღაროელში“ გამოქვეყნებულ იმდროინდელ ჩემს სტატიას, ვუკვირდები თუ რა უნდა მოსწონებოდა ბატონ თენგიზს ასე გამოკვეთით ჩემი წერილიდან, ალბათ ეს უნდა იყოს, ვფიქრობ და ვკითხულობ ერთ წინადადებას: „როგორ უნდა დავაინტერესოთ მოსწავლე სწავლით, როცა იგი ხედავს, რომ საზოგადოებაში უცოდინარები განაგებენ მცოდნეების ბედს“.

დიახ ვწერდი მაშინ, როცა იგი გარკვეულწილად „მსხვერპლის“ გაღებასთან იყო დაკავშირებული, ასე რომ არა, იქნებ ცოტა წინაც ვყოფილიყავი სამსახურში და მეტი ელფერიც ექნებოდა თქვენს წერილში ნახმარ გამოთქმას – „სკამისათვის ბრძოლა“. დღეს კი მართლაც და „სკამისათვის მებრძოლნი“, წარსულში ფუქსავატური ცხოვრების საფასურად, მომავალ გარდაქმნილ საზოგადოებაშიც ანალოგიური ცხოვრების გარანტიას ინარჩუნებენ. მწვანე შუქს უნთებენ შთამომავალთაც და ვინ იცის, იქნებ ეცინებათ კიდეც ჩვენს პაექრობაზე. „რაც მომივა დავითაო...“

ღალატი?

გაზეთი „ჭიათურა“ 1992 წლის 18 აპრილი.

რესპუბლიკაში შექმნილ ყოველმხრივ რთულ მდგომარეობას რომ თავი დავანებოთ, დღევანდელ დანაშაულებრივ ატმოსფეროში, ბავშვების მოპარვასაც რომ აღარ ერიდებიან, პედაგოგთა მიერ სკოლის კარების გამოხურვას და მოსწავლე – ახალგაზრდობის ქუჩაში გამოყრას, ძნელია სხვა შეფასება მოეძებნოს. მაგრამ თავს უფლებას მაინც არ მივცემდი, პედაგოგთა გაფიცვისათვის ღალატის კვალიფიკაცია მიმეცა.

ეს შეფასება ამოვიკითხე, ამ გაფიცვასთან დაკავშირებით, ამავე გაზეთის 16 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში სათაურით – „ეს უკიდურესი ნაბიჯია“, სადაც ვკითხულობთ: „მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ აიძულა პედაგოგი მოსწავლეს უღალატოს“.

დღეს ყველას გვიჭირს, მაგრამ არა მგონია ეს ის ზღვარი იყოს, რომლის იქეთაც მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა უღალატოს, ექიმმა კი – ავადმყოფს. ღალატით კი, მითუმეტეს მასწავლებლისა და ექიმის ღალატით, ყველაფერი მთავრდება. საერთოდაც არ მწამს, რომ ღალატის საფუძველი ეკონომიკური სიდუხჭირეა, იგი თვით ადამიანში ძევს და როგორც ყველა სხვა ბოროტება, ეძებს ხელსაყრელ მომენტს გამომზეურებისათვის.

ნამდვილად მწამს, რომ ჩვენ ასეთი პედაგოგები არ გვყავს, ამიტომ ემოციურად მეჩვენება იმ მშობლების განზრახვა, რომლებიც ამზადებენ საპასუხო გაფიცვას „მოღალატე პედაგოგების“ სკოლიდან დათხოვნის მიზნით.

რაც შეეხება გაფიცულთა მოთხოვნებს, დღევანდელი ცხოვრების გაძვირების კვალობაზე, ისინი მართლაც მოკრძალებულია. მაგრამ საყოველთაო კრიზისში მყოფი, გაღატაკებული ქვეყნის სათავეში ახლად მოსულ ხელისუფლებას, რომელიც უმუშევრებზე, პენსიონერებსა და სოციალურად პედაგოგებზე გაცილებით დაუცველ კონტიგენტზე, სამი და

ოთხი თვის წინანდელი დახმარებისა და პენსიების გაცემას ვერ ახერხებს, ჩემი აზრით ამ ეტაპზე გაუჭირდება პედაგოგთა სატარიფო განაკვეთების ხუთჯერ და მეტჯერ გაზრდა და აქციას, როგორც შედეგი, მოჰყვება მხოლოდ დესტაბილიზაციის გაღრმავება.

ამიტომ რესპუბლიკაში შექმნილი, ისედაც რთული პოლიტიკური მდგომარეობისა და საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის წარმატებით გასვლისათვის წამალივით საჭირო სტაბილიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე გაფიცვა გაუმართლებლად მიმაჩნია.

მე შორს ვდგევარ იმათთაგან, ვინც ამ აქციას უკავშირებს რესპუბლიკაში დესტაბილიზაციის გაღრმავებისათვის მებრძოლთა თანადგომას, ან მომავალი არჩევნებისათვის ქულების დაგროვებას, მაგრამ ისიც მწყინს, რომ ზოგჯერ ეს მართლაც ასე აღიქმება.

ამ წერილმა ჩემი მისამართით პედაგოგთა სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია. ასეთი შინაარსის წერილები გაჩნდა პრესაშიც. სასასუხო წერილი მეც დავწერე, რომელიც მაშინ არ გამოქვეყნებულა, ეხლა კი გთავაზობთ მას:

„პასუხის პასუხი“

დღიდან ჩემი წერილის გამოქვეყნებისა, გაფიცვის მონაწილე არაერთმა პედაგოგმა მისაყვედურა, თითქოს ამ პუბლიკაციით მე მათ მოღალატეები ვუწოდე. ფაქტიურად კი გაფიცვა ღალატად 16 აპრილის პუბლიკაციით შეფასდა, რომლის შესახებაც გაფიცვის მონაწილეებს ხმაც არ ამოუღიათ, მე კი გამოვეხმაურე და მისი მკაცრი ტონი შევარბილე.

ჩემს წერილში – „ღალატი?“ – კითხვის ნიშანს განსაკუთრებული შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. ზოგიერთები კი მას ამ ნიშნის გარეშე მოიხსენიებენ. მინდა ვუთხრა მათ, ჩამოაშორეთ სასვენი ნიშნები ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებს „კაცია ადამიანი?!“ და ნახეთ რას მიიღებთ. და თუ ილიას ქმნილებას იგი აზრს შეუცვლის, ადვილად წარმოსადგენია რა დაღს დაასვამს ჩემს ნაცოდვილარს.

ქალბატონმა ანა ტაბატაძემ კი ჩემი წერილისადმი

მიძღვნილი, გაზეთში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი ასე დაასათაურა, „გიკვირთ? მეც მიკვირს!“ მე ვერ გავიგე შენ (დიახ, ჩვენ გვქონდა ისეთი ურთიერთობა, რომ შენობით მოგმართო), ჩემგან რა გიკვირს, მე კი შენგან ბევრი რამ მიკვირს. თუნდაც ის, რომ, როდესაც ჩემი პუბლიკაციის მიმართ კრიტიკული წერილის გამოქვეყნება გადაწყვიტე, დამკავშირებოდი და გაგვეცვალა აზრები. უფრო უბრალო საკითხებზე მოსულხარ ჩემთან...

განსაკუთრებით მიკვირს ერთი ფრაზა შენი წერილიდან, „მასწავლებლები და განსაკუთრებით ჭიათურის მასწავლებელთა კოლექტივი, არასდროს ყოფილა და არ არის პოლიტიკური ამბიციებით შეპყრობილი...“

ჩემი აზრით ამბიცია უფრო პიროვნების თვისებაა, ვიდრე კოლექტივისა და გირჩევ, რომ ასეთი კატეგორიული შემფასებელი სადამრიგებლო კლასის თვითეული მოსწავლის მიმართაც ნუ იქნები, არამცთუ 1500 კაციანი ქალაქის პედაგოგიური არმიის თვითეული წევრისადმი.

ქალაქში გამართულ მიტინგებზე ორატორულ ხელოვნებაში რომ ეჯიბრებიან ერთმანეთს, ესენი ძირითადად პედაგოგები არიან. საქალაქო კომიტეტის მდივნის თანამდებობიდან, ქალბატონი ლეილა ბიწაძის წასვლის შემდეგ, ამ პოსტის დაკავებისათვის კონკურსი გამოცხადდა. იცი რამდენმა პედაგოგმა წარმოადგინა მარქსიზმ – ლენინიზმის იდეებით „გაჟღენთილი“ სამოქმედო პროგრამები და სხვა საბუთები კონკურსში მონაწილეობის მისაღებად? მათ შორის იყო გაფიცვის ერთ – ერთი ორგანიზატორი და ეროვნული მოძრაობის თავგამოდებული აქტივისტი.

მე კიდევ ის მიკვირს, დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარ, გაღატაკებულ ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით გამოქვეყნებულმა ჩემმა ერთგვერდიანმა წერილმა რომ აგაფორიაქათ, თქვენი პროფესიის შიგნით რატომ ვერ ხედავთ პრობლემებს ჩემი ოპონენტები? სსრ კავშირის ისტორიის ნიღბით, რუსეთის ისტორიას რომ ასწავლით ათეული წლების მანძილზე მოსწავლეებს, უძველესი კულტურის მქონე ჩვენი

ქვეყანა კი ამ სახელმძღვანელოებში სასვენი ნიშნების დონეზეა წარმოჩენილი, ეს რა, ნორმალურია? რატომ ამ საკითხს არ მიუძღვენით პუბლიკაციები?

არ მიკვირს მხოლოდ ერთი რამ, (ზოგიერთი პედაგოგისგან განსხვავებით) ის, რომ ძველებურად აღარ იცრემლებიან ჩვენი „გულქვა“ მოსწავლეები „ღვინიას გადაჩეხვის“ ტრაგედიაზე. არ მიკვირს იმიტომ, რომ „ღვინიას გადაჩეხვის“ ამბავი თავის დროზე იმ ბავშვს მუხტავდა ემოციურად, ვინც თვითონვე შეურჩია ეს სახელი და ეფერებოდა ლამაზ ხბოს, შემდეგ მდელოზე მწყემსავდა საყვარელ მოზვერს, ბოლოს კი წინ მიუძღოდა უღელში შებმულ მარჩენალ ხარს.

დღევანდელი, ტელევიზორს მიჯაჭვული ბავშვისთვის კი ღვინია უბრალოდ ცხოველია, მისთვის მსოფლიო ცივილიზაციის მედროშეების მსხვერპლთან დაკავშირებული „ჩელენჯერის“ ტრაგედია უფრო მშობლიურია, ვიდრე ღვინიასი. იქნებ დღევანდელი ბავშვებისათვის ახალი „ღვინიას“ დაწერაში მოესინჯათ კალამი, საამისო ნიჭი და უნარი არ აკლია ჩემს ზოგიერთ ოპონენტს, მაგრამ დღეს ყველას პოლიტიკაში მოუნდა ახალი სიტყვის თქმა.

გაფიცვის ზოგიერთი ორგანიზატორი და პირადად შენც პედაგოგიური საქმიანობიდან ჩემს წასვლას მიიჩნევთ დანაშაულად და ლამის ღალატად. ამ საკითხთან დაკავშირებით დავსძენდი, რომ ჩემი აზრით, ზოგიერთი უღირსი პედაგოგის სკოლაში შესვლაა ღალატი და დანაშაული, ზოგიერთი ტალანტისა კი პირიქით – სკოლიდან წასვლა. ვინაიდან ჩვენ, ჩემს ყველა სხვა ოპონენტებთან ერთად, არცერთ კატეგორიას არ ვეკუთვნით, ამ მხრივ ზედმეტად ნუ ინერვიულებ. დადგენილი წესით და მისაღები ფორმით პედაგოგმაც უნდა იღვაწოს ხელმძღვანელი თანამდებობის დაკავებისათვის. ამ უბნებზე მათი ღირსეული წარმომადგენლების მოსვლითაც ბევრ სიკეთეს იმკის საზოგადოება.

როდესაც პრესის საშუალებით პედაგოგთა გაფიცვის შესახებ ინფორმაციას გავეცანი, იგი თავისი შინაარსითა და ფორმით გარეგნულ ეფექტზე უფრო მეჩვენა გათვლილი, ვიდრე

რეალურ შედეგებზე (თუნდაც ხელფასის ხუთჯერ გაზრდა). წყლის ამღვრევისა და მასში ნადირობის მოტრფიალეთა ხელწერა მენიშნა და ახლო წარსულის რეალობა გამახსენდა.

კომუნისტურ რეჟიმს დასაბამიდანვე ებრძოდნენ მისდამი შეურიგებელ პოზიციაზე მდგომი ადამიანები, რაც დაკავშირებული იყო სერიოზულ რისკთან და ზოგჯერ მსხვერპლთანაც კი.

მათგან განსხვავებით „ჭკვიანთათვის“ კომპარტია მეწველი ძროხა და მარჩენალი „ღვინია“ იყო, პარტიის დევიზი – „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“, კი ბასრი იარაღი თავიანთი პირადი კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის. დღეს კი, როცა „ღვინია“ გადაჩეხილია, მეტი თავშეკავებულობა მართებთ ამ ადამიანებს, რათა არსებობდეს რწმენა იმისა, რომ უმადურობასაც აქვს საზღვარი.

ხელისუფლების წინააღმდეგ გაფიცვის ტალღის აგორება და მის განმუხტვაში შუამავლის როლის მოხდენილად გათამაშებით პირადი, ანგარებითი ზრახვების რეალიზაციის მცდელობა, კარგად ცნობილი მეთოდია და ჩემთვის ეს „არ ახალია, ძველია“. ასევე ძველია ამ საქმეში ბრმა იარაღად მუშათა და გლეხთა გამოყენების პრაქტიკაც.

შედარებით ახალია ამ დანიშნულებით საზოგადოების საპატიო ფენის, ინტელიგენციის, გამოყენების მცდელობა. მე ესეც შევნიშნე, ხმა ავიმაღლე, პედაგოგთა პრესტიჟის დაცვას შევეცადე და მათივე რისხვა დავიმსახურე.

„გიკვირთ?“, ქალბატონო ანა, „მეც მიკვირს!“

გავუფრთხილდეთ რუსთაველს!

გაზეთი „სამთოელი“ 1990წელი. 19 აპრილი.

თითქმის ორი წელია რესპუბლიკასა და ჩვენს ქალაქში ფუნქციონირებს რუსთაველის საზოგადოება და მის მიერ გაწეული მუშაობით და აღებული კურსით თუ ვიმსჯელებთ, მან უნდა გაამართლოს კიდეც ამ უდიდესი ქართველი ჰუმანისტის სახელი. მაგრამ, სამწუხაროდ, შეინიშნება სხვაგვარი ტენდენციები: მიმდინარე წლის 12 აპრილს გაიმართა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ჭიათურის საქალაქო ორგანიზაციის კონფერენცია, სადაც გამოიკვეთა, რომ საზოგადოების წევრთა ერთ ნაწილს აქვს მისწრაფება ეს საზოგადოება გადააკეთოს ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიად, რომელშიდაც უფლება არ ექნებათ გაერთიანდნენ სხვა პარტიების წარმომადგენლები.

როგორც ვიცით, ჩვენს ქვეყანაში უკვე ოფიციალურადაა დაშვებული მრავალპარტიულობა. ამასთან, მკაცრადაა მინიშნებული, რომ თითოეული პარტია უნდა ისახავდეს კეთილ მიზნებს, რაც დასაბუთებული უნდა იყოს მისი პროგრამითა და წესდებით. ბოროტი ზრახვების პარტიათა ფუნქციონირება დაუშვებელი და კანონით აკრძალულია.

აღნიშნული კანონის რეალიზაციით, რაც უკვე მიმდინარეობს, ბუნებრივია, პოლიტიკური ბრძოლის მსურველი კეთილ ნების, მაგრამ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებისა და მრწამსის ქართველი ადამიანები გაერთიანდებიან სხვადასხვა პარტიებში, რის გამოც მათ აეკრძალებათ რუსთაველის საზოგადოებაში გაერთიანება. ამით კი შევამცირებთ დიდი მგოსნის ქართველ თაყვანისმცემლებს და ჩრდილი მიადგება თვით სიტყვას „რუსთაველი“. ღმერთმა გვაშოროს, მაგრამ შესაძლებელია ეს პროცესი კიდევ უფრო დააჩქაროს მისი

სახელობის ოპოზიციური პარტიის საქმიანობამაც. ნურავინ იტყვის, საიდან სადაო? რამდენიმე წლის წინათ სიტყვა გელათი ჩემში ეროვნული სიამაყის გრძნობას იწვევდა და მის ხსენებაზე ჩემს ცნობიერებაში წამიერად გაიელვებდა ხოლმე დავით აღმაშენებლის საფლავის ქვა ორიგინალური წარწერით. დღეს კი იგივე სიტყვის ხსენებაზე მაგონდება „იარლიყაგლეჯილი“ ღვინით სავსე ბოთლი. ეს ტერმინი კიდევ უფრო გაუფასურებულია მოსწავლე – ახალგაზრდობის თვალში, რომელთაც ისტორიული გელათი ჯერაც არ უნახავთ, ეს სიტყვა კი სისტემატიურად ესმით.

რუსთაველი ქართველი ერის კუთვნილებაა, სხვა სიბრძნეთა შორის იგი გვასწავლის – „ვარდთა და ნეხვთა...მზე სწორად მოეფინებისო“. და არავითარი უფლება არა აქვს ვიღაც რადიკალმა, რომელსაც რუსთაველი შეიძლება წაკითხულიც არ ჰქონდეს, ამ საზოგადოებაში გაერთიანება აუკრძალოს კეთილი ნების ქართველ კაცს, მიუხედავად მისი პოლიტიკური მრწამსისა.

თუ ვინმეს პოლიტიკური პარტიის შექმნა სურს, სახელის მოგონება გაუჭირდა? კია საქართველოში ასზე მეტი პარტია და ჯგუფი, მაგრამ ქართული ენის ლექსიკური მარაგი ამოუწურავია. პოპულარული სახელებით სპეკულაცია სარის-კოა. პარტიას ავტორიტეტი თვით მისმა საქმიანობამ უნდა მოუტანოს. და ვინ იცის, იქნება ქართველებს კიდევ ერთი საყვარელი სიტყვაც შევძინოთ.

ციური მნათობები მოღრუბლულ ცაზე?!

გაზეთი „ჭიათურა“ 1991წ. 5 დეკემბერი.

„ერთი ცუდი მეთოდი ჰქონდათ კომუნისტებს“... ასე იწყებენ ჩვენთვის უცნობი ავტორები გაზეთ „ჭიათურაში“ მიმდინარე წლის 30 ნოემბერს გამოქვეყნებულ კორესპონდენციას სათაურით – „მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან ვითამცა ჰკადრა მტერობა?!“

თავიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ავტორებმა კომუნისტებს ერთის გარდა ყველამ სხვა ნაკლი შეუნდეს. მაგრამ წერილის შინაარსში ისინი თვითონვე იმეორებენ კომუნისტების რამდენიმე ძირითად ნაკლს. აი ისინიც:

წერილი შეიცავს არამცთუ მოწოდებას, არამედ მოთხოვნას პარტიული ნიშნის მიხედვით კადრების დაწინაურებისადმი. თუ გ. დავლაძემ დატოვა „მრგვალი მაგიდა“, თურმე იგი პრეფექტს აღარ უნდა დაეწინაურებია.

ავტორები ამჟღავნებენ ოპოზიციისადმი შეურიგებლობას, მოსმენისა და განსჯის გარეშე მათი აზრების უგულვებელყოფას. თურმე ჭიათურლებს არ უნდა მოესმინათ ჭიათურაში სტუმრად მყოფი თბილისელი ინტელიგენციისათვის, საკმაოდ ცნობილი პროფესორების, მწერლებისა და კრიტიკოსებისათვის იმიტომ, რომ ისინი ოპოზიციონერები არიან.

წერილში სახეზეა საკუთარი პარტიისა და შესაბამისი მოღვაწის აღზევებისა და სხვათა დაკნინების მავნე პრაქტიკა. როდესაც საუბარია პარტიებსა და ორგანიზაციებზე, თურმე მათ შორის ავტორთათვის სასურველი რცხილაძემ „დააფუძნა“, მიუღებელი კი შევარდნაძემ „გამოიგონა“.

წერილის სათაურში ირონიაა ჩადებული, რაც მისსავე შინაარსთან შეუსაბამობაშია. თუ ვცდები და ირონია არაფერ

შუაშია, მაშინ დავძენ, რომ ციურ მნათობთა შესადარისი ჩვენს ქალაქში, ჯერჯერობით, არც პარტიას და არც პიროვნებას არაფერი გაუკეთებია.

აღზევების ასეთი პრეტენზია, დაარსების გარიჟრაჟზევე, თვით კომპარტიასაც არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, სულ რაღაც ნახევარი საუკუნის მანძილზე იგი ეპოქის „გონებად, სინდისად და ნამუსად“ იქცა. თუ არ გაფრთხილდნენ წერილის ავტორები, თავიანთ მშობლიურ პარტიას ამ გზას უფრო შემჭიდროებულ ვადებში გაატარებენ.

„...კვერთხი ეშმაკთა ძირისა“

გაზეთი „ჭიათურის მაღაროელი“ 1990წელი. 14 აგვისტო.

საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში არსებულ ნეგატიურ ჩვევებს და მოვლენებს კომუნისტები კაპიტალიზმის გადმონაშთად მიიჩნევდნენ. დღეს კიგივე მანკიერებებს სოციალისტური ცხოვრების წესს მიაწერენ. მართლაცდა საიდან იღებენ სათავეს ისინი. გადავხედოთ ისტორიას:ქართული კულტურის უძველესი წერილობითი ძეგლი, “შუშანიკის წამება“ შეიცავს უტყუარ მასალას იმდროინდელ საქართველოში არსებული მექრთამეობის შესახებ. ...როდესაც ვარსქენ პიტიახშმა შუშანიკი სატანჯველად ციხეში ჩააგდო, დაუყენა მას მცველები და მკაცრად გააფრთხილა არავინ შეეშვათ მის სანახავად. ამასთან დაემუქრა კიდეც: „ – გეტყვი თქვენ, უკეთუ ვინმე შევიდეს მისა – მამაკაცი გინა დედაკაცი, იხილენით თავნი თქვენნი და ცოლნი და შვილნი და სახლი თქვენნი... რაი გიყოთ თქვენ“.

მიუხედავად ამისა, იაკობ ხუცესმა მოახერხა ტანჯვაში მყოფი შუშანიკის ნახვა მცველზე საჩუქრის (ქრთამის) დაპირებით. „უქადე ჭურჭერი ერთი სამისოი“ – ამბობს ცურტაველი, რის შედეგადაც მცველმა შეურჩია მას მოხერხებული დრო და უთხრა – „რაჟამს დაღამდეს, მოვედ შენ ხოლო მარტოი“.

ტექსტში აღარაფერი ჩანს მისცა თუ არა იაკობ ხუცესმა მცველს დანაპირები „ჭურჭერი“, მაგრამ, რადგან შუშანიკთან მისი შეხვედრა შედგა, ეჭვგარეშეა იაკობი თავის სიტყვას არ გატეხდა.

რაც შეეხება ჩვენი ერის სინდის – ნამუსს „ვეფხისტყაოსანს“, აქ ქრთამის მიცემის ფაქტს გამოძიება აღარ სჭირდება. სწორედ ქრთამის გაღებით მოახერხა ნესტან – დარეჯანმა ზღვათა მეფის შვილზე იძულებითი ქორწინების თავიდან აცილება

და ტყვეობიდან თავის დახსნა. როგორც თვითონ ნესტანი აღნიშნავს, მან „თავი იყიდა“, საფასურად კი... „შემოიხსნა მარგალიტი, შემოერტყა რაცა თვალი, მოიხადა გვირგვინიცა გამჭირვალი ერთობ ლალი“. და ამ ძვირფასი სამკაულების (იგივე ქრთამის) გაღების შემდეგ ნესტანი მცველებმა გაუშვეს, რასაც რუსთაველი კვალიფიციურად ხსნის: „მონათა მიჰხვდა სიხარბე მის საჭურჭლისა ძვირისა, დაჰვიწყდა შიში მეფისა, ვითა ერთისა გზირისა. გამოპარება დაასკვნეს მის უებროსა პირისა. ნახეთ თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა!“

საგულისხმოა, რომ რუსთაველი არ ასახელებს (იქნებ ვერც ასახელებს) მექრთამეობის წარმომშობ ეპოქას და ქრთამს უწოდებს „ეშმაკთა ძირის კვერთხს“. უძველესი დროიდანვე იღებენ სათავეს სხვა ადამიანური მანკიერებებიც. ვეფხისტყაოსანშივე ჩვენ ვხვდებით ტერმინებს „სიძვა“, „ავთა მქმნელნი“, „ფიცის გამტეხი“, „მტრისაგან უფრო მტერი“ და სხვა. მოგეხსენებათ, რომ დიდი მგოსანი ეგრე რიგად არ ისროდა სიტყვებს და თითოეული მათგანის შინაარსში იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი რეალური სინამდვილე უნდა იყოს ჩადებული.

ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ რუსთაველის ეპოქით, ვუმ-ღერით კიდეც „რუსთაველის საქართველოს“ და დღევან-დელობასთან შედარებით, ალბათ, ერთხმად მივცემდით მას უპირატესობას, მაგრამ ვიქნებოდით კი მართალნი? სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ თუ რუსთაველის ეპოქაში ოქრომ ისე დაუბნელა თვალები ადამიანებს, რომ მეფე გზირად მოაჩვენა, ჩვენს დროში ქრთამს უფრო „მოზომილად“ იღებენ და მეეჭვება დღევანდელმა „მცველებმა“ ასე გაძარცვონ, ხოლო შემდეგ „გააპარონ საპატარძლო“.

ბედკრული სააკაძე

მაგიდის თამადამ, სადღეგრძელოში, დავით აღმაშენებლის ფიგურა გამოკვეთა და მისი სახით ქართველი მეფეების სადღეგრძელო ერთი და იგივე თასითა და პათოსით შესვა. მეფეებთან მიმართებაში ერთსულოვანნი იყვნენ სუფრის სხვა წევრებიც. გიორგი სააკაძეს კი გამოუჩნდნენ ოპონენტები. ერთმა მათგანმა სააკაძე ერის მოღალატედ მიიჩნია, ბრალად კი მას ქვეყნის დატოვება და უცხო ქვეყნების სამსახურში ყოფნა წაუყენა.

ჩვენი მეცნიერ – ისტორიკოსების შრომებში, ყველასათვის ხელმისაწვდომ საკითხავ წიგნებსა და სასწავლო სახლმძღვანელოებში, უხვად მოიპოვება ფაქტები ქართველ მეფეთა მიერ დაშვებულ მიუტევებელ შეცდომებზე, რომლებიც ბევრად გადასწონიან გიორგი სააკაძის „დანაშაულს.“ ეს წერილიც სწორედ იმ ნაშრომებს ეყრდნობა.

ქვეყნისათვის გამორჩეულად მოამაგე მეფემ, დავით აღმაშენებელმა, შთამომავლობას დაუტოვა აღსარება – „გალობანი სინანულისანი“. „მრავალი ბოროტება დავჰბადეო“ – წერს მეფე. არავითარი ბოროტება არ დაუბადებია აღმაშენებელს. ხოლო ვინც მართლა „დაჰბადა“, მან აღსარებისათვის ვეღარ მოიცალა.

დავიწყოთ მეფე თეიმურაზ პირველით, რადგან სწორედ მის სახელს უკავშირდება გიორგი სააკაძის „ჯერ მოკვლა“ (მისი ორეული მოკლა), შემდეგ კი განდევანა საქართველოდან. გადავხედოთ თეიმურაზის მიერ ქვეყნის (სამეფოს) დატოვებისა და დაბრუნების „განრიგს“:

– 1613 წელი. შაჰ აბასი უზარმაზარი ჯარით მოემართება საქართველოსკენ. თეიმურაზი მას მძევლებად უგზავნის დედას და ორ ვაჟს. თვითონ კი უარს აცხადებს შაჰთან პირადად გამოცხადებაზე, 500 მეომრით ბრძოლაში ებმება მტრის მრავალათასიან ჯართან. ამ ბრძოლას, მსხვერპლის გარდა, სხვა შედეგის მოტანა არ შეეძლო და ასეც მოხდა. თეიმურაზი

საფრთხეში ტოვებს მძევლებს და სამეფოს, თვითონ კი გადადის ჯერ ქართლში შემდეგ კი იმერეთში. შედეგი: კახეთის აოხრება, გაძარცვა, დანგრევა, გადაწვა და ამოწყვეტა, 80 – ათასი ქართველის გადასახლება ირანში.

– 1615 წელი. კახელმა აჯანყებულებმა ჯანდიერისა და ჯორჯაძის ხელმძღვანელობით პირველ წარმატებებს მიაღწიეს ირანელი დამპყრობლების განდევნის საქმეში და თეიმურაზს შეუთვალეს – „სასწარფოდ მობრძანდი, გვიმეფე და გვიმეთაურეო“. თეიმურაზი ჩამოდის.

– 1616 წელი. აჯანყებულ კახელთა დასასჯელად დიდძალი ჯარით საქართველოში შემოდის შაჰ აბასი. თეიმურაზი იმერეთში გადადის და ისევ უპატრონოს ტოვებს ქვეყანას. შედეგი: „მეორედ მოსვლის დღე საქართველოში“, ქვეყნის ნგრევა, ძარცვა, რბევა; 100 – ათასი მსხვერპლი, 150 – ათასი ტყვედ წაყვანილი ირანში.

– 1625 წელი. მარტყოფის ველზე გამარჯვების შემდეგ გიორგი სააკაძე ქართლ – კახეთის ტახტზე იწვევს დასავლეთ საქართველოში გახიზნულ თეიმურაზს. თეიმურაზი ჩამოდის.

– 1632 წელი. როსტომ – ხანი, ირანის ჯარით, შემოდის საქართველოში. თეიმურაზი მიდის იმერეთში.

„საცა არა სჯობს გაცლა სჯობსო.“ გვეუბნება ხალხური სიბრძნე. გაცლაში კი გაქცევა არ იგულისხმება. როდესაც უაზრო მსხვრეპლის საფრთხე რეალურია, მტერთან ბრძოლაში არ ებმებიან „ვეფხისტყაოსნის მეფეები“, ისინი თავის თავზე იღებენ მთელ პასუხისმგებლობას და მუხლმოდრეკით ეხვეწებიან მოწინააღმდეგეს – ჯარს ნუ დამიხოცავ, ყველაფერი ჩემი ბრალია და მე მომკალიო („ვიაჯი, მომკალ მე ხოლე, ყველაი ჩემი ბრალია;... სპა უბრალოა, ნუ დაჰხოც, ვტირ ამად გულმდუღარია!“). კუტუზოვმა კი, ჯარის დაკარგვას, მოსკოვის დაკარგვა არჩია. ჯარი შეინარჩუნა და შემდგომში მოსკოვიც დაიბრუნა.

როდესაც ლიდერი ანგარიშს არ უწევს რეალობას და რისკზე მიდის, მის ეპიცენტრში თვითონვე უნდა ტრიალებდეს. თეიმურაზი კი ასეთ შემთხვევებში საფრთხეში ტოვებს მებრძოლებს, ხალხს, ოჯახის წევრებს, თვითონ კი – გარბის.

1614 – 1617 წლებში თეიმურაზის „მოგზაურობას“ აღმოსავ-ლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის, დახოცილთა და ტყვედწაყვანილთა სახით, შეეწირა ნახევარი მილიონი ქართველი. სრულიად განადგურდა კახეთი. მეფის გონივრული მოქმედებით ამ მსხვერპლის და ზარალის ბერვად შემცირება შეიძლებოდა.

გადავხედოთ თეიმურაზის სხვა „ცოდვებსაც:“ სწორედ მას უნდა დაეკისროს მთელი პასუხისმგებლობა საქართველოს ისტორიაში გამორჩეულად სამარცხვინო ფაქტზე, 1626 წლის ბაზალეთის ომზე („ძმათა ომი“). ხუთი საუკუნით ადრე, თამარ მეფემ მოახერხა გაცილებით მწვავედ დაპირისპირებული ორი მტრული ბანაკის შერიგება და სამოქალაქო ომის თავიდან აცილება. თეიმურაზმა კი ერთ პიროვნებასთან, გიორგი სააკაძესთან, უთანხმოება ძმათა მკვლელ ომამდე მიიყვანა. ამ ომში, როცა ქართველები დაუნდობლად სწყვეტდნენ ერთმანეთს, თეიმურაზი გვევლინება ყველაზე „დიდ გმირად და ყველაზე დიდ სარდლად“. „მან, საქართველოს მეფემ, იმ დღეს საქართველო დაამარცხა“ – წერს ისტორიკოსი. ბრძოლის ველზე იგი პირადად შეება გიორგი სააკაძის ორეულს, მესხ რაინდს, დავით გოგორიშვილს, რომელიც ზურაბ ერისთავისა და სხვათა ჩარევის შემდეგ მოჰკლეს და აკუწეს. თეიმურაზისათვის, იმ მომენტში, ის გიორგი სააკაძე იყო. ამდენად მან „მოჰკლა“ კაცი, რომელმაც ერთი წლის წინ შვილის, პაატას, სიცოცხლის ფასად მოახერხა მარტყოფის ბრძოლის ძლევამოსილად დამთავრება, შემდეგ კი მოიწვია კახეთის სამეფო ტახტიდან განდევნილი თეიმურაზი და ქართლ – კახეთის ტახტზე დასვა.

თეიმურაზმა ერთმანეთთან დააპირისპირა მარტყოფის და მარაბდის ბრძოლების ნომერ პირველი და ნომერ მეორე გმირები, გიორგი სააკაძე და ზურაბ არაგვის ერისთავი და ცალ – ცალკე გაანადგურა ისინი (თეიმურაზმა ნადიმზე მიიწვია ზურაბ ერისთავი, ნადიმის მაგიდაზევე მოაკვლევინა იგი საამისოდ სპეციალურად მოწვეულ „სტუმრებს“ და მისი თავი გაუგზავნა ირანის შაჰს). მანამდე კი ზურაბ ერისთავის ჩარევით და ჯალათური მკვლელობით, ჩამოიშორა გზიდან ქართლის მეფე, სვიმონ მეორე.

ვფიქრობ რაღაც ეშლება არჩილ მეფეს, როდესაც ის, ლექსით „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, უდიდესი ჰუმანისტის, რუსთაველის გვერდით აყენებს თეიმურაზს. „ოდეს მტერსა მოერიო, ნუღარ მოჰკლავ – ო,... სპა უბრალოა – ო“... გვმოძღვრავს რუსთაველი. თეიმურაზმა კი არ დაინდო და ყურები აათალა 1626 წელს ძმათა ომში გიორგი სააკაძის მხარეზე მებრძოლ ქართველ ტყვეებს. მან არად აგდო მაჭავარიანის თხოვნა, მისთვის ყურები მთლად ძირში არ აეთალათ და ნახევარი მაინც შეენარჩუნებიათ.

საგულისხმოა, რომ ნიკიტა ხრუშჩოვმა აპატია და სიკვდილის განაჩენი შეუცვალა ქართველს, რომელიც ბრალდებული იყო საქართველოში მისი ვიზიტის დროს, პირადად მასზე განსა-ხორციელებელი ტერაქტის მოწყობის მცდელობაში.

ისმის კითხვა – როდესაც თეიმურაზი განსაცდელში ტოვებდა სამშობლოს, დედას და შვილებს, სად გარბოდა, რას უფრთხოდა, საკუთარ სიცოცხლეს? სიცოცხლე ხომ უყოყმანოდ შესწირა მეფე დემეტრემ სამშობლოს. „ღმერთმან ერთი რათ აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს“ – ო, გვეუბნება შოთა რუსთაველი და თუ დემეტრე თავდადებულია (ეს კი მართლაც ასეა), მაშინ თეიმურაზს სხვა სახელი უნდა შეერჩეს: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“.

დავუბრუნდეთ ისევ ქვეყნის დატოვებისა და უცხო ქვეყანაში წასვლის თემას. ცნობილია რომ 1624 წლის ივლისში მეფე, ვახტანგ მეექვსემ, დატოვა საქართველო და რუსეთში წავიდა. ამონაწერი ისტორიიდან: „მიდიოდა და მიჰყავდა უსაჩინოესი მამულიშვილნი, „ქართველნი ყოვლის სახელიდამ და კახნიცა მრავალნი“, სულ ათასოთხასი კაცი, „უმეტეს დედაწულითურთ“.

მიდიოდა და მიჰყავდა სულხან – საბა ორბელიანი. მალე შეუერთდებათ დავით გურამიშვილი.

მიდიოდა და მიჰყავდა ყველა სარდალი, ყველა უმაღლესი საერო კარისკაცი და სასულიერო მოწესე – მოძღვარი – ეპისკოპოსნი, სახლთუხუცესნი, მანდატურნი, „სხვანი და სხვანი“, უწარჩინებულესი გვარიშვილნი.

ასე გაეცალნენ ყველაზე დიდი მოჭირნახულენი ჭირში ჩავარდნილ ქართლს.

ეხვეწებოდნენ – შენ თუ გაგვწირე და გაგვეცალე, ერთი რომელიმე შვილი მაინც დაგვიტოვე პატრონად და ნუგეშადო, იქნებ „მომშველის გამოჩენამდე სულ არ წავხდეთო“, მაგრამ არავის თხოვნას, შეგონებას, ცრემლსა და ვაებას არ გაუწია ანგარიში ვახტანგ მეფემ. არც თვითონ დარჩა, არც შვილი დატოვა და არც ძირი. თავადაც მოეკვეთა და თავიც მოჰკვეთა საქართველოს...“. (ლ. სანიკიძე, „დედა ისტორია“ ნაკვეთი მეორე, გვერდი 103).

მეფე ვახტანგ მეექვსის მიერ, საზოგადოების მოწინავე ინტელიგენციასთან ერთად, ქვეყნის დატოვება ისტორიკოსის მიერ ქვეყნისათვის თავის მოკვეთის ტოლფასად არის შეფასებული. გაცილებით უფრო ტრაგიკულია თეიმურაზ პირველის მიერ მტრის გარემოცვაში მყოფი ქვეყნის არაერთგზის დატოვება. გიორგი სააკაძის იგივე ქმედება კი ამ დონის ტრაგედიად არ შეიძლება ჩაითვალოს.

გამოკვეთილია, რომ საზოგადოებაში არსებობს ქვეყნის პირველი პირებისათვის ყოვლისმიმტევებლობის სინდრომი. ეს ტენდენცია მიუღებელი და დასაგმობია, რადგან სწორედ მათ ეკისრებათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ხალხის წინაშე. მათ უნდა იცოდნენ, რომ ღვაწლი დაუფასდებათ, მიუტევებელ შეცდომებზე კი – პასუხისმგებლობა არ აცდებათ.

ბიუროკრატის მაძიებელი

პედაგოგიური საქმიანობის დროს კოლეგები, განსაკუთრებით უფროსი თაობის ქალბატონები, მარიგებდნენ: – შენ ახალგაზრდა კაცი ხარ, პარტიის წევრი, მოგიწევს დაწინაურება და ნუ გახდები ბიუროკრატი, საწყალი და გაჭირვებული შეიბრალე.

„დამაწინაურეს“. კაბინეტში შემოდის ახალგაზრდა ქალი, იგი სოფელში ჩემი მეზობელია. მგელმა ძროხა დამიკლა და დაზღვევას არ მაძლევენ – ამბობს იგი. ბიუროკრატთან მაქვს საქმე – ვფიქრობ და ვრეკავ დაზღვევაში. ვღებულობ პასუხს: – „ეგ პიროვნება თავის განცხადებაში წერს, რომ მწყემსობის დროს ძროხა თვალს მიეფარა, ძებნა დაიწყო და ტყეში ნახა იგი მგლისგან დაკლული. „თვალს რომ მიეფარა“ ეს მწყემსის დაუდევრობაა და დაზღვევა არ ეკუთვნის. თუ დახმარება გინდა, ახალი განცხადება დააწერინე“.

ქალი წერისთვის გაემზადა, მე კი – კარნახისთვის. ხანშიშესული კაცი შემოდის. ცოტა ხანს დაბრძანდით და დამელოდეთ, ვეუბნები მე და ვიწყებ კარნახს: ვმწყემსავდი საქონელს, ტყიდან გამოვარდა მგელი და დაეტაკა ძროხას. მე გავიქეცი ძროხის საშველად, როცა მგელს მივუახლოვდი, გრძნობა დავკარგე და წავიქეცი. გონს რომ მოვედი, ძროხა დაკლული იყო. მგელი კი აღარსად ჩანდა.

დაუჯერებენ ეხლა მაგას? მეკითხება მომლოდინე მამაკაცი და ეღიმება. თქვენ რა გნებავთ – ვეკითხები მე. ჩემი საუბრის ტონი მიანიშნებდა მას,რომ ხუმრობის დრო არ იყო. – მე ვარ გვარად კაპანაძე, დაიწყო მან საუბარი – ვცხოვრობ სოფელ ითხვისში. მიწისქვეშ მარგანეცის გამოღების გამო დამიზიანდა შენობა – ნაგებობები. შედგა აქტი და გამოყოფილია თანხა, რომელიც გადარიცხულია შემნახველ სალაროში და ჩემს ფულს არ მაძლევენ.

ეხლა კი ნამდვილად ბიუროკრატთან მაქვს საქმე – გავიფიქრე და დავრეკე შემნახველ სალაროში. სალაროს გამგე, ბატონი ივანე ჯაჯანიძე მაგონებს. მე ცოტა ხმამაღალ ტონში პრობლემის შესახებ მოვახსენე:

– გამოყოფილი თანხა მაგ მოქალაქის დის სახელზეა, მოვიდეს თვითონ მაგისი და და აიღოს კუთვნილი თანხა. – მივიღე პასუხი. სანამ ყურმილს დავდებდი, კაპანაძე ხმამაღლა ჩაერთო საუბარში ისე,რომ სალაროს გამგესაც გაეგონა:

– მე ჩემი დისგან მინდობილობა მაქვს და ეგ ვალდებულია მისი ფული მე მომცეს...

ჯაჯანიძემ ტელეფონზე ხმადაბლა დამიწყო საუბარი – ერთი ჰკითხე მაგას მინდობილობის გასაკეთებლად რომ მიდიოდა ნოტარიუსში,თავის დასთან ერთად, ჩემს სალაროსთან ხომ გამოიარა, შემოსულიყვნენ და აეღოთ კუთვნილი თანხა. შემდეგ მირჩია ფულთან დაკავშირებულ საკითხებს დიდი ყურადღებითა და სიფრთხილით მოვკიდებოდი და ამიხსნა: – მართალია თანხა დის სახელზეა, მაგრამ იგი ოჯახის ყველა წევრზე იყოფა. მსგავს შემთხვევაში საქმე ზოგჯერ სასამართლომდეც მიდის. მე რომ გამოუცდელი მუშაკი ვიყო (არ მკადრა შენსავითო), მივცემდი მაგ პიროვნებას ამ თანხას და საკითხის გამწვავების შემთხვევაში, ერთად მოგვიწევდა სასამართლოში სიარული. გამორიცხული არ არის ამ საქმეს მოჰყოლოდა შენთვის არასასიამოვნო გართულებებიც.

აღმოჩნდა, რომ ბიუროკრატის მაძიებელი, დამრიგებელსა და ჭკუის მასწავლებელს წავაწყდი. კაპანაძეს უარყოფითი პასუხით ვისტუმრებ, არადა მისი მოთხოვნა კანონიერია. განათლებული კაცია, პრაქტიკითაც მჯობნის და ჩვენი საუბრის ფინალი დიალოგში გადავიდა.

– სასამართლოს მიაკითხეთ, აქ ფულთანაა საქმე, ვეუბნები მე.

– მე მთავრობაში მოვედი.

– ეს მთავრობის საქმე არ არის.

– თითივით ქალი რომ წააჩხუბე მგელს, ისიც ფულთან იყო დაკავშირებული, თუ წილში უზიხარ!

ჩიხში შევედი. ჩემს კაბინეტში ჩემი უშუალო უფროსი, დიტო ტატიშვილი შემოდის, ის კაპანაძეს შინაურულად ესალმება. რა გაგჭირვებია – ეკითხება ტატიშვილი, თავის პრობლემას უხსნის კაპანაძე. სალაროში დარეკვას აპირებს ტატიშვილი. სალაროს გამგესთან საუბრის შედეგს ვახსენებ მე.

მართლაც და თუ შენი და იქვე გაატარე, რატომ არ ააღებინე კუთვნილი თანხა? – ეკითხება ტატიშვილი.

ჩემი გაჭირვება ცოტა სხვაგვარადაა – ამბობს კაპანაძე, ჩემმა დამ წერა – კითხვა არ იცის, მას ხელის მოწერა არ შეუძლია. მის სახელზე კი დიდი თანხაა ჩარიცხული და ხელმოწერის გარეშე არ მისცემენ. – აბა მინდობილობა როგორ გააკეთე? – იქ ჯვარი გააკეთა და საკმარისი აღმოჩნდა.შემნახველ სალაროში კი ამით არ კმაყოფილდებიან.

თუ წერა-კითხვა არ იცის, მაშინ როგორ უნდა მოიქცეთო და ტატიშვილი ურეკავს ისევ ჯაჯანიძეს, ისეთნაირად, თითქოს სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე და იღებს პასუხს: – მაგ შემთხვევაში მან ცნობა უნდა წარმოადგინოს საცხოვრებელი ადგილიდან, რომ წერა – კითხვის უცოდინარია.

მაგას რა უნდა შე კაცო – თქვა ტატიშვილმა და დარეკა ითხვისის სასოფლო საბჭოში. აგონებს აღმასკომის მდივანი, ციალა გულიაშვილი.

„ციალა, დიმიტრი ვარ ტატიშვილი, შენ ახლა გააკეთე ცნობა, რომ ამა და ამ პიროვნებამ (ეუბნება გვარს და სახელს), არ იცის წერა – კითხვა და გამოატანე დაუყოვნებლივ ავტობუსზე ვინმე მგზავრს.

მასეთ ცნობას მე ვერ გავცემ დიმიტრი დავითიჩ – პასუხობს ციალა, დადგენილი წესის თანახმად, მე წელიწადში ორჯერ კარისკარ ჩამოვლით ვაწარმოებ მოსახლეობის აღწერას. სპეციალურ გრაფაში, სადაც მითითებულია განათლება, ეგ პიროვნება მე მაწერინებს „წერა – კითხვის მცოდნე“. მაგ ქალბატონის ასაკმა 80-ს მიაღწია და მაგის ანკეტაში მარტო ჩემს მიერ გაკეთებული მინიმუმ 30 ასეთი ჩანაწერია.

შევნიშნე, რომ ტატიშვილს ესიამოვნა თავის ნომენკლატურის

მუშაკის კომპეტენტურობა: ოხ ციალა, ციალა, ჩაილაპარაკა და დადო ყურმილი.

რა გვეშველება, მიუბრუნდა ისევ კაპანაძეს ტატიშვილი. მხედველობაც ძალზე დაქვეითებული აქვს ჩემს დას, სთქვა კაპანაძემ. იქნებ აქ ვნახოთ გამოსავალი – ამბობს დიტო და ისევ ურეკავს ჯაჯანიძეს.

– თუ წერა – კოთხვა იცის, მაგრამ ვერ ხედავს?

– ექიმიდან მინდა ცნობა, რომ ვერ ხედავს.

ტატიშვილი ურეკავს თვალის ექიმს... საერთოდ რომ ვერ ხედავს, მასეთ ცნობას ვერ გავცემთ, პასუხობს ექიმი. გამოიკითხა მან ქალის ასაკი, საქმიანობა და დაასახელა მისი მხედველობის დაახლოებითი პროცენტული მაჩვენებელი. ჯაჯანიძეს ეუბნებიან ამ მაჩვენებელს.

– სიტყვა „ხედავს“ არ უნდა ეწეროს – პასუხობს ჯაჯანიძე. კულტურის განყოფილების გამგე შემოდის და გვანიშნებს, შესვენების დროაო.

ჩვენს საუბარს რომ ყური მოჰკრა, მხედველობის საორიენ-ტაციო მაჩვენებლის შესახებ, ჩაილაპარაკა:

ამდენს ხედავდა ჩვენი სახელოვანი კრიტიკოსი, ბესო ჟღენ-ტი და ქართული მწერლობა ამოატრიალაო. ვიცინით.

კაპანაძე წამოდგა და მიდის. რა მოიფიქრე: – ეკითხება ტატიშვილი. წავალ კაცო იმ ჩემს დას იქნებ ორი ასო ვასწავლო: – სთქვა კაპანაძემ.

ა... კაცო! მოუწონა გადაწყვეტილება ტატიშვილმა.

შესვენებისთვის ყველანი ერთად გამოვდივართ. კაპანაძე რესტორანში გვეპატიჟება.

წადი კაცო იმ შენს დაიას მიხედე: – ეუბნება ტატიშვილი. კაპანაძე იცინის, მადლობას გვიხდის და გვშორდება.

ორშაბათის თათბირი

საქალაქო საბჭოს აღმასკომში სამუშაო კვირა, ორშაბათ დილით, აღმასკომის თავჯდომარესთან თათბირით იწყებოდა.

თათბირზე დიდი დრო ქალაქის კეთილმოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებს ეთმობოდა და შესაბამისად მეტ დავალებებსაც ქალაქის კეთილმოწყობის უბნის უფროსი, ვაჟა გაბრიჭიძე იღებდა.

ერთხელ მან გულისტკივილით მითხრა: ადრე ხის ხელობაზე ვმუშაობდი, მიხდებოდა მიცვალებულთათვის სადგომების გაკეთებაც, შრომაში გართულს, ზოგჯერ მავიწყდებოდა რას ვაკეთებდი და ჩემთვის ვღიღინებდი ხოლმე. რაც ქალაქის კეთილმოწყობის უბნის უფროსი ვარ, ჩემი პირიდან სიმღერის ხმა აღარ ამოსულაო.

ერთხელ თათბირზე ვაჟა და კულტურის განყოფილების გამგე ლადო შუკაკიძე წაკამათდნენ. გაბრიჭიძე ქალაქის ცენტრში ორი ქუჩის კეთილმოწყობითაა დაკავებული და სხვა ქუჩებისთვის მაგას არ სცალიაო: – ამბობდა ლადო და მართალიც იყო. გაბრიჭიძეც მართალი იყო, იგი თავისი მწირი შესაძლებლობებით მეტს ვერ სწვდებოდა.

ქართველები რისი ქართველები ვართ, ერთმანეთს რომ დავუთმოთ და ჩემთვის ეს ორი საყვარელი პიროვნება ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ლადო აღმასკომის წევრი იყო, მას დიდი წონა ჰქონდა და ვაჟა ცოტას ფრთხილობდა.

ერთხელ ორშაბათს დილით სამსახურში მივდივარ, რკინიგზის ბაქანზე ციგნები შემომესივნენ, უნდა გიმკითხაოთო და ძლივს ჩამოვიშორე. გავიხედე და ჩემს უკან ვაჟა მოდიოდა. დაველოდე, ციგნები მასაც ავიწროვებენ, ისინი გზას უღობავენ ვაჟას და ეუბნებიან: „შენ კაი კაცი, გიმკითხაო, მტერი გყავს, მტერი...“

მტერი რომ მყავს ვიცი, ლადოა შუკაკიძე, გამიშვით თორემ თათბირზე დამაგვიანდება და სამსახურს დავკარგავო: – ეუბნება ვაჟა ციგნებს და ჯიქურ მიიკვლევს გზას.

„ფოსტა“

საქალაქო საბჭოს აღმასკომში შემოსულ სხვადასხვა სახის წერილობით დოკუმენტთა ერთობლიობას „ფოსტას“ ვეძახდით.მასში მოიაზრებოდა ზემდგომი ორგანოებიდან გადმოგზავნილი დადგენილებები, მიმართვები, ქალაქის საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან შემოსული სხვადასხვა სახის დოკუმენტები, აგრეთვე მოქალაქეთა საჩივრები და განცხადებები.

ყოველდღიურად აღმასკომის თავმჯდომარეს უნდა განეხილა „ფოსტა“ და შესაბამისი რეზოლუციით დაემისამართებია დოკუმენტთა ეს საკმაოდ დიდი გროვა. ეს სამუშაო კი გაცილებით რთული იყო, ვიდრე ამავე მოცულობის მოსწავლეთა ნაწერი თემების გასწორება. მოსწავლეებს ყველას ერთი ან ორი სხვადასხვა თემა აქვთ ნაწერი და თანაც შედარებით თანაბარი კულტურით. „ფოსტაში“ კი, რომ იტყვიან, „დომხალი“ იყო. ფოსტაზე მუშაობისთვის აღმასკომის თავმჯდომარეს ღამის საათები ჰქონდა გამოყოფილი.

ერთ დღეს მან მოქალაქეთა მიღება დაამთავრა, უკვე დაღამდა კიდეც და „ფოსტაზე“ მუშაობის დრო გამოიკვეთა. თავმჯდომარე კაბინეტიდან გამოდის. ასე ადრე – ჩუმად ჩაილაპარაკა განყოფილების გამგემ, ვენერა ბრეგვაძემ, რომელიც მისაღებში იდგა და ხელში დოკუმენტებით სავსე საქაღალდე ეჭირა. შემდეგ კი ჩვეული მოკრძალებით უთხრა: – „ოთარ მიხაილოვიჩ ფოსტაში ძალიან საჩქარო საქმეებია“.

ჩამოიტანე, სახლში წავიღებ: – უთხრა თავმჯდომარემ. იგი დაბლა ჩავიდა და მანქანაში, მძღოლის გვერდით დაჯდა. ვენერამ კი საქმიანი დოკუმენტებით სავსე საქაღალდე

მიაწოდა. გმადლობთ ვენერა საჩუქრისთვის: – უთხრა თავმჯდომარემ. მე ამ სცენას აივნიდან დავცქეროდი.

ტროტუარზე მიმავალმა ცნობისმოყვარე მგზავრმა ეშმაკურად ფეხი აითრია და ხესთან, ბნელში შეჩერდა. მანქანა რომ დაიძრა, თვალი გააყოლა, შემდეგ შენობაში შემომავალ ვენერასკენაც მოიხედა და თავი გადააქნია.

მეორე დღეს ჭორაობდნენ – წუხელ აღმასკომის თავჯდომარეს დიდი ფული წაუღია სახლშიო.

მოქალაქეთა მიღება

აღმასკომის საქმიანობაში დიდი დრო ეთმობოდა პირად საკითხებზე მოსულ მოქალაქეთა მიღებას. ამ საქმეს ყოველდღე რამდენიმე საათს, კვირაში კი ერთ დღეს მთლიანად უთმობდა აღმასკომის თავჯდომარე.

ათასგვარი საკითხებით მოდიოდნენ აღმასკომში მოქალაქეები, დაწყებული იმპორტული ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის, დამთავრებული ავეჯის, მსუბუქი ავტომანქანების,ბინების, უმაღლესი სასწავლებლების ლიმიტის და სხვათა გამოყოფით. ყველაფერი ეს კი ნაწილდებოდა და ძირითადად განკუთვნილი იყო რიგითი მუშების, კოლმეურნე – მწყემსებისა და ამ კატეგორიის კონტინგენტისათვის. ზოგჯერ კი მათ ძვირადღირებული ნივთების შეძენის საშუალება არ ჰქონდათ და ეს საქონელი ხვდებოდა სხვათა ხელში, რასაც მოსდევდა ათასგვარი ჭორები და მითქმა – მოთქმა. მიღებაზე მოსულ მოქალაქეთა მოთხოვნები უფრო ხშირად ვერ კმაყოფილდებოდა, რადგან ისინი კანონის მოთხოვნებიდან არ გამომდინარეობდნენ, მაგრამ ზოგიერთები ქალაქკომში ან ზემდგომ ორგანოებში ჩივილით და მათი ჩარევით ახერხებდნენ თავიანთი ახირებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ეს კი პრობლემებს გვიქმნიდა სხვა მოქალაქეებთან მუშაობის საქმეში.

დღის მეორე ნახევარში აღმასკომის თავმჯდომარესთან ქალბატონი ბიწაძე მოვიდა. მან აღნიშნა, რომ წყალგაყვანილობის სისტემის ავარიულად დაზიანების გამო წყალმა ბინაში პარკეტი დაუზიანა და მისი შეცვლა მოითხოვა. აღმასკომის თავმჯდომარემ საკითხის გადაწყვეტა კომუნალური სამსახურის მთავარ ინჟინერს, თემური გაფრინდაშვილს დაავალა. საკითხის გადაწყვეტა გაჭიანურდა. მოქალაქე ბიწაძე კვლავ მოვიდა თავმჯდომარესთან.

აღმასკომის თამჯდომარემ თემურის დაუძახა და უსაყვედურა, მან კი თავი იმართლა:

– რა ვქნა ბატონო, მე რომ მაქვს ის პარკეტი არ მოსწონს მაგას.

– შენ რა გაქვს?

– მე მაქვს ოცსანტიმეტრიანი, მაგას კი უნდა ოცდაათსანტიმეტრიანი.

– ოცსანტიმეტრიანი პატარა არ არის, ამბობს თავმჯდომარე.

– არც ოცსანტიმეტრიანი იქნება ბატონო, ცხარობს ბიწაძე.

– ოცსანტიმეტრიანი არის, ამტკიცებს გაფრინდაშვილი

– ზომა ზომაა, ამბობს თავმჯდომარე

ბიწაძეს ენიშნა, რომ თვმჯდომარე გაფრინდაშვილის მხარეს იჭერს და ცხარდება.

– მდივანთან წავალ, ამბობს იგი.

– მეტი არც იმას ექნება, ეუბნება გაფრინდაშვილი

– თუ არ ექნება ნახავ.

– მე რატომ ვნახავ, შენ მიდიხარ და შენ ნახავ.

ბიწაძე გაბრაზებული გადის კაბინეტიდან. თავმჯდომარე იღებს ერთ დოკუმენტს და ეუბნება თემურის: ხვალ ბიუროს სხდომაა, ეს კი ბიუროს პროექტია, აქ წერია, რომ მოქალაქე ყიფშიძემ რამდენჯერმე მიმართა საქალაქო საბჭოს აღმასკომს ბინაში დაზიანებული მილგაყვანილობის შეკეთების შესახებ. საკითხი არ გადაწყდა, მხოლოდ ერთხელ მიმართა პარტიის საქალაქო კომიტეტს და საკითხი დაუყოვნებლივ გადაწყდა. ამ პროექტით მშრომელთა განცხადებებსა და საჩივრებზე აღმასკომის მუშაობა არადამაკმაყოფილებლადაა შეფასებული. როგორ ვიმუშავო ასეთ პირობებში?

– ოთარ მიხაილოვიჩ! მაგ მოქალაქის განცხადება თქვენგან მე ორჯერ მეწერა. მე მას განვუმარტე, რომ წყალკანალიზაციის შიდა სამუშაოებისათვის ჩვენ არც მასალებს გვიყოფენ და არც გვევალება მისი გაკეთება, ის მათ თვითონ უნდა გააკეთონ, მივეცი წერილობითი პასუხიც. როცა ის საქალაქო კომიტეტში მივიდა, პირველმა მდივანმა დამიძახა და მითხრა: თუ ორ დღეში ეს მოქალაქე არ დაგიკმაყოფილებია, თანამდებობიდან მოგხსნი და პარტიიდან გაგრიცხავო, მეც ჩემი ხელფასის ფულით ვიყიდე მასალები და გავაკეთე.

– სამსახურიდან მეც მოგხსნი, ეუბნება თავმჯდომარე.

– მომხსნით და სხვა რაღაცაზე ვიმუშავებ, პარტიიდან რომ გამრიცხონ ცხოვრებაში დავიკარგები ოთარ მიხაილოვიჩ.

გაფრინდაშვილი ღელავს. თავმჯდომარეს წესად აქვს კაბინეტიდან არ გაუშვას აღელვებული და ნერვებმოშლილი მოქალაქე, მითუმეტეს წესიერი და ერთგული ხელმძღვანელი მუშაკი და აგრძელებს საუბარს:

„ასეთი საკითხების გადაწყვეტა ქალაქკომის კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ რას იზამ, მდინარეში ჩვენს ზემოთ დგანან, ამღვრევენ წყალს და გვიბუნტებენ მოქალაქეებს. მათი იარაღი აგიტაცია – პროპაგანდაა. კეთილი ინებონ, გავიდნენ ხალხში, ჩაუნერგონ მოქალაქეებს კანონისადმი პატივისცემა და ჩვენც გაგვიადვილდება მუშაობა. მაგრამ საამისოდ მაგათ არ სცალიათ, ტოლიბაშობაში არიან გაწაფულები.“

წადი ახლა შენ თემურ და იცოდე, ის ქალი მართლა შევა პირველ მდივანთან. იმ პარკეტის დაგებასაც შენ დაგავალებენ და მერე არ აღმოგაჩნდეს ოცდაათსანტიმეტრიანი. თემური მომღიმარი სახით გადის კაბინეტიდან.

„ხანდაზმული“

მიშა საკმაოდ სერიოზული დაწესებულების ხელმძღვანელი იყო. ერთხელ მას ახალგაზრდა ინსტრუქტორი კაბინეტში ეწვია და მისი მისამართით დაწერილი საჩივრის წერილი წარუდგინა. სათვალე სადღაც გადამემალა, წამიკითხე ბიძია რას წერს ჩემზე ჩემი „კეთილისმსურველი“ – უთხრა მიშამ ინსტრუქტორს. ინსტრუქტორმა კითხვა დაიწყო: ანონიმჩიკი ავტორის მიერ დაწერილ და ინსტრუქტორის მიერ გაჟღერებულ საკმაოდ სერიოზულ ბრალდებებს მიშა დუმილით ისმენდა, რაც აღიარებას ნიშნავდა. ბოლო ბრალდებაზე კი – „მიშა დაუნდობელია ქალების მიმართო“ - მან ალალმართალი კაცის სახე მიიღო და სინანულით წარმოთქვა:- „ ასე დაუვარდა მარჯვენა მაგის დამწერსო“.

„მარჯვენის დავარდნამ“ ბზარი გააჩინა მიშასა და მის „პარტნიორ , რუს მანდილოსან ლუბას შორის და აქ საქმე მარტო „მარჯვენას“ არ ეხებოდა, ქალს ფულები შემოაკლდა. მიშა კომუნისტი იყო, ეს კი მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისით მას დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა, რაც პირდაპირ კავშირში იყო მის თანამდებობასთან. ეს კარგად იცოდა ლუბამ და შანტაჟზე მიდიოდა.

ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის დამწყები თანამშრომელი ვიყავი. სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის, ვახტანგ უგულავას კაბინეტში ვიჯექი და დავალების მიღებას ველოდებოდი. მას წინ ედო მთავრობის დადგენილებებით სავსე საქაღალდე და ეძებდა ერთ-ერთს, რომელიც შესაბამისი ღონისძიებების შემუშავების მიზნით ჩემთვის უნდა გადმოეცა. კაბინეტის კარი გაიღო, მანდილოსანმა შემოიხედა და კარი ისევ გაიხურა. ეს ჩემთვის თავისებური მინიშნება იყო – ხელმძღვანელთან ერთი-ერთზე საუბარი მსურს და შენს გამოსვლას ველოდებიო. ჩვენ სამუშაო საათებშიც დიდ დროს გვაკარგვინებდნენ ამ კატეგორიის მოქალაქეები,

ამიტომ არასამუშაო საათებში სპეციალურად ვქმნიდით ისეთ ატმოსფეროს, რომ თავი დაგვეღწია მათთან უსაფუძვლო, მომაბეზრებელი საუბრებისაგან. ვახტანგმა ზარი მისცა დაცვის მუშაკს და უთხრა – მისაღებში მოქალაქე მელოდება და შემოვიდესო. კაბინეტში სიმპატიური რუსი მანდილოსანი შემოვიდა. იგი მაგიდის გვერდით, ჩემს პირისპირ დაჯდა, შემომხედა და თვალებით „მითხრა“ – „ქალი ვარ, ხელმძღვანელთან პირად საკითხზე სასაუბროდ შემოვედი, კულტურა იქონიე, ადექი და გარეთ გადიო“. მე გამომწვევად ჯერ საათს დავხედე, შემდეგ კი თვალებითვე „ვუპასუხე“ – სამუშაო საათები დამთავრებულია, მუშაობა ეხლა მაინც გვაცალეთ, ვიცი რომ ჩემი საქციელი არ თავსდება „ჯენლტმენურ ჩარჩოში“, მაგრამ რა ვქნა, ვერსადაც ვერ წავალ ჩემო ლუბა-თქო.

გისმენთ – მიმართა ვახტანგმა მანდილოსანს. ლუბამ რუსული აქცენტით და დამტვრეული ქართულით საუბარი დაიწყო: მან გვარით მოიხსენია მიშა, დაასახელა მისი თანამდებობა და ბრალიც წაუყენა – „შეურაცხკოპა მოგაკენა“. ლუბას მიშასთან ურთიერთობის აღდგენა სურდა და ამ მიზნით ვახტანგი მან გონივრულად შეარჩია, იცოდა რომ იგი მეგობრობდა მიშასთან, არც ლუბას ტიპის ქალების მიმართ იყო გულგრილი და ამ საქმის დარეგულირებას ყველაზე უკეთ სწორედ ის შეძლებდა.

შეურაცხყოფა როგორ გავიგოთ, გცემა, გაგლანძღა თუ რა – ეკითხება ვახტანგი. ლუბა აფორიაქდა, პასუხისთვის საჭირო სიტყვის შერჩევა დაიწყო, თავის მშობლიურ ენაზე მისი გაჟღერება ეუხერხულა, ქართულში კი შესაბამისი სიტყვა ვერ მოძებნა, ზარმაცი მოსწავლესავით აქეთ-იქეთ მიმოიხედა, თითქოს ვინმესგან კარნახს მოელოდა, მეც შემომხედა და თვალებით „მთხოვა“ - საჭირო სიტყვა მომაშველეო. მეც თვალებითვე „ვუპასუხე“ – ეგ სიტყვა ვიცი, მაგრამ „სათქმელად საძნელოა-თქო“. ვახტანგი პასუხს ელოდება, ლუბას დროის „ლიმიტი“ ეწურება და უხერხულად წარმოსთქვა – „მოტხანი“. ну и что? – გააუბრალოვა ვახტანგმა მიშას საქციელი, ოდნავ გაიღიმა, მე „თვალით მითხრა“ (თვალი ჩამიკრა) არასერიოზული „კლიენტიაო“ და დოკუმენტის ძებნა გააგრძელა, პარალელურად კი ლუბასთან დიალოგში ჩაერთო.

–Первый раз когда მოტხანი?

–Разве это имеет значение?

–Имеет, – სხვათაშორის ამბობს ვახტანგი და თან დოკუმენტს დაეძებს. მანდილოსანი ჩაფიქრდა და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ სთქვა: – 10 лет тому назад. ხანდაზმულია – ჩავილაპარაკე მე. „შენი დედა მიუკვანე, მიშას სტაჯი არ გაუცკდეს“ - ბოღმიანად მითხრა ლუბამ. მე ხმა ჩავიკმინდე. -А последний раз? აგრძელებს ვახტანგი დიალოგს. – Год назад – არის პასუხი. ვახტანგს ეღიმება. „დოკუმენტი არის“, სთქვა ლუბამ და ვახტანგს წინ დაუდო სხვადასხვა დროს მიშასთან ერთად გადაღებული სურათების დასტა. თვალი მოვკარი ზღვის სანაპიროზე წლების წინ გადაღებულ ამ წყვილის ერთ-ერთ ფერად ფოტოსურათს. ჰოლივუდის ვარსკვლავებს ჰგავდნენ ისინი „კუპალნიკებსა“ და მზის სათვალეებში.

ვახტანგმა დოკუმენტის ძებნა შეწყვიტა და სურათების დათვალიერება დაიწყო. იგი უფრო მეტ ყურადგებას სურათების უკანა მხარეზე გაკეთებულ წარწერებზე ამახვილებდა. თურმე ამ წყვილის „პარტნიორობის“ დაწყების თარიღით ინტერესდებოდა და, როგორც შემდეგ მითხრა, იგი ათ წელზე ადრე დაწყებულა. ბოლოს ვახტანგმა ლუბას სურათები დაუბრუნა და მთელი სერიოზულობით მიმართა: ქალბატონო ლუბა, თქვენი საუბარი და წარმოდგენილი „დოკუმენტები“ ძალადობის ნიშნებს გამორიცხავენ, ურთიერთთანხმობის საფუძველზე კი ასეთ აქტს ჩვენ ვერც ვაკონტროლებთ, არც გვევალება და არც გვცალია მაგისთვის. ლუბა განაწყენდა. „ამბობენ, როცა მოუნდეს, ვახტანგმაც მოიცალოს для ლამაზმანები“ – მორიგ შანტაჟზე წავიდა ლუბა. ყოველ შემთხვევაში ძალადობაზე არასდროს წავსულვარ – პასუხობს ვახტანგი „შეყრა არის პირიანი, ორთავეა რათგან ნება“ - ჩავილაპარაკე მე.

– А он что хочет, переведи мне что он сказал – ბოღმამორეული ეუბნება ჩემზე ლუბა ვახტანგს.

– При согласии партнёров акт между женщиной и мужчиной является справедливым – ასეთი ორიგინალობით, თანაც სახელდახელოდ თარგმნა ვახტანგმა „ვეფხისტყაოსანი“. თარგმანის შინაარსით გაღიზიანებულმა ლუბამ მე შემომიტია:

– Ты что сказал?

– Это не я, а Руставели сказал

– Когда это сказал Руставели

– В двенадцатом веке

– Эй, проснись молодой человек, двадцатый век, твой Руставели хандазмули

შემდეგ ლუბამ ორთავეს მოგვმართა: Вы забываете что Миша коммунист – წამიერი დუმილის შემდეგ კი მაგიდაზე მუჭი დაჰკრა და ბოლმიანად წამოიძახა – член КПСС!..

ვახტანგმა ლუბა დაამშვიდა, დახმარება აღუთქვა და გაისტუმრა. შემდეგ კი ტელეფონით დაუკავშირდა მიშას, „მარჯვენის დავარდნა“ მიუსამძიმრა, შანტაჟის სერიოზულობაზეც ესაუბრა და ურჩია როგორმე ლუბა გაეჩუმებინა. გავაგზავნი „შოფერსო“ – სთქვა მიშამ. შეთანხმდნენ.

ეტყობა „შოფერი“ კარგა ხანს არეგულირებდა მიშას და ლუბას ურთიერთობას და ლუბაც არსად ჩანდა. ბოლოს იქაც გაჩენილა ბზარი. ორ წელზე მეტი იყო გასული და ლუბამ საჩივარი განაახლა. იცოდა, რომ შოფრის დაშანტაჟებას აზრი არ ჰქონდა და აქცენტი ისევ კომუნისტ მიშაზე აიღო. თანაც ურთიერთობის აღდგენის იმედი გადაეწურა და რადუკალურ ნაბიჯზე წავიდა, კომუნისტზე პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით პარტიის საქალაქო კომიტეტში მისვლა გადაწყვიტა. მე ამჯერად პარტიის საქალაქო კომიტეტის თანამშრომელი ვარ და პირველ მდივანთან მიღებაზე მოსულ მოქალაქეებთან გასაუბრებას ვაწარმოებ. კაბინეტში შვიდი-რვა მოქალაქე მიზის, კარი იღება და შემოდის ლუბა. იგი პირდაპირ ჩემთან მოდის და ჩვენ შორის ასეთი დიალოგი იმართება:

„მე პირველი მდივანი უნდა“.

ამ ხალხს ყველას პირველი მდივანი უნდა.

„მერე რატომ არ გაუშვი“.

ზოგიერთ საკითხებს მდივნის გარეშე, ჩვენც ვწყვეტთ.

აჰა, Оперативно решаете да – „გამაღადავა“ ლუბამ, შემდეგ გაბრუნდა და ბოლო სკამზე დაჯდა, რიგი დაიკავა.

სხვადასხვა პრობლემებით იყვნენ მოსული მოქალაქეები. ლუბა ცინიკური კომენტარის გარეშე არ ტოვებს მოქალაქეებზე მიცემულ ჩემს რჩევა-დარიგებებს და რეკომენდაციებს. სოფლად

მცხოვრები ახალგაზრდა პედაგოგი ქალაქში ბინას ითხოვდა. გამოიკვეთა რომ იგი, არამცთუ ბინის გამოყოფას, საბინაო აღრიცხვასე აყვანის უფლებასაც კი მხოლოდ ორი წლის შემდეგ იპოვებდა (ქალაქში ცხოვრებისა და მუშაობის ორწლიანი სტაჟის შემდეგ). კონკრეტული კონსულტაციისათვის იგი კომუნალურ სამსახურში გავაგზავნე. მის შეკითხვაზე კი – დაახლოებით რამდენ ხანში შეძლებდა იგი ქალაქში ბინის მიღებას – მე ათი წელი დავასახელე. Решил вопрос – ჩაილაპარაკა ლუბამ. ამან კი იქ მსხდომთა ირონიული სიცილი გამოიწვია. მე დავიბოღმე. ერთ-ერთ ინტრიგანს, რომელიც ხელმძღვანელ მუშაკს უჩიოდა, გავუშიფრე თავისი ინტრიგანული წარსული და ვუთხარი – შენ პირველ მდივანთან კი არა, ამ შენობაში შემოსაშვები არ ხართქო. ლუბა იმასაც გამოესარჩლა და ჩემი მისამართით ირონიულად ჩაილაპარაკა – Умный, всё знает. დიახაც, ყველაფერი ვიცი – მივახალე მე. Обо мне что знаешь? – მეკითხება ლუბა. შენზე ის ვიცი, რომ თხუთმეტი წლის წინ, ერთ წესიერ და პატიოსან კაცს გადაეკიდე, ნებაყოფლობით დაუწექი, კინაღამ ოჯახი დაუნგრიე, ეხლა მოხვედი და მის დახვრეტას ითხოვ.

ლუბა სახტად დარჩა, ფეხზე წამოიჭრა, თვალი თვალში გამიყარა, მიცნო და წამოიძახა – „აჰა, хандазмули да, здесь правду не найти. Я в Москву поеду“ გაიჯახუნა კარი და წავიდა.

ლუბა მოსკოვში არ წასულა, მაგრამ კრემლში ტელეგრამებს ხშირად გზავნიდა, სამსახურიდან მიშას გადაყენება აუცილებელი გახდა.

ინფორმაციები

ზემდგომი ორგანოები გარკვეული პერიოდულობით ითხოვდნენ სხვადასხვა სახის ინფორმაციებს.

საბჭოების საქმიანობაში ერთ – ერთი მნიშვნელოვანი მომენტი იყო ამომრჩევლებთან დეპუტატობის კანდიდატების შეხვედრების დროს დაყენებული საკითხების აღრიცხვა, შესწავლა და გადაწყვეტა, ამ საკითხებს „განაწესებს“ ვეძახდით. ჭიათურის საქალაქო საბჭოს 250 დეპუტატი ჰყავდა და როგორც მინიმუმი, განაწესების რაოდენობაც ამდენივე უნდა ყოფილიყო, ფაქტიურად კი იგი 300 – სს აღწევდა.

განაწესებით გათვალისწინებული საკითხები (გზები, წყაროები, სკვერები, ხიდები და სხვა) უნდა გაკეთებულიყო სახელმწიფოდან დანახარჯების გარეშე, დეპუტატის თაოსნობით, ამომრჩეველთა უშუალო შრომითი მონაწილეობით და დაზოგილი მასალებით.

არჩევნების შემდგომ პერიოდში ამ საქმეებისათვის აღარავის ეცალა. განაწესთა რეალიზაციის ღონისძიებათა გეგმები კი ქაღალდზე რჩებოდა. ამიტომ ძნელი იყო ზემდგომ ორგანოებში ამ საკითხებზე საქმიანი ინფორმაციის გაგზავნა.

საორგანიზაციო განყოფილების გამგეს, გამოცდილ მუშაკს, ტატიშვილს, გაუთვალისწინებია ეს უხერხულობა და მორიგი არჩევნების დროს აუღია მსხვილი საწარმოების და ორგანიზაციების ოფიციალური გეგმები, ამოუწერია იქედან გადასაწყვეტი სოციალური საკითხები და მოუხდენია ამ საკითხების დამთხვევა განაწესებთან.

„ექსპერიმენტმა“ გაამართლა. ზემდგომშიც ხვდებიან, რომ ასეთი დიდი საქმეები ენთუზიაზმით არ კეთდება. ჩვენი უხერხულობაც იციან და არაფერს გვეუბნებიან.

გადის დრო და პრეზიდიუმიდან ითხოვენ ინფორმაციას: გვინდა განაწესებზე თქვენი დადებითი მუშაობა განვაზოგადოთ

და რამდენიმე კონკრეტული განაწესის მაგალითზე მოგვწერეთ, როგორი „ენთუზიაზმით“ მუშაობენ ჭიათურელი დეპუტატები განაწესების შესრულებაზეო. ასეთი დადებითი ინფორმაციის შინაარსი კი აუცილებელად გაჟღერდებოდა რესპუბლიკის მაღალი ტრიბუნიდან, ამიტომ ინფორმაციაში მითითებული განაწესი არ უნდა ყოფილიყო სახელმწიფო გეგმაში.

ტატიშვილმა იცოდა საიდან რა ამოწერა და სთქვა, მსხვილი ობიექტებიდან დამრჩა ხიდი მდინარე ბუჯაზეო და ინფორმაციაც იმაზე ააგო. ეს ხიდი კი, როგორც დეპუტატს, მშენებლობის ტრესტის მმართველს უნდა გაეკეთებია დაზოგილი მასალებითა და ამომრჩეველთა შრომითი მონაწილეობით.

ტატიშვილმა მშენებლობის ტრესტიდან ამ ხიდზე გახარჯული მასალებისა და რესურსების შესახებ ინფორმაცია მოითხოვა. მოუტანეს. ებევრა. ხიდი რომ გააკეთეთ კარგია, მაგრამ თქვენ ციხეში არ ამოყოთ თავიო: – ეუბნება ტატიშვილი.

– რატომ ციხეში? ჩვენ ეს ობიექტი გეგმაში გვაქვს.

– როგორ გეგმაში კაცო, გაცხარდა ტატიშვილი

– იმფერ, რომ, როცა ის თქვენ განაწესის სახით ჩვენი ტრესტის მმართველს დაუმტკიცეთ, ჩვენ გეგმაში შევიტანეთ, რათა მასალებისა და ფულის ხარჯვა დაგვეკანონებია, ეს რომ ასე არ გვექნა, ციხეში მაშინ მოვხვდებოდითო.

– მე ახლა დავადგენ რა დროს მოხდა მაგ ობიექტის შეტანა უკვე დამტკიცებულ გეგმაში და თქვენ ციხე მაინც არ აგცდებათო. – დაემუქრა ტატიშვილი.

***

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ სასოფლო საბჭოს მიღწევებზე ინფორმაციას ითხოვდნენ. ასეთი საბჭო გეზრული იყო. ტატიშვილმა შეადგინა ინფორმაცია და წარუდგინა აღმასკომის თავმჯდომარეს.

– სულ პროცენტები რომ არის, კონკრეტული ციფრები რატომ არ ჩანს. – ეუბნება თავმჯდომარე.

– რა ვქნა ოთარ მიხაილოვიჩ, რაც მაგ ორასკომლიან საბჭოს სოფლის მეურნეობის პროდუქტები აქვს დამზადებული, იმას

კახეთში ერთი ღარიბი გლეხი ამზადებს. მე ახლა პრეზიდიუმს მივწერო, საბჭომ 800 კგ ყურძენი დაამზადა და დროშა მივეცითო?

– წამოვიღოთ დიტო ეგ დროშა მაგ საბჭოდან, თუ არა ეგ პრობლემა სულ გვექნება ჩვენ.

– როგორ წამოვიღოთ ბატონო, ყოფაქცევაშია ფრიადოსანი და გადამწყვეტიც ეგ არის. ქალაქს მოწყვეტილია და უცხო იქ არავინ შედის, ერთმანეთს კი არაფერს უშავებენ. ეხლა მეზობელს მეზობლისთვის ცხვარი მოუპარია. წამოვიღებ დროშას მადედან და აღარ ვაღირსებ მაგ საბჭოს.

ქვაციხე, კაცხი და ზოდი, ამ საბჭოებში უნდა იტრიალოს მაგ დროშამ. ყვირილას აქეთ აღარ გადმოვიტან მაგას მე.

სოციალისტური შეჯიბრება

ამ თემაზე სამეცნიერო ნაშრომებს წერდნენ. ამკიცებდნენ, რომ ის ხელს უწყობდა შრომის ეფექტიანობის ამაღლებას. ფაქტიურად კი ეს სრულებითაც არ იყო ასე. 70-იან წლებში იუმორის მოყვარულთა წრეებში გავრცელებული იყო გამოთქმა „არ ჩააქროთ, მოვდივარ!“ ამ ფრაზას კი ასეთი ისტორია აქვს: ყოფილა შემთხვევა, როდესაც ხანძარმა მთლიანად გაანადგურა შენობა. შემთხვევის ადგილზე მისულ პირველ ხელმძღვანელს კი ათეულის უფროსმა გაუკეთა პატაკი. ამხანაგო უფროსო, ხანძარი ლიკვიდირებულია, ხის ნაწილი დამწვარია, ქვის და რკინის კი – გადარჩენილია. ზოგჯერ მოსახლეობა საკუთარი ძალებით ახრეხებდა ხანძრის ჩაქრობას და შემთხვევის ადგილზე მისულ მეხანძრეებს ხანძარი ლიკვიდირებული ხვდებოდათ. ხანძრების ლიკვიდაციის შემდეგ იწერებოდა შესაბამისი აქტები და იგზავნებოდა ზემდგომ ორგანოებში. სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების დროს ხანძრები, რომელთა შედეგადაც მხოლოდ ქვისა და ლითონის ნაწილების გადარჩენა ხერხდებოდა, ან კიდევ როდესაც მოსახლეობა ხანძარს საკუთარი ძალებით აქრობდა, შედარებით დაბალი ქულებით ფასდებოდა. სწორედ ამიტომ ხანძრის შესახებ სახანძრო რაზმში შესულ საგანგაშო სიგნალზე უფროსს უპასუხნია: – არ ჩააქროთ მოვდივარ!.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული შრომითი კოლექტივები საზეიმო ვითარებაში ჯილდოვდებოდნენ გარდამავალი წითელი დროშით.

დროშის მფლობელი ზოგიერთი ხელმძღვანელი ამით ამაყობდა, ზოგიც ღადაობდა. ჭიათურის სახანძრო რაზმმა, რომელიც დაწყვილებული იყო ტყიბულის რაზმთან, სოცშეჯიბრში გაიმარჯვა და დროშის გადაცემის ცერემონიალს მე, როგორც ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელი, ვესწრებოდი.

კარგი მაგიდა გამართეს ჭიათურლებმა. ჭიათურის რაზმის ხელმძღვანელი და მისი ტყიბულელი კოლეგა ჩემს მოპირდაპირე მხარეზე ერთად ისხდნენ და თავდაპირველად ყურადღებას არ მაკლებდნენ. როცა შეზარხოშდნენ, ერთმანეთთან საუბრით გაერთნენ. ტყიბულელის საუბარში დავიჭირე გამოთქმა გაისად იქ რომ ჩამოხვალთ. ცოტა ხნის შემდეგ იგივე წინადადება გაიმეორა ჭიათურელმაც, მხოლოდ ერთის განსხვავებით,

– ჩამოვალთ. ვეკითხები: – საიდან იცით გაისათ ვინ გაიმარ-ჯვებს სოცშეჯიბრშითქო.

ეგ ჩვენი საქმეაო, ამიქნიეს ხელი და გააგრძელეს საუბარი. შემდეგ დავადგინე, რომ დროშის გადაცემაზე მათ მორიგეობა ჰქონიათ დაწესებული და ხანძრის გაჩენის, ჩაქრობის თუ სხვა მაჩვენებლებს ურთიერთშეთანხმებით აწვდიდნენ ზემდგომ ორგანოებს.

კარგი ტრადიციისთვის ჩაუყრიათ საფუძველი. კოლექტივები დამეგობრებულან. გამომშვიდობებისას ტყიბულელებმა მომავალი წლისთვის მეც დამპატიჟეს, შენს კოლეგებს გაგაცნობთო.

* * *

სასოფლო საბჭოებზე გარდამავალი დროშის მიკუთვნებისას სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და სხვა მაჩვენებლებთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა საზოგადოებრივ წესრიგს.

ამ მხრივ პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ქალაქიდან დაშორებული სასოფლო საბჭოები. განსაკუთრებით იჩაგრებოდა კაცხის სასოფლო საბჭო, რომლის ტერიტორიაზე გამავალ ცენტრალურ საავტომობილო გზაზე მომხდარი ავტოსატრანსპორტო შემთხვევა ან ნებისმიერი სხვა დანაშაული მას ეწერებოდა. ერთხელაც ასეთი ინცინდენტი მოხდა: ჯინსებში „ჩაშმოტკილი“ ერთი ახალგაზრდა ჭიათურაში მატარებელს ჩამორჩა და ზესტაფონამდე მსუბუქი ავტომანქანა დაიქირავა. მანქანაში ორი უცხო ბიჭებიც ჩასხდნენ, ჩვენც იქ მივდივართო. გზის რომელიღაც მონაკვეთზე უცხო ბიჭებმა გააჩერეს ავტომანქანა, ჩამოიყვანეს მგზავრი და ჯინსების

გახდა და ძარცვა დაუწყეს. მძღოლი იმ უბნელი აღმოჩნდა, ჩაირბინა უბანში, ამოიყვანა ბიჭები, მძარცველებს სცემეს და პატიოსანი ბიჭი საფრთხისაგან იხსნეს.

დანაშაული დაფიქსირდა. კაცხმა გარდამავალი დროშის მიღების რეალური შანსი დაკარგა.

კაცხის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს, გივი კუპატაძეს კოლეგები ეუბნიან: – ბიჭო, ხომ არ შეირცხვინე თავი, დროშის გულისთვის იმ ვაჟკაც ბიჭებს ხომ არ უსაყვედურეო.

არა, მაგრამ ის კი ვუთხარი, სხვა დროს, ასეთი გარეწრები ჭიათურის საზღვარს გადააშორეთ და იქ თუ გინდათ მოკალით-თქო.

* * *

რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ სასოფლო საბჭოებში დავიწყებას მიეცა გარდამავალი წითელი დროშის გადაცემის პრაქტიკა და დაავალა რაიონულ და საქალაქო საბჭოებს დაუყოვნებლივ აღედგინათ წახალისების ეს ეფექტური ფორმა.

აღმასკომის თავმჯდომარემ უხმო პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარეს, ნუგზარ ბიწაძეს და ეუბნება:

– რომელ საბჭოშია გარდამავალი წითელი დროშა.

– არ ვიცი ოთარ მიხაილოვიჩ, მე ორი წელია რაც პროფ-კავშირს ვხელმძღვანებლობ. ამ პერიოდში კი დროშის გადაცემა არ მომხდარა.

– შენამდე ვინ იყო პროფკავშირის თავმჯდომარე?

– როსტომ ტაბატაძე

– შემოვიდეს როსტომი. შევდივარ. იგივე შეკითხვა. პასუხიც იგივე. – მეც ორი წელი ვიყავი და ამ პერიოდში დროშის გადაცემა არ მომხდარა.

– შენამდე ვინ იყო?

– გოგია გაფრინდაშვილი

– შემოვიდეს გოგია,.

– გოგია ვერ შემოვა, გარდაცვლილია.

დროშის კვალი იკარგება, სიფრთხილეა საჭირო, თორემ ეს

ფაქტი რომ პარტიის ქალაქკომამდე მივიდეს, შეიძლება მას პოლიტიკური სარჩული დაედოს.

იმ ხანებში აღმასკომის თავმჯდომარე სოფელ ქვაციხეში მიდის. სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის, ბეჟან ბრეგვაძის კაბინეტში, ლამაზად გაფორმებულ კუთხეში, ხედავს გაშლილ წითელ დროშას. თვითმხილველის ნაამბობი: აღმასკომის თავმჯდომარემ დროშას შეხედა, შეეტყო გაეხარდა და ბრეგვაძეს ეუბნება:

– სად იყო ეს დროშა, ბეჟან?!

– სოცშეჯიბრში გავიმარჯვე ოთარ მიხაილოვიჩ.

– რომელ წელში ბეჟან? ბეჟანი ვერ იხსენებს წელს.

– 1917 წელს საერთოდ გაიმარჯვეს საბჭოებმა, ჩამოხსენი დროშა ბეჟან.

ბეჟანი ხსნის დროშას. ჩაიტანე დროშა და ჩადევი ავტომანქანაში: – ეუბნება თავმჯდომარე მძღოლს.

– დროშა ტარიანად არ შევა მანქანაში – ამბობს მძღოლი.

– დააძვრე ტარი და დაუტოვე ბეჟანს – ეუბნება თავმჯდომარე.

მძღოლი აძრობს დროშას ტარს და აწვდის ბეჟანს. ბეჟანი დროშის ტარს კუთხეში აყუდებს.

რამდენიმე დღის შემდეგ აღმასკომის თავმჯდომარის მისაღებიდან ტელეფონზე მეძახიან. მისაღებში თავმჯდომარეს მოქალაქეები ელოდებიან. ვიღებ ყურმილს და მესმის აღმასკომის თავმჯდომარის ხმა: – მე მანდაეთში ვიმყოფები, აქედან პირდაპირ წავალ გეზრულში, დროშა თან მაქვს. ზურაბს (გეზრულის საბჭოს თავმჯდომარეს) დაურეკე და უთხარი ხალხი შეკრიბოს, თან დროშის ტარი გაამზადოსო. ვრეკავ გეზრულის სასოფლო საბჭოში და ვაწვდი შესაბამის ინფორმაციას.

– თუ დროშაა მაგას ყველაფერი თავისი უნდა ჰქონდეს, წითელი მატერია კაპიკები ღირს აგერ მაღაზიაში. – მეუბნება ზურაბი.

– დროშაა გარდამავალი, ტარი კი არა, როცა დროშას წამოვიღებთ, ტარს დაგიტოვებთ. ტარი დავუტოვეთ ბეჟანსაც – ვეუბნები მე. ჩემი საუბრიდან მისაღებში მდგომი მოქალაქეები მიხვდნენ, რომ თავმჯდომარის ლოდინს აზრი აღარ ჰქონდა

და დაშლა დაიწყეს. ერთმა შუა ხნის მამაკაცმა თავისთვის ჩაილაპარაკა: – დროშის ტარი სუსტია, კარგი კეტი უნდა მოიტანო და დაუხეთქო თავები ამ უსაქმურებსო.

***

1979 წელს დარსებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით ქლაქი ჭიათურა შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა. თბილისიდან ორდენის ჩამოტანაზე სურვილი დიმიტრი ტატიშვილმა გამოთქვა. ის ორი კურდღლის დაჭერას ცდოლობდა: – ორდენსაც ჩამოვიტან და სტუდენტ შვილებსაც ვნახავო.

შემდეგ, როცა შეიტყო, რომ დაცვის სახით მას მილიციის მუშაკები უნდა გაჰყოლოდნენ, შეწუხდა, მათთან ერთად რომ ბავშვებთან მივიდე, პატიმრობაში აყვანილი და გამოსამშვიდობებლად მისული ვეგონები, ინერვიულებენო და მეორე „კურდღლის“ დაჭერა გადაიფიქრა.

ორდენი ჩამოიტანა და ლითონის სეიფში ჩაკეტა. იგი ქალაქისათვის საზეიმო ვითარებაში,კულტურის სასახლეში,უნდა გადაეცა ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ედუარდ შევარდნაძეს. დაიგეგმა ზუსტი დროც. კულტურის სასახლეში შესვლა ხდება პარტიის საქალაქო კომიტეტის მოსაწვევებით. ტატიშვილს მოსაწვევი მისცეს, მე კი, როგორც რიგით ინსტრუქტორს, – არა.

ზეიმის დღეს ტატიშვილმა სეიფიდან ორდენი გამოიღო, ჯიბეში ჩაიდო და მითხრა: „წავედით“.

– დავითიჩ მე მოსაწვევი არ მაქვს: – ვეუბნები მე

– აგერ ჩემი მოსაწვევი.

– მერე თქვენ?!

– ჩემი საქმე მე ვიცი.

შენობიდან გამოვდივართ, იქ მილიციის ორი თანამშრომელი (დაცვა) გველოდება.

კულტსახლის შენობა კომკავშირელი და ახალგაზრდა კომუნისტი, კოხტად ჩაცმული და ლამაზი ბიჭების „ჯაჭვშია“ მოქცეული. დიტო მიიწევს წინ. იგი ასაკოვანი კაცია, ყველა იცნობს და აფასებს, მაგრამ ერთი ახალგაზრდა მაინც თავაზიანად

სთხოვს მოსაწვევს.

– არ მაქვს, ეუბნება დიტო.

– მოსაწვევის გარეშე ვერ გაგიშვებთ.

– არ გამიშვებთ და წავალ სოფელში, ქვეყნის საქმე მაქვს და რაღაცას გადმოგცემთ შევარდნაძე დაინახავთო და უკან ბრუნდება. დაცვის მუშაკი ჩუმად ეუბნება ახალგაზრდას: – მაგას ჯიბეში ორდენი აქვსო. ახალგაზრდები შეწუხდნენ, ფართო კორიდორი გახსნეს და დაუძახეს: – მობრძანდითო.

დიმიტრი დავითიჩი დაცვის თანხლებით შევიდა დარბაზში.

„ძველი ბიჭი“

აღმასკომის თავმჯდომარე დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დოკუმენტზე მუშაობას. იგი ყურადრებით აკვირდებოდა, როგორც ხელნაწერის, ისე ნაბეჭდი მასალის კულტურას. ქალაქის ელქსელების უფროსმა, აბაშიძემ, ნაბეჭდის სახით ორგვერდიანი ინფორმაცია წარმოუდგინა აღმასკომის თავმჯდომარეს.

თავმჯდომარემ მთლიანობაში დახედა ტექსტს, შევატყვე არ მოეწონა, შემდეგ თვალით დაიწყო კითხვა, პასტა ხელში აიღო და ალაგ-ალაგ სასვენ ნიშნებს სვამდა. შემდეგ რაღაც ჩაასწორა.

აბაშიძე უხერხულად ჩავარდა და სთქვა: – ოთარ მიხაილოვიჩ! ახალი გოგო მყავს და იმას დავაბეჭდინეო, თავმჯდომარემ კი უპასუხა: – მე იქ ძველი ბიჭი მყავს და სანამ დოკუმენტს ხელს მოაწერდეს და ჩემთან მოიტანდეს, უნდა წაიკითხოს და ჩაასწოროსო.

ექიმმა ექიმს „დიაგნოზი“ დაუსვა

აღმასკომის სხდომაზე ნიგოზეთის საუბნო საავადმყოფოს მუშაობის საკითხი იხილებოდა. ინფორმაცია ქალაქის მთავარმა ექიმმა, ბუხუტი ფხალაძემ, წარმოადგინა.

აღინიშნა ნაკლოვანებებზე შრომის დისციპლინის, სანიტარულ – ჰიგიენური, შენობისა და ეზოს მოვლა – პატრონობისა და სხვა სფეროებში. საავადმყოფოს მთავარი ექიმი, 80 წელს გადაცილებული, ღვაწლმოსილი მუშაკი, ალუა ბარათაშვილი თავაზიანად პასუხობდა შეკითხვებს.

რით ხსნით ამ ნაკლოვანებებს? – ეკითხება აღმასკომის თავმჯდომარე ფხალაძეს, ის კი პასუხობს: „ბატონი ალუა ბარათაშვილი ზომაზე მეტად თავაზიანი, წესიერი და პატიოსანი კაცია.რაც ასაკში წავიდა, მისი ეს თვისებები უფრო გამოიკვეთა და მის კეთილშობილებას ბოროტად იყენებენ თანამშრომლები“.

– ა, კაცო უპარტიო კაცის გულუბრყვილობა (ფხალაძე უპარტიო იყო) – მეუბნება ტატიშვილი – საკითხი რომ ბიუროზე იხილებოდეს, იტყოდნენ: ამხანაგი ალუა თავიდან არ იყო მომთხოვნი, ეხლა დაბერდა, ყურში მაგას არ ესმის და თვალით ვერ იხედება და აბა რა იქნებაო.

„მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“

„იმპორტული“ ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის განაწილების შემოღებამ და ამ საქმეში საბჭოების ჩართვამ, საბოლოოდ აახდინა ლენინის ოცნება: – „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“

აღმასკომის თავმჯდომარეს ფეხსაცმლის გამოყოფის შესახებ განცხადებით მიმართა ომის ინვალიდმა. განცხადება ტატიშვილს დაეწერა. იგი გაცხარდა, რა აღმასკომის და რა ჩემი საქმეა ფეხსაცმლის განაწილებაო. მაგრამ როცა განცხადების ავტორი მოვიდა, ტატიშვილმა თავაზიანად მიიღო იგი, სავაჭრო ორგანიზაციაშიც დარეკა და უთხრა: ომის ინვალიდია ჩემთან, ცალი ფეხი ფრონტზე დაუტოვებია, ფეხსაცმელს ითხოვს და იქნებ დააკმაყოფილოთო. დაპირდნენ. ტატიშვილმა ინვალიდი იმედიანად გაისტუმრა.

ცოტა ხანი გავიდა და ტელეფონზე რეკავენ, მე მხოლოდ ტატიშვილის პასუხი მესმის. – „რა ვიცი კაცო ჯოხით გავიდა და პროტეზზედაც ხომ უნდა წამოიცვას რაღაცა“.

ეტყობა საწყობში ცალ – ცალი ფეხსაცმელი დარჩათ და ტატიშვილს ჰკითხეს, რომელი ფეხი ააქვსო?!.

ახალი ამბავი

კომუნისტური მმართველობის ბოლო წლებში სკოლებს ჰქონდათ პროფტექნიკურ სასწავლებლებში გასაგზავნ მოსწავლეთა კონტიგენტის გეგმა. პედაგოგები აქ დიდ წინააღმდეგობებს აწყდებოდნენ და იძულებით მეთოდებს მიმართავდნენ: მოსწავლეს ორიანს დაუწერდნენ, კლასში დატოვებით დაემუქრებოდნენ, შემდეგ კი პროფტექნიკურში წასვლის პირობით გადაჰყავდათ იგი შემდეგ კლასში. ეს მოსწავლე პროფტექნიკურ სასწავლებელთან ერთად აგრძელებდა სწავლას საღამოს სკოლაში.

ჩემი მეგობარი, პროფესიით პედაგოგი სოფლის ერთერთი სკოლიდან საქალაქო საბჭოს აღმასკომში გადმოიყვანეს. ერთ დღეს იგი შესვენებიდან დაბრუნდა და მიამბო: ჩვენი სკოლიდან პროფტექნიკურში გამოგზავნილ ერთერთ მოსწავლეს ქუჩაში შევხვდი, მივესალმე და სხვათაშორის ვკითხე – ახალი რა არის. არაფერი მასწ – მიპასუხა მან და ერთმანეთს დავშორდით. რამდენიმე წამის შემდეგ მესმის მისი ხმა – ნუგზარ მასწ! შემოვბრუნდი და ვხედავ იგი ჩქარი ნაბიჯით მოდის ჩემკენ. მომიახლოვდა და მითხრა – არის ახალი ნუგზარ მასწ. მე რომ უცხო ენაში მასწავლებელმა ორიანი დამიწერა და კლასში დატოვებით დამემუქრა, მე და ის ეხლა ერთად ვზივართ მეათე კლასში.

თურმე უცხო ენის მასწავლებელს, არასრული საშუალო განათლების შემდეგ, გაუვლია უცხო ენის შემსწავლელი კურსები და დაუნიშნიათ უცხო ენის მასწავლებლად. შემდეგ მოუსურვებია ცოდნის „დონის ამაღლება“ და აღმოჩენილა თავისი ოროსანი მოსწავლის გვერდში.

სამახსოვრო საჩუქარი

80 – იან წლებში კომუნალური დარგის ერთმა მუშაკმა გულისტკივილით მითხრა: ერთ ახლობელს საწყობიდან უნიტაზი მივეცი. მან კი ახლობელთა ფართო წრეში მადლობა გადამიხადა „საჩუქრისათვის“ და მითხრა, როცა ზედ ვზივარ სულ შენ მაგონდებიო.

ბოლო ხანებში იმ მუშაკს შემთხვევით შევხვდი. ბევრი რამ გავიხსენეთ და უნიტაზამდეც „მივედით“. მან კი ამ საკითხზე ახალი ვერსია მიამბო: იმ ამოწყვეტილს წნევამ დაარტყა, საწოლს მიაჯაჭვა და უნიტაზამდე ველარ მიდის. დავურეკე და ვუთხარი არ დამივიწყოთქო. ეს ნიშნის მოგებას ჰგავდა და მეც ასე მქონდა გათვლილი. არც მან დააყოვნა და მითხრა: შენ თავს რა დამავიწყებს, პავლოვის ძაღლივით გამომიმუშავდა რეფლექსი იმ „განცდაზე“ და ეხლა „გარშოკის“ დანახვაზეც მაგონდებიო.

ანონიმჩიკი

ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილ განცხადებაში „ანონიმჩიკი“ ავტორი იუწყებოდა, რომ სოფელ მანდაეთის მეურნეობაში ჯიშიანი პირუტყვი შემოიყვანეს, ზამთარი ახლოვდება. მეურნეობას კი არ აქვს მათი საკვები, პირუტყვს დახოცვის საფრთხე ემუქრება, საქალაქო საბჭოს აღმასკომი კი ყურადღებას არ აქცევს ამ საქმესო.

განცხადება განხილვისა და სათანადო რეაგირებისათვის გადმოეგზავნა პარტიის საქალაქო კომიტეტს. ქალაქკომის მაშინდელი პირველი მდივანი, ასეთ საკითხებზე რეაგირებას პირველი ხელმძღვანელის მოხსნით იწყებდა.

ბრალდება სერიოზულია და თანაც საფუძვლიანი. აღმასკომის თავმჯდომარე ამ საჩივრის უკან მისი სავარძლით დაინტერესებულ პირის კვალს ხედავს. აღმასკომში დაძაბულობაა. გაჩნდა ინფორმაცია, რომ პირველი მდივანი პირადად წავიდა საკითხის შესამოწმებლად. დაბრუნდა და აღმასკომის თავმჯდომარეს იბარებს. დაძაბულობა პიკს აღწევს.

ჩვენდა გასაკვირად თავმჯდომარე კმაყოფილი ბრუნდება საქალაქო კომიტეტიდან. თავმჯდომარის ნაამბობი:

„მდივანი აღტაცებული დაბრუნდა მანდაეთიდან, ბევრი ზვინები ვნახეო. ძროხები კი არ უნახია, მუხის ჯირკს რომ მიუგავთ თავები. ის საკვები მაგ ძროხებს ერთ თვესაც არ ეყოფათ.კიდევ კარგი, რომ მაგათმა საქმე არ იციან, თორემ ჩვენი მუშაობა არ ეღირებოდა“.

ანონიმური წერილები ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდნენ. თუმცა მათი განხილვა არ ღირდა, რადგან „ანონიმჩიკი“ კვალის დაფარვის მიზნით პირველი უარყოფდა ფაქტებს და ისინი არ დასტურდებოდნენ. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ერთხანს გაამკაცრა კანონი ანონიმჩიკებზე და ფაქტის ვერ დადასტურების შემთხვევაში მათ, ზოგჯერ

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც კი ეკისრებოდათ. ეხლა მთავარი იყო თვით ანონიმჩიკის გამოვლენა.

ერთხელაც გამოვავლინე ანონიმჩიკი, იგი საკოლმეურნეო ქონების განზრახ განადგურებაში (თივის ზვინების დაწვაში), ბრალს სდებდა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. მე ანონიმჩიკს განვუმარტე, რომ ბრალის ვერ დადასტურების შემთხვევაში მას ციხე ელოდა. იგი სერიოზულად შეშინდა. განცხადება სამართალდამცავ ორგანოებს გადაეგზავნათ. ანონიმჩიკი გაუჩინარდა. შევიტყვე, რომ ის ხეზე მომუშავე ხელოსანი ყოფილა და ბინაზე პარკეტს უგებდა სამართალდამცველი ორგანოს ერთ – ერთ მუშაკს.

სამუშაოს რომ მორჩა, კვლავ მომაკითხა. ახლა უკვე ხელ-მოწერილი განცხადებებით. იგი ბრალს სდებდა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს სხვადასხვაგვარ დარ-ღვევებში. მე მას ისევ ციხე ვუხსენე, მაგრამ აღარ შეში-ნდა. საუბარში შევატყვე, რომ პარკეტის დაგებისას სამარ-თალდამცველებთან კონტაქტში მას ცოტაოდენი იურიდიული განათლებაც მიუღია. შემდეგ ვუთხარი: – შენ პარკეტის დაგება ხომ არ მოგენატრათქო. ამჯერად კი სერიოზულად შეშინდა და მითხრა, განცხადება იქ არ გადააგზავნოთო. მე მას განვუმარტე, რომ მის განცხადებას, თავისი შინაარსიდან გამომდინარე სხვა მისამართი არ ჰქონდა.

– შენთან იყოსო: – მითხრა ბოლოს.

– პარკეტი მეც დასაგები მაქვს: – ვეუბნები მე.

– მაშინ ჩემი განცხადება დამიბრუნეო. შემეხვეწა და მეც დავთანხმდი.

„პაციენტები“

პარტიის საქალაქო კომიტეტში, ზოგჯერ მოდიოდნენ ინვალიდობის ჯგუფის მქონე პირები და მოითხოვდნენ ექიმების მიერ მათზე დასმული დიაგნოზის გადამოწმებას. მეხსიერებას შემორჩა რამდენიმე მათგანის სახე:

პაციენტი №1.

მისახელებს თავის გვარს და იწყებს საუბარს: მაქვს ინვალიდობის მესამე ჯგუფი და შესაბამისი პენსია. ფაქტიურად ვარ სრულიად ჯანმრთელი. არ მეკუთვნის პენსია და რამდენიმე წელია არც ამიღია. მინდა მომიხსნათ ინვალიდობის ჯგუფიც და პენსიაც.

ტელეფონით ვუკავშირდები სოციალური უზრუნველყოფის განყოფილბის გამგეს და ვთხოვ ამ პიროვნებაზე ინფორმაციას. ისიც მპასუხობს:მაგ პიროვნებას ჩვენ „ჭკვიან სულელს“ ვეძახით, ახალგაზრდობაში სამხედროში წასვლა არ ისურვა და თავის არეში ტკივილები მოიმიზეზა.ექიმებმა დიაგნოზი, „შიზოფრენიის“ ერთ-ერთი ფორმა დაუსვეს. შემდგომ პერიოდშიც, სანამ სამხედროში გასაწვევი ასაკი ჰქონდა, ყოველწლიურად ხდებოდა მაგ პიროვნების ჯანმრთელობის მდგომარეობის გადამოწმება და დიაგნოზი დასტურდებოდა. ეხლა ეს დაავადება ქრონიკულად ითვლება და გადასინჯვას აღარ ექვემდებარება.

მე ამ მოქალაქეს განვუმარტე,რომ თუ ქალაქის სამედიცინო კომისიის დასკვნას არ ენდობა, უნდა მიმართოს რესპუბლიკურ სამედიცინო კომისიას. ჩემს პასუხს კი ჩვენს შორის ასეთი დიალოგი მოჰყვა:

– შენი ვერაფერი გავიგე,ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში მოვედი, ექიმებს ვუჩივი და ექიმებთან მაგზავნი?

– ავადმყოფის დიაგნოზს ექიმები სვამენ, მე რა შემიძლია.

– ის შეგიძლია რომ უნდა ამოხვიდე ჩვენს სოფელში და შენი თვალით გადაამოწმო ყველაფერი.

– მე რა უნდა გადავამოწმო.

– რა უნდა გადაამოწმო და საბჭოს თავმჯდომარე ხომ იცი, ერისტო მუმლაძე.

– ვიცი.

– მეურნეობის დირექტორი ემზარ შეყილაძე?

– ვიცი.

– რავარი ბიჭები არიან?

– ერთმანეთზე უკეთესები.

– ჰოდა ამოდი ჩვენს სოფელში, გაიარე ხალხში, ჯერ მაგათი ავტორიტეტი იკითხე და მერე ჩემი. შემაჯიბრე რა საქმეშიდაც გინდა – კაცობაში,ვაჟკაცობაში, ტოლიბაშობაში.ჭირისა და ლხინის დღეებში მე სულ თავკაცი ვარ.ეგენი მოვლიან გაშლილ სუფრაზე,დალევენ ორ ჭიქა ღვინოს,მაშინ მოუნდებათ სოფლის აშენება, აჭიკჭიკდებიან და მეორე დღეს ავიწყდებათ ყველაფერი.

– ღვინოში ბევრი უმატებს ლაპარაკს, ზოგჯერ მეც ვაჭარბებ ხოლმე – ვაწყვეტინებ საუბარს მე.

– ჰოდა შენც გქონია პრობლემები. მე რომ მივიღებ ჩემს დოზას, წვეთს აღარ დავამატებ, ავდგები და წავალ სახლში.

ვატყობ ამ „პაციენტს“ თანამდებობა უნდა და ვეუბნები – საბჭოს თავმჯდომარე არჩევითია თორემ გაგიშვებდა კაცი.

– მეურნეობის დირექტორი? ისე არაფერი არჩევნები არ უნდა მაგას, ვინც თქვენ გინდათ, ის იქნება საბჭოს თავმჯდომარეც და მეურნეობის დირექტორიც, მაგას მაინც არ უნდა ექიმი.

ამ დიალოგში ისეთ ზომიერ და მოხდენილ იუმორსა და ირონიას სდებდა ჩემი „პაციენტი“, რომ მისი დიაგნოზის აბსურდულობაში ეჭვი არ მეპარებოდა, მაგრამ ამ მართლაც ჭკვიანი კაცის დიაგნოზის შეცვლა მე არ შემეძლო.

* * *

პაციენტი №2.

დიაგნოზი იგივე, მოთხოვნა კი რადიკალურად განსხვავებული.

– მესამე ჯგუფი მაქვს, ფაქტიურად კი მე უფრო მძიმე

ავადმყოფი ვარ, მეორე ჯგუფი მეკუთვნის და ექიმები არ მაძლევენ.

ამ მოქალაქეს ჯგუფის შეცვლა და პენსიის გაზრდა უნდოდა. ჩემი აზრით დასმული დიაგნოზი შეესაბამებოდა მის ფსიქიკურ მდგომარეობას და მოთხოვნაც არ მეჩვენებოდა უსაფუძვლო.

ისევ ვუკავშირდები სოციალური უზრუნველყოფის ხელმ-ძღვანელს, ვახსენებ წინა შემთხვევას და ვეუბნები, რომ იგივე კატეგორიის, მაგრამ ეხლა ნამდვილ ავადმყოფთან გვაქვს საქმე. მეკითხება გვარს და სახელს. მეც ვეუბნები. ის კი მპასუხობს:

– ეგ მეორე პაციენტი იმ პირველზე მეტი ჭკვიანია, მაგრამ ჩვენ ვგონივართ სულელები.

ერთ დღეს მიღებაზე ახალგაზრდა გურული ქალი მოვიდა. მე ვარ ბათუმიდან – დაიწყო მან საუბარი. ჭიათურელმა კაცმა ცოლად წამომიყვანა. აქ კი აღმოჩნდა,რომ ჩემ ქმარს ცოლიც ჰყოლია და შვილებიც, მე ისინი სახლში არ მიშვებენ. ამიტომ უნდა გამომიყოთ ბინა ქალაქ ჭიათურაში.

ვეკითხები თუ ვის გამოყვა ცოლად იგი ჭიათურაში და ისიც მისახელებს ჩემს „№2 პაციენტს“.

– ქორწინება თუ გააფორმეთ – ვეკითხები მე.

– არა.

– მაშინ ქმრად რატომ მოიხსენიებთ?

– ის ბათუმში იყო სამუშაოდ ჩამოსული და ერთად ვცხოვრობდით.

მე გურულ ქალბატონს ქალაქში საცხოვრებელი ბინების განაწილების წესი გავაცანი. ვუთხარი, რომ ბინით მისი დაკმაყოფილება მოკლე დროში ვერ მოხერხდებოდა და ვურჩიე დაბრუნებულიყო უკან, ბათუმში. თანაც, რომ შემეგუებია ამ აზრისათვის, ვუთხარი: – ისე რომ იცოდე, ის შენი „ქმარი“ ცოტას უბერავსთქო.

მეორე დღეს კაბინეტში რამდენიმე მოქალაქე მიზის. კარი იღება და შემოდის ისევ გურული ქალი.

– ახალს ვერაფერს გეტყვი, გუშინ ხომ ვისაუბრეთ, ვეუბნები მე.

– მე პასუხის მოსატანად მოვედი, ჩემ ქმარს ვუთხარი შენ რომ მითხარი უბერავსო და მან შენზე მითხრა, როსტომი თავად

უბერავსო – „მომიტანა პასუხი“. გაიხურა კარი და წავიდა.

პაციენტი №3.

პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს, თეიმურაზ გიორგაძეს, სამხედრო კომისარიატიდან წარმოუდგინეს ინფორმაცია ქალაქკომის წევრებიდან ვის არ ჰქონდა გავლილი სამხედრო სავალდებულო სამსახური და რა მიზეზით. წარმოდგენილ ინფორმაციაში რამდენიმე მუშაკის სამხედროში არ გაწვევის მიზეზად მინიშნებული იყო დაავადება თავის არეში. გიორგაძე ურეკავს ერთერთ ექიმს და ეუბნება:

– ვიცი რომ ამ დიაგნოზით ავადმყოფი „უბერავს“, მაგრამ მინდა ვიცოდე რა დონის ავადმყოფთან მაქვს საქმე.

– თუ პატრონი ჰყავს, ფსიქიატრიულში გადასაყვანი არ არის, ისე ქუჩაში უმეთვალყურეოდ მაგისი გაშვება არ შეიძლება, პასუხობს ექიმი და თვითონაც ინტერესდება თუ ვინაა ეს პიროვნება.

– ბიუროს წევრია ჩემი, პასუხობს გიორგაძე.

* * *

დრო შეიცვალა, გორბაჩოვის ღირებულებათა გადაფასებისა და ახლებურად აზროვნების შესაბამისად მოხდა ''ჭკვიანთა და არაჭკვიანთა'' ადგილმონაცვლეობა.

მე თბილისში წამოვედი და მშენებლობაზე დავსაქმდი. ერთ დღეს ქუჩაში შემხვდა №2 პაციენტი. ხელში ''პაპკა'' ეჭირა. ერთმანეთი მოვიკითხეთ. ერთ-ერთ ბანკში დაცვის უფროსად ვმუშაობ, თუ რაიმე პრობლემა გაქვს, მომაკითხე და დაგეხმარებიო - მითხრა მან.

ერთმანეთს დავშორდით. მივდივარ და ვფიქრობ, თუ ეს დაცვის უფროსია ,№1 პაციენტი პარლამენტში უნდა იყოს. სამშენებლო ობიექტზე მივედი. სამუშაო ტანსაცმელი გადავიცვი და ხარაჩოზე რომ ავდიოდი, გურული ქალის მოტანილი პასუხი გამახსენდა.

„ხუდონჰესი“

პარტიის საქალაქო კომიტეტში მბეჭდავად მუშაობდა მშვენიერი რუსი ქალი. იგი შესანიშნავად ბეჭდავდა როგორც ქართულად, ისე რუსულად.

მოახლოებულ კომუნისტურ დღესასწაულთან დაკავშირებით ერთ – ერთი განყოფილების გამგეს („საშას“), მასთან მოხსენება მიუტანია დასაბეჭდად.

მბეჭდავის ოთახს ვუახლოვდები და მესმის მისი ხმა: – „ოხ საშა, საშა ეს არის „ხუი“.

უკან გამოვბრუნდი: „ბევრი რამ გამეგონა ქალაქკომის მუშაკებზე, მაგრამ ნახევარიც არ მეჯერა“ – ვფიქრობ ჩემთვის და მივდივარ კორიდორში.

მდივნის მისაღებში „საშას“ ხმა მესმის. რაღაც გაუგებრობაა… მივბრუნდი და მბეჭდავთან შევედი. იგი განაწყენებული ტონით მაწვდის ხელნაწერს და მეუბნება – წამიკითხე ეს სიტყვა. „ხუდონჰესი“ – ვკითხულობ მე.

– რანაირი ხუა ბიჭო ეს, ეხლა წინადადება წამიკითხე მთლიანად.

– ხუდონჰესის მწყობრში ჩადგომით საბოლოოდ გადაწყდება საქართველოს ენერგეტიკული პრობლემები – ვკითხულობ მე.

– ააყვავებთ საქართველოს თქვენ, წერა – კითხვა ვერ გისწავლიათ – „შემამკო“ რუსმა ქალბატონმა და გააგრძელა ბეჭდვა.

რევიზორი ბაზარში

ცენტრალური კომიტეტიდან ჩამოსულმა რევიზორმა ქალაქის პარტიული ორგანიზაციის საფინანსო საქმიანობის ანალიზზე რამდენიმე დღე იმუშავა. თბილისში გამგზავრების წინ იმერული ყველის ყიდვის მიზნით ბაზარში შესვლა მოისურვა. მეც თან გავყევი. საუბარში მეუღლის დანაბარები გაიხსენა: - სანამ ყველს აიღებ, ჯერ გამყოდველს შეხედე, იგი სისუფთავითა და იერსახით გამორჩეული უნდა იყოსო.

ბაზარში შევედით. ვხედავთ ქალები დახლებთან დგანან, წინ ყველი ულაგიათ და მყვიდველს ელოდებიან. რევიზორმა შეათვალიერა გამყიდველები და ერთ გამორჩეულად მიმზიდველ ქალთან მივიდა, ჯერ ფასი ჰკითხა, შემდეგ კი ერთ ყველზე მიანიშნა და უთხრა: ცოტა ჩამოჭერი, მარილზე გავსინჯავვო. მანდილოსანმა ორთავე ხელის გაშლილი მტევნებით ფეხებს შორის მიანიშნა და უთხრა: - გაჭრილი აგერ მაქვსო. თურმე ქალს ფეხებს შორის ყველიანი ვედრო ედგა.

მოტყუებული ელენა

საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს, ვახტანგ უგულავას, რომელიც კომუნალური ბინების განაწილებას ხელმძღვანელობდა, საბინაო პირობების გაუმჯობესების შესახებ, თხოვნით მიმართა ვაჭრობის დარგის საკმაოდ დამსახურებულმა მუშაკმა, ელენა ღვალაძემ. შემოწმებით დადგინდა, რომ ღვალაძის საცხოვრებელი ბინა აკმაყოფილებდა სანიტარულ ნორმებს და მას გაფართოება არ ეკუთვნოდა.

იმ დროს ქალაქის გაზეთის რედაქტორის თანამდებობაზე მუშაობდა ელენას ახლობელი და ვახტანგის მეგობარი, მარატი ღვალაძე. მარატიმ სთხოვა ვახტანგს ელენასათვის გაეწია დახმარება. ამისათვის კი ელენას დამატებით წარმოადგენიეს საბუთები თავისი დამსახურების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, საცხოვრებელი ბინის ნესტიანობის შესახებ და როგორც გამონაკლისი, აიყვანეს იგი საბინაო აღრიცხვაზე.

დრო გადიოდა, ელენა პერიოდულად აკითხავდა უგულავას და იმედის ნაპერწკალი დღითიდღე უღვივდებოდა.

ზემდგომი ორგანოებიდან ჩამოსულმა კომისიამ შეამოწმა ქალაქში კომუნალური ბინების განაწილების მდგომარეობა და მკაცრი შეფასება მისცა ამ საქმეში კანონმდებლობიდან ყოველგვარ გადახვევებს, მათ შორის „გამონაკლისის“ სახით ბინების გაცემის პრაქტიკას.

ამის შემდგომ საბინაო საქმე ჩამოაშორეს უგულავას და გადასცეს ბიჭიკო კვიჟინაძეს. მარატი ღვალაძე კი საერთოდ წავიდა ქალაქიდან. ეტყობა ელენამ მიაკითხა კვიჟინაძეს და როგორც მოსალოდნელი იყო, ცივი უარი მიიღო.

საღამოს საათებია, საკმაოდ აღელვებული ელენა პარტიის საქალაქო კომიტეტში მოვიდა და პირველ მდივანთან შესვლა მოითხოვა. მდივანი დაკავებული იყო, იგი იქვე ჩამოჯდა და

დაელოდა. ტელევიზორზე ფეხბურთის რეპორტაჟი მიდიოდა – ჩივაძემ მშვენივრად მოატყუა მცველი და ბურთი წინ, შენგელიას გადააწოდა, გაისმა დიქტორის ხმა.

მოტყუება ის იყო მე რომ მომატყუა უგულავამ – ჩაილაპარაკა ელენამ, ჩვენს სიცილზე კი იგი უფრო გაღიზიანდა, ფეხზე წამოიჭრა და თითის ქნევით გააგრძელა: – ბიჭიკომ კი მიიღო პასი, მაგრამ საინტერესოა ეხლა ვის მიაწვდის. რამდენიც უნდათ აკოტრიალონ ბურთი მინდორზე, მოსკოვში ჩავალ და გოლს არ გავატანინებ მაგათ მე.

ჩვენს სიცილში შორი მანძილიდან დარტყმული ბურთი ჩვენი „დინამოს“ კარის ბადეში ისე გაეხვია, რომ მეკარე არც კი განძრეულა. მეკარე ბურთს არ ელოდაო – სინანულით წარმოსთქვა დიქტორმა. აბა, სხვას რას ელოდა, ეგ მამაცხონებულიო – ჩაილაპარაკა ელენამ და დაჯდა.

მატარებლის მოლოდინში

სოფელ ითხვისის 8 – წლიან სკოლაში პედაგოგიურ საქმიანობას ვეწეოდი. კოლეგებმა ასეთი რამ მიამბეს:

– აქვე, საშუალო სკოლაში პედაგოგთა ორ ჯგუფს შორის დაპირისპირება მოხდა. პირველ მდივანს მოახსენეს, რომ სიტუაცია საკმაოდ დაიძაბა. მოიყვანეთ ეგენი ბიუროზე, – გასცა განკარგულება საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა.

როცა დაპირისპირებული მხარეები ბიუროზე წავიდნენ, მათ თან გაჰყვა ვახტანგ კაპანაძე. მაშინ იგი დირექტორის მოადგილე იყო. საჩივრებთან მას საერთო არ ჰქონდა, მაგრამ გზა ჰქონდა იქეთ. იგი საღამოობით ბათუმის მატარებლით სოფელ ბოსლევამდე მგზავრობდა.

ბიუროს სხდომა დაიწყო. ითხვისლები მისაღებში დგანან და გამოძახებას ელოდებიან. როცა მათ ბიუროზე უხმეს, ვახტანგმა საათს დახედა. მატარებლის გასვლამდე საკმაო დრო იყო დარჩენილი და კოლეგებს ბიუროზე შეჰყვა.

საკითხის განხილვის დროს აღინიშნა, რომ სკოლაში პედაგოგთა შორის არსებული დაპირისპირება ზიანს აყენებს სასწავლო – სააღმზრდელო პროცესს.

პირველმა მდივანმა მოიკითხა მოწვეულთაგან ვის რა თანამდებობა ეჭირა სკოლაში და დირექტორი, პარტორგანიზაციის მდივანი და პროფკავშირის თავმჯდომარე გაანთავისუფლა დაკავებული თანამდებობებიდან. რიგით მასწავლებლებს კი მოუწოდა კონფლიქტებისაგან თავის შეკავებისაკენ. ბოლოს ვახტანგზე მიანიშნა და იკითხა: – ეგ ვინააო. ეგ დირექტორის მოადგილეა სასწავლო – სააღმზრდელო დარგში მაგრამ კონფლიქტში ჩართული არააო, – მოახსენეს პირველ მდივანს. – მერედა ამ კონფლიქტით ზიანი რომ ადგება სასწავლო – სააღმზრდელო პროცესს, ეგ გულგრილად რატომ შეჰყურებს ამ საქმესო – სთქვა პირველმა მდივანმა

და ისიც გაანთავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან. საღამოს ბათუმის მატარებელს ვახტანგი გაჰყვა უკვე რიგითი მასწავლებლის რანგში.

გავიდა წლები. მე პარტიის საქალაქო კომიტეტის თანამშრომელი გავხდი. ითხვისის საშუალო სკოლის პედაგოგები სხვა საკითხთან დაკავშირებით კვლავ მოიწვიეს ბიუროზე. ქალაქში იმ სკოლის ერთი მასწავლებელი შემხვდა და ხუმრობით ვუთხარი: – ბიუროზე ვახტანგიც წამოვიდესთქო. მას კი ეს სერიოზულად უთქვამს ვახტანგისთვის.

დღის მეორე ნახევარია. კაბინეტის კარი იღება, შემოდის ვახტანგი და გაიძახის: ჩემთან რაღა გინდათ, ლუკმა პურისთვის ამხელა გზას ვთელავ, დღეში ოთხ ტრანსპორტს ვიცვლი, დამტოვებთ მშიერს თქვენ მე!...ვერაფერს მივხვდი, რაშია საქმე? – ვეკითხები მე.

– რა მინდა ბიუროზე მე: – მეკითხება ბოღმამორეული.

– მაშინ რა გინდოდა?

– მაშინ მივქარე...

– ჰოდა ეხლა აღარ მიჰქარო, ვეუბნები მე და სიცილი მასწრებს.

ვახტანგი ხვდება ხუმრობას. შემდეგ ჩამოჯდა. ერთმანეთი მოვიკითხეთ. საუბარი გაგვიგრძელდა. ვახტანგი წასვლას არ ჩქარობს, მე კი საქმეები მაქვს. მატარებელი ისევ იმ დროს გადის? – ვეკითხები მე. ისევ იმ დროს გადის მაგისი გრაფიკის შემდგენის დედაც... – სთქვა და ისევ საათს დახედა. მე მეცინება.

იცინეთ ბიძია, იცინეთ, ხალხის ბედი თქვენს ხელთაა, მაგრამ არც თქვენ შეგრჩებათ ერთი დრო, – მითხრა ვახტანგმა, დამემშვიდობა და ღიმილიანი სახით დამშორდა. რამდენიმე ნაბიჯზე გავაცილე და მომავალი შეხვედრის რწმენით კარები უბრალოდ მივხურე. მე მართლა უბრალო მეგონა, მაგრამ... ერთი დრო არც ჩვენ შეგვრჩა, სხვას ვის შერჩენია, შენი მოსწავლეების დრო მოვიდა ვახტანგ...

„ნატოს სკოლა“

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში რესპუბლიკაში მომზადებული პედაგოგიური კადრების პროფესიულ ასპარეზზე გამოსვლა ნაწილობრივ, ცალკეული წლების მიხედვით კი ფაქტიურად არ შედგა. ამისი ერთ-ერთი მიზეზი იყო ქვეყანაში პედაგოგიური კადრების „ჭარბწარმოება“. რესპუბლიკაში არსებული ათზე მეტი უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების დასწრებული და დაუსწრებელი ფაკულტეტები ყოველწლიურად ამზადებდნენ ათასობით პედაგოგს, რომლებიც ავსებდნენ თავიანთი უმუშევარი კოლეგების დიდ არმიას.

1970 წელს დავამთავრე პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი და მხოლოდ ორი წლის შემდეგ მოვახერხე პედაგოგიურ საქმიანობაში ჩაბმა, მაგრამ არა ჩემი სპეციალობით- სამხედრო საქმის მასწავლებლად დავინიშნე ქალაქ ჭიათურის მესამე და მეექვსე საშუალო სკოლებში.

იმ დროს სკოლის პედკოლექტივები ძირითადად ერთი თაობის პედაგოგებით- პენსიონერებით ან ასაკით მათთან მიახლოებული კადრებით იყვნენ დაკომპლექტებულნი. პირადი ღირსებისა და დიდი დამსახურების გამო საზოგადოება აფასებდა მათ. დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ ისინი მოსწავლეახალგაზრდობაშიც. ზემდგომი ორგანოებიდან იყო მოწოდებები პენსიონერთა განთავისუფლებისა და ახალგაზრდა კადრების დასაქმების შესახებ, მაგრამ არსებული კანონმდებლობა ამის აღსრულების შესაძლებლობას თითქმის არ იძლეოდა. არსებობდა მთელი რიგი შეღავათებისა, რომლებიც პენსიონერს მუშაობის გაგრძელების უფლებას აძლევდა. ერთ-ერთი შეზღუდვით მათ ეკრძალებოდათ ხელფასთან ერთად პენსიის აღებაც. იყო შემთხვევა, როდესაც დაკარგულ პენსიასა და აღებულ ხელფასს შორის სხვაობა 20-30 მანეთს შეადგენდა. ვეტერანები კი თანახმა იყვნენ ემუშავათ ამ გასამრჯელოზე. ცხადია, რომ ისინი

ხელფასისთვის არ მუშაობდნენ. უჭირდათ მათ სკოლის დატოვება, სადაც 40-50 წელი ახალგაზრდებთან ერთად გაატარეს.

ვეტერანები მტკივნეულად განიცდიდნენ სკოლაში შემცვლელი თაობის გამოჩენას. პირადად მე სკოლის დირექტორმა, რომელიც თვითონაც პენსიონერი იყო, „ინსტრუქტაჟი“ ჩამიტარა, პენსიონერთათვის დაწესებული ის შეღავათები ჩამომითვალა, რაც მათ მუშაობის გაგრძელების უფლებას აძლევდა. შემდეგ კონკრეტულად ჩემს კოლეგებზე (ისტორიისა და ლიტერატურის მასწავლებლებზე) შეაჩერა ყურადღება – ის ომის ინვალიდია, შეღავათი ეკუთვნის და სანამ პირში სული უდგას, სკოლიდან წასვლას არ აპირებსო – მითხრა ერთზე და შთამაგონა, რომ ამ სკოლაში დამკვიდრების იმედი ნუ გექნებაო. თაობათა მონაცვლეობის პროცესი რომ ადგილიდან დაძრულიყო, საჭირო იყო წარმოჩენილიყო ახალგაზრდა თაობის პედაგოგთა უპირატესობა – შედარებით მაღალი თეორიული განათლებისა და ენერგიის დემონსტრირება. ამით ვეტერანები იგრძნობდნენ, რომ დადგა დრო დამსახურებულ პენსიაზე მათი წასვლისა. თუმცა ამას ამჩნევდნენ ისინი, მაგრამ დასკვნის გაკეთებას არ ჩქარობდნენ.

ერთხელ, ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელს, ომის ვეტერანს ლიტერატურის მასწავლებელმა, თანატოლმა მანდილოსანმა ირონიულად უთხრა: კომკავშირული ასაკიდან მოყოლებული მოსწავლეებს კომუნისზმის აშენებაზე ესაუბრები, უკვე დაბერდი, ისევ კომუნიზმს გაიძახი და საქმე რომ ადგილიდან არ იძვრის, არ გრცხვენიაო? ომის ვეტერანმაც არ დააყოვნა პასუხი: შენ არ გრცხვენია, ნახევარი საუკუნის წინ მოსწავლეებს თექვსმეტი წლის ძიძიაზე ესაუბრებოდი, ძიძია შენთან ერთად დაბერდა, შენ კი გაიძახი ის ისევ თექვსმეტი წლისააო?

ახალგაზრდებს გვიჭირდა ჩვენი თავის წარმოჩენა, იმ მიზეზის გამო რომ, სკოლებში უმცირესობაში, ხშირად კი მარტოობაში ვიმყოფებოდით. სექტემბერში სკოლაში მასწავლებლად „ახალგაზრდა ძიძია“ გამოჩნდა. თავიდან ვეტერანმა კოლეგებმა მას არც მთლად კარგი თვალით შეხედეს. ცოტა ხნის შემდეგ კი აღიარეს – ამ ცქრიალა გოგოს შემდეგ სკოლაში ჩვენი ადგილი

აღარ არისო. ის „ცქრიალა გოგო“ „ტურფაც“ იყო, მაგრამ ცნობილი მიზეზის გამო თავის დროზე მეც „ვერ ვამჩნევდი“.

თაობათა ურთიერთმონაცვლეობის კანონზომიერი პროცესი სკოლებში ნელი ტემპით მიმდინარეობდა, მაგრამ ჩემი თაობის მამაკაცი პედაგოგებისათვის გამოკვეთილი იყო მეორე სერიოზული პრობლემაც. სკოლის მასწავლებლობა ქალთა საქმედ იყო ქცეული, ამას კი ორი ფაქტორი განაპირობებდა: 1. არსებული პოლიტიკური წყობილების ვითარებაში, როდესაც ხელფასით არავინ ცხოვრობდა და სამსახურიდან ყველა „რაღაცით სარგებლობდა“, კაცები თვითონ არიდებდნენ თავს პედაგოგიურ საქმიანობას, სადაც მხოლოდ ხელფასით უნდა ეცხოვრათ. 2. თვით ხელმღვანელები პედაგოგიურ სფეროში მამაკაცებთან შედარებით პრივილეგიებს ანიჭებდნენ მანდილოსნებს. 1974-1976 წლებში სოფლის რვაწლიანი სკოლის დირექტორად ვმუშაობდი, ჩემი სპეციალობით საგნები პენსიონერებს ჰქონდათ, მე კი ძირითადად სამეურნეო საქმიანობებით ვიყავი დაკავებული. გაჩნდა შანსი სკოლაში ჩემი დამკვიდრებისა. ვაკანტური გახდა ქალაქის მეოთხე საშუალო სკოლის დირექტორის თანამდებობა და გამონთავისუფლდა ისტორიის გაკვეთილებიც. ყველაფერი თითქოს ჩემზე იყო გათვლილი, განიხილეს ჩემი კანდიდატურაც, მაგრამ აღმომაჩნდა ერთი „ნაკლი“ - არ ვიყავი ქალი და თანაც გაუთხოვარი. სწორედ ასეთმა მანდილოსანმა დაიკავა ის თანამდებობა.

სკოლებისადმი მამაკაც პედაგოგთა ჩამოშორების ტენდენციას აღრმავებდა ის გარემოება, რომ სახალხო განათლების დარგს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოებიდანაც გაუთხოვარი მანდილოსნები კურატორობდნენ. მათი საზრუნავი მხოლოდ სამსახური იყო და კადრებთან მიმართებაშიც მოქმედებდნენ სრულიად უანგაროდ და გულწრფელად. მიაჩნდათ, რომ ქალი, ისიც საოჯახო ტვირთისგან თავისუფალი იდეალური კადრია. ძალაში იყო დევიზი „გულს გული იცნობს და ღონეს ღონე“. ასეთი პოლიტიკის გამო ქალაქის წამყვან სკოლებს, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა ათასს უახლოვდებოდა, ზოგჯერ კი სჭარბობდა მას, ქალები ხელმძღვანელობდნენ. კაცები კი იგზავნებოდნენ სოფლების

პატარა სკოლებში, სადაც ძირითადად სამეურნეო საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი. ქალის ინტელექტი და მამაკაცის ფიზიკური ძალა – ამ ღერძის გარშემო ბრუნავდა გასული საუკუნის ბოლო ათწლეულების სკოლა. ერთ-ერთი სოფლის სკოლის დირექტორს, 2 – მეტრომდე სიმაღლის, „ბულდოზერივით“ კაცს ქალაქის სკოლის დირექტორმა, ტანმორჩილმა მანდილოსანმა ირონიულად უთხრა – შენ რაც სკოლაში მოსწავლეები გყავს, ჩემთან იმდენი ყოვლდღიურად აგვიანებს პირველ გაკვეთილზეო. სოფლის სკოლის დირექტორმა თავისთვის ჩაილაპარაკა – შენი დასაცინი რა მჭირს, შენხელა მუთაქა მიდევს ბალიშქვეშო.

მასწავლებელი მოსწავლეობის სანუკვარ წლებთან, მერხთან და ანბანთან ასოცირდება, ამიტომ გამორჩეულად უყვარს იგი ადამიანს – ყოფილ მოსწავლეს. მასწავლებელსაც ასევე უყვარს ადამიანი, რომლის ჩამოყალიბებაში მისი წვლილიცაა. ეს ურთიერთსიყვარული კი დიდი ღირებულებაა, მყარი კაპიტალია და იგი „არ გაიცვლების სხვაზედა“. არც მე ვაპირებდი. სკოლაში ადგილის დამკვიდრებისათვის „ბრძოლაში“ ზოგი პრობლემა დავძლიე, ზოგსაც შევეგუე, „მაგრამ ქალებს ვერ გავუგე ვერაფერი“. ნათქვამია, „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო“ და ვინაიდან მე „ჩემი ნაკლის“ გამოსწორება არ შემეძლო, სკოლიდან წავედი. შემდგომში, როცა ხელმძღვანელ სტრუქტურებში დავწინაურდი, კოლეგები მეუბნებოდნენ: „გაჭირვებამ დედოფალთან დაგაწვინაო“, თუმცა დასძენდნენ – დედოფალთან წოლას მაშინ აქვს აზრი თუ მას „ხმარობო“ (თუ თანამდებობას იყენებო).

პედაგოგიურ ასპარეზზე ოთხი წელი, ანუ იმდენივე გავატარე, რაც ილია ჭავჭავაძემ რუსეთში. ილიასავით ღრმად შინაარსიანი არა, მაგრამ იმ ოთხ წელზე მეც შემომრჩა მოგონებები:

* * *

ქ. ჭიათურის მესამე საშუალო სკოლაში სამხედრო საქმის მასწავლებლად დავინიშნე. ახალგაზრდა, დამწყები მასწავლებელი ვიყავი. გაკვეთილი დაიწყო და სამასწავლებლოში ისტორიის მასწავლებელ, არჩილ ტყემალაძესთან ერთად

დავრჩი. არჩილი მრავალი თაობის აღმზრდელი, ომისა და შრომის ვეტერანი, ქალაქში ცნობილი და ავტორიტეტული პიროვნება იყო. ჰქონდა იუმორის შესანიშნავი გრძნობა. ჩემთან საუბარი მან ასე დაიწყო: ჩვენს სკოლას ნატოს სკოლას ეძახიან, ნატო სკოლის დირექტორია, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, გაუთხოვარია, ამიტომ სკოლაში ათენებს და აღამებს. პენსიონერია, მაგრამ მაინც აგრძელებს მუშაობას. შენ სამხედრო საქმის მასწავლებელი ხარ, თადარიგის ოფიცერი. ნატომ სამხედრო საქმის არაფერი იცის, მაგრამ რას იზამ, ქალი გყავს სარდლად და უნდა დაემორჩილო. „ლეკვი ლომისა სწორია“ – ვეუბნები მე. ეგ დიდი სისულელე სთქვა შოთამ – მპასუხობს იგი, ნატოსაც სულ ეგ სიტყვები აკერია პირზე, გაათავხედა გოგოები და აჯდებიან ბიჭებს თავზე. შენ სამხედრო კაცი ხარ და უნდა იცოდე რომ ქალსა და კაცს შორის დიდი ზღავრია. შოთა რუსთაველი ლაჩარ კაცს , ქალს ადარებს „კაცი ჯაბანი რითა სჯობს, დიაცსა ქსლისა მბეჭველსაო“ – ამბობს იგი და გვაფრთხილებს – ქალთან საიდულმო არ სთქვათო – „დიაცსა სამალავი არასთანა არ ეთხრობისო“ . შენ უცოლო კაცი ხარ, ცოლს რომ მოიყვან, ოჯახში უფროსობა არ დააწყებიო, თორემ დაგაგლახავებს. ცოლმა შენ კი არა, მეფე ერეკლე მეორე დაჯაბნა. ერეკლე ხმალს იქნევდა, პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს კი დარეჯან დედოფალი იღებდა. დარეჯანის გადაწყვეტილებით ხელიდან იქნა გაშვებული უსისხლოდ და უმსხვერპლოდ სრულიად საქართველოს გაერთიანების რეალური შანსი.

სამხედრო საქმეში სასწავლო ნაწილის გამგე, პავლე კურტანიძეც უცოდინარია, – აგრძელებს არჩილი საუბარს, მაგრამ ყველაფერში უყვარს ცხვირის ჩაყოფა. ჯიუტი კაცია და არ შეედავო, მისი ნათქვამი ერთ ყურში შეუშვი, მეორედან კი – გაუშვი. მე ომის მონაწილე ვარ, ფრონტზე მძიმედ დავიჭერი, მარცხენა ხელს ვერ ვხმარობ. ომის მონაწილეა ფიზიკის მასწავლებელი, სიმონ ნოზაძეც. ჩვენ ერთმანეთს ფრონტზე შევხვდით, მშიერი იყო და მე მას ჩემი წილი სალა და პური ძმურად გავუყავი. ომის მონაწილეა გოგი ლეჟავაც, ის სამხედრო საქმის კარგი მცოდნეა, განსაკუთრებით კვალიფიციურია იარაღის

უსაფრთხოდ გამოყენების საკითხებში. ენდე მას და გამოიყენე მისი გამოცდილება.

ზარი დაირეკა და ჩემთვის მაშინ სასიამოვნო, დღეს კი ტკბილად მოსაგონარი საუბარი დასრულდა.

* * *

სიტუაციამ მოიტანა და სამხედრო საქმესთან დაკავშირებით გოგის რაღაც ვკითხე. მას სახე გაუბრწყინდა და მითხრა: ეტყობა შენთან მე არჩილმა დამახასიათა, მაგისი დასაცინი მე არაფერი მჭირს, ეგ რომ ფრონტზე დაიჭრა, შენ ხომ არ გგონია ხელში იარაღი ეჭირა და მტერს ებრძოდა, ბრძოლის ველიდან გამორბოდა და სალას ჭამდა. გერმანელებმა დაახალეს ტყვია და დააგდებინეს სალა.

ომის მონაწილე პედაგოგებზე ინფორმაცია პავლე კურტანიძეს ვთხოვე. გთავაზობთ მის ნაამბობს: არჩილი და სიმონი ომის მონაწილენი არიან, ფრონტზე ისინი შემთხვევით შეხვედრიან ერთმანეთს. სამხედრო ნაწილს, სადაც სიმონი იბრძოდა, მიუღია სარდლობის ბრძანება სასწრაფოდ უკან დახევის შესახებ. უკან დახევისას სიმონს საფარში (აკოფში) დაუნახია არჩილი, რომელსაც სარდლობის ბრძანება ვერ მოუსმენია, იჯდა აკოფში და სალას და პურს ჭამდა. ინფორმაციის მიღების შემდეგ, იგი სასწრაფოდ ამოსულა აკოფიდან და ორთავეს ერთად დაუხევიათ უკან. სალა და პური ძმურად გაუყვიათ. რაც შეეხება გოგის, ის კავკასიის მისადგომებთან დესანტის შესაძლო გადმოსხმის დროს გაუწვევიათ ფრონტზე და მიუციათ პისტოლეტი ტყვიებით სავსე მჭიდით. გოგის ტყვიები მჭიდიდან ამოუღია, მარცხენა ჯიბეში ჩაუყრია და პისტოლეტი, ცარიელი მჭიდით, მეორე მხარეს, ქამარზე ჩამოუკიდია. უფროსის შეკითხვაზე, თუ რატომ მოიქცა ასე, გოგის უთქვამს: – იარაღი ეშმაკის მოგონილია და სიფრთხილეს თავი არ სტკივაო.

* * *

არჩილს მოსწავლეებთან, ომის თემაზე საუბრის დროს, ფრონტზე სიმონთან შეხვედრის ფაქტი გაუხსენებია და ხაზი

გაუსვია, რომ მან მშიერ სიმონს ძმურად გაუყო სალისა და პურის ნაჭერი. არჩილს ხუმრობა უყვარდა და მოსწავლეებს გადაუწყვეტიათ ამ ფაქტის გადამოწმება სიმონ მასწავლებელთან. სიმონი მთელი მოწოდებით პედაგოგი იყო, ის გაკვეთილის თემიდან არ გადაუხვევდა. ფიზიკას კი ომის თემასთან საერთო არაფერი ჰქონდა და ბავშვები ხელსაყრელ მომენტს ვერ ნახულობდნენ თავიანთი განზრახვის შესასრულებლად. მოსწავლის ნაამბობი: „ერთხელ შევნიშნეთ, რომ სიმონი ჩვეულებრივზე მეტად მხიარული ჩანდა და ერთმა ჰკითხა: – ფრონტის წინა ხაზზე არჩილს მართლა შეხვდით მასწ. სიმონმა ფაქტი დაადასტურა და მეორე მოსწავლემ მორიგი კითხვა შეაგება: – სალა მართლა გაჭამათ მასწ. სიმონმა ეს ფაქტიც დაადასტურა, თუმცა კითხვა არ ესიამოვნა და გაკვეთილის თემაზე გადასვლა დააპირა. ჩვენ კი იმავე საკითხზე საუბრის გაგრძელება გვსურდა, მაგრამ ბიჭებმა მორიგი შეკითხვის მიცემა ვეღარ გავბედეთ. ისევ გოგოებმა გვაჯობეს და ერთმა უთხრა: არჩილ მასწავლებელმა სთქვა, მე რომ არა სიმონი შიმშილით მოკვდებოდაო მასწ... სიმონი განაწყენდა: – მე რომ არა, არჩილს ფაშისტები აკოფში ჩაცხრილავდნენო, – სთქვა მან და დაუბრუნდა გაკვეთილის თემას.“

* * *

ქალაქში გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის“ დაარსების თარიღთან დაკავშირებით საზეიმო სხდომას ვესწრებოდი. კაფე „გაზაფხულში,“ მორჩილ მაგიდებთან, ოთხ – ოთხი მოწვეული სტუმარი იჯდა. არჩილი, გოგი, პავლე და მე ერთად ვისხედით. ჟურნალისტმა დასვა კითხვა: – „რომელი გვერდიდან იწყებთ გაზეთის კითხვას“. იგი ჩვენს მაგიდასთანაც მოვიდა და ამ კითხვაზე პასუხი პავლეს სთხოვა. პავლეს პასუხი კი ასეთი იყო: გაზეთს რომ ავიღებ, გადავხედავ დასათაურებებს, ბოლო გვერდზე ვეცნობი ინფორმაციას გარდაცვლილთა შესახებ, შემდეგ კი, შერჩევით, ვკითხულობ ცალკეულ წერილებს.

კომპარტიის წარმომადგენელმა, შემაჯამებელ სიტყვაში, კრიტიკის ქარცეცხლში გაავლო პავლე, – რა საკადრისია

სკოლის ხელმძღვანელის მიერ მიცვალებულებით გაზეთის კითხვის დაწყება, ან კიდევ ოთხგვერდიან გაზეთში შერჩევით წერილების კითხვა. გაზეთის კითხვა თავიდან უნდა დაიწყო და გახვიდე ბოლოში – სთქვა მან. მე მეგონა პავლე გაღიზიანდებოდა ამ უტაქტო კრიტიკაზე, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მან იდაყვის შეხებით არჩილსა და გოგიზე მიმანიშნა და მითხრა: ეგენი ჭამენ საჭმელს აგრე, დაიწყებენ ერთი გვერდიდან და მთლიანად ასუფთავებენ მაგიდას. თუ სადმე მაგათთან ერთად მაგიდაზე მოხვდე, შეეცადე მათ გვერდში არ დაჯდე, თორემ მშიერიც დარჩები და თავიც მოგეჭრება, უცოლო კაცი ხარ და ქალი აღარ გამოგყვება. გოგის საერთოდ ერიდე; არჩილს კი, თუ მაინცდამინც, მარცხენა მხრიდან დაუჯექი, ომის ინვალიდია და იმ ხელს ბოლომდე ვერ შლის... სიცილი ვერ შევიკავე, გოგიმ შემნიშნა და მითხრა – მაგას არაფერი დაუჯერო, თორემ გადაგკიდებს ყველასო.

ჩვენს „ქურდულ“ სიცილში პოეტ თენგიზ გურჯიძეს „ჩიხში მიემწყვდია ქალაქკომის წარმომადგენელი და „ასამართლებდა“- რა არის ცუდი იმაში, ღვაწლმოსილი პედაგოგი, ამ პატარა ქალაქში, სადაც ყველა მისი ნაცნობია, პირველ რიგში იმით დაინტერესდება, თუ ვინ დააკლდა მის ნაცნობთა წრეს – ერთადერთი სწორი ეგ იწერება თქვენს გაზეთშიო.

ღონისძიება დამთავრდა. გოგიმ რესტორანში გავლა შემოგვთავაზა. არჩილი ამ ინიციატივას დუმილით შეხვდა. პავლემ არჩილზე მითხრა – დიდი უსინდისო კაცია, სულ მუქთა პურ-მარილზე დადისო. არჩილმა გაიგონა ეს და ირონიულად გაიღიმა. ეტყობოდა რაღაც ჩაიფიქრა.

დარბაზის დაცლისას სიმჭიდროვე შეიქნა. საშინელი ხვარტია, ჩემს ეზოში ეხლა სამოთხე იქნებაო – ჩაილაპარაკა პავლემ. მართლაც იგი პიონერთა სასახლის მხარეზე, „ჭიათურის ფუნიკულიორზე“ ცხოვრობდა და ზემოდან დაჰ-ყურებდა მთელ ქალაქს. არჩილი ტელეფონთან მივიდა და სადღაც დარეკა. ვიღაცას პურ-მარილს აწერს – მითხრა პავლემ და რას იფიქრებდა ის, რომ ამჯერად „მსხვერპლი“ მისი ოჯახი იყო. არჩილი პავლეს მეუღლეს ატყობინებდა: -პავლემ აიჩემა, მეგობრები ოჯახში მოვყავართ და შენ რომ

გჩვევია, ისე ნუ შეწუხდები, უბრალო მაგიდა დააწყვეო.. ეზოში გამოვედით. გოგი თავისას არ იშლის, რესტორანში შესვლას გვთავაზობს. უკეთეს ადგილზე წაყვანას გვპირდება არჩილი. ცენტრალური საბაგირო გზის სადგურში შევედით. აქედან სამი მიმართულებით მოძრაობს ვაგონი. მათ შორის ერთი არჩილის (ლეჟუბნის მხარე), მეორე კი – პავლეს (პიონერთა სასახლის მხარე) საცხოვრებელი სახლის მიმართულებით. ჩვენ გვეგონა არჩილი ოჯახში გვეპატიჟებოდა და გეზი ლეჟუბნის მხარეზე ავიღეთ, არჩილმა კი პიონერთა სასახლის მხარეზე დაიკავა ვაგონში ადგილი. მიზეზი რომ ვკითხეთ, გვითხრა: სამოთხეში უნდა წაგიყვანოთო. ოჯახში მაინც დავრეკავდიო – აფორიაქდა პავლე. მე უკვე დავრეკეო, დაამშვიდა ის არჩილმა. იმ საღამოს მართლაც სამოთხეში აღმოვჩნდით და აქ საქმე მარტო ბუნებას არ ეხებოდა – პავლეს შესანიშნავი ოჯახი ჰქონდა.

* * *

იმ ხანებში ქალაქში სახალხო რაზმელები მორიგეობდნენ. სახალხო რაზმელი, ეს იყო შრომითი კოლექტივიდან გამოყოფილი 10 – 15 კაციანი ჯგუფი, რომელთაც მკლავზე წითელი მატერია ეკეთათ და ღამის ათ საათამდე აკონტროლებდნენ ქალაქის ხალხმრავალ უბნებზე საზოგადოებრივ წესრიგს. მესამე სკოლის ჯერიც დადგა და ჩვენც გავედით ქალაქში. მორიგეობის დამთავრების შემდეგ, კინოს წინ არსებულ რესტორანში შევედით. ბუფეტი იკეტება, თუ რამე გინდათ, შეუკვეთეთ, – გვეუბნება ოფიციანტი. ჩვენც ვუკვეთავთ რაც გვსურს და თან ანგარიშს ვითხოვთ. ოფიციანტმა ყველაფერი წარმოგვიდგინა. ერთმა მათემატიკოსმა წარმოდგენილი ანგარიში ჩაათვალიერა და დაჯამებაში 50 მანეთის სხვაობა აღმოაჩინა. მაგიდასთან ოთხი მათემატიკოსი იჯდა, ასეთი თავხედობა არ დაიჯერეს და ყველამ სათითაოდ ჩაათვალიერა წარმოდგენილი ანგარიში. ფაქტი სახეზე იყო. დაუძახეს ოფიციანტს და როცა ის მაგიდას მოუახლოვდა, არჩილმა უთხრა: – არ ჩაიჭრე ზოია. „აშიბლას“ – სთქვა ზოიამ. მაგ ჩვენებას მიაწექი ზოია, – უთხრა არჩილმა. საყვედურებით აღვსილი და გაწითლებული ზოია ბუფეტისაკენ

წავიდა. არჩილმა სიამაყე შეატყო მათემატიკოსს, რომელმაც შეცდომა აღმოაჩინა და ეუბნება: შენ იცი რა გითხრა ზოიამ? როგორ არ ვიცი – მითხრა შემეშალაო. – ვაი შენს პატრონს, მაგან გითხრა – ამ ჩემს შიბლასო... ვიცინეთ.

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ მომიხდა იმ რესტორანში შესვლა. სხვა ოფიციანტი გვემსახურებოდა, ზოია მოვიდა ჩემთან და მეუბნება: – შენ მინდა იცოდე სიმართლე: – არჩილს რესტორანში ჰქონდა ნისია 50 მანეთი და მითხრა ეგ თანხა ჩვენს საერთო ანგარიშს დაამატეო. მეც დავამატე, თქვენგან კი რისხვა დავიმსახურე.

სკოლაში ავედი და ზოიას „აღსარებას“ მოვყევი. სიცილით დაიხოცნენ პედაგოგები. შემოგვისწრო არჩილმაც, რა გეცინებათ, – ამბობს იგი. ზოიას მოკითხვა შემოუთვლია, – ეუბნება პავლე. შენ მოიტანდი ახლა მაგ ამბავს, – მეუბნება არჩილი. მე მეცინება . შენ ბიძია რესტორანს და ოფიციანტებს შეეშვი და ოჯახი შექმენი, ხომ ხედავ ჭაღარა გამოგერია, დამმოძღვრა არჩილმა. შემდეგ კი პედკოლექტივს მიმართა: თქვე დალოცვილებო, თუ რამ სკოლაში დაზიანდება და გაკეთება მგინდებათ, სულ ჩემ სახელს გაიძახით, ამასწინათ გათბობის სისტემაზე სამი სპეციალისტი მთელი დღე ვამუშავე, შემდეგ ჩავიყვანე რესტორანში და ვასადილე, ეგ იყო ის ნისიაც, გათბობა ყველას გინდათ და ფულები არჩილმა იხადოს?!

* * *

ერთ – ერთი მოსწავლის მშობელმა პედაგოგები შობა დღეს ოჯახში მიგვიწვია. მარანში მან ღვინით სავსე ქვევრი მოხადა, ღვინო ჭიქით ამოიღო და გოგის მიაწოდა. რაც თვალით ჩანდა (ღვინის ფერი და სიწმინდე), შესანიშნავი იყო. რაც შეეხება მთავარს – გემოსა და არომატს, ამ საკითხზე ათამდე კაცი გოგის შევცქეროდით და მის „დასკვნას“ ველოდებოდით. გოგიმ ღვინო ცოტა მოსვა, ოდნავ შეჩერდა, ღვინიანი ჭიქა მასპინძელს მიაწოდა და უთხრა: „ამ ღვინოს მე არ დავლევ, მაგრამ ჭური გეცოდებოდეს!“

მასპინძელმა მაგიდის თამადობა არჩილს სთხოვა, მე მას

მარცხენა მხრიდან დავუჯექი და სასმისებს ვუვსებდი. მასპინძლის სადღეგრძელო მან შთამბეჭდავად სთქვა, ორთავე (ცოლი და ქმარი) წარსულში ჩემი სანიმუშო მოსწავლეები იყვნენო. სამადლობელ სიტყვაში მასპინძელმა ქება – დიდება შეიშნო და მომავალი წლის საშობაოდაც დაგვპატიჟა. როცა სადღეგრძელოს მორჩა, მე არჩილს ვუთხარი, თუ მშობლები ასე კარგი მოსწავლენი იყვნენ, ბავშვი ვის გავსთქო. მან კი მიპასუხა: – მშობლები უარესები იყვნენ, მაგრამ სადღეგრძელოში ასეა საჭირო, ხომ ხედავ მომავალი წლისთვისაც პურმარილი გავინაღდეო. შემდეგ დაამატა – ისე ეს ქალი უფრო მამაძაღლი იყო, არ ასვენებდა ამ ბიჭს, თორემ მას უფრო კარგი ქალი ეკუთვნოდაო.

მასპინძელი ღვინის შემოტანის მიზნით მხიარული სახით გავიდა და ჩვენდა მოულოდნელად, მან თავისი ვაჟი (ჩვენი მოსწავლე) მკაცრად დატუქსა. შემდეგ ჩვენთან მოვიდა და გვეუბნება: – ყველაფერი თქვენი ბრალია, ამხელა ვაჟკაცები ერთი გაუთხოვარი ქალის (სკოლის დირექტორი) ჭკუაზე დადიხართ და ერთ სიტყვას არ შეუბრუნებთ. ამას ხედავს ბავშვი, სახლში სულ „დედამ სთქვა – დედამ სთქვა“ გაიძახის და ჩემგან მოითხოვს, რომ ქალის მორჩილი ვიყო, ჩემს თავს რაც არის არის, მაგრამ ბავშვი მინდა იყოს ვაჟკაცი. გადავიყვანო პირველ სკოლაში, იქაც ქალია დირექტორი, სხვა სკოლები შორს არიან, არადა მეღუპება შვილი. სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც გოგიმ დაარღვია: – პენსიონერი ვარ და მეშინია არ მომხსნას, თორემ ნატოს ვატლიკინებ? ჩვენს სკოლებში მატრიარქარული წყობილება მძვინვარებს – დაამატა არჩილმა.

– რას გეუბნებოდა შენი ბიჭი, რა „სთქვა დედამო“, ჩაეკითხა პავლე მასპინძელს.

– დედამ სთქვა მაგ მასწავლებლების ფეხი აღარ ვნახო ამ სახლში, ხორცი სულ შეჭამეს და ღორს მე მაგათთვის კი არ ვასუქებო...

მასპინძელი ხუმრობს, ქალბატონი მაგას არ იკადრებდაო – ამბობს გოგი. იკადრებდაო – თავისთვის ჩაილაპარაკა არჩილმა. არ ვხუმრობო – შვილებს იფიცებს მასპინძელი.

გოგი მტყუანივით გაჩუმდა. არჩილმა კი სთქვა: თამადობის

დროს საჭმელს მე ვერ ვჭამ და შემდეგ ვაპირებ ჭამასო – მჭლე ხორცი აღარ დარჩა, მაშინ სალა უნდა მიირთვაო – უთხრა მასპინძელმა. – სალა მე ომის დროს, ფრონტზე არ ვჭამე და სიმონს მივეციო – „გაბრაზდა“ არჩილი. ომში სკოლის პედაგოგთა წვლილი გაიხსენა პავლემ და დაამთავრა იმით, თუ როგორ გამორბოდნენ არჩილი და სიმონი ბრძოლის ველიდან და ჭამდნენ სალას. ყველანი ვიცინით. არჩილი ეუბნება გოგის – შენ რაღას იცინი, ომში კაცი იყავი და დენთის სუნი არ გიგრძვნიაო.

* * *

ქალაქ ჭიათურის მესამე საშუალო სკოლა ერთ-ერთი სანიმუშო იყო ქალაქში. ჩემ დროს იქ ხუთასამდე მოსწავლე ირიცხებოდა. ამბობდნენ ადრეულ წლებში მათი რაოდენობა მეტიც ყოფილა. ამაყობდნენ პედაგოგები სკოლის კურსდამთავრებულებით. მათ შესახებ სასიამოვნო ინფორმაციის გაჟღერებისას ხმარობდნენ გამოთქმას – ჩვენი სკოლის აღზრდილია. არჩილი კი „მოკლეზე ჭრიდა“ – ჩემი აღზრდილია.

გაჩნდა ინფორმაცია რომ სკოლის ერთ-ერთმა ყოფილმა მოსწავლემ უღირსი საქციელი ჩაიდინა. სკოლაში არჩილის წინააღმდეგ „შანტაჟი დაიგეგმა“ – აღმზრდელის პასუხისმგებლობა შევახსენოთ და ჰაჯი-უსუბის მაგალითზე იქნებ თავი მოვაკვლევინოთო. შანტაჟს პავლე ხელმძღვანელობდა. პავლეს ოჯახში ვქეიფობთ. მან ადგილი არჩილის გვერდით დაიკავა და რომ შევზარხოშდით, „საქმეზე გადავიდა“: აღმზრდელის უდიდეს პასუხისმგებლობაზე ისაუბრა, სკოლის აღზრდილის საქციელიდან გამომდინარე მსხვერპლის აუცილებლობა „დაასაბუთა“ და არჩილს თვითმკვლელობა შესთავაზა. ნატო რა აზრისაა მაგ საკითხზეო – იკითხა არჩილმა.

– ამ აზრისაა ისიც, პასუხობს პავლე.

– მოიკლას მერე თავი, რა უშლის ხელს.

– ნატოს არ უსწავლებია მისთვის.

– მერე რა, რომ არ უსწავლებია, სკოლის დირექტორი ვარო და ყველაფერში ხომ ჰყოფს ცხვირს, კეთილი ინებოს და აგოს პასუხი. განმეორებით ახსენა ჰაჯი-უსუბი პავლემ. ჰაჯი-უსუბმა

ორი კაცი აღზარდა, მე ათასობით მყავს აღზრდილი და სად ვდიო მაგათ კუდშიო, პასუხობს არჩილი. ვერ შეთანხმდნენ. არჩილის ბოლო სიტყვები ასეთი იყო: შემეშვი პავლე თუ კაცი ხარ, ჰიტლერს ძლივს გადავურჩი, ორი დღის პარასკევი დამრჩა და ცოტა ხანს მაყურებინე ამ ქვეყანასო.

გოგიმ სცადა არჩილის „შეხუჭუჭება". გაკვეთილებს შორის შუალედია. არჩილი ჭადრაკს თამაშობს. გოგიმ მისწია სკამი მასთან ახლოს და დაიწყო მისი „დამუშავება". არჩილი ორ ფრონტზე იბრძვის – ჭადრაკს თამაშობს და თან გოგის კითხვებზე პასუხობს. დედოფალი დადო არჩილმა კუს დარტყმის ქვეშ. მოწინააღმდეგემ მომენტალურად „მოცელა" არჩილის დედოფალი. არჩილი გოგის აბრალებს ამ შეცდომას და იბოღმება. ერთ მომენტში საეჭვოდ გაყუჩდა არჩილი, ეტყობოდა რაღაც ჩაიფიქრა. მისმა ოპონენტმა მორიგი სვლა გააკეთა. არჩილმა მხედრის ეფექტური სვლით მატი დაუსვა მას და გოგისკენ გადაინაცვლა:

– რა გინდა ბიჭო შენ, ეუბნება იგი გოგის.

– მსხვერპლია საჭირო არჩილ, პასუხობს გოგი.

– მოიკალი მერე თავი, პისტოლეტის ხმარება არ გეშლება.

– მე არ მისწავლებია ბიჭო იმ ბავშვისთვის და არამკითხე მოამბესავით გამომივა.

– აბა მე პისტოლეტი არა მაქვს.

– მე მოგიტან ბიჭო პისტოლეტს. შეთანხმდნენ. ტყვიები არ დაგავიწყდეს, შენ ის ცალკე გექნება გადამალულიო. შეახსენა არჩილმა გოგის.

გამაბრიყვეს და მეც მივადექი არჩილს. ჩემი სათქმელი ამოვწურე და ჯერი მასზეა, ის კი დუმს. არავითარი რეაგირება, პასუხის ღირსადაც არ მთვლის. დიდი და თანაც უხერხული პაუზა გამოგვივიდა და ჩემთვის ჩავილაპარაკე – „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს". ეტყობა შენ ჩემი გაკვეთილები გინდა – ამოიღო ხმა არჩილმა.

პავლეს მიერ შედგენილი არჩილის დაშანტაჟების გეგმა ცრემლებით დასრულდა. ნატო, როგორც სკოლის დირექტორი, ხმარობდა ხოლმე გამოთქმას – „წინ ნუ წამასწრებთ". არჩილი მისულა ნატოსთან, მსხვერპლის აუცილებლობა დაუსაბუთებია

და შეუპარებია – მე მზად ვარ საამისოდ, მაგრამ შენ წინ ვერ წაგასწრებო. მე ჩემო არჩილ თავს თუ ჩამოვიხრჩობ, თორემ პისტოლეტი არც მაქვს და არც მისი ხმარება ვიციო – უთქვამს ნატოს. პისტოლეტთან დაკავშირებული პრობლემების მოხსნა თავის თავზე აუღია არჩილს, კაბინეტიდან გამოსულა და გოგისთვის შესაბამისი დავალება მიუცია. გოგი კი ის კაცი იყო, „კომბლებს რომ თლის და ჭერში აწყობს“. მასაც აუღია ერთი „კომბალი“ (სათამაშო პისტოლეტი), შესულა ნატოსთან კაბინეტში და მთელი სერიოზულობით მიუმართავს: ქალბატონო ნატო, ძალიან მწყინს რომ თვითმკვლელობა გადაგიწყვეტია, მაგრამ თქვენი გონიერებისა მწამს და არსებულ სიტუაციაში ეს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაო. შემდეგ გოგის ჯიბიდან ამოუღია პისტოლეტი, ნატოსთვის მისი „ხმარება უსწავლებია“, ხაზგასმა გაუკეთებია საფეთქელთან მაგრად მიიჭირეო, იარაღი მისთვის გადაუცია და გამოსვლისას გამომშვიდოდებია კიდეც: – „ასეთი ვაჟკაცური ნაბიჯის გადადგმა ლომთა ხვედრია, ნადირთმეფის თვისებები კი ჩვენს პედკოლექტივში შენ არაერთხელ გაგიმჟღავნებია. მშვიდობით ქალბატონო ნატო, შენი სახე დიდხანს დარჩება ჩვენი პედკოლექტივის თვითეული წევრის გულში“. დიდხანს რა, შემდეგ დამივიწყებთო? – ჩაჰკითხვია ნატო „ჭირისუფალს“. ქალები ნამდვილად არ დაგივიწყებენ, კაცები კი უფრო მიმტევებლები ვართ, მე კი ცოტა გულმავიწყიც გავხდი, რამდენიმე წლის წინ დედა გარდამეცვალა და მისი სახე ლანდად მახსოვსო – უთქვამს გოგის და გამოსულა კაბინეტიდან.

პისტოლეტთან ერთი-ერთზე დარჩენილი ნატოსათვის ის სათამაშო აღარ ყოფილა, იქნებ მოსინჯა კიდეც თვითმკვლელობა და როცა სასურველი ეფექტი ვერ მიიღო, აქვითინებულა. მის კაბინეტში შემთხვევით შესულ პავლეს წინ უცნაური სცენა დახვედრია – მაგიდაზე დამხობილი მტირალი ქალი და იქვე პისტოლეტი. პავლე დროზე მოგებულა გონს, ნატო დაუმშვიდებია, პისტოლეტი ხელში აუღია, სამასწავლებლოში შემოიჭრა, გოგისთან მივარდა და ეუბნება: კაცი ხარ ბიჭო შენ! სათამაშო პისტოლეტია ეგ, პასუხობს გოგი. თუ სათამაშოა, შედი ნახე, რა დღეშია ქალი. გოგი სასწრაფოდ გაექანა ნატოს კაბინეტისკენ,

ჩვენც ავიშალეთ. პავლემ დაგვამშვიდა. გოგის შეაგვიანდა და როცა შემოვიდა, ცრემლებს იწმენდდა. პავლემ არჩილი და გოგი მაგრად „შეჯორა“ და თავისი ხმამაღალი მონოლოგი, უფრო სწორად ყვირილი დაამთავრა სიტყვებით – „ქალია ბიჭო ეგ!“ სამასწავლებლოში გამეფებულ სამარისებურ სიჩუმეში გაისმა არჩილის ხმა: „ლეკვი ლომისა სწორია“...

***

იმ ხანებში კლასში მოსწავლის დატოვება საკმაოდ დამკვიდრებული პრაქტიკა იყო. მტკინვეულად განიცდიდნენ მოსწავლეები ამ პროცესს. ერთმანეთს შორდებოდნენ მოზარდები, რომლებიც საბავშვო ბაღიდან ერთად მოდიოდნენ. გაკვეთილის დაწყების მაუწყებელი ზარის შემდეგ, საკლასო ჟურნალით ხელში კორიდორში გამოსული მასწავლებლები ვხედავდით როგორ გამორბოდნენ მოსწავლეები ერთი საკლასო ოთახიდან და შერბოდნენ მეორეში. ისინი მეორეწლიანი მოსწავლეები იყვნენ და გაკვეთილებს შორის შესვენების რამდენიმე წუთს ყოფილ თანაკლასელებთან ერთად ატარებდნენ. მოსწავლეთა ეს კატეგორია სკოლისა და სასკოლო ცხოვრებისადმი გულაცრუებულნი ხდებოდნენ, ეს პროცესი განსაკუთრებით შესამჩნევი ხდებოდა მას შემდეგ, რაც მათი ყოფილი თანაკლასელები სკოლას ამთავრებდნენ და საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში ებმებოდნენ.

პროტესტს სკოლისა და სასკოლო ცხვრებისადმი ეს მოსწავლეები სხვადასხვანაირად გამოხატავდნენ. საშუალო სკოლის ერთერთმა მეორეწლიანმა მოსწავლე გოგონამ საწერი თემა „გლეხთა ტიპები ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებაში“, ასე დაასრულა „ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებაში გამოკვეთილია ბეჩავი და საწყალი გლეხის ტიპი. ამისი მაგალითა გოგია უიშვილი, რომელმაც უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად პროტესტი თვითმკველობით გამოხატა. სწორედ ამაში გამოიხატება გოგია უიშვილის სიბეჩავე და სისაწყლე“. მოსწავლეს ბოლო სიტყვა იმავე სტრიქონზე არ დაეტია, დამარცვლა იგი, იქვე დაწერა მხოლოდ სისაწ-ბოლო მარცვალი

კი შემდეგ ხაზზე გადაიტანა და ნაშრომიც დაასრულა.

მასწავლებელმა დახედა ნაშრომს და თვალში მოხვდა ტექსტის ბოლოს სამი ასოსგან შემდგარი დამოუკიდებელი სიტყვა. იგი დააკვირდა ნაშრომს და შეამჩნია, რომ ბოლო სტრიქონზე სიტყვებსა და ასოებს შორის მანძილი თითქოს განზრახ იყო გაზრდილი და დაასკვნა, რომ მოსწავლემ ეს შეგნებულად გააკეთა. ამიტომ მან ნაშრომი „ორიანზე“ შეაფასა. მოსწავლეს გამოთქმულ პროტესტზე კი უპასუხა, რომ სიტყვა ასე არ უნდა დაემარცვლა. მოსწავლე-რა უნდა მექნა თუ არ მეტეოდა მასწ. მასწავლებელი-ძალიანაც კარგად გეტეოდა, შენ ეს შეგნებულად გააკეთე, რითაც შენი უზრდელობა და ჩემდამი უპასტივცემულობა გამოხატე.

მასწავლებელი შეხვდა მოსწავლის დედას. მათ დაასკვნეს, რომ მოსწავლემ ეს შეგნებულად, სკოლისადმი პროტესტის ნიშნად გააკეთა. დედის ნაამბობი: ჩემი შვილის თანატოლებმა სკოლა ორი წლის წინ დაამთავრეს, ზოგი მათგანი სწავლას აგრძელებს, ორი დაოჯახდა, სხვები კი ცხოვრების ფერხულში ჩაებნენ. ჩემი შვილი კი მოსწავლის ფორმით ისევ სკოლაში დაიარება. სულ მოწყენილი და გულჩათხრობილია, მეშინია გოგია უიშველის ბედი მართლაც არ გაიზიაროს.

აღმზრდელები (მშობელი და პედაგოგი) მოსწავლისადმი ფაქიზი და მზრუნველი დამოკიდებულების აუცილებლობაზე შეთანხმდნენ.

ამ ამბავმა ბებიას ყურამდეც მიაღწია და იგი, მშვენიერი გარეგნობის, ხანშიშესული მანდილოსანი სკოლაში მოვიდა. იგი საკმაოდ დაბოღმილი ჩანდა და შანტაჟზე მიდიოდა. ბავშვს სტრიქონზე სიტყვა არ დაეტია, დამარცვლა და ამისთვის „კუდის გამობმა“ რა საკადრისიაო – უსაყვედურა მან პედაგოგს. საუბარმა მწვავე ხასიათი მიიღო. არჩილი შეეცადა სიტუაციის განმუხტვას. გაკვეთილის დაწყების მაუწყებელი ზარი დაირეკა. გაკვეთილზე მივდივარ, თუ დამელოდები, გიჩვენებ შენი შვილიშვილის ნაშრომს და დარწმუნდები, რომ მან სიტყვა ასეთი ფორმით შეგნებულად დამარცვლაო – უთხრა მასწავლებელმა ბებიას და გაკვეთილზე წავიდა.

პირისპირ დარჩნენ არჩილი და ბებია. ისინი ყოფილი

თანამშრომლები აღმოჩნდნენ და წარსულის გახსენებით დაკავდნენ. მე მოშორებით, მაგიდასთან ვიჯექი და გაზეთს ვკითხულობდი.

თქვენ რომ პიონერთა ბანაკის დირექტორი იყავით, მაშინ მე თქვენთან ერთერთ პიონერხელმძღვანელად ვმუშაობდიო- ამბობს ბებია. შენ ძალიან სიმპათიური გოგო იყავი. მახსოვს თაყვანისმცემლები რომ გაკითხავდნენ, ერთხელ აყალ-მაყალიც ატეხეს და მათ მოსაშორებლად მილიციის გამოძახება დამჭირდაო – გაიხსენა არჩილმაც წარსული. მსგავსი ეპიზოდების გახსენებისას ბებია ჩემსკენ გამოიხედავდა ხოლმე, ალბათ ფიქრობდა არ გაიგონოსო. არჩილმა იგრძნო ეს და ბებია დაამშვიდა – ჩემზე უთხრა, მაგას ყურთასმენის პრობლემები აქვსო.

თქვენთან რომ ვმუშაობდი, მაშინ მე ჩემი შვილიშვილის ტოლი ვიყავი და სკოლა ორი წლის დამთავრებული მქონდაო – ამბობს ბებია. ჰოდა იმ ასაკში შენ ის მარცვალი გეტეოდაო უთხრა არჩილმა ბებიას. გაჩუმდი ბიჭო, უთხრა ბებიამ ბაბუას და ჩემსკენ გამოიხედა. მე ღიმილი შემნიშნა. მიხვდა, რომ მე ყურთასმენასთან პრობლემები არ მქონდა. ალბათ გაიფიქრა ამ ყრუებმა ჩემი წარსული უფრო მუქ ფერებში არ შემახსენონო, გაკვეთილის დამთავრებას აღარ დაელოდა და სამასწავლებლოდან გავიდა. შანტაჟი ჩაიშალა.

* * *

მეათე კლასის მოსწავლე გათხოვდაო – შოკის მომგვრელი ინფორმაცია გაჩნდა სკოლაში. პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს მიერ ასეთი ფაქტი კვალიფიცირდებოდა როგორც სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დაბალი დონე და ძირითადად სკოლის დირექტორის თანამდებობიდან განთავისუფლებით მთავრდებოდა. ეს საფრთხე კი განსაკუთრებით რეალური იყო ნატოსათვის, რადგან იგი პენსიონერი იყო.

ნატომ საგანგებოდ მოიწვია კრება. კრების მიზანი იყო მომხდარი ფაქტის კრიტიკულად გაანალიზება და მსგავსი ინციდენტების აღკვეთის მიზნით ღონისძიებათა გეგმის

შემუშავება. ნატომ იცოდა, რომ ამ კრების ოქმს დიდი მნიშვნელობა ექნებოდა საქალაქო კომიტეტის ბიუროზე საკითხის განხილვის დროს. იქ აღნიშნავდნენ, რომ სკოლის პედკოლექტივმა სწორი შეფასება მისცა მომხდარ ფაქტს და დასახა ღონისძიებანი სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. ასეთი ჩანაწერი კი დიდ როლს თამაშობდა კომუნისტ ხელმძღვანელ მუშაკზე სასჯელის ნორმის განსაზღვრის დროს.

კრებაზე ნატომ კრიტიკის ქარცეცხლში გაავლო კლასის დამრიგებლის საქმიანობა, რომელსაც საამისოდ ხელფასზე დანამატს უხდიდნენ (იმ დროს ეს დანამატი თვეში 5 – მანეთს შეადგენდა). შეეხო კომკავშირული ორგანიზაციის საქმიანობაში არსებულ ხარვეზებს. განსაკუთრებული ყურადღება კი გაამახვილა კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის ორგანიზატორის, კომუნისტ, „ამხანაგ“არჩილის სუსტ მუშაობაზე. შემდეგ გადაინაცვლა მშობელთა პედაგოგიზაციაზე და ხაზგასმა გააკეთა – ესეც არჩილის პირდაპირი მოვალეობააო.

არჩილმა აიღო სიტყვა. მან იცოდა, რომ თავდასხმა თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა და პირდაპირ იერიშზე გადავიდა. გთავაზობთ მის სიტყვას: „ამხანაგო კომუნისტებო და კოლეგებო! მომხსენებელმა ახლად დაქორწინებული ჩვენი მოსწავლე ბავშვად მოიხსენია. ის კი ნამდვილად არა არის ბავშვი. მოსწავლის ფორმა თქვენც რომ ჩაიცვათ, ბავშვები იქნებით? ის 18 წლისაა და ორი წლით უფროსია ძიძიაზე. ფიზიკა-მათემატიკურ საგნებში იყო სუსტი და ამ საგნების მასწავლებელთა „წყალობით“ ორჯერ იყო დატოვებული სხვადასხვა კლასში. კიდევ რომ ორჯერ ან მეტჯერ დაგეტოვებიათ, მისგან სწავლულს ვერ გამოიყვანდით, ოჯახის დედა და დიასახლისი კი მშვენიერი გამოვა. კახეთში მყავდა მაგისი კლასი ექსკურსიაზე. სწავლაში წარჩინებული თქვენი მოსწავლეები იქ „ოროსნებივით“გამოიყურებოდნენ. ეგ მოსწავლე კი „ფრიადოსანი“იყო. საველე პირობებში, მდინარის ნაპირსა თუ მწვანე მდელოზე, ყველგან და ყოველთვის ეგ მოხდენილად ახერხებდა პურმარილის გაშლას, შემდეგ კი ალაგებას. თავისი ხელით გააწყო სასტუმროში ყველას საწოლი, დილით აკრიფა და ადმინისტრატორს ჩააბარა თეთრეული.

კახელმა გლეხმა მიგვიპატიჟა ოჯახში, იქაც შინაურულად დატრიალდა, მასპინძელმა შვილისთვის რძლად დატოვება მოინდომა, ძლივს გამოვსტაცე ხელიდან და პირობა მივეცი სკოლის დამთავრების შემდეგ გამოგატან რძლად-თქო. ეხლა ვწუხვარ, რა უთხრა იმ კახელს.

რაც შეეხება ჩემი, როგორც კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის ორგანიზატორის საქმიანობას, მე წარმატებით ვართმევ თავს ჩემს მოვალეობას. არავითარი კლასგარეშე და სკოლის გარეშე არ იყო ეგ „ბავშვი“ (ამ შემთხვევაში ბავშვი მან ირონიულად იხმარა). ის თქვენ სკოლის მერხიდან გაგითხოვდათ. კლასგარეშე და სკოლის გარეშე მაგისი თანატოლები არიან, ორი წლის წინ რომ დაამთავრეს სკოლა. მე ყველა მათგანზე მაქვს ინფორმაცია. სამი მათგანი უკვე გათხოვილია, ერთის ქორწილში თამადაც ვიყავი“.

განსახილველი საკითხისადმი არასერიოზულად მიდგომისათვის არჩილს სიტყვა შეაწყვეტინეს. „სერიოზულმა“ გამომსვლელებმა გათხოვილი მოსწავლის საქციელი დაგმეს და გაუთხოვრების სახელით პირობა დადეს ასეთი ფაქტი აღარ განმეორდებაო. კრება დასრულდა. ნატომ საქმეთა მმართველს კრების ოქმის ოპერატიულად გაფორმება დაავალა და სამასწავლებლოდან კაბინეტში გავიდა. ცოტა ხნის შემდგე კი ისევ შემობრუნდა და საქმეთა მმართველს რაღაც ჩასჩურჩულა. თურმე უთქვამს არჩილის სიტყვა ოქმში არ შეიტანოვო.

სამეულმა (პავლე, არჩილი, გოგია) შეაჯამა კრების შედეგები. გოგიმაც არასერიოზულად მიიჩნია არჩილის გამოსვლა – ყველაფერი რაც გულში გაქვს, კრებაზე კი არ უნდა თქვაო. პავლემ კი უსაყვედურა არჩლს – „თუ აგრე ტურფა იყო“ეგ გოგო, „რად არ მითხარი“, ჩემს შვილს შევრთავდიო.

* * *

ნატო მოწოდებით ენერგიული და საქმის ერთგული პიროვნება იყო. ბუნებისაგან მინიჭებული ამ ღირსების რეალიზაციას მამაკაცები სხვადასხვა სფეროში, ქალები კი ძირითადად საკუთარ ოჯახში, დედებისა და დიასახლისის რანგში ახდენენ.

ნატო მარტოხელა, დაუოჯახებელი ქალბატონი იყო. ამიტომ იგი მთელ თავის ენერგიას სასკოლო ცხოვრებას – მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეს ახმარდა და ამასვე მოითხოვდა პედაგოგებისა და სხვა თანამშრომლებისგანაც. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ სხვადასხვა წრეობრივი მუშაობები, კლასგარეშე და სკოლის გარეშე ღონისძიებები აღიზიანებდათ პედაგოგებს, განსაკუთრებით კი ქალბატონებს – ოჯახის დედებს. ერთმა ხანდაზმულმა პედაგოგმა გულის ტკივილით სთქვა: ჩემი თაობის მანდილოსნებმა ჩვილბავშვიანობის წლები ტანჯვაში გავატარეთ, სხვადასხვა ღონისძიებები და პედსაბჭოს სხდომები გვიან ღამემდე გრძელდებოდა, ბავშვები ხელოვნურ კვებაზე გვყავდა, ჩვენ კი ჭარბი რძის მოწოლის გამო მკერდზე მკურნალობა გვჭირდებოდაო.

იმ ხანებში ნატოს საყვარელ შვილად, სკოლის პედაგოგებს კი მხსნელად ლამაზი გოგო მოევლინათ. რადიკალურად შეიცვალა ნატო. პირველივე პედსაბჭოს სხდომა შესვენების გარეშე და მოკლე დროში დაამთავრა. აქამდე სად იყო ეგ დალოცვილი ბავშვიო, ჩაილაპარაკეს პედაგოგებმა. შემდგომში დედა-შვილი ერთად დადიოდნენ სკოლაში, პირველი სკოლის დირექტორის, მეორე კი მოსწავლის რანგში და ზოგჯერ პირველ გაკვეთილებზეც კი აგვიანებდნენ ხოლმე.

* * *

„სამეულის წევრები“ – არჩილი, გოგი და პავლე განსაკუთრებით უყვარდათ მოსწავლეებს. თავისუფალ დროს ოხუნჯობდნენ მათ სხარტ გამონათქვამებსა და ხუმრობებზე. ექსკურსიაზე წასვლა არ უღირდათ თუ რომელიმე მათგანი იქ არ იმყოფებოდა.

სამხედროს გაკვეთილზე ერთ-ერთმა მოსწავლემ „კალაშნიკოვის“ ავტომატისადმი „შინაურული“ დამოკიდებულება გამოამჟღავნა და დასძინა – მამაჩემს კარგი სანადირო თოფი აქვსო. იარაღისადმი დამოკიდებულებაში ბავშვის სითამამე არ მომეწონა, ოჯახში მისდამი ხელმისაწვდომობაც მენიშნა და მე მას მამის მოყვანა დავავალე. მოსწავლე შეწუხდა, ეს ჩემთვის

გასაგები იყო. რა გატლიკინებდაო – დატუქსავდა მას მამა და ვინ იცის, იქნებ არც კი აკმარებდა დატუქსვას. დედის მოყვანას მთავაზობს მოსწავლე. დედაზე უარს ვეუბნები მე. მამის მოყვანასაც აღარ ვავალებ და იარაღის უსაფრთხოდ შენახვა-გამოყენების საკითხებზე ვსაუბრობ მოსწავლეებთან.

დედის მოყვანაზე ჩემი უარის თქმა სასაცილოდ გაიხადეს მოსწავლეებმა და ერთმა მათგანმა გაიხსენა: გოგი მასწავლებელი გავანაწყენე და მან პრინციპულად განმიცხადა – ხვალ მშობელს მოიყვან. დედას თუ მამას – ვეკითხები მე. დედას – დაბეჯითებით მეუბნება ის და ამატებს – მამას თავისი საქმე აქვს. დედაჩემიც ძალზედ დაკავებულია მასწ.... მოიყვანე როცა მოიცალოს – მპასუხობს ის და ეღიმება. ეს ღიმილი კი ჩემთვის „ამნისტიას“ ნიშნავდა.

„სვისტოკიანი კაცი“

სულ რაღაც ორი წელი ვმუშაობდი ითხვისის მაღაროთა სამმართველოს ტერიტორიაზე არსებულ ქალაქის მეექვსე საშუალო სკოლაში. იქ გამორჩეული ტიპი იყო ფიზკულტურის მასწავლებელი, ვაჟა ლურსმანაშვილი. სპორტულ თამაშებთან დაკავშირებით მას ხშირად ყელზე სასტვენი ეკიდა, ამიტომ თავის თავს სვისტოკიან კაცს ეძახდა. სკოლაში იგი პროფკავშირის თავმჯდომარე იყო. ერთხელ მისთვის და საერთოდ ყველა მისი კოლეგისთვის დაუვალებიათ კრებების ჩატარება და გრიგოლ რობაქიძის მოღვაწეობის დაგმობა. რამდენიმე დღით ადრე მან განცხადება გამოაკრა. კრების წინა დღით კი მოხსენების დაწერაში დახმარება მთხოვა. მე მას ვუთხარი, რომ რობაქიძის შემოქმედებას არ ვიცნობდი. სვისტოკიან კაცზე მეტი მაინც გეცოდინება და დამეხმარეო, მითხრა მან.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, სამასწავლებლოში მარტო დავრჩით. გვერდიგვერდ ვსხედვართ, მე გაზეთი მიდევს წინ და პროპაგანდისტული სამსახურების მიერ ამ კრებების ჩატარებისათვის სპეციალურად გამოქვეყნებულ მეთოდურ წერილს ხმამაღლა ვკითხულობ. ვაჟას კალამი უჭირავს ხელში და მნიშვნელოვანი საკითხები უნდა ჩაინიშნოს. უეცრად იგი წამოდგა და ადგილი შეიცვალა, ისევ ჩემ გვერდით, მაგრამ მეორე მხრიდან დაჯდა. მიზეზი რომ ვკითხე, მითხრა: – ამ ყურში უკეთ მესმისო და კითხვაც თავიდან დამაწყებია. ტექსტი გავანახევრე და ვხედავ იგი არაფერზე არ რეაგირებს. მომეჩვენა თითქოს ჩათვლიმა კიდეც. ერთ წინადადებაში რობაქიძე ამბობდა: „მე მდინარის მესამე ნაპირზე ვდგევარ...“ რაო, რაო, მდინარის მესამე ნაპირზე ვდგევარო?.. გამოფხიზლდა ვაჟა, წამიკითხე ეგ წინადადება თავიდან, მეუბნება იგი და მეც ვკითხულობ. გაუსვი ხაზი მაგ წინადადებას... აფირისტი – ჩაილაპარაკა ვაჟამ. მე კითხვა გავაგრძელე, ბოლოში ჩავედი და ვაჟას მოსაწონი სხვა

ვერაფერი აღმოვაჩინე. მომეცი ეგ გაზეთი – მითხრა ვაჟამ, მეც მივეცი და მუშაობა დავამთავრეთ.

მეორე დღეს ვაჟამ მოხსენება იმავე გაზეთის პირველ აბზაცში აღნიშნული, კომუნიზმის მშენებლობაში მიღწეული წარმატებებით დაიწყო. ძირითადი მოხსენება კი, იმ ერთ წინადადებაზე ააგო: „აგერ თავზე დავჩერებივართ მდინარე ყვირილას, მე კიდევ ხარაგაულელი კაცი ვარ, მდინარე ძირულას სანაპიროზე დაბადებული და გაზრდილი, მდინარის მესამე ნაპირი არ მინახავს და არც გამიგონიაო, აგერ კიდევ ჩვენი გეოგრაფიის მასწავლებელი, ის სიტყვაშია ჩაწერილი და თავის აზრს გამოთქვამს ამ საკითხზეო“ – სთქვა ვაჟამ და დაამთავრა მოხსენება.

გეოგრაფიის მასწავლებელმა თავის გამოსვლაში შეგვახსენა თუ როგორ უნდა განვსაზღვროთ მდინარის მარჯვენა და მარცხენა ნაპირი. მდინარის ორი ნაპირი ჩვენ ვიცით და მოსწავლეებს ასწავლე, აქ მესამეზეა ლაპარაკი – აწყვეტინებს ორატორს სიტყვას ვაჟა და კონკრეტულად უსვამს საკითხს თუ რამდენი ნაპირი აქვს მდინარეს. ორი, – პასუხობს ორატორი. აგიშენდა ოჯახი – ეუბნება ვაჟა. სიტყვაში სხვებიც გამოვიდნენ. დავადგინეთ, რომ მდინარეს მესამე ნაპირი არ გააჩნია, რობაქიძის მოღვაწეობა დავგმეთ და ვაჟამ კრების ოქმი საქალაქო კომიტეტში წაიღო.

* * *

ითხვისის მაღაროთა სამმართველომ სოცშეჯიბრში გაიმარჯვა და ქალაქკომის დავალებით მეექვსე სკოლის მოსწავლეებს მათთვის ეს გამარჯვება საზეიმო ვითერაბაში უნდა მიელოცათ. მე ამ სკოლაში აღარ ვმუშაობდი და იქვე რვაწლიანი სკოლის დირექტორად ვიყავი გადასული. ვაჟა მოვიდა ჩემთან და მეუბნება: ორი სტროფი ლექსი დამიწერე, მაღაროს დირექტორს რუბენი ჰქვია და იქნებ ეს სახელი მოახვედრო რითმში, ლექსს მოსწავლეს წავაკითხებ, რუბენს ესიამოვნება და იქნებ სკოლისთვის შეშა მომცესო. მე სამსტროფიანი ლექსი დავწერე, რომლის ბოლო სტროფი ასე „ჟღერდა“:

„სულ ანათებდეს თქვენი მზე, სულ ლურჯი იყოს თქვენი ცა,
წარმატებები სწავლაში ხშირად გენახოთ ჩვენიცა,
და თუ გამოჩნდეს ზეცაზე, ქარს გაეფანტოს ღრუბელი,
დიდხანს ჰყოლოდეთ თავკაცად ითხვისლებს ძია რუბენი“.

ვაჟას დიდი სატვირთო მანქანით წაულია შეშა მაღაროდან. იმ დღეებში შეშაზე მეც მივაკითხე რუბენს, მაგრამ უარით გამისტუმრა. რაც დაგროვილი მქონდა, ვაჟამ წაიღო. წელს კი შეშის დაგროვების შანსი აღარ არის, ზამთარი ახლოვდება, საღამოობით მუშებს ცოტაოდენი შეშა ხელით მიაქვთ სახლში და ამას მათ მე ვერ ავუკრძალავო.

* * *

თუ ნაცნობი და ახლობელი არ გყავს, კაცი არ მოგხედავსო – სთქვა ერთხელ ვაჟამ. ამ გამოთქმაში ახალი არაფერი იყო. საინტერესო მხოლოდ ის იყო, რა ჰქონდა ვაჟას მხედველობაში და აი ისიც: ვაჟას თირკმელში კენჭის გავლა ჰქონია და მძიმე შეტევით სასწრაფოდ სავადმყოფოში გადაუყვანიათ. ექიმის დავალებით ვაჟასთვის ერთი ადგილის გაპარსვა დაუწყიათ. ამ პროცესმა ტკივილით კენჭის გავლა გადაფარაო, ამბობდა ვაჟა. სავადმყოფოში სანიტრად ვაჟას მეზობელ ქალს უმუშავია. რომ გაუგია ვაჟას პარსავენო, მისულა „დალაქთან“ და უთქვამს: ეგ ავადმყოფი ჩემი მეზობელია და „სტანოკში“ ახალი ბრიტო ჩაარგეო. ამოვისუნთქეო – იგონებდა ვაჟა.

* * *

სკოლის კურსდამთავრებულები, 17 – 18 წლის თითქმის ზრდასრული გოგო – ბიჭები, ექსკურსიაზე წავიყვანეთ. ქალაქში ბავშვები ჯგუფ – ჯგუფად დაიშალნენ. რამდენიმე გოგონამ შეკრების ადგილზე (ავტობუსთან), მოსვლა დააგვიანა. შორიდან ვხედავ, ეს გოგონები ციგნების გარემოცვაში იმყოფებიან. მე მათთან მივედი და დაგვიანებისათვის ვუსაყვედურე. გოგონები სიცილ – კისკისით გამოიქცნენ ავტობუსისკენ, მათ ციგნებიც გამოედევნენ, თურმე ბავშვებს მათთვის „მკითხაობის“

საზღაური არ გადაუხდიათ. მე ციგნებს შევედავე, ერთ მათგანს სახელოში ხელი წავავლე და გამოდევნების საშუალება არ მივეცი, თანაც ვუთხარი რომ ისინი მოსწავლეები იყვნენ და ფული არ ჰქონდათ. „ამხელა ძროხები მოსწავლეები?.. მაგათ სწავლა არ უნდათ, მაგათ ყ.. უნდათ“ მეუბნება ციგანი. მე ეს დიდ შეურაცხყოფად მივიღე, ციგნებს მათხოვრები ვუწოდე და შევაგინე კიდეც. მათ სალანძღავი სიტყვები არ მაკმარეს, შემომესივნენ და ჯოხები აღმართეს.

ვაჟამ ავტობუსის სალონიდან შემნიშნა, რადგან ქალებთან მქონდა საქმე, სამი ჯანიანი გოგო გამოიყოლა და ჩემს დასახმარებლად მოვიდა. ერთმა გოგომ ციგანს, რომელიც მე ფინია ძაღლივით მიტევდა, ჩაავლო კისერთან საყელოში ხელი და თოჯინასავით გადასვა გვერდზე. ციგნები ვაჟას შემოესივნენ და უფრო ხმამაღლა და ბოღმით უთხრეს: „შენი მოსწავლეები ყ.. უნდა“.“ახალი ამბავი“ – უთხრა ვაჟამ ციგნებს და სათქმელი აღარ დაუტოვა. „ტყვეობიდან მიხსნეს“. გოგოები სიცილ – კის-კისით, ვაჟა გაბადრული სახით, მე კი შეურაცხყოფილი და ნერ-ვებმოშლილი ავტობუსში შევედით.

ბავშვობისა და მოსწავლეობის წლები

მეორე მსოფლიო ომის წლებში (1943) დავიბადე. ბავშვობის წლებიდან მახსოვს ცალკეული შთაბეჭდავი მოვლენები. ისინი ომის გამოძახილს, ძირითადად კი სიღარიბის დაძლევის პრობლემებს უკავშირდებოდნენ.

ძუ ლომი ხვადის ტოლიაო – სკოლაში რომ მითხრეს, გამიკვირდა. მე ძუ ლომი ხვადზე უფრო მაგარი მეგონა. მეგონა იმიტომ, რომ არ ვიცოდი რას აკეთებდნენ ხვადები ომში. სოფელში კი ვხედავდი როგორ შრომობდნენ მანდილოსნები, მათ შორის შავთავსაფრიანი ქალები, საკარმიდამო მიწის ნაკვეთებსა და კოლმეურნეობის ყანებში.

მეხსიერებას შთამბეჭდავად შემორჩა საღამოს საათებში მათ მიერ გამართული თავყრილობები. ურთიერთოჯახური ამბების მოკითხვის შემდეგ, საუბრის მთავარი თემა ომში უგზოუკვლოდ დაკარგულებს და რეპრესირებულებს ეხებოდათ. მთავრდებოდა იგი ოპტიმისტური განწყობით, მათი დაბრუნების რწმენით.

შავთავსაფრიან მანდილოსნებს კი, რომლებსაც არავის დაბრუნების იმედი აღარ ჰქონდათ, საუბარი იმ დროისთვის აქტუალურ თემაზე – კოლმეურნეობაზე (მათი ლექსიკით კოლექტივზე) გადაჰქონდათ. ზოგს მოსწონდა იგი, ზოგს კი–არა. ამ საკითხზე მსჯელობისას ხშირად გაიგონებდით გამოთქმას: ეგეც შენი კოლექტივი, მე არ მომწონს ეს კოლექტივი – შენ კი არ გეწყინოს დაია. ვისაც მოსწონდა კოლექტივი, ის ადგილობრივ ხელისუფლებასთან რაიმე ფორმით იყო დაკავშირებული. ოპონენტები კი რეპრესირებულთა წრეს წარმოადგენდნენ. გამოთქმა – შენ არ გეწყინოს დაია, თავდაცვის ინსტიქტით იყო ნაკარნახევი. დაიას ქმარი ბრიგადირი იყო და ბოლშევიკად მოიაზრებოდა. სტალინი ცოცხალი იყო.

უფროსი თაობის ადამიანები, მათ შორის პედაგოგებიც პოლიტიკაზე და არა მხოლოდ პოლიტიკაზე, გულწურფელ საუბარს ერიდებოდნენ ახალგაზრდებთანაც. პირადად მე, როგორც სწავლის, ისე შრომის პროცესში არაერთხელ დამიფიქსირებია ასეთი შემთხვევები.

1950 წლის აპრილში მამაჩემი გარდაიცვალა და ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი დედისანაბარა დავრჩით. მე უფროსი ბიჭი, 7 წლის ვიყავი და გარდაცვალებამდე მამაჩემის გარშემო ვტრიალებდი. ქალი სუსტი არსებაა, მძიმე შრომა კაცის საქმეაო – მეტყოდა ხოლმე მამა, როცა ეწეოდა მიწის ნაკვეთის დამუშავებასა და მოსავლის აღება-დაბინავებასთან დაკავშირებულ სამუშაოებს, მოჰქონდა ტყიდან შეშა, ზამთრის პირობებში ყრიდა თოვლის შენობა-ნაგებიბათა სახურავებიდან, ასეფთავებდა მათთან მისასვლელ თოვლიან გზებს და სხვა. მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ „უფროსი კაცი“ ოჯახში მე დავრჩი. მიმაჩნდა, რომ კაცური საქმეების კეთება მე მევალებოდა და როცა ეს არ შემეძლო, ოჯახს დაუცველად ვგრძნობდი.

იმავე, 1950 წლის სექტემბერში მე პირველი კლასის მოსწავლე გავხდი. სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებზე მომავალი თაობის აღზრდას. პირველივე გაკვეთილი მასწავლებელმა პროლეტარიატის ბელადებზე საუბრით დაიწყო. ახსენა მარქსი, ანგელსი, ლენინი და სტალინი. გვითხრა, რომ მათ იხსნენეს კაცობრიობა მონობისა და ჩაგვრისაგან და შექმნეს წინაპირობა კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. მიმზიდველ ფერებში დაგვიხატა კომუნიზმი და გვითხრა, რომ იქ ცხოვრება საამური იქნებოდა. პროლეტარიატის ბელადებზე მასწავლებელი, როგორც ცოცხლებზე, ისე საუბრობდა. საკლასო ოთახის კედელზე ჩამოკიდებულ ლენინის დიდ სურათს კი ბოლოში ეწერა:– ლენინი ცოცხალია და იცოცხლებს მარად. ყველაფერი ეს მე პირდაპირი მნიშვნელობით მესმოდა.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ შინ ხალისიანი დავ-ბრუნდი. იმედის ნაპერწკალი ჩამესახა. ჩემი ოჯახის მზრუნ-ველად მარტო დედაჩემი კი არა, სახელმწიფოც მესახებოდა.

იმ ხანებში ორი მოხუცის საუბარს შევესწარი. ისინი ძველსა და

ახალ ცხოვრებას ერთმანეთს ადარებდნენ. ერთმა ჩაილაპარაკა: – ძაღლი მიაკვდა ლენინს სულშიო. ცუდად მენიშნა. ასეთ გამოთქმებს მკვდრების მისამართით ხმარობდნენ. მალე გავიგე, რომ მარქსიც, ენგელსიც და ლენინიც ცოცხლები აღარ იყვნენ. მეწყინა. გავიფიქრე – ერთ სტალინს კომუნიზმის აშენება გაუჭირდებათქო. მალე სტალინიც გარდაიცვალა. მთელი სოფელი, განსაკუთრებით კი პედაგოგები, დიდი მწუხარებით შეხვდნენ ამ ამბავს. ხშირად გაიგონებდით გამოთქმას – ქვეყანამ დაჰკარგა პატრონი.

უფროსი თაობის ადამიანების, განსაკუთრებით კი პედაგოგების ზღვარგადასული გლოვა-გოდება მოსწავლეებში იწვევდა დაუცველობის განცდას. ეს განსაკუთრებით მტკივნეული იყო ჩემთვის. ჩემი ოჯახი ისევ დედისანაბარა დარჩა.

მამა დედაჩემსაც ადრე გარდაცვლოდა. იგი ეკონომიურად ხელმოკლე, მრავალშვილიან ოჯახში იზრდებოდა და ბავშვობიდანვე შეზრდილი იყო შრომასთან. ასევე იქცეოდა ის შვილებთან მიმართებაშიც. მისი დავალებით ვკრეფდით ტყემალს, მაყვალს, მოცვს, ასკილს, ჩაის ფოთოლს და ვაბარებდით მათ სოფლის მაღაზიაში. ჩვენთან ერთად შრომობდნენ სოფლის სხვა ბავშვებიც და არა მარტო ობლები. ჩვენი შრომის ნაყოფს ბავშვები ვხედავდით ფულის სახით, რომელსაც მაღაზიაში ჩაბარებული სოფლის ნობათის საფასურად ვიღებდით. მე ამდენი ფული ავიღე, მე ამდენი– სიამაყით იძახდნენ მაღაზიიდან დაბრუნებული ჩაფულიანებული ბავშვები. ერთხელ მასწავლებელი ფულზე დახარბებულ კაპიტალისტებზე გვესაუბრა და მარქსის სიტყვები ახსენა– ფული ხელის ჭუჭყიაო. მე ეს დედასთან ვთქვი. თავიდან მან ეს არაფრად მიიჩნია და უბრალოდ ჩაილაპარაკა: ნეტავ ბევრი მომცა შვილო მაგნაირი ჭუჭყიო. შემდეგ უფიქრია: ბევშვები ფულისთვის ეკალბარდებში შრომობენ და მარქსის სიტყვები შვილებს გამიზარმაცებსო. დაგვიძახა და გვითხრა: – თქვენს ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, წიგნებს, რვეულებს და ყველაფერს, რასაც მაღაზიაში ვყიდულობთ, ფული სჭირდება და ის ჭუჭყი კი არა, ოჯახისთვის მეტად საჭირო რამა�ა. იმ ხანებში მარო ბებია (დედაჩემის დედა) გვესტუმრა. ის საჩხერის რაიონის

სოფელ ჯალაურთაში ცხოვრობდა და ახალგაზრდობის წლებიდან მუშაობდა იმავე სოფლის სკოლაში დამლაგებლად. პედაგოგებთან ხანგძლივი ურთიერთობის გამო საუბრითა და მსჯელობით ის განათლებული პიროვნების შთაბეჭდილებას ტოვებდა, თანამოსაუბრეებს მოსწავლეებივით უყურებდა და ზოგჯერ შენიშვნებსაც აძლევდა. უცხო ადამიანეთან ბებიაჩემს ეს კარგად გამოუდიოდა, ნაცნობთა წრეში კი ირონიულ ღიმილს იწვევდა. მარო ბებია, დედაჩემი და მეზობლის ქალი ხის ჩრდილში დასხდნენ. საუბრისას დედაჩემს ჩემს მიერ ნათქვამი მარქსის სიტყვები უხსენებია. ბებია განაწყენებულა. გამომიძახეს. რა დროს შენი მარქსია, დედა ენა ისწავლეო – მითხრა ბებიამ. შემდეგ მკითხა: – ვინ გითხრა ბიჭო შენ ფული ხელის ჭუჭყიაო. მარქსმა თქვა-მეთქი – ვპასუხე მე. მარქსმა რა სთქვა, მაგას ნუ მასწავლი, შენ ვინ გითხრაო – მეუბნება ბებია. მასწავლებელმა – ვუპასუხე მე. ჰოდა იმ შენს მასწავლებელს უთხარი, თუ ფული ხელის ჭუჭყია, გაკვეთილების განაწილების დროს ერთმანეთს რატომ ჭამენ... მასწავლებელს ყველაფერი კი არ უნდა დაუჯერო. დედაშენს მიხედე... წადი შვილო წყაროზე და წყალი მოიტანე – მითხრა დედამ. მეზობელმა ქალმა ისარგებლა დიალოგის შეწყვეტით და მარო ბებიას შეეკითხა – თქვენ რა საგანს ასწავლით? ბებიამ თავი აარიდა უხერხულ კითხვას, ტყისკენ გაიხედა და იკითხა – ამ ტყეში მგელი ბინადრობს? მე წყაროზე წავედი. იმ ღამით დედაშვილმა (ბებიამ და დედამ) გვიან ღამემდე ისაუბრეს ოჯახის პრობლემებზე. ეხლა გოჭები გავყიდე – ამბობს დედა. ბავშვებს საზამთრო ტანსაცმელი უნდა ვუყიდო. ზოგჯერ ყველს ვყიდი ხოლმე და საოჯახო წვრილმანებს იმით ვყიდულობ. აქ დედაჩემს ერთი ნატვრაც აღმოხდა: – რა დაუშავდებოდა მარქსს მე რომ ერთზე მეტი დედა ღორის, ან მეწველი ძროხის ყოლის უფლება მქონდეს, ბავშვებს მწყემსობა შეუძლიათ, ბოსელი დიდი მაქვს, საძოვრები არის. ეგ მარქსის კი არა, სტალინის ბრალია – კოლექტივი მან შექმნა– ამბობს ბებია. ყველაფერი მარქსიდან იღებს სათავეს-ასკვნის დედა. ბავშვებს ხომ სძინავთ – ამბობს ბებია. ალბათ – პასუხობს დედა. ბავშვებთან ამ საკითხებზე საუბარს მოერიდე, ხომ ხედავ შენი ბიჭი მარქსზე ლაპარაკობს, სადღაც წამოსცდება დედას

ეს მთავრობა არ მოსწონსო და გაგაციმბირებენ. მე, „მძინარმა“ გავიფიქრე, რაღაცას მიმალავენ-თქო და სმენად ვიქეცი. პასუხი კითხვაზე – რატომ იყო სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეზღუდვები პირუტყვის სულადობაზე – მოგვიანებით გავიგე: იმიტომ რომ არსებობდა სოფლად მდიდარი გლეხების, კულაკების წარმოშობის (რესტავრაციის) საფრთხე.

ამეკვიატა მეორე კითხვა:– რატომ ჰქონდათ პროლეტარიატის ბელადებსა და კომუნისტურ მომავალზე პედაგოგებისაგან განსხვავებული აზრი ბებიას და დედას. ამ კითხვაზე პასუხი ფიზკულტურის გაკვეთილზე გავიგე. იქ ერთერთი სპორტული თამაში ასე იწყებოდა: მოსწავლეები ეზოში წრეს გავაკეთებდით, გავიშლებოდით და ჩავსხდებოდით. ერთი მოსწავლე ჩვენს ზურგს უკან, წრეზე დაიწყებდა სიარულს შეძახილით– ეს ქალაქი ვისია?! დანარჩენები კი ერთხმად ვპასუხობდით ჩვენი სკოლის ბავშვების! ერთერთმა მოსწავლემ შეძახილი ასე დაიწყო: ეს ქვეყანა ვისია? ბავშვებმა ეს ვერც კი შეენიშნეთ და გავაგრძელეთ შეძახილი: ჩვენი სკოლის ბავშვების! მასწავლებელმაც არ შეგვაწყვეტია თამაში და ირონიული ღიმილით პასუხობდა ჩვენს შეცდომას.

სკოლის ეზოს მთელ სიგრძეზე ფეხით მოსიარულეთა ბილიკი ჰკვეთდა. ბილიკზე მიმავალმა შუახნის მამაკაცმა სვლა შეანელა, ჩვენთან მოახლოებისას კი შეჩერდა. იგი გაბრწყინებული თვალებით შეჰყურებდა მწვანე მდელოზე დადგმულ სპექტაკლს. ერთერთ ჩვენს შეძახილზე – ეს ქვეყანა ჩვენიაო, იგი მიუახლოვდა ჩვენს მასწავლებელს და ჰკითხა: – შენც ასე ხომ არ გგონიაო. მასწავლებელმა ტუჩებთან საჩვენებელი თითის მიტანით სიჩუმისკენ მოუწოდა და ჩვენზე მიანიშნა – არ გაიგონონო. ბებიაჩემის სიტყვები გამახსენდა – ბავშვებს ხომ სძინავთო. დავასკვენი, რომ კომუნიზმზე ბებიაჩემის, დედაჩემისა და პედაგოგების შეხედულებები ერთმანეთს ემთხვეოდნენ და ისინი ბავშვებს გვატყუებდნენ.

მოსწავლეობის წლებმა სწავლასა და ოჯახურ შრომაში განვლო. დედამ მორჩილი თოხი შემირჩია. თოხნა კი მამაჩემიდან მქონდა ნასწავლი. ვიცოდი, რომ სიმინდსა და ლობიოს ძირებში ბალახი თოხით უნდა შემოაცალო, სადაც თოხი ვერ მიდგება,

ბალახი ხელით უნდა მოთხარო, შემდეგ კი გარშემო ფხვიერი მიწა შემოაყარო.

14 წლის ასაკიდან სასკოლო არდადეგების პერიოდში საკოლმეურნეო შრომაში ჩავები. კოლმეურნეობის ყანაში სხვაგვარი თოხნაა საჭირო, სხვებს დააკვირდი და შენც ისე მოიქეციო – მითხრა დედამ. აქ შრომა მამისა და ბაბუის თაობის ადამიანებთან მიხდებოდა. თოხნის დროს ისინი წელში საერთოდ არ იხრებოდნენ და სიმინდისა და ლობიოს ძირებში ბალახს ზემოდან მიწას აყრიდნენ. კოლექტიური თოხნა უფრო იოლი ჩანდა. მას მალე მივეჩვიე და ამ სიახლის დანერგვას საკარმიდამო მიწის ნაკვეთზეც შევეცადე. დედამ შემნიშნა და მითხრა: – შენ აქ კოლექტივის ყანა ხომ არ გგონიაო.

საკოლმეურნეო შრომისადმი უყაირათო და გულგრილი დამოკიდებულების ფაქტები განსაკუთრებით თვალში საცემი იყო მოსავლის აღება-დაბინავების დროსა და საერთოდ ყველა უბანზე. კოლმეურნეობას ჰქონდა საქონლის, ღორებისა და თხების ფერმები. კოლმეურნეობის ფერმიდანაა – იტყოდნენ ხოლმე გამორჩეულად გამხდარ და მოუვლელ საქონელზე, ღორზე და თხაზე, როცა ისინი სოფლის ნახირში შეერეოდნენ.

შრომისადმი ასეთი დამოკიდებულება ასახვას ჰპოვებდა შემოდგომაზე „წიწილების თვლის“ დროს. საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე მიღებული მოსავალი ბევრად სჭარბობდა საკოლმეურნეო მიწის იგივე ზომის ფართობზე მიღებულ მოსავალს.

დამამთავრებელ, მეათე კლასში ქ. ჭიათურის მუშა-ახალგაზრდობის სკოლაში ვსწავლობდი. ამ ტიპის სკოლების არსი მდგომარეობდა იმაში, რომ განხორციელებულიყო საყოველთაო საშუალო სწავლების კანონი. ეს კანონი კი აცდენილი იყო რეალობას. დღის მასიურ სკოლებში მოსწავლეთა საკმაო ნაწილი ვერ ახერხებდა სასკოლო პროგრამების დაძლევას. სწორედ ამ კონტიგენტით და წლობით სკოლასმოწყვეტილი უფროსი თაობის მოქალაქეებისაგან კომპლექტებოდნენ საღამოს სკოლები. აქ მოსწავლეები სკოლაში სანახევროდაც არ დადიოდნენ. ბევრ თანაკლასელს ვერც კი ვცნობდი. მოსწავლეთა შეფასებები და კლასიდან

კლასში გადაყვანა ხდებოდა ფორმალურად. ერთხელ ასეთი ფაქტი მოხდა: მოსწავლე, რომელსაც საკლასო ჟურნალში შეფასება(ნიშანი) ჰქონდა დაფიქსირებული, იმავე საათში სისხლის სამართლის დანაშაულში თანამონაწილე აღმოჩნდა. მასწავლებელი სკანდალში გაეხვა. სხვები გაფრთხილდნენ, თუ მოსწავლე გაკვეთილს არ ესწრებოდა, საკლასო ჟურნალში მისთვის ნიშნის ჩაწერას უფრთხილდებოდნენ. მოსწავლეებს თანაკლასელების გაცნობის შანსი მოგვეცა.

საღამოს სკოლის მოსწავლეებისთვის მუშაობა აუცილებელი პირობა იყო. მე სამშენებლო ორგანიზაციაში დავსაქმდი– კალატოზებსა და მლესავებს ვეხმარებოდი. საკომეურნეო შრომაშინაწრთობს, მუშაობა არ მიჭირდა. ერთხელ ხელოსნებმა კერძო პირის სახლის მშენებლობაზე წამომიყვანეს და იქ სულ განსხვავებული მოთხოვნები წამომიყენეს. ეს მოთხოვნები შეეხებოდნენ ქვიშისა და ცემენტის ურთიერთშერევისას დოზირების მკაცრად დაცვას. მათ საფუძვლიანად ურთიერთშერევას, ხარისხიანად მოზელას, მასალების ყაირათიანად ხარჯვას და სხვა. თუ რამ არ მოეწონებოდათ, მეტყოდნენ – შენ აქ სახელმწიფოს ობიექტი ხომ არ გგონიაო.

შემდგომ წლებში არაერთხელ მსმენია ფრაზა: ,,კომუნიზმის მშენებლობის გზაზე მთავარ პრობლემად რჩებოდა შრომისადმი კომუნისტური (კეთილსინდისიერი) დამოკიდებულების დამკვიდრება“. ასეთ დამოკიდებულებას კი მე ვხედავდი გლეხისგან თავის საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე, მშენებლებისაგან კი– კერძო ბინათმშენებლობის დროს. მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობასა და სახელმწიფო ობიექტზე შესრულებული სამუშაოს ხარისხზე კონტროლი ევალებოდათ აგრონომებს, ბრიგადირებს, ინჟინრებს და სხვა პასუხისმგებელ მუშაკებს, იქ დამკვიდრებული იყო შრომისადმი უპასუხისმგებლო - მავნებლური დამოკიდებულება. გამოთქმები: კოლმეურნეობის ყანა და სახელმწიფო ობიექტი შრომისადმი ზერელე და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებასთან ასოცირდებოდნენ. ,,სტალინის ხელი“ კი ამ სფეროში წესრიგის დამყარებასთან მოიაზრებოდა. ამ ხელს კი ზოგჯერ ისინიც ნატრობდნენ, ვისაც მისი რისხვა პირადად ჰქონდათ განცდილი.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა მშენებლობაზე გავაგრძელე და საკმაოდ კვალიფიციური ხელოსანიც გავხდი, მაგრამ ოჯახს ეკონომიურად ბევრი ვერაფერი შევმატე. ამ მხრივ დედაჩემი მეტს ელოდა და ხშირად წუწუნებდა. ერთხელ ჩემს თანატოლზე მიმანიშნა, რომელმაც იმავე წლებში სახლი ააშენა. მე კი ვუპასუხე: „თუ გინდა გახდე მდიდარი, კი ნუ შეეცდები დააგროვო სიმდიდრე, შეამცირე სიხარბე“. ეგეც მარქსმა ხომ არ სთქვაო – მეკითხება დედა. დიახ – ვუპასუხე მე. ეგ მარქსი დაგღუპავს შვილოვო – მითხრა დედამ. რას აიჩვენიე ეგ მარქსი დედა, – საკმაოდ ემოციურად ვუთხარი მე. იმად ავიჩვენიე შვილო, რომ ამ მთა სოფელში გლეხებს შიმშილისა და სიღარიბის გვეშინია, მარქსს კი ჩვენი გამდიდრებისო. მარქსი დიდი ხნის გარდაცვლილია დედა – მერე რა რომ გარდაიცვალა, ქვეყანას მისი მიმდევრები მართავენ შვილო...

ჩვენ, სამეული – მარქსი, დედაჩემი და მე – კიდევ ერთხელ „შევხვდით“ ერთმანეთს. ამჯერად მე მთვრალი ვიყავი. სიმთვრალეზე არაფერი აქვს ნათქვამი მარქსსო – შემეკითხა დედა. მარქსის გაქილიკავება არ ვაპატიე დედას და წავეჩხუბე. დილით შევრიგდით და შევთანხმდით, რომ მარქსს აღარ ვახსენებდით. დედაჩემმა ეს პირობა შეასრულა. მე კი შემდგომში ჯერ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი, შემდეგ კი პარტიული მუშაკი გავხდი და მარქსის სახელის გარშემო ვტრიალებდი. ჩემთვის ეს სახელი დედასთან გახდა ასოცირებული. ეხლაც, „როცა ამ სტრიქონს ვწერ“, ისეთ განცდაში ვარ, თითქოს 20 წლის წინ გარდაცვლილ დედას ვესაუბრები. მადლობა მარქსს ამ სიამოვნებისთვის.

სკოლის შემდგომ

სამხედროში გაწვევის დრო მიახლოვდებოდა და მინდოდა ჯარისკაცის ცხოვრებაზე წარმოდგენა მქონოდა. მშენებლობაზე დასაქმებული კალატოზები, მლესავები, მალიარები და სხვა პროფესიის ხელოსნები ამბობდნენ, რომ ისინი ამ პროფესიებს სამხედროში სამსახურის დროს დაეუფლნენ. პარიკმახერიც კი ამაყობდა იქ პროფესიის დაუფლებით. თავიდან ჯარისკაცებს ვკრეჭდი თმებს, ბოლოს კი გენერალიც მყავს გაპარსულიო – ამბობდა იგი.

სამხედროში წასვლა არ მსიამოვნებდა, მაგრამ, თუ წავიდოდი, მინდოდა ნამდვილ სამხედრო პროფესიას დავუფლებოდი.

1962 წელს სამხედრო სავალდებული სამსახურში გამიწვიეს. შემოდგომაზე რამდენიმე ასეული კავკასიელი ახალგაზრდა გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში, გამანაწილებელ პუნქტში, ვიმყოფებოდით და ამ ქვეყანაში დაბანაკებულ სამხედრო ფორმირებებში გადანაწილებას ველოდებოდით. პერიოდულად მოდიოდნენ სხვადასხვა საჯარისო ფორმირებებიდან წარმომადგენლები და მიჰყავდათ სხვადასხვა რაოდენობის, ძირითადად რუსული ენის კარგად მცოდნე ახალგაზრდები. ამას კი გამართლებაც ჰქონდა, რადგან საკმაოდ რთული სამხედრო ტექნიკის შესწავლა და მისი ექსპლოატაცია რუსული ენის საფუძვლიანი ცოდნის გარეშე თითქმის შეუძლებელი იყო.

რუსული ენის სუსტად მცოდნეებს კი გვთავაზობდნენ სამსახურს არა სამხედრო პროფილის, არამედ მომსახურების სფეროში: ბინების გათბობის სისტემა, საკანალიზაციო ქსელის აღდგენა-შეკეთება, ბინებისა და კაზარმების შეკეთება, სასადილოებსადაგოლპიტალშისხვადასხვასახისსამუშაოების შესრულება, სამხედრო ნაწილის ტერიტორიის კეთილმოწყობა და სხვა. ერთხელ სომეხმა კოლეგამ მომახარა: მეღორეობის ფერმაში 10 კაცს ითხოვენ და წავიდეთო. ის მიხსნიდა: მთაში

კურორტზე ვიქნებით, ღორის მწვადები არ მოგვაკლდება. მე სალამურის დაკვრა ვიცი და შენც გასწავლი, საქართველოში რომ ჩახვალ, სალამურის ხმაზე გოგოები დაგესევიანო. დედას რა მივწერო, აქ გერმანიაში ღორებს ვუდგივარო– ვუთხარი მე. შენც კიდევ, გადაიღე სურათი ტანკთან და გაუგზავნე დედას– მეუბნებოდა ის. ვერ შევთანხმდით. ბოლოს ადგილზე დავრჩით 50-მდე ჯარისკაცი, ყველა არარუსი ეროვნების. ჩემი სოფლის კოლმეურნეობის ფერმა მაგონდებოდა. ფერმაში ჰყავდათ ე.წ. გამოწუნებული ხარები. ეს სტატუსი ხარს ენიჭებოდა იმ შემთხვევაში, როცა ის რაიმე მიზეზით, როგორც გამწვევი ძალა უვარგისი გახდებოდა. ამისი მიზეზი კი შეიძლება ყოფილიყო მისი ხანდაზმულობა, ტრამვა, სიმულაცია (ზოგიერთი ხარი კისერზე უღელს არ იჩერებდა) და სხვა. ამ კატეგორიის ხარებს ასუქებდნენ და ხორცკომბინატში აბარებდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც კოლმეურნეს ცალ ხარს მგელი დაუკლავდა, ან სხვა მიზეზით მოუკვდებოდა. ასეთ შემთხვევაში გლეხი მეორე ხარს გამოწუნებული ხარებიდან არჩევდა. გამოწუნებული ხარების მდგომარეობაში ვიმყოფებოდით ჩვენც. თუ რომელიმე სამხედრო ნაწილს, რაიმე მიზეზით ჯარისკაცი გამოაკლდებოდა, ჩვენი კონტიგენტიდან ახდენდნენ შევსებას.

ერთ დროს ჩვენთან ახალგაზრდა ოფიცერი მოვიდა. შეგვათვალიერა და ყურადღება ჩემზე შეაჩერა. შემდეგ კი ჩვენს შორის დიალოგი გაიმართა:

– სადაური ხარ?

– ქართველი ვარ

– აქ რისთვის ჩამოხვედი?

– სამშობლო უნდა დავიცვა

– მერედა სად შენი სამშობლო და სად გერმანია.

– აქ, ევროპის ცენტრში მსოფლიო მშვიდობის ბედი წყდება.

შემდეგ მან ჩემი ჩაცმულობა შეათვალიერა, თავზე ძველი ქუდი მეხურა. ახალი რა უყავი – მეკითხება ის. მომპარეს– ვპასუხობ მე. შენ შენი ქუდი ვერ დაგიცვია და სამშობლოს დაიცავ, – მეუბნება ის და ეღიმება.

ოფიცერმა თავის სამხედრო ნაწილში წამიყვანა. 700-კაციან პოლკში ერთადერთი ქართველი იყავი. როგორც ეროვნული

უმცირესობის წარმომადგენელს, ზედმეტად ყურადღებითა და მზრუნველობით მექცეოდნენ. დიდი ყურადღება ექცეოდა სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით ჩვენს აღზრდას. ამ თემაზე ლექცია-საუბრებს გვიტარებდნენ მეორე მსოფლიო ომის მონაწილე სამხედრომაღალჩინოსნები. ისინი ამაყობდნენ საბჭოთა არმიის წარსულით, იხსენებდნენ შთამბეჭდავ ეპიზოდებს ომის ისტორიიდან. იგრძნობოდა, რომ დიდი პატივისცემით იყვნენ გამსჭვალულები სტალინის პიროვნებისადმი, მაგრამ ხრუშჩოვის მმართველობის წლები იყო და ამ საკითხზე საუბარს ვერ ბედავდნენ. საბჭოთა მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის სიმბოლოდ მიაჩნდათ ჯარისკაცის ძეგლი, რომელიც ერთ ხელში ბავშვით, მეორეთი კი – ხმლით ევროპის ცენტრში იდგა. თქვვენ იმ ჯარისკაცის მემკვიდრეები ხართ და ბედმა გარგუნათ ბედნიერება იდგეთ აქ, მსოფლიო მშვიდობის სადარაჯოზე – გვმოძღვრავდნენ ისინი.

სამხედრო სპეციალობას მალე დავეუფლე. არავითარი ზედმეტი საუბარი, (ლაი-ლაი) მხოლოდ პრაქტიკული საქმე. წარჩინებული სალდათი ვიყავი. მალე დავწინაურდი. მიმიღეს კომუნისტური პარტიის რიგებში. გავხდი თადარიგის ოფიცერი. მჯეროდა რომ კეთილშობილური მისიის მონაწილე ვიყავი. თურმე მატყუებდნენ– ოკუპანტი ვყოფილვარ.

სამხედროდან დემორალიზაციის შემდეგ, 1965-70 წლებში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი და ჩემი იდეოლოგიური „მოძღვრები“ – სამხედრო მაღალჩინოსნები, პროფესორ-მასწავლებლებმა შეცვალეს. ფაკულტეტის მთავარი საგნების: – ისტორიის, პოლიტიკონომიის, ფილოსოფიის, მეცნიერული კომუნიზმის და მათი მონათესავე დარგების ლექტორ-მასწავლებელთა სამეცნიერო ნაშრომები ეფუძნებოდნენ კომპარტიისა და სსრ კავშირის შექმნასთან, კომპარტიის რომელიღაც ყრილობასთან, სტალინურ ხუთწლედებთან, სოციალისტურ შეჯიბრებებთან და არსებული წესწყობილების ქება-დიდებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ნათქვამია – არცოდნა არ ცოდვაა, მაგრამ, როცა სამეცნიერო ხარისხის მაძიებელმა შესანიშნავად იცის ამა თუ იმ მოვლენის რეალური არსი, თავისი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე,

მას სულ სხვაგვარად წარმოაჩენს, ამ თემაზე მეცნიერის ხარისხს მოიპოვებს, შემდეგ კი სტუდენტებს უმტკიცებს სოციალისტური შეჯიბრება ეკონომიკის აღმავლობის საწინდარიაო, ამ შემთხვევაში სტუდენტი მსხვერპლია.

ჩემს მიერ მოხსენიებული მაგალითებიდან ჩანს, რომ მე ბავშვობის წლებიდან სტუდენტური წლების ჩათვლით პოლიტიკის სფეროში რაღაცებს მიმალავდნენ. უფრო სწორად კი მატყუებდნენ. მატყუებდა ოჯახში ბებია და დედა, სკოლაში მასწავლებელი, სამხედროში ოფიცერი, ინსტიტუტში კილექტორი. ეს პრობლემა კი მთელი ჩემი თაობის ხვედრი იყო.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჯერ პედაგოგიურ საქმიანობას ვეწეოდი, შემდეგ კი ვმუშაობდი ქ. ჭიათურაში სხვადასხვა თანამდებობებზე. ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, ვფლობდი ინფორმაციებს ქალაქის პრობლემებსა და მოქალაქეთა საჭირბოროტო საკითხებზე.

მაღაროელი

„ბრმავდებოდი მაღაროში, მეგობარს კი გრძნობდი, მეგობრობის სადღეგრძელო თასით შევსვათ, მოდი!

(გალაკტიონი)

მაღაროში არასდროს მიმუშავია, თუმცა, როგორც ჭიათურის მკვიდრს, მაღაროს მუშებთან, როგორც ასაკით თანატოლებთან, ისე უფროსი თაობის წარმომადგენლებთან, ახლო ურთიერთობა მქონდა. მთელი გულისყურით ვისმენდი მათ მიწისქვეშა სათავგადასავლო ეპიზოდებს, რაც მათთვის უბრალო, ჩვეულებრივი ამბავი იყო, მე კი ტანში მზარავდა. ეხლაც მრავალსართულიანი კორპუსის ლიფტში გაჭედვისას, ან მეტროს გვირაბში მატარებლის ავარიული გაჩერებისას, არასასიამოვნო განცდები რომ თავიდან ავიცილო, ვიხსენებ მათ ნაამბობს: „გვირაბის ნაპირიდან რამდენიმე კილომეტრში ვიყავით შესულები, გვირაბი ჩამოინგრა, ჩაბნელდა, ჩვენ იქეთა მხარეს, „ცოცხლად დამარხულები“ აღმოვჩნდით. არიან დაშავებულები, გვესმის მათი კვნესის ხმა და ვერაფერს ვშველით....“ ამ ჯოჯოხეთის გახსენებაზე ვაგონში გაჭედილს თავი სამოთხეში მგონია. მგონია, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ეს მთლად ასე არ არის, ისევ „ველოდები“ მუშის იმედიან სიტყვებს და „ჩამესმის“ კიდეც: „გვირაბის მეორე მხრიდან მაშველთა კირკისა და ლაფათქის ხმა შემოგვესმა..., გვირაბში სინათლემ შემოაღწია..., ნუ გეშინიათ ბიჭებო – შემოგვესმა ხმა..., დაშავებულები გამოვიყვანეთ“... იმედიან სიტყვებს აქ წერტილები აშორებს, მიწისქვეშ კი საათებიც არ ჰყოფნიდა. ამის დავიწყება არ შეიძლება, მაგრამ ავიწყდებოდათ მაღაროელებს. ავიწყდებოდათ ალბათ იმიტომ, რომ ისინი არაერთხელ აღმოჩენილან ასეთი საფრთხის წინაშე. ამ ჯოჯოხეთიდან გამოსული მუშა, მეორედ რომ კიდევ იქ შევა, მას თავისი პროფესია უყვარს, ის გმირია.

ჩემს ბავშვობაში სიტყვა მაღაროელი კუნთმაგარი, გამრჯე და კეთილი კაცის ასოციაციას იწვევდა. ამ მხრივ მაღაროელები მართლაც გამორჩეულები იყვნენ. გამორჩეულნი იყვნენ ისინი ჩაცმულობითაც. სპეცტანსაცმლების ნაწილს („კურტკებს“ და „სპეცოვკებს“) ისინი მაღაროს გარეთაც იცვამდნენ, ქუდი კი („კასკა“) ბევრ მუშას სისტემატურად ეხურა.

დღეს სიტყვა „მაღაროელი“ ჩემში, და არა მარტო ჩემში, ფეხბურთელთა გუნდის („ჭიათურის მაღაროელი“) ასოციაციას იწვევს. რა მოხდა? რომელი ლოგიკით ხელმძღვანელობდა „ბრძენი“, ვინც ფეხბურთელთა გუნდს ეს სახელი შეურჩია? იქნებ იმით, რომ ამ გუნდის შენახვის ხარჯები მაღაროელთა მხრებზე იყო? ამ ლოგიკით მას გუნდისათვის „მაღაროელის ტვირთი“ უნდა დაერქმია. და რადგან სიტყვა „ტვირთი“ უხერხულია, დაერქმია ბნელში მომუშავე მაღაროელთათვის სანუკვარი სინათლის წყაროსთან ასოცირებული სახელები, . მაგალითად: „მაღაროელის სინათლე“, „ლამპარი“, „შუქურა“, „ჩირაღდანი“ ან სხვა რამ, მაგრამ არა ის სახელი, რომელიც პროფესიონალ მუშას სახელს „წაართმევდა“. ამ ეპიზოდებში სიტყვას – „მაღაროელი“, მე მაღაროს მუშის, და არა ფეხბურთელის მნიშვნელობით ვხმარობ.

ვეტერანი მაღაროელები საუბრობდნენ: ამ კაცს ცხოვრებაში ბევრი კეთილი საქმე აქვს გაკეთებული – ამბობს ერთი მეორეზე. ამ აზრს ამყარებენ სხვებიც. ოპონენტები არ ჩანან. „ეს კაცი“ კი – დუმს. ერთი კითხვა შეიძლება? ჩავერიე მათ საუბარში მე. თქვენ ვინ ბრძანდებით?- მეკითხებიან ისინი. მე თავი მოყვარულ ჟურნალისტად წარვადგინე. ნებართვას მაძლევენ და მეც ვეკითხები ნაქებ მოხუცს: – მწამს თქვენ წესიერი და პატიოსანი კაცის სახელი გაქვთ, იქნებ გაიხსენოთ თქვენს მიერ გაკეთებული რომელიმე კონკრეტული კეთილი საქმე. კითხვის ადრესატი თითქოს რაღაცას იგონებს, მე შთამბეჭდავი ამბის მოყოლას ველოდები. ჩემთან დიალოგში კი მორიგეობით ებმებიან დანარჩენები.

– მაგან მიწის ქვეშ, მაღაროში ოცი წელი იმუშავა, არღვევს სიჩუმეს ერთი.

– რომ იმუშავა, ხელფასსაც აძლევდნენ, ვამბობ მე.

– ეგ დიდი სამამულო ომის მონაწილეა, დიალოგში ერთვება მეორე.

– თუ ომში გასაწვევი ასაკი ჰქონდა, აბა რა უნდა ექნა. სხვა შემთხვევაში სტალინთან ექნებოდა საქმე.

– თანამდებობებიც ჰქონდა, დიდი ფულის შოვნა შეეძლო, ეგ კი კეთილსინდისიერად მუშაობდა.

– კეთილსინდისიერი შრომა მოქალაქეობრივი ვალია, დიდი ფული რომ არ იშოვა, ესეიგი არ მოიპარა, ქურდი არ ყოფილა.

– კარგი ოჯახი აქვს, კარგი შვილები გაზარდა.

– შვილს აჩენს, წვრთნის და ზრდის ნებისმიერი არსება. ამ საქმეს გაცილებით უკეთ ართმევენ თავს გარეული ცხოველები და ფრინველები, როცა მათ საქმეში ადამიანი არ ერევა.

შენ ჟურნალისტი კი არა დემაგოგი ხარ, მეუბნება ერთი. მე ბოდიშს ვუხდი მათ და ვშორდები.

ადამიანები ცხოვრებაში ადამიანურ ვალს სხვადასხვაგვარად იხდიან და დამატებით აკეთებენ როგორც კეთილ, ისე არაკეთილ საქმეებს. შესაბამისად არსებობს გამოთქმებიც: „კარგი კაცი“, „ნი რიბა, ნი მიასო“, „ცუდი კაცი“, „არა კაცი“ და სხვა.

კარგი კაცის სახელი ძნელი მოსახვეჭია, ასეთი ადამიანები თავიანთი ღვაწლის შესახებ ნაკლებად, ან საერთოდ არ ლაპარაკობენ. კეთილი საქმეების კეთება მათ სავალდებულოდ მიაჩნიათ და არა განსაკუთრებულად აღნიშვნის ღირსად. ამ მხრივ გაცილებით „მეტი აქვთ სათქმელი“ სხვა კატეგორიის ადამიანებს. ისინი სადღაც, სოფლის ორღობეში უცხო მგზავრს გამოდევნებულ ძაღლს ჩამოაშორებენ და იტყვიან – აგერ კაცს ძაღლი ჭამდა და გადავარჩინეო. ვეტერანმა მაღაროელებმა კი ბევრი, მართლაც აღსანიშნავი საქმე ვერ გაიხსენეს, მაგრამ მას სხვები იხსენებენ.

1960 წელს 17 წლის ბიჭი ვიყავი, ჭიათურაში მშენებლობაზე ვმუშაობდი და მუშათა საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი. დასვენების დღეებში კი ქალაქიდან საკმაოდ დაშორებულ, მშობლიურ სოფელ ბერეთისაში დავდიოდი. სამგზავრო ტრანს-პორტად ბრეზენტით გადახურული სატვირთო ტაქსები იყვნენ გამოყენებულნი. აქ მგზავრებთან ერთად ნახავდით სხვადასხვა სახის ტვირთს, მათ შორის ცოცხალსაც: ფრინველს, ცხვარს,

თხას, გოჭს და სხვა. ყველაფერი ეს კი ქალაქში გასაყიდად იყო გათვლილი. ერთხელაც, ვხედავ გლეხ ქალს ღორი ამოუყვანია და თოკით მიუბია იგი წინა ბორტზე. ჩვენი სოფლის ტრანსპორტით, როგორც გამვლელი, მიმდებარე სოფლების მგზავრებიც სარგებლობდნენ. გზადაგზა მგზავრები ამოდიან, ზოგიც ჩადის. ახალგაზრდა გოგონებს განსაკუთრებით უჭირდათ ასვლა-ჩამოსვლა. ამისი მიზეზი იყო მოდაში შემოსული ვიწრო ე.წ. „ბუტილკა“ კაბები. ავტომობილზე ახალგაზრდა გოგო ამოდიოდა. მე იქვე ვიდექი და დახმარების მიზნით თავაზიანად ხელები გავუწოდე. ერთმა ჩემმა თანატოლმა ბიჭმა ხელი მკრა, შემდეგ ასევე უტაქტოდ ჩაავლო გოგოს ხელი, მეშოკივით ამოიტანა იგი და დადო მანქანის ძარაზე. მე დავიბოღმე.

ქალაქთან ახლოს, სოფელ შუქრუთში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებითა და ცხოველებით ვაჭრობა სწარმოებდა. ავტომობილი გაჩერდა, ქალმა ღორი აუშვა და მისი ჩაყვანა მოისურვა. ღორი გაჯიუტდა, მე დახმარება ზედმეტად მივიჩნიე, რადგან ის ჩემი ტოლი ბიჭი უფრო ახლოს იდგა. დაეხმარე – ბრძანების ტონით მეუბნება ის. მე მისი ბრძანების შერულება არ ვისურვე. შენ თვითონ დაეხმარე – ვუთხარი მე და მთავარი სათქმელი-- ის ხომ კარგი იყო გოგოს რომ ჩაავლე ხელი-თქო, უთქმელი დავტოვე. შენ ბიჭო იცი ვისთან გაქვს საქმე? თვალებს წამოგთხრი, მითხრა მან და გაშლილი ორი თითი თვალებთან მომიტანა. ჩოჩქოლი ატყდა. ღორი დაფრთხა, თოკი გაწყვიტა და გასასვლელის ძებნა დაიწყო. დამიხია ჩულქი, წამიქცია ვედრო, გაიძახიან მგზავრები. აფორიაქდნენ ფრინველები. ქათამს არ ჭამს – გაიძახის ღორის პატრონი. ბატს? -კითხულობს ვიღაც.

რა ხდება აქ – ამ სიტყვებით საქმეში ჩაერთო ერთი მაღაროელი. მისი სიტყვების ტონალობა გონიერებისაკენ მოუწოდებდა ყველას. მან ცალი ხელი ღორს ქეჩოში, მეორე კი ხერხემლის ზოლზე ჯაგარში ჩაავლო, ასწია იგი ჰაერში და მიიტანა უკანა ბორტთან. გადააბი თოკი – ეუბნება იგი ღორის პატრონს. ქალმა ჰაერში აწეული ღორის კისერთან დარჩენილ თოკის ნაწილს მისი მეორე ნაწილი გადააბა. დაიჭი თოკის ბოლო ხელში – უთხრა მან ქალს, თვითონ კი ცალი ხელი ღორის ქეჩოდან მის კისერში ჩაბმულ საყელოზე გადაანაცვლა,

მეორე კი საერთოდ გაუშვა, ბორტზე გადაიხარა და ცხოველი მიწაზე დაუშვა. შემდეგ „საშინაო საქმეებითაც“ დაინტერესდა.- რა ვერ გაიყავით – მითხრა მე და პიჯაკის საყელოზე მომკიდა ხელი. როცა თვალებში ჩამხედა, ცივად მიშვა ხელი და ჩემს თანატოლთან გადაინაცვლა. შენ რა დღეში ხარ ბიჭო, უთხრა მას და იგივე სცენა განმეორდა. იმ განსხვავებით, რომ საყელოზე გაშვებული ხელი ყურში მოჰკიდა, ოდნავ აუწია და უთხრა – შენ ჭკუით იყავი თორე ყურებს დაგაგლეჯო. იმ ხანებში გამოთქმა - „ყურებს დაგაგლეჯ“ – მიანიშნებდა მის ადრესატს, რომ ის ჯერ კიდევ ბავშვი იყო და გონს უნდა მოგებულიყო. თანატოლებთან კი იყენებდნენ გამოთქმას – „თავ-პირს დაგამტვრევ“. შემდგომში მე და იმ ჩემმა თანატოლმა ბიჭმა ერთმანეთი გავიცანით და მკვეთრად განსხვავებული ტიპები აღმოვჩნდით. თვალებში ჩახედვით ამ განსხვავებულობის დანახვა და ახალგაზრდებისადმი დამოკიდებულების ის ტაქტი, რომელიც მაღაროელმა გამოავლინა, ბევრ პედაგოგს შეშურდებოდა.

1960-61 წლებში მგზავრობისას ის მაღაროელი არაერთხელ დამინახავს. ერთხელ თავი ბინტით ქონდა შეხვეული, თვალიც ჩალურჯებული ჰქონდა. ეტყობა ვიღაცას „თავპირს ამტვრევდა“ და თვითონაც მოხვდა. მისთვის სულ ერთი არ იყო რა ხდებოდა მის ირგვლივ. მიმინოსავით ატრიალებდა თვალებს. ჩემთვის ის ვაჟკაცობის სიმბოლო იყო. მასთან კონტაქტში არასდროს შევსულვარ, „ჯმუხი“ კაცი იყო, ასაკშიც დიდი იყო სხვაობა.

* * *

80-იან წლებში ქალაქ ჭიათურაში, ავტოსადგურში („ხიდის თავში“) ვიდექი და სოფლის ტრანსპორტს ველოდებოდი. გავრცელდა ინფორმაცია, რომ თოვლის დნობის შედეგად გზებზე ჩამონადენი წყლები მოიყინა და ტრანსპორტი ვერ მოძრაობს. მგზავრებმა დაშლა დაიწყეს. შემთხვევითი ტრანსპორტის (ორხიდიანი „ხალტურის“ ავტომანქანების) იმედად შემორჩნენ მხოლოდ ზოგიერთები, ძირითადად მამაკაცები.

მალე ტრანსპორტიც გამოჩნდა, მგზავრები მანქანაზე ავედით. ტრანსპორტს ერთი მოხუცი მოადგა. მაღალბორტიან

მანქანაზე ამოსვლა საკმაოდ ძნელი იყო. უკანა მხრიდან ისედაც მაღალ ბორტს ზემოთ მთელ სიგრძეზე პარალელურად გასდევდა ლითონის მილი. ამოსვლისას მოხუცები და ქალები ლითონის მილსა და ბორტს შორის გაძრომას ამჯობინებდნენ, ახალგაზრდები კი მილის ზემოდან გადმოდიოდნენ. მოხუცს ამოსვლაში ვეხმარები, ბორტთან რომ ამოიწია, მეგონა მილის ქვეშ გამოძვრებოდა, მე მას მხრებზე ხელი დავადე და ოდნავ დავაწექი კიდეც. მოხუცმა თვალებში შემომხედა. ამაყი მზერაა, ეს ტიპი ხვრელში არ გამოძვრება, გავიფიქრე მე და ცივად ავიღე ხელი. მოხუცი მილს ზემოდან გადმოევლო, ცოტა მეც წავეხმარე.

სოფლების დასახლებებში რომ შევედით, მგზავრებმა ჩამოსვლა დაიწყეს. მოხუცმაც მოითხოვა გაჩერება. მან მილის ქვეშ გაძრომა არც ამჯერად იკადრა და ვხედავ ზემოდან ჩასვლისთვის ემზადება. ამ შემთხვევაში კი ჩასვლა გაცილებით ძნელი იყო, ვიდრე ამოსვლა, რადგან მილზე ხელებით ჩაჭიდებული მგზავრი ფეხებით მიწამდე ვერ სწვდებოდა და ჩასვლა ჩახტომით უნდა დამთავრებულიყო. მოხუცმა ჩასჭიდა ხელები მილს და ზემოდან გადაევლო მას. მე მას მაჯებში ჩავსჭიდე ხელები, ჩახტომის დროსაც თან დავაყოლე და გავუშვი მაშინ, როცა ვიგრძენი, რომ ის ფეხებით მიწას შეეხო. მოხუცმა შემომხედა. მისი თვალები წარსულზე მიმანიშნებენ. მადლიერების ნიშნად მოხუცმა მარჯვენა ხელი მაღლა ამიწია. გამახსენდა: ამ კაცს ორი ათეული წლის წინ ჩემი პიჯაკის საყელო ეჭირა ხელში, ის თვალები კი თავლებში ჩამსცქეროდნენ.

მძღოლმა მანქანა დაძრა. მოხუცი უბნისაკენ მიმავალ გზას ფეხით მიუყვება. „ვხედავ“ მოყვარული ჟურნალისტი მას აჩერებს და ეკითხება: – „ცხოვრებაში კარგი რა გაგიკეთებია“-ო. მოხუცს არაფერი აგონდება. მე კი მაგონდება.

ობოლი სტუდენტების ბედი

პედაგოგიური ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი ვიყავი და ნაქირავებ ბინაში, მეორე კურსის სტუდენტთან ერთად ვცხოვრობდი. იგი ლიმიტით იყო მოვლინებული მაღალმთიანი რაიონიდან, სულ იყო 19 წლის, მოკრძალებული და თავაზიანი. მამა ადრე გარდაცვლოდა და დედასთან ერთად ხელმოკლეთ ცხოვრობდა. ერთხანს გულჩათხრობილი გახდა, რამდენჯერმე ჩაკითხვის შემდეგ საიდუმლო გამიმხილა – თანაკურსელი შეჰყვარებია და მისი ცოლად შერთვა გადაუწყვეტია.

მეც უმამოდ ვიზრდებოდი, ოჯახშიც ისეთივე ეკონომიკური მდგომარეობა მქონდა და ცოლის შერთვა ინსტიტუტის დამთავრებისა და ეკონომიკურად ცოტა მომძლავრების შემდეგ მქონდა გადაწყვეტილი. ამიტომ მასაც დროებით თავის შეკავება ვურჩიე. მან ჩემი მოსმენაც არ ისურვა – ობოლ სტუდენტს ნაკლები მომეთხოვება, უფრო იოლ ფორმებში მოვახერხებ დაოჯახებას, ვიდრე ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 100 – მანეთზე მომუშავე ღარიბი მასწავლებელიო – მითხრა და რადგან მე აქცენტი ეკონომიკურ მდგომარეობაზე გავაკეთე, „ანგარიშიც“ წარმომიდგინა: ჩემს საცოლეს დედაჩემი თავის სამკაულებს გადასცემსო – სთქვა ამაყად და ცოტა წაიწუწუნა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ყიდვისათვის საჭირო თანხების უკმარისობაზე. ამ საყიდელთა შორის კი, საკმაოდ სოლიდური თანხით, მოდაში ახლად შემოსული ქალის ჩექმები ფიგურირებდნენ.

აზრთა შეჯერება ვერ მოვახერხეთ. მე მისი გადაწყვეტილება მეჩვენებოდა არასერიოზულად, იმას კი – ჩემი რჩევა – დარიგება.

იმ ხანებში სკოლაში პედაგოგიურ პრაქტიკებს გავდიოდი, ერთ – ერთ კლასში გაკვეთილი ცდებოდა. მოსწავლეები კორიდორში იყვნენ გამოსულები და მეტისმეტად ხმაურობდნენ. სკოლის დირექტორმა მათი დაწყნარება დამავალა. მეც კორიდორში

გამოვედი, ვხედავ ერთი მოსწავლე ღია ფანჯრის რაფაზე ასულა, ქმნის შთაბეჭდილებას თითქოს იქედან ხტება და ამ სცენის შემყურე თანაკლასელების წივილ – კივილით ერთობა. ჩემს დანახვაზე იგი ძირს ჩამოხტა. საშიში ცელქობისათვის მე იგი მკაცრად დავტუქსე და ყურიც ავუწიე. „რისხვა“ არც სხვებს დავაკელი და კლასში შევიყვანე. ისინი დასხდნენ, მეც დავჯექი. დაძაბული სიტუაციაა, ერთმანეთს მოქუფრული სახეებითა და „შურისმაძიებლის“ თვალებით შევყურებთ. გამეფებულ სიწყნარეს ფანჯრის მინაზე ბუზის ბზუილის ხმა არღვევს. ერთერთ მოსწავლეს გაკვეთილი ვკითხე. ადამიანის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული თემა ჰქონიათ გაკვეთილად და მან სთქვა: ადამიანის შორეული წინაპარი ოთხი ფეხით დადიოდაო. ჩემთვის გავიფიქრე, კიდევ კარგი ეხლა რომ ორ ფეხზე დადის, თორემ ობოლ სტუდენტს საცოლესთვის ორი წყვილი ჩექმის ყიდვა დასჭირდებოდა – თქო. ამის გაფიქრებაზე დაძაბულობა მომეხსნა და ეტყობა ეს ჩემს სახეზედაც აისახა. ბავშვებმა იგრძნეს ეს და სახეები გაუბრწყინდათ, ცელქმა ბიჭმა გაიცინა კიდეც. როცა სიცილის მიზეზი ვკითხე, თავიდან შეკრთა და ყურებზე ხელები აიფარა, შემდეგ კი, როცა ღიმილი მეც შემნიშნა, მითხრა: ყურები მეწვის მასწ. და სიცილი აუტყდა, მის სიცილს კი მთელი კლასი აჰყვა, მეც თავი ვეღარ შევიკავე და ყველამ ერთად ვიცინეთ. ამის შემდეგ გაკვეთილის თემა შევცვალეთ და პროფორიენტაციაზე გადავედით. ჩემი პირველი შეკითხვის შემდეგ – რა პროფესიის დაუფლება სურდათ – შეკითხვებს სულ ისინი მაძლევდნენ: რატომ ავირჩიე პედაგოგის პროფესია, ვაპირებ თუ არა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სკოლაში მუშაობას, რა კაცის საქმეა პედაგოგობა და როგორ ვაპირებ ხელფასით ცხოვრებას და სხვა. ისე გათამამდნენ, რომ ცელქმა ბიჭმა მკითხა: შეყვარებული გყავთ მასწ... ჩემს დადებით პასუხზე ბევრი იცინეს. ჩემი იგივე შეკითხვა – ჰყავდათ თუ არა მათ შეყვარებულები – კი არასერიოზულად მიიჩნიეს და ისევ იცინეს. შემდეგ კი, როცა ამ კითხვას სერიოზული ელფერი მივეცი და პასუხიც სერიოზულად მოვითხოვე, ერთმანეთს გადახედეს. ცელქ ბიჭს თვალები იმ გოგოსკენ გაეპარა, ფანჯრიდან მისი გადახტომის შიშით ყველაზე ხმამაღლა რომ

წიოდა. საჩვენებელი თითის ტუჩებთან ფაქიზად მიტანით მე მას მივანიშნე, ყველაფერს მივხვდი, მაგრამ „სამარე ვარ“, საიდუმლოს შეგინახავ – თქო. მას არ ეგონა თუ ასე იოლად „გაიშიფრებოდა“, შერცხვა და თავი დახარა.

აკაკი წერეთელი უფრო დიდი შემოქმედია, თუ ირიდიონ ევდოშვილი მასწ? მეკითხება ერთი. მაგ კითხვით თქვენი ქართულის მასწავლებელს მიმართეთ, ვპასუხობ და გაკვეთილიც მთავრდება.

სამასწავლებლოში შესულს, ამ კლასის ქართულის მასწავლებელი, იგივე დამრიგებელი, სიმპატიური მანდილოსანი მეუბნება: კლასის წინ გამოვიარე, ხმამაღალი სიცილის ხმა გამოდიოდა და რას ჰყვებოდი ასეთს?

– მაგ ჩექმებში რა მიეცით? – კითხვას კითხვითვე ვპასუხობ მე.

– ხუთასი მანეთი, მაგრამ ეგ რა შუაშია?

– შუაშია, ვეუბნები მე და საუბრის თემას ვცვლი.

– ბავშვები აკაკი წერეთლისა და ირიდიონ ევოდშვილის რეიტინგებით ინტერესდებიან და იქნებ ესაუბროთ მათ ამ საკითხზე.

ოხ დედა, რა ამბავი ამიტეხეს, სთქვა მან და მომიყვა: „აკაკი წერეთლის „განთიადს“ მთელი ჩემი ორატორული ხელოვნების დემონსტრირებით ვუკითხავდი და ბავშვებიც გულისყურით მისმენდნენ. წამოდგა ერთი, წინ რომ პუტკუნა ბიჭი ზის, გოჩა და ტუალეტში გასვლა ითხოვა. მე კითხვა შევწყვიტე, ემოციები ველარ მოვთოკე, ბავშვი გავკიცხე და გარეთ გავაგდე. შემდეგ კი ლექსი უხალისოდ ბოლომდე ჩავიკითხე და ქართულ საზოგადოებაში მისი მაღალი რეიტინგის შესახებ ვისაუბრე. გავიხსენე ისიც, რომ ამ ლექსის კითხვის დროს ორატორისათვის სტალინს უთქვამს – „შეწყვიტე კითხვა, თორემ ავტირდებიო“, მოვიხსენიე აკაკი წერეთელი, როგორც საქართველოს ბულბული და კიდევ ერთხელ მთელი გულწრფელობით და საკმაოდ ემოციურად გამოვთქვი გულისწყრომა იმის გამო, რომ ამ ბუმბერაზი პოეტის ლექსის ჩაკითხვამდე დარჩენილი რამდენიმე წამი ველარ შეიკავა გოჩამ თავი და გაკვეთილიდან გასვლა ითხოვა. ბავშვებს კი, კიდევ ერთხელ შევახსენე არაერთგზის

ნათქვამი იმის შესახებ, რომ , როდესაც მე ახალ მასალას ვხსნი და მობილიზებული მაქვს მოსწავლეთა ყურადღება , თავი შეიკავონ ასეთი მოთხოვნებისაგან, გადაუდებელ შემთხვევაში კი , ჩემგან ყოველგვარი ნებართვის გარეშე , წყნარად , გავიდნენ გაკვეთილიდან და შემოვიდნენ უკან.

ამ კლასის მოსწავლეები ძირითადად მეზობლად ცხოვრობენ, მათ ეს ამბავი გოჩას ოჯახშიც მიუტანიათ და ხაზგასმა გაუკეთებიათ – მასწავლებელი ბუმბერაზი პოეტის ლექსის კითხვის შეწყვეტამ გააღიზიანაო. დედას ბავშვი დაუტუქსია, მამას კი – გაულახია. რატომ ჩემი შვილიშვილი გამილახესო და მეორე დღეს სკოლაში გოჩას ბებია მოგვეჭრა, ჩემი მისამართით რისხვა და აგრესია გამოხატა და ხმამაღლა გაიძახდა: როცა ბავშვს ტუალეტი მოუნდება, მისთვის ბუმბერაზი აკაკი და იროდიონ ევდოშვილი სულ ერთიაო.

მასწავლებლებმა ბებია დაამშვიდეს და გაისტუმრეს. ორი კვირის თავზე გოჩას დედას შევხვდი, მე მას სრულიად მშვიდად ვუამბე თავისი დედამთილის საქციელზე და ვიცინეთ კიდეც, მაგრამ სახლში მისვლისას ის დედამთილს წაჩხუბებია: როგორ გაბედე იმ განათლებულ ხალხში მისვლა შე უწიგნურო, შენ რა იცი იროდიონ ევდოშვილი რა შემოქმედიაო. ბებიასაც უკან არ დაუხევია – აკაკი წერეთელს იროდიონ ევდოშვილი ვერ შეედრებაო – უთქვამს და გაჩაღებულა „მწვავე დისკუსია“ – აკაკი წერეთელი უფრო დიდი შემოქმედია თუ იროდიონ ევდოშვილი. შემოქმედთა რეიტინგი აქ განმსაზღვრელი არ არის, მთავარი ისაა ვინ დგას მათ მხარეზე. რძალი მაინც რძალია და მას დედამთილი „ჩიხში“ მიუმწყვდევია. ეტყობა სამეზობლოში საჭორაო თემა გაჩნდა, მიაჩნიათ, რომ რძალმა დედამთლი უსამართლოდ ჩააჩუმა, ამ თემაზე საუბარს ბავშვებიც ისმენენ და აკაკისა და იროდიონის რეიტინგთა განხილვის პროცესში, სამწუხაროდ, ჩემი კლასის მოსწავლეებიც აღმოჩნდნენ ჩართულნი“.

საღამოს ობოლმა სტუდენტებმა გაკვეთილი გავარჩიეთ, როცა ჩვენს შორეულ წინაპართა ფეხების რაოდენობას მივადექით , ჩემმა კოლეგამ სთქვა: ჩემს საცოლეს რამდენი ფეხიც არ უნდა ჰქონდეს, ბაჩუჩებს ვუყიდი და მაინც შევირთავო.

ცხოვრებამ ოჯახის შექმნის საკითხზე ჩემი ოპონენტის

„არასერიოზული“ მიდგომის სერიოზულობაში დამარწმუნა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ , იგი თავის მშობლიურ რაიონში დიპლომთან ერთად, ცოლ – შვილით დაბრუნდა.

მე კი სტუდენტური წლებიდან სატრფიალო თემაზე აუხდენელი ოცნებების სახით შემომრჩა მხოლოდ მოგონებები, ვიხსენებ ერთ მათგანს: ჩემთვის ზოგიერთი ლექტორის ინტერესმოკლებული ლექცია ახალგაზრდული ოცნებების ასაფრენ ბილიკს ემსგავსებოდა. იმ დღეს სამედიცინო დარგის ლექტორმა სხვათაშორის თქვა: - დედის ორგანიზმში შვილის ჩანასახი დროის გარკვეულ მონაკვეთში დედის არტერიული სისხლით იკვებებაო. ჩემთვის ეს დედის შესახებ ახალი, შთამბეჭდავი ინფორმაცია იყო. მორიგ ლექციაზე ლიტერატურათმცოდნეობის ლექტორმა საინტერესოდ ისაუბრა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე. აღნიშნა, რომ წინა საუკუნეებში იგი ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, მისი გადამწერები ხშირ შემთხვევაში უშვებდნენ შეცდომებს.ზოგჯერ კი გამოტოვებდნენ, ან თავისივე შეთხზულ ახალ სტროფებს უმატებდნენ მას, რითაც ამახინჯებდნენ და ანაგვიანებდნენ ამ გენიალურ ნაწარმოებს.

ლექტორის საინტერესო საუბარი მოკლე ხანში მომაბეზრებელი გახდა და იგი კარნახში გადაიზარდა. ასეთ შემთხვევაში სტუდენტებს ლექციის ჩაწერა გვევალებოდა, მეც ვწერდი, მაგრამ არა ლექტორის ნაკარნახევს. ერთი გოგო მიყვარდა, წარმოვიდგინე იგი ქაჯების ტყვეობაში და დედის, როგორც სიცოცხლის წყაროს შესახებ, ჯერ კიდევ ემოციებით დატვირთული, რუსთაველის მიბაძვით ვწერდი ლექსს - ვანაგვიანებდი „ვეფხისტყაოსანს“. ვიხსენებ იმ ლექსსაც:

წიგნი საყვარელსა თანა მიწერილი პირველი

— —

მუცლად ვინ გკვება დედამან, არტერიულის სისხლითა,
კვლა რომელ ძუძუ გაჩოვა, აკვან ვინ გირჩო ლხინითა,
ვინ დედა–ენა გასჩავლა, ბანტს ვინ გაბამდა დილითა,
დიდება ქალსა, მშობელსა, ამაყსა ზრდილით შვილითა.
გიხილე და იმავ დღიდან დამსჩვა შენმან ტრფობის ალმან,

მსგავსი შენი ამავ ქვეყნად ვეძებ, რომ ჰპოვოს სადმე თვალმან,
ოცნებისა ზღვაში ჩაძფალ შენ უმანკომ, ნაზმან ქალმან
და გულს დაღი სამუდამოდ დააჩინა შენმან ხალმან.

შენად ტყვედ ყოფნა ვარჩევნე სტუდენტმან, შვების მწყურვალმან,
შენს მეტმან ვერვინ განმკურნოს, ვერც ჟამმან ყოვლის მკურნალმან,
შევიცნა შენი სამყოფი, დაუყოვნებლივ მენ ვარ მალ,
გავუძლო ყოველ გასაჭირს, შენის სიშორით მჭვენვარმან.

ქალის ტყვედ ყოფნის სურვილი ადრე არასდროს მქონია,
ოცნების სფერო განათდა, თავი მელექსე მგონია,
მე ლექსს ვწერ სასოწარკვეთით, ლექტორს ლექცია ჰგონია,
ხრამში ვარ გადაჩეხილი, ამოსვლა ძოხაგონია.

ჩივილი ჩემი ემსგავსვის ოხვრას ყოვლისა ხამისა,
მე არც წყვდიადის მეშინვის, კლდოვან გზის, და არც ხრამისა,
სიკვდილსც მზის შუქზე შევჰნატრი,
არ მინდ მსხვერპლ გავხდე ღამისა,
ლექტორის მალვით ლექსსა ვწერ, „მე რუსთველისად ამისა“.

მივმართავ ლექსის ადრესატს: ჩემო ოცნებავ, მწყინს რომ ჩვენი ერთობა არ შედგა. მწყინს, მაგრამ არც ძალიან. ჩემს გვერდში მეუღლეობას - ცალ ხელში ძროხას ბაწრით, მეორეში ბავშვს და დატვირთვას სხვამხრივაც, შენ ვერ „გაქაჩავდი“. შენ მკვდარს გნახავდი და დავიწვებოდი, „ვითა აბედი კვესითა“. ამიტომ „დაგთმე გულითა“...

ნეტარნ ხართ „ლამაზმანები“, სტუდენტობის დროს შაჰის უფლებებს ვნატრობდი. ვნატრობდი მხოლოდ იმიტომ, რომ მრავალი ცოლის შერთვის უფლება მქონოდა. არც იმ შემთხვევაში გამოვიჩენდი ღორობას. პირველ ცოლად შეგირთავდი შენ. შევირთავდი კიდევ ორს - ერთი შენ მოგემსახურებოდა, მეორე კი - მე. ეგ იქნებოდა და ეგ. ჩვენს შემთხვევაში კი - ან სამი ან არცერთი - არცერთი ჯობდა. აუხდენელი ოცნების სახით შენ ჩემი აღმაფრენის მუდმივ საზრდოდ დარჩი. „ინამდვილე, სინამდვილევ! ნუ ახდები ოცნებავ!“ (პოეტი მიხეილ ქვლივიძე).

მანდილოსნის თვალები

მამა ადრე გარდამეცვალა და ობლობაში ვიზრდებოდი. სკოლაში წარჩინებული მოსწავლე ვიყავი. დედაჩემი ამით ამაყობდა. შემდეგ კი სადღაც გაუგონია ნიჭიერი ადამიანები ბოლოს აფრენენო და მითხრა: – სწავლას ცოტა მოუკელი , არ დამღუპო შვილოვო. ამ მოსაზრების მიზეზი რომ ვკითხე, მითხრა: გაკვირდები და გამჩნევ, მარტო ზიხარ, სახეზე ხან ზედმეტად წარბშეკრული, მოღუშული ხარ, ხან კიდევ იღიმებიო. დედაჩემი დავამშვიდე, მაგრამ ეს სიმართლე იყო და ცოტა მეც შევშინდი.

სკოლაში სწავლის მოკლებას შევეცადე და მასწავლებლებმა მითხრეს – შენ ბიჭო შენს ძმას არ დაემსგავსო, არ დაღუპო დედაშენიო. ჩემი ძმა კი სკოლაში უკანასკნელი მოსწავლე იყო. დავფიქრდი და ჩემს თავს თვითონვე დავუსვი დიაგნოზი: როცა ჩემთვის, მარტო ვზივარ, ყოველთვის რაღაცაზე ვფიქრობ, ვოცნებობ. ეს „რაღაც“ კი სხვადასხვაგვარ განცდებს და ემოციებს იწვევს ჩემში და ამის შესაბამისად ხან წარბშეკრული ვარ, ხან კიდევ მეღიმება და რატომ უნდა იყოს ეს საშიში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ რამდენიმე წელი მშენებლობაზე ვმუშაობდი. ნაცნობთა წრეში მოკრძალებულ და თავაზიან ახალგაზრდად ვითვლებოდი. ჩემი ეს თვისებები განსაკუთრებით მკაფიოდ იკვეთებოდა მანდილოსნებთან ურთიერთობაში, მაგრამ ერთი მათგანის მხრიდან რისხვას მაინც ვერ ავცდი: 18 წლის ბიჭი ვიყავი. იმ ხანებში ქალაქში დიდი ავტობუსები მოძრაობდნენ. საღამოს საათებში ავტობუსებში ტევა არ იყო. გადაიწით! გაისმის უკანა მხრიდან მგზავრთა შეძახილები და მეც მივიწევ წინ. ავტობუსის სალონს ზემოთ მგზავრთათვის ხელის მოსაკიდი ჰქონდა დამაგრებული.ბევრი რომ გადავიწიე, ხელის მოსაკიდი დამთავრდა, შემოვბრუნდი და ზურგით მძღოლის კაბინას მივეყრდენი.ვხედავ მშვენიერი

გოგონა, რომელიც ჩემს ზურგს უკან მდგარა, ჩემს პირისპირ აღმოჩნდა.გადაიწით! კვლავ გაისმა მორიგ გაჩერებაზე შეძახილი. რომ გადავიწიო ხელი რაზე მოვკიდო! წარმოსთქვა გოგონამ პრეტენზიულად. მე გამეცინა.

– რაზე გაიცინე – მკვახედ მითხრა მან.

– არაფერზე – ვუპასუხე მე.

– არაფერზე სულელები იცინიან, მითხრა ბოღმიანი ხმით და ანთებული თვალებით რისხვა შემომაფრქვია.

ჩემს ცნობიერებაში ამ გოგოს თვალები ფოტოასლივით აისახა, სახე კი – არა. მე შევწუხდი, ბოდიშის მოხდა დავაპირე, მაგრამ ეს „აღიარებით ჩვენებას“ დაემსგავსებოდა და ვიუხერხულე.

შემდგომ პერიოდში მკვეთრად შევიცვალე. ღიმილის მომგვრელ ემოციებზე წამიერად ჩემს ცნობიერებაში ის თვალები გაილევებდნენ ხოლმე და ღიმილის ნაცვლად სევდა მეუფლებოდა. თითქოს დავსერიოზულდი. ეს დედამაც შემნიშნა და შემაქო კიდეც.

მოკლე ხანში სამხედრო სამსახურში გამიწვიეს, სადაც სამი წელი გავატარე, მას მოჰყვა უმაღლესი სასწავლებელი, შემდეგ ისევ მშობლიური ქალაქი და საქმიანობა სხვადასხვა სფეროში. იყო თავისუფალი დროც. მარტოობაში ყოფნისას ოცნებებს ვერ გადავეჩვიე, ღიმილს – კი. ზოგჯერ მენატრებოდნენ კიდეც „მკურნალი“ თვალები, მაგრამ ძნელი იყო მათი აღმოჩენა უცნობ სახეზე. მას აქეთ 15 წელზე მეტი იყო გასული.

ბოლო ხანებში საქალაქო საბჭოს აღმასკომის თნამშრომელი გავხდი, სამსახურმა დამტვირთა და ემოციებიც იქ განცდილს უკავშირდებოდა. ერთ საღამოს კაბინეტის კარი გაიღო და სევდიანი გამომეტყველების, გულჩათხრობილმა ქალმა შემოსვლაზე ნებართვა ითხოვა. ჩემი თანხმობის შემდეგ კი მოკრძალებით შემოვიდა, დაჯდა და დაიწყო საუბარი:

– ოჯახში მყავს მეუღლე და პატარა ბავშვი. მაქვს აუტანელი პირობები. მეუღლე გადაყოლილია „ძმაბიჭობიას“, ხშირად თვრება, მის ლოდინში ღამეებს ვათევ, მოვა და მაყენებს როგორც სიტყვიერ, ისე ფიზიკურ შეურაცხყოფას. რამდენჯერმე გადავწყვიტე თვითმკვლელობა, მაგრამ ბავშვს ვერ ვუღალატე. იქნებ

დამეხმაროთ და გამომიყოთ თავშესაფარი, რათა ჩემს შვილთან ერთად მომეცეს ადამიანური ცხოვრების საშუალება. საუბარი დაასრულა და აღმასკომის თავჯდომარის სახელზე დაწერილი, ამავე შინაარსის განცხადებაც გადმომცა.მე მას მეუღლის შესახებ ცოტა რამ ვკითხე. მუშაობსო მითხრა, ასაკიც ახალგაზრდული დამისახელა, შემდეგ კი ჩვენს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

– იქნებ მოახერხოთ როგორმე ოჯახის შენარჩუნება.

– ოჯახის შენარჩუნება კი არა, ხელმოსაკიდი რომ მქონდეს, მაგას ციხეში გავუშვებდი.

ბოღმიანი ხმა მეცნო, თვალებში შევხედე, რისხვაც ისაა... თქვენ ხელმოსაკიდის პრობლემა მგონი საერთოდ გაქვთ ცხოვრებაში. – გადავამოწმე ჩემო მეხსიერება მე

ამ სიტყვების გაგონებაზე მას თავისი პრობლემა თითქოს მიავიწყდა და სახეზე ღიმილმა გადაუარა.

... აჰა, შენ ისა ხარ? მე შენ ათი წელი დაგეძებდი, უნდა გამელახე.

– შემდეგ რატომ შეწყვიტე ძებნა?

– შემდეგ დავოჯახდი.

ეს სიტყვები თითქოს წამოსცდა, შერცხვა და ოდნავ წამოწითლდა.

– მეც დაგეძებდი, მაგრამ გასალახად არა.

შემოტანილ განცხადებას გადავხედე და სახელი, მზია, ამოვიკითხე. ამ „მაყვალას“ მზია ვინ დაარქვა – თქო, გავიფიქრე, მაგრამ გაღიმება „ვერ გავბედე“.

ერთმანეთის ამბავი ძირფესვიანად მოვიკითხეთ. როცა გაიგო, რომ დაუოჯახებელი ვიყავი, მისაყვედურა: დაგიგვიანებია, სერიოზულ ბიჭებს გოგოებთან სერიოზული საუბარი არ გეხერხებათ, ამ მხრივ თავხედები გჯობიანო. ამ თემაზე საუბრისას კიდევ ერთხელ ვურჩიე , როგორმე შვილისათვის მამა შეენარჩუნებია.

ეჰ! ზოგიერთი კაცი საერთოდ არ არის მოწოდებული გახდეს მამა. დაიწვას ქალის ბედი, მას რომ ჭკუა ჰქონდეს, საერთოდ არ უნდა გათხოვდეს. ამ დღეებში ვიღაც დეგენერატი გაზეთში წერდა ქალებს მამაკაცების მსგავსად ხელფასზე უშვილობის

გადასახადი უნდა დაექვითოთო... ის „დეგენერატი“ მე ვიყავი. შევწუხდი, სიჩუმე ჩამოვარდა, ჩემს ცნობიერებაში გაიელვა იმ წერილის ისტორიამ:

... იმ ხანებში საყოველთაო სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნებული იყო სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი.

ზემდგომიდან იყო დავალება, რომ უზრუნველგვეყო მისი განხილვის საჯაროობა და ამ საქმეში მაგალითის მიმცემი ჩვენ, პარტიული და საბჭოთა მუშაკები უნდა ვყოფილიყავით.

რამდენიმე შენიშვნა გამოვაქვეყნე, მათ შორის ისიც. ნახევრად ხუმრობით და მეგონა მან თავისი მისია შეასრულა, რადგან გამოხმაურებათა რაოდენობაში ჩაითვალა. როგორც ჩანს, მოვალეობის მოხდის მიზნით საქმე არ უნდა აკეთო. გთავაზობთ იმ წერილსაც:

„თუ თანასწორობაა, თანასწორობა იყოს“

კონსტიტუციის პროექტის 35 – ე მუხლში აღნიშნულია სსრ კავშირში ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობაზე. თუმცა პრაქტიკულ ცხოვრებაში ქალები დამსახურებულად, მაგრამ ერთ კონკრეტულ შემთხვევაში დაუმსახურებლადაც, გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობენ.

დაუმსახურებელ პრივილეგიად მიმაჩნია ის, რომ გაუთხოვარ ქალებს ხელფასზე არ ექვითებათ უშვილობის გადასახადი.

ოჯახის შექმნაში (შეუღლებაში) კაცისა და ქალის როლი კანონით თანაბარია, რეალურად კი სასწორი ქალების მხარეზეც გადაიხარა, რადგან ისინი უფრო ხშირად, ვიდრე მამაკაცები, ახერხებენ შექმნან ოჯახები თავიანთ სასურველ ადამიანებთან.

ქალი მოტრფიალე ვაჟს შეუღლებაზე უარს ეუბნება. ნებით მამაკაცი მიზანს ვერ აღწევს, იძულებით მეთოდს კი კანონი კრძალავს. მამაკაცს ისღა დარჩენია გრძნობა გულში ჩაიკლას და თან უშვილობის გადასახადი იხადოს. მგონი ამ შემთხვევაში (ასეთი შემთხვევები კი პრაქტიკულ ცხოვრებაში საკმაოდ ბევრია) უფრო გამართლებული იქნებოდა უშვილობის გადასახადი პირიქით, ქალს გადაეხადა.

როგორ მოიქცეს ვაჟი? შეუღლდეს იგი ნებისმიერ სხვა

ქალთან? საკითხის ასეთნაირად გაგება კანონის მიერ მამაკაცის დამცირებად მიმაჩნია, რადგან მას ამ შემთხვევაში მამაკაცი გრძნობის არმქონე ცხოველის დონემდე დაჰყავს. მაშ ქალებმაც დასთმონ და შეუღლდნენ ნებისმიერ მამაკაცთან.

უნდა გათვალისწინებული იქნას ის გარემოება, რომ უფრო ხშირად ოჯახის შექმნას აგვიანებენ და ზოგჯერ საერთოდ გაუთხოვრები რჩებიან ბუნებისაგან დაჯილდოებული, „წუნია“ ქალები და ყველა გაუთხოვარ ქალს, მამაკაცის მსგავსად, ხელფასზე დაექვითოს უშვილობის გადასახადი – თუ თანასწორობაა, თანასწორობა იყოს.

* * *

ხანმოკლე დუმილის შემდეგ, სიჩუმე, ისევ ჩემმა თანამოსაუბრემ დაარღვია.

– ძალიან შეცვლილი ხარ, ჭაღარაც გამოგრევია, რომ გიყურებ, მგონი სიცილი საერთოდ დაგვიწყებია.

– ყოველ შემთხვევაში არაფერზე აღარ მეცინება.

– ეგ სიტყვები დაივიწყე.

– არ შემიძლია.

– მაშინ მაპატიე, მითხრა და თვალები აემღვრა.

– საპატიებელი არაფერი გჭირს, შენ მართალი იყავი.

– მე მართალი არ ვიყავი, ვინ მკითხავდა მე შენ რა გაივლე გულში. იმ რეპლიკით მომღიმარ ბიჭს მე გული გატკინე. შენ კი ვაჟკაცურად მოიქეცი, მაპატიე და ამით გული მეც მატკინე. სახლში რომ მივედი, ვიტირე კიდეც. დრო რომ გავიდა, სევდა უფრო დამეუფლა. ქალაქში რომ გამოვდიოდი, თითქოს დაგეძებდი და ბოდიშის მოხდას ვაპირებდი. თუმცა რომ შემხვედროდი, ამის გაკეთებას ვერ შევძლებდი. შენც სულ გაუჩინარდი. შენს ადგილზე მაშინ ზოგიერთი ბიჭი მე მკვდარსა და ცოცხალს არ დამიტოვებდა შეუგინებელს. ახალგაზრდა გოგოებს კი ისეთი ბიჭები ჰგონიათ ვაჟკაცები. მეც ასეთზე შევაჩერე არჩევანი. დაიწვას ის დღე – სთქვა და ხელჩანთა გახსნა.

კარი გაიღო და კაბინეტში „პროფესიონალი“ მომჩივანი ქალი, თითქოს ჯიქურ შემოვიდა და დაჯდა. გახსნილ ხელჩანთას რომ

შეხედა, გაიფიქრა, ქრთამის გადაცემის ფაქტს შევესწარიო და თვალები გაუბრწყინდა.

ჩემმა თანამოსაუბრემ კი ხელჩანთიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ცრემლები მოიწმინდა და გასასვლელად მოემზადა.

– დედა ხარ და პრობლემებს შეეჭიდე – ფარხმალი არ დაყარო მზია! პირველად მივმართე სახელით თხუთმეტი წლის წინ შეხვედრილ მანდილოსანს.

– დამოძღვრა..., მტერს მიეცა ამათთან საქმე – ჩაილაპარაკა ბოღმიანად ახლად შემოსულმა ქალმა და ცრემლმორეული მანდილოსნიდან მხარდამჭერ გამოხმაურებას ამაოდ დაელოდა.

მზიას დატოვებულ განცხადებაზე წერილობითი პასუხი გაეგზავნა. იგი არსებული კანონმდებლობის განმარტებას შეიცავდა და მეუღლეების განკარგულებაში არსებული საცხოვრებელი ფართობის სასამართლოს წესით გამიჯვნას ითვალისწინებდა. პასუხი უარყოფითი იყო. ამიტომ მე ამ მანდილოსანთან არასასიამოვნო საუბარს ველოდებოდი და შეხვედრას ვერიდებოდი. მაგარამ ჩემდა გასაკვირად მოხდა პირიქით, რამდენიმე თვე იყო გასული, იგი საკმაოდ მშვიდი და ხალისიანი მოვიდა ჩემთან და თავისი განცხადების უკან გატანა მოითხოვა. არ მინდა ჩემი ოჯახური კონფლიქტის შესახებ წერილობითი დოკუმენტი არსებობდესო.

ალბათ ოჯახი დაანგრია და გაუთხოვარი ქალის იმიჯის დამკვიდრება სურს – გავიფიქრე და მეწყინა. ოჯახში რა შეიცვალა – თქო შევეკითხე, ბევრი რამ: მეუღლემ ავტომანქანა შეიძინა, სმას შეეშვა, ოჯახშიც ადრე მოდის, საღამოობით ბავშვს ასეირნებს, მამა – შვილი ისე დაძმაკაცდნენ, რომ ოჯახი კიდეც რომ დავანგრიო, ისინი ერთმანეთს არ დაშორდებიან და მე მარტო მომიწევს წამოსვლაო.

მასეთ პირობებში მეც შემიძლია შეგიკედლო – თქო, ვუთხარი მე. მადლობელი ვარ, ჩემს შვილს ერთი მამაც ეყოფაო, მითხრა და ღიმილით გააგრძელა საუბარი:

– პირველად რომ მოვედი შენთან, მე ხომ უცხო ვიყავი შენთვის და საიდან იცოდი ჩემი სახელი?

– შენს განცხადებაში სახელი კი არა, ბიოგრაფია ეწერა შენი.

– მერედა შენ ხომ ის გვერდზე გადადე, მასში არც კი ჩაგიხედავს.

– თვალი მოვკარი.

– ქაღალდებთან მუშაობაში პროფესიონალები ხართ.

– ქაღალდების ქექვა ხომ არ იგულისხმე?

– მაგას როგორ გაკადრებ.

– შენ მე უფრო მეტიც ორჯერ მაკადრე... პირველად სულელი მიწოდე, მეორედ კი – დეგენერატი.

– პირვლად არ გიცნობდი, მეორედ კი არ ვიცოდი, რომ ის წერილი შენი იყო, არცოდნა არცოდვაა.

– შენ როდის გაიგე ჩემი სახელი?

– გვარით და სახელით, როგორც პედაგოგს ,ისე გიცნობდი. შენი წერილი რომ გამოქვეყნდა – „ანგელოზები იბადებიან", იმ დღეებში შვილი შემეძინა და ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ის წერილი შენ ჩემს შვილს უძღვენი და გაფასებდი, არ ვიცოდი მხოლოდ თუ ის იყავი, ავტობუსში რომ შემომელანძღე. ვერც იმას წარმოვიდგენდი, თუ იმ წერილის ავტორი ოდესმე გაუთხოვარი ქალების „დაბეგვრას" მოითხოვდა. ის რამ დაგაწერია ბიჭო.

– გაუთხოვარი მანდილოსნების „დაბეგვრის" შესახებ წერილი ხუმრობით დავწერე, მასთან ერთად გაზეთში სერიოზული შენიშვნებიც გამოვაქვეყნე, მაგრამ მათ ასეთი რეზონანსი არ მოჰყოლიათ.

– შენი მაინც მიკვირს, მე რომ ოჯახური პრობლემების შეჭიდების მოწოდებით გამისტუმრე, შენ შექმენი კი მაინც ოჯახი და შემდეგ უფრო დამაჯერებელი იქნება სხვისთვის ასეთი მოწოდება.

– ამ წელს აუცილებლად შევქმნი ოჯახს.

– შენ ისეთ ასკში ხარ, რომ მაგ სიტყვას ვერ დაიცავ.

– დავიცავ.

სიტყვა სიტყვააო – მითხრა და მარჯვენა ხელი გამომიწოდა. მეც ხელი ხელში მივეცი. ამ პროცედურას მან „პირობა" დაარქვა და მკაცრად გამაფრთხილა – არ დაარღვიოვო. წლის ბოლომდე ათ თვეზე მეტი იყო დარჩენილი და მწამდა, რომ ამ პირობას დავიცავდი.იმ წელს კიდევ ორჯერ შემხვდა ქუჩაში. პირველად დარჩენილი თვეები დამითვალა, მეორედ კი მითხრა – დაგრჩა სამოცდახუთი დღე.

წელი მიიწურა, საახალწლო დღესასწაულმაც ჩაიარა და სამსახურში გავედი. საღამოს საათებია, კაბინეტში ერთი

მოქალაქე ზის, ისიც შემოვიდა, წარბშეკრული მოგვესალმა და მის გვერდით დაჯდა. პირისპირ დარჩენის დრო ახლოვდება. არასასიამოვნო საუბარს ველოდები და დავასწარი – დამრჩა ათი დღე.

– რომელი ლოგიკით – იყო მისი რეპლიკა.

– მე ძველი სტილით ახალ წელს ვარ დაბადებული და საოჯახო ცხოვრებაშიც იმ კალენდრით ვხელმძღვანელობ.

ჩემს პასუხს, ალბათ სახის გამომეტყველებასაც, არასერიოზული, ირონიული ელფერი დაჰკრავდა. ეს მას ეწყინა, მაგრამ ხმაც არ ამოუღია, ადგა და დაბოღმილი გავიდა.

ამას ვის გადავეყარე – გავიფიქრე ჩემთვის, ახალგაზრდობაში სულელი მიწოდა, თანამდებობაზე მყოფს – დეგენერატი. ეხლა მგონი გასალახავად იყო მოსული, ვინაა და რას ჰყოფს ცხვირს ჩემს პირად ცხოვრებაში... მეც დავიბოღმე და ფეხზე წამოვდექი. მაგიდაზე საქმიან დოკუმენტებს შორის ქაღალდში შეხვეული რაღაც შევნიშნე, ალბათ დარჩა – გავიფიქრე და ხელში ავიღე, მასში რამდენიმე ცალი თხილის ჩურჩხელის თავი მოსჩანდა... ახალი წელი მომილოცა, მერედა რატომ არაფერი მითხრა, რა დავუშავე, მე ხომ მისთვის სიკეთის მეტი არაფერი მინდა. შევწუხდი. სევდა დამეუფლა და „მედალს“ მეორე მხრიდან შევხედე: ან მე რას „ვაჩმახებ“, იმასაც ხომ ჩემთვის კარგი უნდა. ამ ხნის კაცი ვარ, რას ველოდები, ოჯახისათვის ეკონომიკური საფუძვლების შექმნის უშინაარსო ათწლეულს ერთი წელიც დაემატა. ამ მხრივ პერსპექტივა არც მომავალში ჩანს, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა დავვოჯახდე – ეკონომიკური პრობლემა ცნობიერებაში მომენტალურად მოვხსენი, „სატრფიალო ბირჟაზე“ სიტუაციის ანალიზი კი ღამის საათებისთვის გადავდე. ის დროც დადგა: სიყვარულის ფრთადალეწილი ოცნებები გულის სიღრმეში უპერსპექტივოდ, მაგრამ მაცდურად კიაფობდნენ და არცთუ საიმედო მომავალს მიქადდნენ. პოეტის მიერ „ვნებასთან“ და „ლხენასთან“ თანაბრად ასოცირებული ამ გრძნობიდან ვნება მეტი გავიხსენე და მასაც გავემიჯნე. საკუთარი თავის ბატონ – პატრონს საუკეთესო არჩევანის გაკეთების რეალური შანსი მომეცა, მაგარამ იგი ბოლომდე „ვერ გამოვიყენე“.

აღმასკომს წინ დაძაბული სამუშაოები ელოდებოდა, მას

ქალაქის მასშტაბით წლის შედეგები უნდა შეეჯამებინა და მოკლე ვადაში წარედგინა იგი რესპუბლიკის მთავრობაში. გაუთხოვარი მანდილოსნები ამ პროცესებში ჩართულნი აღმოჩნდნენ, მათთვის ხელის შეშლა და საქმიდან მოწყვეტა, მითუმეტეს კომუნისტი კაცისაგან, „ქვეყნის ღალატის“ ტოლფასად მიმაჩნდა. არადა დროში ვიწვებოდი – სიტყვა გამიტყდებოდა.

შევარჩიე ამ პროცესებისაგან შედარებით თავისუფალი მანდილოსანი და მივაკითხე. აშენდა მისი ოჯახი, დამეთანხმა და ძველი სტილით წლის დასასრულამდე ორი დღით ადრე, 12 იანვარს, დავოჯახდი.

გთავაზობთ წერილს, რომელიც მე , მზიას აზრით, მის შვილს ვუძღვენი.

ანგელოზები იბადებიან

გაზეთი „ჭიათურის მაღაროელი“ 1975წ. 23 დეკემბერი

ადამიანის აღზრდა ოჯახში, სკოლასა და საზოგადოებაში ხდება. აღმზრდელობითი თვალსაზრისით სამივე ეს ცნება ერთ მთლიანს შეადგენს და მათი გათიშვა არ შეიძლება, რადგან ოჯახი საზოგადოების შემადგენელი ნაწილია, სკოლა კი საზოგადოების შექმნილია.

ბოლო ხანებში ჩვენს საზოგადოებაში გაბატონდა სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების აღმზრდელობითი როლის ცალ – ცალკე შეფასების ტენდენცია და ამის ინიციატორები თითქმის ყოველთვის აზვიადებენ სკოლისა და მეორე საფეხურზე აყენებენ ოჯახისა და საზოგადოების როლს ადამიანის აღზრდაში, ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ჩვენი თეატრის ერთერთი დადგმა „X მესამე“ (რ. მამულაშვილის „მერხებზე ანგელოზები სხედან“).

ცნობილია, რომ მოზარდის აღრზდა იწყება დაბადებიდან და არა სკოლაში მისი გამოცხადებიდან. სწორედ ოჯახში უხდება მოზარდს სულ პირველად დაინახოს ადამიანური ქცევები, აიდგას ენა, რომელსაც ჩვენ სკოლაში ათი წელი ვასწავლით, ბოლოს კი სიმწიფის ატესტატში ნიშანს ვუწერთ „მშობლიურ“ და არა „მასწავლებლურ“ ენაში.

იმ დროსთან შედარებით, როდესაც ენას მშობლიური უწოდეს, დღეს მშობლის როლი მოზარდის აღზრდის საქმეში კიდევ უფრო გაიზარდა, ჩვენს დროში მშობლები სკოლამდელი ასაკის ბავშვებს გაცილებით მეტს ამეცადინებენ, ვიდრე ოდესმე.

პირველ კლასში მოსულმა მოსწავლეებმა ზოგჯერ იციან ყველა ასოს დაწერა, კითხვა, თვლა, შეკრება და გამოკლება ოცის და ზოგჯერ მეტის ფარგლებში. ასე, რომ პირველ

კლასში მოსული მოსწავლის გონება აღარ არის „სუფთა დაფა“, ხოლო, თუ ადამიანობასაც გავითვალისწინებთ, ეს „დაფა“ ზოგჯერ ისე დაჩხაპნილია, მასზე ისეთი სისულელეები წერია, რომ არც გინდა დაიჯერო, მაგრამ რას იზამ, როდესაც ფაქტის წინაშე დგახარ.

სკოლის დირექტორი ვიყავი და პირველ კლასში გაკვეთილს ვესწრებოდი. მასწავლებელმა ხათუნის ცოდნა ფრიადზე შეაფასა და მოსწავლეს ნიშანი დღიურში ჩაუწერა. ხათუნის გვერდით მჯდომ მარინას თვალებში წყენა ამოვიკითხე და თუ არ დავიჯერე, მხოლოდ იმიტომ, რომ დაჯერება არ მსურდა. ყველაფერი მოსწავლის სულში ჩახედვის ჩემს გადაჭარბებულ სწრაფვას მივაწერე და გაკვეთილის მსვლელობას დაველოდე. უეცრად მარინა ფეხზე წამოდგა და მასწავლებელს მიმართა: „პატივცემულო მასწავლებელო, ხათუნიმ დღეს საშინაო დავალება სკოლაში შეასრულა“. ამის შემდეგ გაკვეთილის მოსმენა ვეღარ შევძელი, ფიქრებმა გამიტაცა. ვეძებდი პასუხს კითხვაზე – საიდან გაუჩნდა პირველი კლასის მოსწავლეს შურის გრძნობა.

წარმოვიდგინე ოჯახები პატარა ბავშვებით, მათი მეზობლური ურთიერთობა და უეცრად მარინას ოჯახში ვიპოვე პასუხი ჩემს კითხვაზე.

მარინა სამოსანი მოსწავლეა, როდესაც იგი სახლში მივიდა, დედამ დღიური გაუსინჯა. „ისევ სამიანი“, – მიახალა ბავშვს და დღიური მიუგდო. დედის სითბოს მოკლებული მშიერი მარინა უმადურად შეექცა საჭმელს. ხათუნის დედამ მარინას დედას კვეხნით უთხრა: „ხათუნიმ დღესაც ხუთიანი მოიტანა“

საღამოს მარინას „მორალი“ წაუკითხეს: „რით გჯობია გოგო ხათუნი, ჩაცმით, ტანით თუ გვარიშვილობით?“. მარინას გაცილებით მეტს ელაპარაკნენ ხათუნის ხუთიანზე, ვიდრე საკუთარ სამიანზე. ასე რომ, ბავშვს ორი ბრალდება წაუყენეს: 1. რატომ მიიღო ხათუნიმ ხუთიანი და 2. რატომ მიიღო თვითონ სამიანი.

როდესაც მშობლები მარინასთან „აღმზრდელობით“ მუშაობას მორჩებიან, იწყებენ საუბარს ეკონომიურ საკითხებზე

და მარინას ხშირად ესმის გამოთქმები: „იმას უნდა ჰქონდეს მანქანა და ჩვენ არა?“, „ეჰ, ცოდნას ფასი აღარ აქვს, ეს უსწავლელი კაცი რას სჩადის!“ და სხვ. ცხადია ასეთ ოჯახში მოზარდი არც სწავლით დაინტერესდება და შურიანიც გახდება.

მაინც რომელ ასაკში შეიძლება ჩავუნერგოთ მოზარდს შურის გრძნობა? ახლა ამ კითხვაზე დავიწყე პასუხის ძებნა და პასუხსაც სოფელში, ერთი გლეხიკაცის ოჯახში წავაწყდი. პატარა ფიქრის ძუძუს მოწოვა არ სურს. „არ მოწოვ და აგერ მოვაწოვებ გიას“, – ეუბნება დედა შვილს და ხუთიოდე წლის ბიჭუნას ეძახის: „გია, მოდი შვილო, ძუძუ მოწოვე“. გია მორბის. ფიქრი გამწარებული წოვს ძუძუს და საცოდავი თვალებით შესცქერის გიას. ძუძუს წოვს არა იმიტომ, რომ რძე სურს, არამედ იმიტომ, რომ გიამ არ მოწოვოს იგი. ვუცქერ ამ სურათს და საშინელი განცდები მეუფლება. ნუთუ დედის ძუძუთი, დედის რძით იწყება ადამიანში შურის ჩასახვა, ნუთუ ჩვენს დედებს სხვა მეთოდი ვერ გამოუნახავთ, რათა თავიანთ თითისტოლა ბავშვს როგორმე მოაწოვონ ძუძუ?

ზემოთმოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორი ანგელოზები სხედან მერხებზე. ჩემის აზრით ფორმულირებას „მერხებზე ანგელოზები სხედან“ ორი სიტყვით შევცვლიდი – „ანგელოზები იბადებიან“.

მომავალი თაობის აღზრდის საქმეში საზოგადოების როლი განსაკუთრებით დიდია. სწორედ საზოგადოებაზეა დამოკიდებული მოსწავლეთა დაინტერესება სკოლაში სწავლით, რადგანაც სწავლა თვითმიზანი კი არ არის, არამედ სწავლა საშუალებაა მიზნის მისაღწევად, საზოგადოებაში შესაფერისი ადგილის დასაჭერად. ჩვენი მოსწავლეები სკოლაში ცოდნის მიღებით მხოლოდ მაშინ დაინტერესდებიან, როდესაც დაინახავენ, რომ საზოგადოება აფასებს მცოდნე ადამიანებს და არა მაშინ, როდესაც ხედავენ, რომ უცოდინარები განაგებენ მცოდნეების ბედს.

სპექტაკლში „მერხებზე ანგელოზები სხედან“, X – მესამე კლასის მოსწავლეებმა რწმენა დაკარგეს, როდესაც დაინახეს,

რომ აბესაძე სკოლის დირექტორის გვერდით იჯდა და შემდეგ კი ომკავშირის კომიტეტის სახელით ლაპარაკობდა. გულწრფელად ვაცხადებ, რომ ასეთი აბესაძეები სკოლის დირექტორების გვერდში იშვიათად სხედან და მოსწავლეებიც სკოლაში იშვიათად კარგავენ რწმენას. საზოგადოებაში კი ასეთ აბესაძეებს ხშირად ვხედავთ მაღალი თანამდებობის პირების გვერდით და აბესაძის ყოფილი კლასელებიც მაშინ კარგავენ რწმენას.

მართალია მომავალი თაობის სწავლა – აღზრდა სკოლის პირდაპირი მოვალეობაა, მაგრამ ოჯახისა და საზოგადოების გარეშე სკოლა უძლურია გადაჭრას ის ამოცანები, რომლებიც მის წინაშე დგას.

როდესაც საკითხი მომავალი თაობის აღზრდას ეხება, ყველაფრის თავიდათავი მაინც პედაგოგია. იგი არის ოჯახის წევრიც, საზოგადოების წევრიც და სკოლის თავკაციც. ყველაზე ძვირფასი, რაც პედაგოგმა მომავალ თაობას უნდა ჩაუნერგოს, ეს არის რწმენა, რწმენადაკარგული პედაგოგი კი ამას ვერ გააკეთებს.

როდესაც მსახიობს შეხვდები, რომელიც გუშინ სცენაზე ლუარსაბის როლს თა მაშობდა, დღეს კი ვენახში ბარავს და ცხოვრებაში ჯარისკაცის მამის ტიპია, მისი,როგორც მსახიობის ავტორიტეტი შენს თვალში მაღლდება.

მაგრამ, როდესაც საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელს შეხვდები, რომელიც გუშინ გაკვეთილზე კომუნიზმის აშენებაზე გესაუბრებოდა, დღეს კი ამავე თემაზე ახლო მეგობართან ირონიულად საუბრობს, ასეთი პედაგოგის ავტორიტეტი უსასრულობამდე მცირდება.

რწმენადაკარგული პედაგოგი სკოლის მტერია. მის მიერ გაკვეთილზე ნათქვამი რუსთაველის სიტყვები: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“, ყოველგვარ დამაჯერებლობას მოკლებულია. თვით რუსთაველსაც რომ ამ მასწავლებლის ხმა გაეგონა, ალბათ თავისივე ლექსს ვერ იცნობდა და იტყოდა: „არა, მე ეს ასე არ დამიწერიაო“. როგორც მასწავლებლის,ასევე მოსწავლის რწმენის დაკარგვის მიზეზი კი ისევ საზოგადოებაში

უნდა ვეძიოთ. როგორ უნდა დავუმტკიცოთ მოსწავლეებს ისტორიული პროგრესი, როდესაც მას სცენიდან ხმამაღლა ეძახიან: „მაშინდელი ქართველობა ერთი კი არა, ასი პაატას თავი ღირდა, პაატა რომ ცოცხალი ყოფილიყო, დღეს ის თავს აღარ დასდებდა, არც მამა გაიმეტებდა შვილს საამისოდ“. განა ცოტაა თავდადების მაგალითები ჩვენს დროში?!

საზოგადოება თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით მთლიანობაში უნდა დავინახოთ და მასზე შეხედულებაც აქედან გამომდინარე უნდა შევიმუშაოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში პესიმისტები,ან მეტისმეტად ოპტიმისტები გავხდებით. ხორცმეტები საზოგადოებაში ყოველთვის იყვნენ და არიან დღესაც, მაგრამ მათ ისტორია არ შეუცვლიათ. ისტორია თავისი გზით მიდის. ისტორიას არ სცალია და ვერც მომავალში მოიცლის ყურადღება გაამახვილოს ასეთ ხორცმეტებზე.

მომავალი თაობის აღზრდა ოჯახის, სკოლისა და საზოგადოების ერთი საერთო ამოცანაა. ერთი ამოცანის სამად გაყოფა კი არ შეიძლება.

ანგელოზები იბადებიან!

საშას ნაამბობი

სტუდენტობის დროს საზაფხულო არდადეგებს შრომით საქმიანობაში ვატარებდი. ძირითადად ვეწეოდი კერძო ბინათმშენებლობას. რამდენიმე სეზონზე მომიწია მუშაობა აფხაზეთის ერთერთ სოფელში. აქ ოჯახებში ხშირად შეხვდებოდით რუსულენოვან, ალკოჰოლისმოყვარულ მამაკაცებს. ისინი სარაიებსა და მსგავსი ტიპის სათავსოებში ცხოვრობდნენ. იქვე აწვდიდნენ მათ საკვებს და მკაცრად განსაზღვრული დოზით ალკოჰოლურ სასმელს. ეს ადამიანები ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მუშაობდნენ მიწის ნაკვეთზე, უვლიდნენ პირუტყვს და ასრულებდნენ სხვადასხვა სახის სამუშაოებს. ხშირად მეხმარებოდნენ მეც, როგორც დამხმარე მუშები. ზოგჯერ, სხვადასხვა სახის შრომატევადი სამუშაოების დროს მე მჭირდებოდა რამდენიმე დამხმარე მუშა. ასეთ შემთხვევაში ოჯახის უფროსი მეზობლებიდან დამატებით მომიყვანდა ამ კატეგორიის მუშებს. ისინი კეთილსინდისიერად შრომობდნენ. ხალისიანებიც ჩანდნენ, მაგრამ ეს მოჩვენებითი იყო. მათი სახე და თვალები სულ სხვა რეალობაზე მიანიშნებდნენ. ჩემთვის შეურაცხმყოფელი იყო სადილობის პროცესი. ამ დროს მე ოჯახში მიმასპინძლდებოდნენ. მათ კი თავისივე სარაიებში აწვდიდნენ საჭმელს. მე აკრძალული მქონდა მათთვის ფულის მიცემა. დაეჩვევიან და ჩვენგანაც მოითხოვენო. თუმცა მე ფარულად ზოგჯერ ვაკეთებდი ამას.

დიდი სურვილი მქონდა ჩამეხედა მათ სულიერ სამყაროში მაგრამ ისინი ამის საშუალებას არ იძლეოდნენ.

ერთხელ ოჯახის უფროსმა ამ კატეგორიის მუშა მოიყვანა და ჩემზე უთხრა – ეს კაცი ხელოსანია და უნდა მოეხმარო. პირისპირ დავრჩით. მე სახელს ვეკითხები. საშა – მპასუხობს ის და მეუბნება – ხელისგულები მაჩვენე. კირთან და ცემენტთან ხშირი შემხებლობის გამო ხელოსნებს ხელეზე კანი

გაუხეშებული გვქონდა და დაუბანელის შთაბეჭდილებას სტოვებდა. მეუხერხლა, მაგრამ საშას მოთხოვნა შევასრულე. მან შეათვალიერა ჩემი ხელები და მითხრა – მეგრელი მეგონეო. ჩემს შეკითხვაზე თუ საიდან გააკეთა მან ასეთი დასკვნა, მითხრა: შენს კოლეგებს ძირითადად ასეთი ხელები აქვთ, მეგრელებს კი, ღომს რომ ჭამენ, მარჯვენა ხელის სამი თითი გამოკვეთილად სუფთა აქვთო.

ენერგიული, კეთილსინდისიერი, თანაც ალღოიანი კაცი აღმოჩნდა საშა. ზოგჯერ მაძლევდა საკმაოდ სერიოზულ შენიშვნებსაც – ერთხელ მითხრა – მეც ხელოსანი ვარ, მაგრამ არ ვამხელ, არ მინდა ტვირთი დამემატოს. ფულს მე არ გადამიხდიან და მუქთად რასაც ვაკეთებ, ისიც კმარაო.

თავის საძინებელში ტუმბოჩკის თავზე საშას სისტემატიურად ედო წიგნი და თავისუფალ დროს კითხულობდა მას. თუ რამეს თავისი წარსულიდან შევეკითხებოდი „დლინნაია ისტორია“ – მეტყოდა და ჩაიქნევდა ხელს. მასთან მუშაობას შევეწყვე და როცა ამ სოფელში მუშაობა მომიწევდა, ჩემი თხოვნით, დამხმარედ ხშირად მოჰყავდათ საშა.

ერთხელ სოხუმიდან იმერეთისკენ ავტობუსით მივემგზავრებოდი და სოფ. დრანდაში მგზავრთა მოსაცდელთან შევნიშნე საშა. ავტობუსიდან ჩამოვედი და საშას შევხვდი. ერთმანეთი მოვიკითხეთ. მაგვიანდებოდა, მაგრამ მინდოდა, რომ კაცთან, რომელთანაც მრავალგზის ერთობლივი შრომა მაკავშირებდა, როგორც ტოლი-ტოლთან დავმჯდარიყავი და იქვე არსებულ სასადილოში შევიპატიჟე. დამთანხმდა. რამდენიმე ჭიქა ღვინო დავლიეთ. ვიცოდი, რომ თავის წარსულზე შეკითხვები არ სიამოვნებდა და ამ მხრივ თავშეკავებული ვიყავი. მაგრამ როცა შეზარხოშდა, თვითონვე მითხრა, შენ ჩემი წარსული გაინტერესებდაო. ეხლაც მაინტერესებს – ვუთხარი მე. რომელ წელს ხარ დაბადებული – შემეკითხა საშა – 1943 წელს ვუპასუხე მე. სწორედ ამ წელს დაიწყო ჩემი უბედურება, დაიწყო საშამ საუბარი: 1943-წელს მამაჩემი ფრონტზე დაიღუპა მე კი სრულწლოვანი გავხდი და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამიწვიეს. უკრაინის ფრონტზე, სატანკო

ნაწილში ვიყავი. ავტომატჩიკი მერქვა და ტანკის ეკიპაჟის შემადგენლობაში შევდიოდი. ერთ ღამით განგაში გამოცხადდა, წამოვიშალეთ, მტრის შემოტევა მოვიგერიეთ, ნაწილში აღარ დავბრუნებულვართ და შენიღბვის მიზნით ტყეში დავბანაკდით. რამდენიმე დღის განმავლობაში საომარი მოქმედებები შეწყვეტილი იყო. ერთ საღამოს ჩვენი ტანკის ეკიპაჟის სრული შემადგენლობა, უფროსთან ერთად იქვე არსებულ დასახლებულ უბანში სასეირნოდ (სამავოლკაში) წავედით. მე თან მქონდა ჩემი ავტომატი. მოსახლეობა მებრძოლებს დიდი ოვაციებით გვხვდებოდა და შეძლებისდაგვარად გვიმასპინძლდებოდა. სეირნობაგაგვიტკბადაგაგვიგრძელდა.იმხანებშიჩვენსნაწილზე შემოტევა განახლებულა და დიდი მსხვერპლის ფასად მტერი მოუგერებიათ. ჩვენი ძებნა ჯერ დაჭრილებსა და დაღუპულებს შორის დაუწყიათ, შემდეგ კი დასახლებულ უბანში გამოსულან. ჩვენ, კარგად შეზარხოშებულები, უბნიდან გამოვდიდოით. მოულოდნელად სამხედრო პატრულების გარემოცვაში აღმოვჩნდით და ჩვენი მისამართით გაისმა შეძახილი ხელები მაღლა! „სტრელიაი!“ მითხრა ჩვენმა უფროსმა. მე ავტომატის მჯიდში 30-ცალი ვაზნა მქონდა და თითის ერთი გამოკვრით პატრულის, რაღაც ხუთკაციანი რაზმის განადგურება წამებში შემეძლო. მაგრამ მე ეს არ გავაკეთე და პატრულს ჩავბარდით. ჩვენი დანაშაული, ომის დროს საბრძოლო ტექნიკის მიტოვება და სამავოლკაში წასვლა, სამშობლოს ღალატის მუხლით დაკვალიფიცირდა და სამხედრო ტრიბუნალმა გაგვასამართლა. არ ვიცი უფროსს რა ბედი ეწია. რიგითები კი ციმბირში, ციხეში გაგვიშვეს და იაპონიასთან ომისთვის გვამზადებდნენ. ბოლოს კი ომში ჩავებით.

ომის დამთავრების შემდეგ გამათავისუფლეს და მშობლიურ სოფელში დავბრუნდი. თითქოს ყველაფერი წესრიგში ჩადგა, დაოჯახებისთვის ვემზადებოდი და საცოლეც შერჩეული მყავდა. ერთ საღამოს სოფლის კლუბში კონცერტი ტარდებოდა. ახალგაზრდებს შორის ჩხუბი ატყდა. ისინი ჩემი მეზობლები და ახლობლები იყვნენ. გაშველებას შევეცადე, მოჩხუბართა წრე გაფართოვდა, ცემა-ტყეპამ მასიური ხასიათი მიიღო და მეც მისი მონაწილე აღმოვჩნდი. ადგილზე მილიციის თანამშრომლები

მოვიდნენ. ჩხუბის რამდენიმე მონაწილე საავადმყოფოში გადაიყვანეს. ერთერთი მათგანი გარდაიცვალა. მის სხეულზე მიყენებული დაზიანებები ცივი იარაღის გამოყენების შთაბეჭდილებას სტოვებდა და ექიმებმაც ასეთი დასკვნა გააკეთეს. დაიწყო გამოძიება. დამნაშავის კვალზე ვერ გავიდნენ. არადა დანაშაული უნდა გახსნილიყო. ამისთვის კი ვაღაც უნდა დაესაჯათ.

ჩხუბის ყველა მონაწილის ბიოგრაფია სუფთა აღმოჩნდა. მხოლოდ მე ვიყავი ნასამართლევი და ისიც სამშობლოს ღალატის მუხლით. ამიტომ დანაშაულიც მე ამკიდეს და ციხეში გამიშვეს. თითქოს ყველაფერი დამთავრდაო, საშა დადუმდა. შემდეგ-ვეკითხები მე. საშა ისევ დუმს, რამდენიმე წამის შემდეგ კი აგრძელებს საუბარს: ციხეში შენნაირი მშრომელი კაცი მოიყვანეს, პატიმრები მას ავიწროებდნენ და არაკაცურად ექცეოდნენ, მე მას ვქომაგობდი და ერთი მათგანი ვცემე კიდეც. მე ის სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადამეკიდა და... მოვკალი. თავი დავიცავი... ასე რომ არა ის, ისეთი გარეწარი იყო, პირიქით მე მომკლავდა. ამის შემდეგ პატიმრობის ვადა 5-წლით გამიხანგძლივეს და როცა დავბრუნდი, საცოლე გათხოვილი, დედა კი გარდაცვლილი დამხვდა. ცარიელ სახლში, მაგიდაზე დედაჩემის დატოვებული წერილი იდო. ამ მომენტში საშამ გულის ჯიბე გაიხნა, ოთხად გაკეცილი რვეულის ფურცელი ამოიღო და მომაწოდა. ფურცელი საკმაოდ გაცრეცილი იყო, ფაქიზად გავშალე იგი და წავიკითხე: – „საშა, შვილო, ძალზე დავსუსტდი და სიკვდილს ვებრძვი. მე ჩემ დასთან გადავედი საცხოვრებლად. იქნებ შენს დაბრუნებამდე გავძლო. თუ ასე არ მოხდეს, დარდს ნუ მიეცემი... დაოჯახდი. ვაჟს მამაშენის სახელი, ვალოდია დაარქვი. მენატრები. გკოცნი. შენი დედა“. ცრემლები მომაწვა. საშაც იგივე დღეში იყო. წერილი უკან გადავეცი. ღვინო გაგვითბა, ამ ჭიქის თამადა შენ ხარ საშა – ვუთხარი მე. მართალ კაცს გაუმარჯოს ამბობს იგი. „დაი ბოგ“ – ვადასტურებ მე. ჭიქები ერთმანეთს მივუჭახუნეთ და ღვინო დავლიეთ. „მაგრა ღმერთი არ გაწირავს, კაცსა შენგან განაწირსა“ – ჩავილაპარაკე მე. „ჩტო ეტო ზნაჩიტ“ – მეუბნება საშა. ბოგ სპრავედლივ – ვუპასუხე მე. „ნი ვერიუ“ – ამბობს საშა. ღვინო გვითავდება. წინ მგზავრობა

მელოდება და დამატებას არ ვაპირებ. ვუფრთხილდები საშასაც. ვიცი, რომ ამისთვის მას დატუქსავენ. დარდიან გულზე ერთი ბოთლიც დავლიოთ – ამბობს საშა. დავლიეთ და ავტოტრასაზე გამოვედით, ავტობუსი გამოჩნდა. საშას ვემშვიდობები. თუ რამ გაგიჭირდეს, მომაკითხე, შენი გულისთვის კაცს მოვკლავ – მეუბნება საშა. ნახევრადცარიელ ავტობუსში ავედი და ფანჯარასთან დავჯექი. ყურში ჩამესმის საშას სიტყვები – შენი გულისთვის კაცს მოკლავ. საშას შეუძლია ამის გაკეთება. გამოცდილებაც აქვს. მის მიერ ამაღლებულ პათოსში წარმოთქმული სადღეგრძელოთი კი საშა საკუთარ თავს მართალ კაცად მიიჩნევს. თავისი სამართლიანობა სწამს, ღმერთისა კი – არა. გადავწყვიტე საშას „გასამართლება“ და მის ადგილზე ჩემი თავი წარმოვიდგინე. როლის გათავისება იოლად შევძელი. 60-იან წლებში მეც ვიყავი დამწყები, გამოუცდელი ჯარისკაცი, ვირიცხებოდი ერთერთი სტრუქტურული დანაყოფის რიგით წევრად და მყავდა ჩემი უფროსი. როგორც სამხედრო ფიცით, ისე ყველა წესდებითა და კანონით ჯარისკაცს უფროსის ბრძანებისა და განკარგულების უსიტყვდოდ შესრულება ევალებოდა. და თუ ჩემი დანაყოფი უფროსთან ერთად სამავოლკაში წავიდოდა, წავიდოდი მეც. ასე მოიქცა საშაც. მეორე მომენტი: როცა საშას უფროსმა უბრძანა სტერლიაი! კანონით საშას ცეცხლი უნდა გაეხსნა. მე გავხსნიდი. კანონთან სწორი ვიქნებოდი, მაგრამ ეს გამოიწვევდა თანამებრძოლების მსხვერპლს და ზიანის მომტანი იქნებოდა ქვეყნისთვისაც. საშამ მე მაჯობა, კრიტიკულ მომენტში სწორი გადაწყვეტილება მიიღო, ასეთი გაბედული ქმედებისთვის საშა მთავრობის ჯილდოს იმსახურებდა. ის კი ციმბირის ციხეში გაუშვეს. საშა დარჩენილ ორ ეპიზოდშიც გავამართლე და „სასამართლოს დარბაზიდან გავათავისუფლე“.

მოკრძალებული ნაბიჯით დადის დღეს მიწაზე სამშობლოს ღალატისა და ორგზის ადამიანის მკვლელობისათვის დამნაშავედ შერაცხული საშა. ის თავს უსამართლობის მსხვერპლად მიიჩნევს და ბოღმას ალკოჰოლური სასმლით მკურნალობს. გულთან ახლოს, ჯიბით კი დაატარებს დედის ანდერძს, რომელსაც ასრულება არ უწერია.

სიყვარულის მსხვერპლნი

კახა სტუდენტური არდადეგების დროს შრომაში გავიცანი. ის კეთილსინდისიერი და ენერგიული მშრომელი იყო. ერთ დროს ყოფილა სტუდენტი და მიუტოვებია სასწავლებელი. მორიგ წელსაც მომიწია იმ დასახლებაში მუშაობა. მოვიკითხე კახა და მითხრეს – ბერად აღიკვეცაო. მოვიძიე მის შესახებ ინფორმაცია და დავწერე ეს მოთხრობა:

სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა უნივერსიტეტის შენობა ღამის საათებში დატოვა. კახამ ერთი სიმპატიური მანდილოსანი სახლამდე მიაცილა. განშორების ჟამს შეჩერდნენ. შესაფერისი მომენტია – გაიფიქრა ვაჟმა და მანდილოსანს გული გადაუშალა, სიყვარული გაუმჟღავნა და ცოლად გაყოლა შესთავაზა. მე არასდროს გავთხოვდები – პასუხობს მანდილოსანი.

ვაჟი – კარგად დაფიქრდი, მანდილოსანმა დედის საპატიო წოდებაზე უარი არ უნდა თქვას.

მანდილოსანი – მე ამისი საფუძველი მაქვს. დუმილი. მანდილოსანი ცრემლებს იწმენდს. ეტყობა ჯანმრთელობის პრობლემები აქვს– გაიელვა ვაჟის გონებაში აზრმა.

ვაჟი– მაპატიე თუ გული გატკინე. ამ თემაზე საუბარს მე შენთან არასდროს განვაახლებ. შევეცდები სხვა ფორმით ჩავდგე შენი ბედნიერების სამსახურში. განშორება.

ეტყობა მის გულს რაღაც ღრღნის, სულ მარტოობისკენ მიისწრაფვის, ყოველთვის მოწყენილი და გულჩათხრობილია. ნეტავი მაგის სახეზე ბედნიერების ღიმილი მაჩვენა – ფიქრობს ვაჟი.

მანდილოსანი სახლში შევიდა და შუქი აანთო. როგორც ყოველთვის, ირგვლივ სიჩუმე და სიცარიელეა. თითქოს ამ ჰარმონიის დარღვევას უფრთხილდებაო, იგი ფეხაკრეფით მივიდა მაგიდასთან და დაჯდა. რამდენიმე წუთის შემდეგ

მარცხენა ხელის იდაყვით მაგიდას დაეყრდნო, ამავე ხელის მტევანი ლოყაზე შემოიდო და „კარგად დაფიქრდა“. ეს ფიქრები კი თავისი მშობლების გარშემო ტრიალებდნენ. არაერთხელ სმენია მათი სატრფიალო ურთიერთობის შესახებ, სიყვარულითვე შეუღლებულან. ერთადერთი შვილი შეეძინათ და მისთვის ფიქრია დაურქმევიათ. ჰოდა ზის ეხლა ფიქრია მაგიდასთან და ფიქრობს მათზე.

მხოლოდ სიყვარული არ აღმოჩნდა საკმარისი ფიქრიას მშობლების ბედნიერი ოჯახური თანაცხოვრებისთვის. ახალგაზრდობიდანვე ქეიფისა და ძმაბიჭობის მოყვარული მამა, დაოჯახების შემდეგაც აგრძელებდა ასეთ ცოხვრებას. შრომის ბირჟაზე დილით გასული, გვიან ღამით შინ ჯიბეცარიელი და მთვრალი ბრუნდებოდა. გამრჯე და შრომისმოყვარე დედა კი ოჯახურ საქმიანობასთან ერთად წვრილმანებით ვაჭრობდა. ახალგაზრდული „ნაკლი“ მასაც შემორჩა, იგი სისტემატიურად ზრუნავდა საკუთარ გარეგნობაზე და რადგან სილამაზის სალონით მომსახურეობაზე ხელი არ მიუწვდებოდა, ამასაც ოჯახურ გარემოში ახერხებდა.

ცხოვრების განსხვავებულმა წესმა დაღიც განსხვავებულად დააჩინა მეუღლეების როგორც სულიერ სამყაროს, ისე მათ გარეგნობას. მამას ლოთი კაცის მანერები, ჩვევები და სიფათი ჩამოუყალიბდა, ასაკიც შესამჩნევად დაეტყო. დედა კი ისევ ახალგაზრდულად, მხნედ და სიმპათიურად გამოიყურებოდა. ეს განსხვავებულობა არასახარბიელოდ აისახა მათ ურთიერთობაზე. შეეშვი მაგ ძმაბიჭობას და ლოთობას – ეტყოდა ზოგჯერ ცოლი ქმარს. ქმარი კი – რაღადროს შენი კეკლუცობაა – ეტყოდა ცოლს. მას მოსვენებას არ აძლევდა გაუცხოების განცდა, რაც სილამაზითა და სიცოცხლით სავსე მეუღლესთან მიმართებაში ეუფლებოდა. მეუღლეებს შორის ზოგჯერ იყო კამათიც, მაგრამ ზღვარგადასული არა. ცოლი ყოველთვის არეგულირებდა ამ პროცესს.

ერთ საღამოს დედამ თმის შეღებვა გადაწყვიტა. საამისოდ საჭირო ნივთები კარადის უჯრიდან ამოიღო, აბაზანაში შეიტანა და საქმეს შეუდგა. შეზარხოშებული მეუღლე სახლში

ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა და აბაზანას მიადგა. კარები ჩაკეტილი დახვდა. დედა თმას იღებავს – უთხრა ფიქრიამ მამას. მაგის კეკლუცობას ხომ არ უჩანს ბოლო – ბოღმიანად ჩაილაპარაკა მამამ. დედამ გაიგონა ეს და განაწყენდა, გაიფიქრა – შე დალოცვილო, ოჯახში არაფრის შემომტანი ხარ, კი მაინც დაჯექი სახლში და გვეცოდინება ვინ სად ვართ და რას ვაკეთებთო. ბოლოს კი ემოციებს სძლია და სიმართლის ნაწილი მეუღლის მხარეზეც დაინახა: მთვრალ კაცს რომ ტუალეტში შესვლა მოუნდება და კარები ჩაკეტილი დახვდება, აბა რას იზამსო. შემდეგ მან თმის შეღებვა დაჩქარებით დაასრულა, ნივთები აკრიფა, კარები გააღო და გამოსასვლელად მოემზადა. მოულოდნელად მას სველ ფილაზე ფეხი აუსხლტა და თავით კედელს დაეჯახა. ტრამვა სერიოზული აღმოჩნდა. მამა-შვილი ჭირისუფლებად იქცნენ. ქალი აბაზანიდან გამოიყვანეს და საწოლზე დააწვინეს. ფიქრიამ დედის საწოლთან სკამი მიიტანა და დაჯდა. სასწრაფოს დავუძახოთ – ამბობს ფიქრია. არაა საჭირო, გამივლის, – ამბობს დედა. ცოტა ხანში მდგომარეობა დასტაბილურდა. დედაშვილს შორის საუბარი გაგრძელდა, იგი ძირითადად ფიქრიას სწავლასა და საერთოდ მის მომავალს შეეხებოდა. დაოჯახებისას კარგად დაფიქრდი, სიყვარულის მსხვერპლი არ გახდე შვილო – ამბობს დედა. მე არასდროს გავთხოვდები დედა – პასუხობს შვილი. დიალოგი შეწყდა. ეტყობა ჩაეძინა – გაიფიქრა შვილმა, აბაზანაში შევიდა, იატაკზე მიმობნეული თმის შეღებისთვის საჭირო ნივთები აკრიფა, კარადაში, დედის უჯრაში მოათავსა, საძინებელში შევიდა და დაწვა.

დილით დედამ აღარ გაიღვიძა. ფიქრიამ დაკარგა დედაც, დაც, უფროსი მეგობარიც, მომავლის იმედიც და საერთოდ ყველაფერი.

ფიქრიას გაახსენდა დედის სიტყვები – სიყვარულის მსხვერ-პლი არ გახდე შვილო. ფიქრია მიხვდა, რომ სიყვარულის მსხვერპლად დედა საკუთარ თავს მიიჩნევდა და საბრალო ქალი იყო კიდეც მსხვერპლი. ოჯახის შენარჩუნებისა და მშვიდ გარემოში შვილის აღზრდაზე მეოცნებე დედა,

მეუღლესთან ურთიერთობაში ყველა უსიამოვნებას გულში იკლავდა, მაგრამ „შუბი ხალათში“ არ იმალებოდა – ფიქრია ყველაფერს ამჩნევდა. დედის ბოლო რჩევა-დარიგებაზე – სიყვარული მსხვერპლი არ გახდე შვილო, თავისი პასუხიც ახსოვს ფიქრიას – მე არასდროს გავთხოვდები დედა. ფიქრიას ამ გადაწყვეტილებას დედა სამუდამო დუმილით შეხვდა. დუმილი კი თანხმობის ნიშანია. გამოდის, რომ დედამ მოიწონა შვილის გადაწყვეტილება. ამიტომ ის არასდროს გათხოვდება. სიტყვას ხომ არ გატეხს, დედასთან ნათქვამ ბოლო სიტყვას.

ფიქრიამ საათს შეხედა. მალე მამა მოვა, ის გულში ჩაიკრავს საყვარელ შვილს, ძლივს დაიხსნის ფიქრია თავს მთვრალი მამისაგან, შემდეგ მამა დედის საწოლთან მივა და აქვითინდება. აქაც ფიქრიამ უნდა დაამშვიდოს იგი. ბოლოს დაწვებიან. გათენდება და ყველაფერი თავიდან დაიწყება. განსხვავება იქნება მხოლოდ ის, რომ კახა მას აღარასოდეს ეტყვის მიყვარხარო. ვაჟის ეს სიტყვებიც რაღაც სანუკვარის სამუდამოდ დასამარების განცდას იწვევს მანდილოსანში.

გამოსავლის ძიებაში გადაინაცვლა მანდილოსნის გონებამ და თითქოს მიაგნოვო, წამიერად მას სახე გაუბრწყინდა. გამოცდილ თვალს არ გამოეპარებოდა, რომ ეს არ იყო ბედნიერების ღიმილი, კახა რომ ნატრობდა ისეთი. ამ ღიმილში იკვეთებოდა ირონია, ბედის ირონია.

ფიქრია წამოდგა კარადასთან მივიდა და დედის უჯრა გამოაღო. თვალში ის ნივთები მოხვდა, იმ საბდიწერო ღამეს, აბაზანაში მომიბნეული, თავისი ხელით რომ აკრიფა. აქ ათასი წვრილმანიც იყო, დედას ფრჩხილების, თვალების, წარბების, წამწამებისა და სახის ნაკვთების გალამაზება-გაკოხტავებისათვის რომ ესაჭიროებოდა. სხვა დროს ფიქრია თვალცრემლიანი დაჰყურებდა ხოლმე ამ ნივთებს. ამჯერად კი მას ამისთვის არ ეცალა. ეჩქარებოდა, რაღაცას დაეძებდა, დაეძებდა და იპოვა კიდეც. ფიქრიამ ხელის თითებით მოკრძალებით აიღო ბრიტვა, თითქოს იპარავსო, ხელის მტევანში მოათავსა იგი, უჯრა მიხურა და იმ საწოლთან მივიდა, დედას რომ უკანასკნელად ჩაეძინა. საწოლზე ჩამოჯდა და თავისთვის

ჩაილაპარაკა-მაპატიე კახა თუ გული გატკინე.

გვიან ღამით მამის არაადამიანურ ღრიალზე მეზობლები შემოცვივდნენ. მათ საწოლზე ვენებგადაჭრილი, სისხლისგან დაცლილი მანდილოსანი დახვდათ. ჩემი შვილი მე მოვკალი– ღრიალებდა მამა. შენ არაფერ შუაში ხარ, ის დედის დაკარგვას ვერ შეეგუა – ამშვიდებდნენ მეზობლები მამას. დედის დაკარგვის შემდეგ ეს ბავშვი სულ შეიცვალა, მის სახეზე ღიმილი აღარ შემინიშნავს – ამბობს ერთი, ტოლ-მეგობრებსაც ჩამოშორდა, ხშირად განმარტოებულს, მოწყენილსა და გულჩათხრობილს ვხედავდი – ამბობს მეორე. ეგ ბავშვი დედას შეეწირა – ასკვნიან სხვები. დედამისიც მე მოვკალი – გაიძახის მამა.

საწყალი გონებაზე აღარ არისო – ჩურჩულებდნენ მეზობლები.

ცოცხალი ძალა

სამხედრო ტერმინოლოგიაში ჯარისკაცი იარაღის ერთ-ერთ სახეობად – „ცოცხალ ძალად“მოიხსენიება. ამ ძალი-სადმი დამოკიდებულება ერის კულტურის ერთერთი მაჩვე-ნებელია. სამხედრო ხელოვნებასთან დაკავშირებით შთამ-ბეჭდავია დიდი მგოსნის, შოთა რუსთაველის ბრძნული აზ-რები, იგი გონებაგამჭრიახი სარდლის როლში გვევლინება და „აკომპლექტებს“ ჯარს დევიზით – „დიდთა რას ვაქნევთ ლაშქართა? კარგი გვინდან და ცოტანი“. შემდეგ კი გეგმავს საბრძოლო ოპერაციას დევიზით – „ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქმნელია“ (საგულისხმოა, რომ ექვსი საუკუნის შემდეგ, მხედრთმთავარ სუვოროვის იგივე იდეა – „მოიგე ხერხით და არა ძალით“ – მრავალეროვანი საბჭოთა ხალხების ბრძოლების ისტორიაში პირველ სიტყვად და დევიზათ იყო აღიარებული.)

საბრძოლო ოპერაციის დამთავრების შემდეგ რუსთაველი კვლავ უდიდესი ჰუმანისტია, იგი თითქოს გვეხვეწება – „ოდეს მტერსა მოერიო, ნუღარ მოჰკლავ“ – ო..., „სპა უბრალოა, ნუ დაჰხოცთ, ვტირ ამად გულმდუღარია“ – ო.

რუსთაველისა და ვაჟა – ფშაველასთვის „სპა“ და „მუცალი“ ვაჟკაცები არიან, მიუხედავად იმისა სად დგანან ისინი. სამწუხაროა, რომ ამ გენიოსთა სამშობლოში, დღეს, ზოგიერთი პოლიტიკოსისათვის გვერდში მდგომი მიტინგის მონაწილე ვაჟკაცი, ბარიკადის მეორე მხარეზე მდგომი მისი „ტყუპისცალი“ კი ლაჩარი, მოღალატე ან მარიონეტია.

პირადად მე, როგორც სსრ კავშირის მოქალაქე, სამხედრო – სავალდებულო სამსახურს ყოფილ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გავდიოდი. ჩვენი „სამხედრო ქალაქი“ იზოლი-რებული იყო მოსახლეობიდან, მაგრამ პერიოდულად, მოკლე ვადით, გავდიოდით ქალაქშიც. ზოგჯერ ვეხმარებოდით მო-

სახლეობას მოსავლის აღებაში, სხვადასხვაგვარ სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაციაში და სხვა. გერმანელები ყოველთვის მოკრძალებით და თავაზიანად გვექცეოდნენ საბჭოთა ჯარისკაცებს. იმ დროს მე ეს სრულებითაც არ მიკვირდა, რადგან მჯეროდა, რომ ვიდექი მსოფლიო მშვიდობის სადარაჯოზე და ვიცავდი თვით გერმანელი ხალხის უსაფრთხოებასაც.

დღეს კი მჯერა, რომ გერმანელი მოსახლეობის მხრიდან საბჭოთა ჯარისკაცისადმი გულთბილი დამოკიდებულება განპირობებული იყო მათი მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით, რწმენით იმისა, რომ ჯარისკაცს დიდი პოლიტიკისა არაფერი ეკითხება და იგი მხოლოდ კონსტიტუციურ ვალს იხდის თავისი ქვეყნის წინაშე.

დემობილიზაციიდან რამდენიმე წლის შემდეგ ინტერნაციონალურ თემაზე შეთხზულ მოთხრობებზე კონკურსი გამოცხადდა. გერმანელი ხალხისა და ჯარისკაცის ურთიერთობასთან დაკავშირებული არაერთი ნამდვილი ამბიდან ერთერთი მოთხრობად ვაქციე და საკონკურსოდ წარვადგინე. შემდგომში ის მოთხრობა, ოდნავ შემოკლებით, მაგრამ საკმაოდ სახეშეცვლილი გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოაქვეყნა („ციცინათელა“).

მოთხრობის სათაურს – „შუქი აღმოსავლეთიდან“ – პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს, მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ განსაცდელში მყოფთათვის იმედის ნაპერწკალი აღმოსავლეთიდან მოიაზრება. რაც შეეხება პოლიტიკურს, იყო მისი გავლენაც. იმ დროისათვის ევროპის კომუნისტური მომავალი – „გაწითლება“ – უფრო პროგრესულად და რეალურად მეჩვენებოდა, ვიდრე ფაშისტური. – „ევროპის გაწმენდა მოლაყბე კომუნისტებისაგან“... დრონი მეფობენ.

გთავაზობთ მოთხრობას პირვანდელი სახით:

შუქი აღმოსავლეთიდან

მთის უსწორმასწორო გზაზე დიდი სიჩქარით მიმავალი სამხედრო ავტომობილი მოულოდნელად შედგა. მოუკლავს ამ ბებერს! – იყვირა რიგითმა ჯარისკაცმა ივანოვმა, მანქანიდან ჩამოხტა და იქვე მდგომ მოხუცზე ხიშტი აღმართა. შესდექ

ივანოვ! მკაცრი ტონით გასცა ბრძანება მძღოლის გვერდით მჯდომმა კაპიტანმა სმირნოვმა. ივანოვი, თანახმად მკაცრად დადგენილი სამხედრო წესისა, ადგილზე გაქვავადა. მოხუცი სწრაფად შემობრუნდა. თავზემოთ შემართული ხიშტი, რომ დაინახა, ოდნავ შეკრთა და სწრაფად წარმოთქვა: „დრუჟბა“, „დრუჟბა“...

მოხუცი თვალებში შესცქეროდა გაოგნებულ ივანოვს. სამხედრო მანქანიდან სამი საბჭოთა ოფიცერი გადმოვიდა. მუხის ძირში სისხლით დასვრილი საბჭოთა სერჟანტი ესვენა. ტანსაცმლის ნახევები და მუხის ფესვზე დასობილი მონადირის დანაც წითლად იყო შეღებილი.

* * *

ამ დღეებში ივანოვის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა. რამდენიმე დღის წინ მან სამხედრო ფიცი მიიღო, შემდეგ კი ძვირფასი სამხედრო ტექნიკა ჩაიბარა. გუშინდელ „ბავშვს“ ამხელა ნდობა გამოუცხადეს.

შუაღამით „განგაშის“ სიგნალმა ასეულის ყველა საძინებელ ოთახში შეაღწია. ჯარისკაცი ივანოვი, რომელსაც პირველად ესმოდა ეს ხმა, სწრაფად წამოდგა საწოლიდან და შუქი აანთო. განგაშის დროს შუქშენიღბვაა საჭირო ივანოვ. მშვიდად უთხრა სერჟანტმა მამულაშვილმა. ივანოვმა შუქი გამორთო.

სერჟანტ მამულაშვილს რამდენიმე თვე დარჩა დემობილიზაციამდე. გუშინდელი დღესავით ახსოვს მას თავისი სამხედრო სამსახურის პირველი დღეები. დასაწყისში გაუჭირდა, მაგრამ ყოველივე დასძლია, ბრწყინვალედ დაეუფლა სამხედრო საქმეს და ოცმეთაურ პოპოვის დემობილიზაციის შემდეგ მის თანამდებობაზე დანიშნეს.

რამდენიმე წუთში დატოვა ასეულმა თავისი ადგილსამყოფელი და საწვრთნელი მოედნისაკენ გაეშურა. მამულაშვილის ეკიპაჟს მძღოლი აკლდა. ივანოვი დაზვერვის ხერხებისა და ამოცანების გაცნობის მიზნით მზვერავთა ჯგუფის ავტომობილს გააყოლეს. მამულაშვილი მარტო დარჩა. იგი თვითონ მიუჯდა საჭეს და საბრძოლო მანქანების რიგში სულ ბოლოს

მოექცა. „ჩამკეტი“, ასე ეწოდებოდა ბოლოს მიმავალ სამხედრო მანქანას. მას ყოველთვის დახელოვნებული ეკიპაჟი მართავდა და ყველას ეხმარებოდა რაიმე ტექნიკური უწესრიგობის შემთხვევაში.

რამდენიმე საათის შემდეგ მანქანებმა ცენტრალური გზიდან გადაუხვიეს და ტყეში, მეტად რთულ პირობებში გააგრძელეს გზა. უცებ მამულაშვილმა შეამჩნია, რომ საჭე არ ემორჩილებოდა, სწრაფად შეაჩერა მანქანა და დაბლა ჩამოვიდა. აღმოჩნდა, რომ საბურავი რაღაც მახვილ საგანს გაეჭრა და თანდათან ეშვებოდა. მისი შეცვლა აუცილებელი იყო. ამასობაში მამულაშვილი წინ მიმავალ მანქანებს საკმაო მანძილით ჩამორჩა. ფიქრის დრო აღარ იყო. სერჟანტმა სწრაფად მონახა ამწე, რადგან მაგარი ადგილი სხვაგან არსად ჩანდა, შეხოხდა მანქანის ქვეშ, ამწე მაგარ ადგილზე დააყენა და მანქანის აწევა დაიწყო. ეყოფა, გაივლო გულში და გამოსასვლელად მოემზადა. მოულოდნელად ამწე გადაბრუნდა და მანქანა წინა ხიდით მამულაშვილს მუცელზე დაეცა. სერჟანტი სასწაულს გადაერჩინა. მანქანის წინა ხიდი ზუსტად იმდენზე ჩასულიყო მიწაში, რომ მამულაშვილს გაჭყლეტის საფრთხე არ ემუქრებოდა, მაგრამ არც განძრევა შეეძლო. ტყავის კურტკაც ხიდს გამოსდებოდა და მამულაშვილი ზედ მიბმული აღმოჩნდა. თავის დაღწევის ყოველგვარი ცდა უშედეგო იყო.

ღამით ტყეში ნისლი ჩამოწვა და სიბნელემ დაისადგურა. მამულაშვილის საბრძოლო მანქანის კაბინის თავზე დამაგ-რებული შორსმანათებელი შუქები განათების მხრივ ადგილზე უკუეფექტს იძლეოდნენ. ისინი ზემოდან დაჰყურებდნენ მწვანეში ჩაფლულ გერმანულ სოფელს და ზღაპრულ ფერებში წარმოაჩენდნენ მას.

ამ სოფლელში, ბუნების რელიეფთან ჰარმონიულად შერ-წყმულ ლამაზ სახლში, 17 წლის შვილიშვილთან ერთად, ცხოვრობდა გერმანელი მოხუცი ჰანსი. რამდენიმე წლის წინ სოფლის სამგზავრო ტრანსპორტზე მომხდარმა უბედურმა შემთხვევამ მოხუცის შვილი და რძალი შეიწირა. ამ ტრაგედიამ

მთელი რაიონი შესძრა და თუ დღეს ბაბუა და შვილიშვილი ცოცხლები იყვნენ, ამ სიკეთეს ისინი ერთმანეთს უმადლოდნენ.

ფანჯრიდან შემოჭრილმა შუქმა ზედ გულმკერდზე დაანათა მძინარე ქალიშვილს. მანდილოსანი შეკრთა და თვალები გაახილა. შუქი აღმოსავლეთიდან იყო. ქალიშვილი საგონებელში ჩავარდა. აგერ უკვე ხუთი წელია, რაც ამ პატარა ოთახში ეძინა ილზას და ასეთი უცნაური რამ არ ენახა. ერთხანს ბაბუას გაღვიძება დააპირა, შემდეგ კი გაიფიქრა, დაღლილს ძილი გაუტყდებაო, განზრახვა შეცვალა და თვალებზე ზეწარი გადაიფარა. უცნაურმა სიზმარმა კვლავ გააღვიძა ილზა. იგი ფეხზე წამოდგა, ხალათი მოიცვა, მეზობელ ოთახში გავიდა, ბაბუა გააღვიძა და ყველაფერი უამბო. მოხუცი ჰანსი საგონებელში ჩავარდა. ავტომობილის შუქს წააგავს, მაგრამ იმ მთაზე საავტომობილო გზა არ გადადის, შესაძლოა საბჭოთა საბრძოლო მანქანა იყოს, ის ყველგან დადის – სთქვა მოხუცმა. ახლა ერთ ადგილზე მანქანის დიდი ხნით დგომის მიზეზზე დაიწყეს საუბარი ბაბუა – შვილიშვილმა. შესაძლოა რაღაც უჭირთ – სთქვა მოხუცმა.

– ბაბუა, ავიდეთ იქნებ მართლა რაიმე უჭირთ, გახსოვს როგორ კეთილსინდისიერად დაეხმარნენ ჩვენ სოფელს საბჭოთა ჯარისკაცები ხანძრის ჩაქრობაში?

– მახსოვს შვილო და დახმარებას არ დავმადლი, მაგრამ ჩვენი დახმარება მათ არ სჭირდებათ, ისინი მარტო არ იქნებიან.

შვილიშვილის დაჟინებულმა მოთხოვნამ ჰანსი აიძულა განზრახვა შეეცვალა: – რახან არ იშლი, მე ავალ, შენი ამოსვლა კი არაა საჭირო – უთხრა ბაბუამ შვილიშვილს,ტანთ ჩაიცვა, მონადირის დანა ჯიბეში ჩაიდო და მთის ტყიან ბილიკს შეუყვა. მოხუცი შემთხვევის ადგილს უახლოვდებოდა.

წყნარ ღამეში სერჟანტს რაღაც ხმა შემოესმა, იქნებ თანამებრძოლებმა გაიგეს ჩემი ჩამორჩენის ამბავი და დახმარებისათვის მომაკითხეს – გაიფიქრა და სმენად იქცა. ხმა თანდათან ახლოვდებოდა, შემდეგ შეწყდა. ნუთუ მომეჩვენა, იქნებ გრძნობას ვკარგავ... სუნთქვა გაუჭირდა... მუცელზე დაწოლა უფრო მეტად იგრძნო. თითქოს მანქანის ხიდი მიწის სიღრმეში მიიწევდა. დახმარების მოლოდინის ყოველი წამი

წუთს უტოლდებოდა.

მოხუცი შეჩერდა და მიდამო დაზვერა. მოხუცს ადამიანის კვნესა შემოესმა. ყურს არ დაუჯერა. რამდენიმე ნაბიჯით ფრთხილად წინ წაიწია და კვლავ შეჩერდა. კვნესა მოხუცისათვის გაუგებარმა სიტყვამ „დედა“, „დედა“ შეცვალა. მხეცმა თუ დაიმარტოხელა კაცი – გაივლო გულში მოხუცმა და დანა გაშალა. მოხუცი ფრთხილად მიიწევდა წინ და ფიქრობდა, განსაცდელში მყოფი საბჭოთა ჯარისკაცი უნდა იყოს, გაჭირვებულისათვის პირველი უებარი წამალი იმედიანი სიტყვაა, მე კი საბჭოური არცერთი სიტყვა არ ვიცი. უცებ მოაგონდა, რომ იმ დღეებში ხე – ტყის დამამზადებელმა ბრიგადამ საბჭოური ხერხი „დრუჟბა“ შეიძინა. გაახსენდა ხალხის ნათქვამი „დრუჟბა“ რუსული სიტყვაა და მეგობრობას ნიშნავსო. ახლა იმედიანად მიიწევდა მოხუცი წინ, ცივი იარაღიც ხელში ეჭირა და იმედიანი სიტყვაც იცოდა. ერთხელ კიდევ შეჩერდა, გამეფებულ სიწყნარეში ადამიანის კვნესა კიდევ უფრო გამოიკვეთა.

მოულოდნელად მომაკვდავის უიმედობის წყვდიადი გაარღვია მოხუცის მჭექარე ხმამ – „დრუჟბა“! „დრუჟბა“! წამიერად კვნესა შეწყდა და სიწყნარე ჩამოვარდა, რომელიც მოხუცის აჩქარებულმა ფეხის ხმამ დაარღვია. მოხუცი საბრძოლო მანქანას კინაღამ დაეჯახა. კვნესა სწორედ მანქანის ქვეშიდან ისმოდა. თავდაპირველად მოხუცმა სიბნელეში ვერაფერი გაარჩია, მომაკვდავს ხელებით შეეხო და „დრუჟბა“, „დრუჟბას“ ძახილით აგრძნობინებდა, ნუ გეშინია, შენს დასახმარებლად მოვედიო.

მოხუცი მალევე მოეგო გონს, კურტკა ზედ ხიდთან მიაჭრა, რის ვაივაგლახით მომაკვდავი მანქანის ქვეშიდან გამოათრია და მუხის ძირას გულაღმა დააწვინა. თვითონ კი შემაღლებულ ადგილზე შედგა და მოჩვენებითი სიმშვიდით შვილიშვილს გადასძახა: აქ ჩვენი ნაცნობები ყოფილან, წყალი სწყურიათ და წამოიღე, უკვე ინათლა და არ შეგეშინდესო.

ტყავის კურტკის გაჭრის დროს მოხუცს სერჟანტისთვის უნებლიედ მუცელზე დანა გაეკრა. მოხუცმა კურტკის

სარჩულის ნახევებით შეუჩერა დაჭრილს სისხლდენა. მალე ილზაც მოვიდა. ბაბუამ და შვილიშვილმა მომაკვდავი მოასულიერეს.

მოხუცმა ილზა კვლავ სოფელში გააგზავნა და რამდენიმე კაცის ამოყვანა დაავალა.

* * *

კაპიტანმა სმირნოვმა მოხუცს ხელი მაგრად ჩამოართვა და გერმანულ ენაზე გამოელაპარაკა. ივანოვი, თუმცა გერმანული ენა არ იცოდა, მიხვდა, რომ მოხუცს მამულაშვილი კი არ მოეკლა, სიკვდილისაგან ეხსნა.

მოხუცის დაჟინებული მოთხოვნით მამულაშვილი მის სახლში ჩაიყვანეს და სწორედ იმ საწოლზე მოათავსეს, რომელსაც მამულაშვილის საბრძოლო მანქანამ საბედისწერო შუქი მიანათა, ილზამ კი დროებით სხვა ოთახში გადაინაცვლა.პოლკის უფროსმა ბრძანა ავადმყოფი ჰოსპიტალში გადაეყვანათ, მაგრამ, როდესაც მოახსენეს, ავადმყოფს მკურნალობს სოფლის საკმაოდ დახელოვნებული ექიმი, გერმანელ გლეხს კი დიდ პატივად მიაჩნია ჯარისკაცის დახმარებაო, ბრძანება შეცვალა.

სიცოცხლე და სიხარული შემოიტანა ქართველმა სერჟანტმა ჰანსის ოჯახში. მოხუცი თავს ბედნიერად გრძნობდა, უხა-როდა, რომ ერთი სიცოცხლე სიკვდილს ხელიდან გამოსტაცა და შორს, საზღვარს იქით ვიღაც დედა არ აატირა. რამდენიმე დღეში დადგა გოჩა ფეხზე და ილზასთან ერთად სოფელი დაათვალიერა.გოჩა ხედავდა, რომ მის გამო ბაბუა და შვილიშვილი საშემოდგომო საქმიანობაში ჩამორჩნენ და რამდენჯერმე მათ სამუშაოდაც გაჰყვა, იგი ენერგიულად შრომობდა. ილზაც მას ტოლს არ უდებდა. საღამოობით კი დაღლილები, ნაცვლად დასვენებისა სასეირნოდ დადიოდნენ.

ერთ საღამოს ილზა და გოჩა მდინარის ნაპირზე ისხდნენ, მოულოდნელად ილზა შეკრთა, გოჩამ მის მზერას თვალი გააყოლა და მდინარის მეორე ნაპირზე მომდგარი სამხედრო მანქანა დაინახა. შენს წასაყვანად მოვიდნენ გოჩა, ნაღვლიანად სთქვა ილზამ. საბჭოთა მეომრებმა მანქანა ჰანსის ეზოსთან

მიაყენეს, თვითონ კი ეზოში შევიდნენ. მოხუცი ეზოში გამოეგება მოსულებს. კაპიტანმა სმირნოვმა მადლობა გადაუხადა მოხუცს ჯარისკაცის გადარჩენისათვის.

მოხუცმა ივანოვს მხრებზე ფაქიზად ხელი დაადო და ღიმილიანი სახით თვალებში შესცი ცინებდა, თითქოს ეუბნებოდა – გახსოვს რომ მკლავდიო? კაპიტანმა შენიშნა ივანოვის უხერხულობა და ბრძანების ტონით წარმოსთქვა: – გამოასწორე შეცდომა ივანოვ! ივანოვმა ავტომობილიდან ქსოვილში შეხვეული რაღაც საგანი გადმოიღო და მოხუცს საჩუქრად გადასცა. მოხუცმა ქსოვილი გახსნა და აღტაცებით წამოიძახა – „დრუჟბა“!

დაე ეს საბჭოური ხერხი ყოფილიყოს საწინდარი თქვენი ოჯახისა და საბჭოთა ჯარისკაცის დამეგობრებისა – უთხრა კაპიტანმა მოხუცს და მარჯვენა ხელი მაგრად ჩამოართვა.

მოვლენათა ეპიცენტრში მყოფ გოჩას ილზა ბავშვური მოკრძალებით შორიახლო უტრიალებდა, შემდეგ კი თავის ოთახში ავიდა და ამ სცენას იმ ფანჯრიდან დაჰყურებდა, საიდანაც რამდენიმე დღის წინ ის საბედისწერო შუქმა გააღვიძა. გოჩამ შენიშნა ეს, ავიდა მასთან და გამოემშვიდობა. სევდიანი ღიმილი გაცვალეს ქალ – ვაჟმა. ღიმილი, რომელიც თან სდევს „განშორების სიმძიმეს“.

მებრძოლები ავტომანქანისაკენ გაემართნენ. მოხუცმა ხელკავი გაუკეთა გოჩას და ავტომანქანამდე მიაცილა. არდავიწყების გულწრფელი სურვილი აერთიანებდა მათი სახეების გამომეტყველებას.

ხმოვანი სიგნალით გამოემშვიდობნენ მებრძოლები გერმანულ ოჯახს.

ეზოში მეზობლის პატარა ბიჭი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ჰანსის საჩუქარს და მის ხელში აღებას ცდილობდა.

ჯერ ვერ ასწევ, „დრუჟბა“ მძიმეა ბაბუა – უთხრა მოხუცმა ბავშვს, შემდეგ მაგრად ჩაჰკიდა მარჯვენა ხელი მძიმე ტვირთს და სახლში შეიტანა.

სარჩევი

ავტორისაგან 3
„წითელი“ ერისკაცები 5
„აღმასვლა“ 25
აპარატის მუშაკის ტვირთი..... 27
„დანაღმული ველი“ 29
სასურსათო პრგრამა 37
ახლებურად აზროვნება 45
„მარადმწვანეები“..... 50
ინტრიგანი 55
საეჭვო ავტოგრაფი 61
ადამიანური სითბო 63
უმაღლესი სასწავლებლების ლიმიტები 64
ქალაქის სტუმრები..... 67

სხვადასხვა დროს დაწერილი წერილები

„როცა ქარი ქრის და ავდარია...“ 70
ღია წერილი ბატონ როსტომ ტაბატაძეს (პოლემიკა)..... 75
„რაც მომივა დავითაო...“..... 82
ღალატი? 87
გავუფრთხილდეთ რუსთაველს! 92
ციური მნათობები მოღრუბლულ ცაზე?! 94
„...კვერთხი ეშმაკთა ძირისა“ 96
ბედკრული სააკაძე..... 98

ღიმილის მომგვრელი ეპიზოდები

ბიუროკრატის მაძიებელი 103

ორშაბათის თათბირი 107
„ ფოსტა“ 108
მოქალაქეთა მიღება 110
„ხანდაზმული“ 113
ინფორმაციები 118
სოციალისტური შეჯიბრება 121
„ძველი ბიჭი“ 127
ექიმმა ექიმს „დიაგნოზი“ დაუსვა 128
„მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ 129
ახალი ამბავი 130
სამახსოვრო საჩუქარი 131
ანონიმჩიკი 132
„პაციენტები“ 134
„ხუდონჰესი“ 138
რევიზორი ბაზარში 139
მოტყუებული ელენა 140
მატარებლის მოლოდინში 142
„ნატოს სკოლა“ 144
„სვისტოკიანი კაცი“ 165

ბიოგრაფიული ეპიზოდები

ბავშვობისა და მოსწავლეობის წლები 169
სკოლის შემდგომ 177
მაღაროელი 181
ობოლი სტუდენტების ბედი 187
მანდილოსნის თვალები 193
ანგელოზები იბადებიან 202
საშას ნაამბობი 207
სიყვარულის მსხვერპლნი 212
ცოცხალი ძალა 217

ISBN 978-9941-8-4779-0